დავით ჯორჯიძე

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1976

32c(41)09
396.(47.922)092
ქ.666

წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა ქართველ ქალებს, რომლებიც ჯერ კიდევ შორეულ წარსულში საფუძველს უყრიდნენ ქართულ ოჯახს და თავიანთი პატიოსნებით, შრომით, გმირობით, პატრიოტული შემართებით, თავგამოდებით იბრძოდნენ სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

შრომა დაწერილია ძველი ქართული მწერლობის, ზეპირსიტყვიერების, სათანადო ისტორიულ, საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

70803 — 079
К М-602(03)—76 ბრძ.-75

© „ცანობილება," 1976

# შესავალი

ყველა სიკეთის დედაა ქალი,
ქალი სიცოცხლის დედაბერია.

ხალხური

თუ რომელიმე ხალხის ვაცნობა გინდა,
იმ ქვეყნის ქალები უნდა ვაიცნო, შეისწავლო.

აკაკი

ოდითგანვე ცნობილია, რომ ქართველი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, შრომისმოყვარეობის, ვაჟკაცური სულისკვეთებისა და ქართული ხასიათის ჩამოყალიბებაში ქალი თვალსაჩინო როლს ასრულებდა. მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი წარსული მდიდარია მოწინავე ქალთა სახელებით. მათი დედობა, მამულისათვის თავდადება, ფიზიკურ მშვენიერებასთან შერწყმული პატიოსნება, მაღალი ზნეობა სამშობლოს სინდისის სიმბოლო იყო.

შორეულ წარსულში ქალის როლზე მოგვითხრობენ ქართული წერილობითი ძეგლები და ზეპირსიტყვიერება. ისინი მეტყველებენ ქვეყნისათვის თავდადებულ ქალთა საგმირო საქმეებზე. ქალთა მონაწილეობით მრავალი ღირსშესანიშნავი და მარადსახსოვარი საქმე გაკეთებულა. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნასა და დაცვაში. სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლ გლეხ-ქალებს მაღლა ეჭირათ სისხლის წვიმებში გამოვლილი ეროვნული დროშა. ამ ქალთა საქმეებს ჟამთააღმწერლები ძუნწად გადმოგვცემენ, მაგრამ ხალხურმა შემოქმედებამ შემოინახა მათი სახელები.

ქართველი ქალები არა მარტო ოჯახურ საქმიანობას ეწეოდნენ, არამედ მძიმე განსაცდელის ჟამს აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის დაცვასა და მტრის განადგურებაში. ქართველი ქალი ოჯახში მუდამ ერთგული დედა იყო, ბრძოლაში — შეუდრეკელი და უშიშარი მებრძოლი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში — აქტიური და ენერგიული.

ფეოდალიზმის დეგრადაციის ხანაში, როცა საქართველო დაქუცმაცებული იყო სამთავროებად და ქართველი ხალხი თურქ-არაბთა და ყიზილბაშთა ბატონობის მძიმე უღლის ქვეშ იტანჯებოდა, ზოგიერთი

თაეგასული ფეოდალი ხარკის სახით ახალგაზრდებს უგზავნიდა მაჰმადიან დიდებულებს. მეტიც: ზოგი მათგანი უცხოეთის ბაზრებზე ყიდდა ყმა-გლეხებს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ჩვენმა ქვეყანამ თავი დააღწია გარეშე მტრების შემოსევას და მშვიდობიანი ცხოვრების გზას დაადგა. ქართველმა ქალებმაც თავიანთი სამოღვაწეო ასპარეზი შემოფარგლეს ისეთი საქმიანობით, რომელიც ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის წინსვლასა და პროგრესს.

ბატონყმობის გაუქმებამდე მძიმე და აუტანელი იყო ყმა გლეხის, განსაკუთრებით, ყმა ქალის მდგომარეობა. ბატონის ნებადაურთველად ყმა ცოლს ვერ მოიყვანდა, ქალი ვერ გათხოვდებოდა.

1864 წელს გაუქმდა ბატონყმობა. ამ აქტით გლეხს თითქოს იურიდიული თავისუფლება მიენიჭა, ეკონომიურად კი იგი ისევ მებატონის ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ქალთა უფლებრივი მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა: ახლა ისინი უფრო ხალისით შრომობდნენ ოჯახში, სოფლის მეურნეობაში, კულტურის ფრონტზე, აღარ ემუქრებოდათ გაყიდვის საფრთხე.

ბატონყმობის გაუქმებამ ქართველი ხალხის სოციალური პირობები შეცვალა. ქალებმა ახლებურად დაიწყეს მომავალი თაობის აღზრდა, რასაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელებამ. მიუხედავად ამ ნაწილობრივი ცვლილებებისა, XIX საუკუნეში ქალს არ ჰქონდა ნამდვილი საზოგადოებრივი და პოლიტიკური უფლებები, იგი ოჯახის, მშობლებისა და ქმრის სრული მონა იყო. ეს გარემოება ქალს აბეჩავებდა.

მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ქალი შევიწროებისა და ჩაგვრისაგან; ქალის უფლებები გაუთანასწორა მამაკაცის უფლებებს, ცხოვრების ყველა დარგში შეუქმნა წინსვლის, შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნა-განვითარების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის ყოველგვარი პირობა...

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მრავალი ქართველი ქალი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას; მათ ასახელეს საბჭოთა ხალხი.

ქართველი ქალები ენერგიულად შრომობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

თ ა ვ ი  პ ი რ ვ ე ლ ი

# ქალი ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში

საქართველოში ქალის პატივისცემის შესახებ მიგვითითებენ მეცნიერული გამოკვლევები, თქმულება-გადმოცემები, ქართველი მწერლებისა და უცხო მოგზაურების ნაწერები. მათ ნაწარმოებებში ასახულია ქალის დიდი და საპატიო როლი. ქალი გაიდეალებულია ხალხურ თქმულებებსა და ლიტერატურულ ძეგლებში. მითოლოგიური გადმოცემებით, მზე დედაკაცია, მთვარე მამაკაცი. ხალხის წარმოდგენაში მზე დედაა, მთვარე — მამა, ან მზე დაა, მთვარე — ძმა.

ხალხური სასიმღერო ლექსი „მზე შინა" ქართული წარმოშობისაა. იგი წარმართობის ეპოქაშია შექმნილი. იმ დროს ჩვენი წინაპრები მზეს ქალად სახავდნენ. ი. ჯავახიშვილი წერს: „მზე რომ ქართველ ხალხს სწორედ ქალად და არა მამაკაცად ჰყავდა წარმოდგენილი, ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა ხალხური ლექსებიდანაც ბლომად შეიძლება. მაგალითად:

ცაზე მზე დაბნელებულა,
მთვარე აყრიდა შაქარსა.
მთვარე, ნუ აყრი შაქარსა,
არაეინ მოვცემს მაგ ქალსა.

აქედან ჩანს, რომ ცაზე დაბნელებული მზე, რომელსაც მთვარე შაქარს აყრის, ქალი ყოფილა, ხოლო მთვარე — ვაჟი"[1].

ამავე აზრს ადასტურებს ქართული „იავნანაც". დედა ბავშვს ასე დამღერის:

დაიძინე ვენაცვალე, იავნანინაო.
მზე დაწვა და მთვარე შობა, იავნანინაო.

მითოლოგიურ ლექსებში ხალხი მზეს დედას უწოდებდა. მზესთან ერთად, მთვარესაც მშობლად თვლიდა. მნათობების მშობლებად წარმოდგენა წარმართული სარწმუნოების შედეგია; ამ რწმენის მიხედვით, ციური სხეულები — მზე, მთვარე, ვარსკვლავები — ადამიანებად მიაჩნდათ. ერთ ხალხურ მითოლოგიურ ლექსში ნათქვამია:

მზე დედაა ჩემი,
მთვარე–მამა ჩემი
სხვადასხვა ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ზოგ მითოლოგიურ ლექსში მზე წარმოდგენილია არა დედად, არამედ ქალად. მთვარის დად და არა ცოლად:

...მზეს რომ კაცი მოუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ეძულდებით ერთმანეთსა?

იგივე აზრი დადასტურებულია ზღაპარში „აინანა"[2]. ამ ზღაპრის მოქმედმა პირმა აინანამ, დაინახა თუ არა ვასისხლიანებული მეფის შვილი, შესძახა:

მზეო – დედავ,
მამაე – მთვარეე...

მზესთან დაკავშირებულ საკუთარ სახელებს მეტწილად ქალებს არქმევდნენ. მაგალითად: მზექალა (მზექალი), მზევინარი, მზია, მზისა, მზისთვალა, გულთამზე, ხვარამზე (მზეთამზე), მზეხათუნი (მზექალბატონი), მზისადარი, პირიმზისა (პირიმზე) და სხვები.

ᲛᲖᲔ ᲨᲘᲜᲐᲝ, ᲛᲖᲔ ᲨᲘᲜᲐᲝ, ᲛᲖᲔᲔ ᲨᲘᲜ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲗ!
ᲛᲖᲔ ᲓᲐᲬᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲕᲐᲠᲔ ᲨᲝᲑᲐ, ᲛᲖᲔᲔ ᲨᲘᲜ ᲨᲔᲛᲝᲓᲘᲝᲗ!

√ ქართველ ხალხს ძველად მზე მდედრობითი სქესის არსებად მიაჩნდა და თაყვანს სცემდნენ მას. ფშავ-ხევსურთა დეკანოზები თავიანთ ლოცვაში ყოველთვის ამბობდნენ: „დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსა".

მზის მდედრობითი სქესის წარმომადგენლად მიჩნევა სხვადასხვა ხალხში და, მათ შორის, ქართველთა წინაპრებში, დაკავშირებულია ნაყოფიერების ღვთაებებთან. ნაყოფიერების ღვთაებებს – ქალის ფიგურებს არქეოლოგები ხშირად პოულობენ საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთაც. ქალთან მზისა და მზესთან ქალის გაიგივება ნაყოფიერების, მოსავლიანობისა და გამრავლების აღმნიშვნელია.

დედაკაცი სიცოცხლის წყაროა; იგი მზესთან იყო გაიგივებული („მზე დედაა ჩემი").

ძველი ბაბილონელები „გილგამეშიანში" მზის გზას, რომელსაც დაადგა მთავარი მოქმედი პირი გილგამეში, სიცოცხლის გზას უწოდებდნენ. ამ გზით მას უნდოდა მისულიყო იქ, სადაც უკვდავებას მოიპო-

ვებდა. ქალი — მზე, მზე — ქალი — ასეთი გაიგივება ქართულში ძველისძველი რელიგიური წარმოდგენების ამსახველია.

მ. ჯანაშვილის მიერ მზისა და მთვარის წარმოშობის შესახებ კახეთში ჩაწერილი თქმულების მიხედვით[3], მთვარე იმიტომ არის მამრობითი სქესისა, რომ უშიშარია და დადის არა მარტო დღისით, როგორც მშიშარა მზე-ქალი, არამედ ღამითაც.

ზოგიერთ ზღაპარში გამოთქმულია საწინააღმდეგო აზრი — მზე მამრობით სქესად არის წარმოდგენილი. მაგალითად, სვანური თქმულებით, „მზე და მთვარე ძმები არიან", მაგრამ შესაძლოა ამ და მსგავს თქმულებებში მოხსენებული პირები (მზეჭაბუკი, მზეთეიმურაზი) ეკუთვნოდნენ უფრო გვიანდელ პერიოდს, როცა საზოგადოებაში ქალის პატივისცემა და დაფასება შედარებით დაეცა. ამიტომ ქალს მზის დიდება ჩამოსცილდა. შესაძლოა ზღაპრის მთქმელი აღარ აქცევდა ყურადღებას იმას, თუ რომელს მიიჩნევდა მზედ — ქალს თუ კაცს. შესაძლებელია ვიფიქროთ ისიც, რომ ხალხის აზროვნებაში მზესა და მთვარეს ერთნაირი მნიშვნელობა მიეცა.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველთა რწმენაში უპირველესი ადგილი ეჭირა მზეს, როგორც სიცოცხლის წყაროს, შემდეგ კი მთვარეს.

ქალისადმი პატივისცემა მატრიარქატის ნაშთია, როცა მდედრობით სქესს (დედას — მშობელს) მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამიტომაც ვამბობთ და ვწერთ: დედამიწა, დედასამშობლო, დედაბოძი, დედაენა, დედააზრი, დიასახლისი (დედა სახლისა), მედია (მე დიაცი), დედამთილ-მამამთილი; სიდედრ-სიმამრი, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი და ა. შ.

ჩვენში გვარების დიდი რაოდენობა ქალის სახელთან არის დაკავშირებული. მაგალითად: ასაშვილი, თამარაშვილი, ელისაბედაშვილი, ლოლაშვილი, სალომეიშვილი, თინიკაშვილი, მარუაშვილი, ბებიაშვილი, დედაბრიშვილი, პატარქალიშვილი და სხვა მოწმობენ, რომ საქართველოში მშობელი ქალის სახელიდან წარმოქმნილი გვარი ქალისადმი პატივისცემით იყო გამოწვეული ჯერ კიდევ მატრიარქატის დროიდან. ამის საილუსტრაციო მაგალითია უძველესი მითოლოგიური თქმულება ამირანზე, რომლის მთავარი გმირი — ამირანი დარეჯანის ძედ იწოდება. დარეჯანი მისი დედაა. ამ უძველეს თქმულებაში ეს ფაქტი ბევრის მთქმელია. თუ ოჯახი გვარს მიიღებდა დედის სახელიდან, ეს ნიშნავდა, რომ ის ქალი, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობით, სახელგანთქმული იყო გვარში, ამიტომ ოჯახმა იგი უკვდავყო.

საერთოდ დედა განსაკუთრებული გრძნობებითაა განწყობილი შვი-

ლის მიმართ. ცხადია, ასევე ითქმის ქართველ დედაზედაც. გავიხსენოთ ლეგენდები: „მარტვილელი დედა“ და „დიდა-მონკა“.

ცნობილია, რომ ძველად, მარტვილში დიდი მუხის ადგილას, სადაც წარმართული სამლოცველო იყო, აუგიათ მონასტერი, ადგილობრივი მცხოვრებლები (მეგრელები) მას „დიდ ჭყონს“ (ანუ ჭყონდიდს) უწოდებენ. აქედან არის ნაწარმოები სამეგრელოს მღვდელმთავრების სახელწოდება ჭყონდიდელი. ეს მონასტერი ხელმძღვანელობდა სწავლა-განათლების საქმესაც. ჭყონდიდელის რეზიდენციაც მარტვილში ძირითადად ამისათვის იყო მოწოდებული. მონასტერს საქართველოს მეფეები სწირავდნენ დიდძალ ქონებას და მატერიალურადაც ეხმარებოდნენ.

ჭყონდიდის მონასტრის აშენებას მიაწერენ აფხაზეთის მეფეს — გიორგის (921 — 951), რომელმაც იქ დააარსა საეპისკოპოსო კათედრა და დააწესა ეპისკოპოსობა... ისტორიკოსის სიტყვით, ამ მეფემ „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსო და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმიდათა მარტვილთაითა“[4].

მარტვილის მონასტერი დიდი არ არის, შიდამოწყობილობით წაგავს სიონის ტაძარს, რომელიც ქართლშია — ატენის ხეობაში. მარტვილის სამლოცველო ადგილის დაარსებაზე ცნობილია ასეთი ლეგენდა:

პირველ საუკუნეში, როცა მოციქულები ავრცელებდნენ ქრისტეს სარწმუნოებას, მარტვილის მონასტრის ადგილას აღმართული იყო კერპთაყვანისმცემელთა სამლოცველო. იქვე იდგა დიდი მუხა, რომელსაც ჩვენი წინაპრები თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლად თაეიანთ შვილებს სწირავდნენ. მათ კერპები მიაჩნდათ ისეთ ღმერთებად, რომელთა გულის მოსაგებად თითქოს საჭირო იყო ბავშვის მსხვერპლად შეწირვა.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ დედას შვილი გულში ჩაუკრავს და მისი გადარჩენის მიზნით გაქცეულა, მაგრამ სპარს მსახურთ დაუჭერიათ და შვილი ძალით შეუწირვინებიათ. მცხოვრებთ უნახავთ ჭყონდიდის მთიდან გადმომდგარი მარტვილელი დედა სოფელს რომ გადასძახებდა: „მა ვპილი სქუა“ (მე მოვკალი შვილი). ასე დარქმევია ამ ადგილს „მარტვილი“. ფიქრობენ, რომ მარტვილი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოწამეს — დასჯილს.

ამავე ლეგენდის მიხედვით, თითქოს ანდრია მოციქულმა საქართველოში შემოსვლის შემდეგ ქადაგებითა და სასწაულებით მოაქცია მცხოვრებლები, შემდეგ დიდი მუხა მოაჭრევინა და იქ დაასვენა ჯვარი ახალი ეკლესიის აშენების ნიშნად.

მარტვილის (ნოღელას — ასე ეძახდნენ ამ ადგილს) მონასტრის ახლოს, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით დგას ეკლესია, რომელსაც

ნ ა ხ ა რ ე ბ ა ო ს ეკლესია ჰქვია, ხოლო იმ სოფელს, სადაც ეკლესიაა, ნახარებაო ეწოდება.

✓ გავეცნოთ ნახარებაოს შესახებ ქართულ ლეგენდას; მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია:

დიდი მუხისაკენ (ჭყონდიდისაკენ) მიმავალ დამწუხრებულ, თეთრად ჩაცმულ ქართველ მანდილოსანს მიჰყავდა თეთრად ჩაცმული ჩვილი ბავშვი, რომელიც მაშინდელი წესის თანახმად, მშობელს უნდა შეეწირა საუკუნოებით დაკანონებული სარწმუნოებისათვის. იმ ადგილას, სადაც ახლა ნახარებაოს ეკლესიაა, ერთმანეთს შეხვედრიან ქრისტეს მოციქულ-მახარობელი და ჭყონდიდისაკენ შესაწირავით მიმავალი ქართველი დედა. ქალმა ჯერ არც კი იცოდა, რომ ძველი რელიგიის — წარმართობის ნაცვლად გაიმარჯვა ახალმა-— ქრისტიანულმა მოძღვრებამ. მოციქულმა ახარა ქართველ დედას ქრისტიანობის გამარჯვება, ახალი სარწმუნოება ბავშვის მსხვერპლად შეწირვას აღარ მოითხოვდა. განცვიფრებული და გახარებული ქართველი მანდილოსანი განწირული და ახლა უკვე გადარჩენილი ბავშვით დაბრუნდა სოფელში და აუწყა მცხოვრებლებს მეტად სასიამოვნო ახალი ამბავი, რომ წარმართული სარწმუნოება დამარცხდა და გაიმარჯვა ქრისტიანობამ. გახარებულმა ხალხმა ამ დღიდან ქართველ მანდილოსანს ნახარებაო შეარქვა.

მეგრულად ნახარებაო ნასიხარულევს, ანუ ხარების (გახარების) ადგილს ნიშნავს; ეს სახელი — „ნახარებაო" — სოფელსაც შერჩა.

დედას პატივს სცემდნენ არა მარტო აღამიანები, არამედ ბუნებაც კი მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი; ბუნების ასეთი დამოკიდებულება დედის მიმართ — კარგად არის გადმოცემული ძველ მეგრულ თქმულებაში „დიდა-მონკა", რომლის შინაარსი ასეთია:

ქუჯის ციხე მტრის ჯარით იყო გარშემორტყმული. ამ დროს რომელიღაც სოფლიდან ციხისაკენ მიდიოდა ფუხმძიმე ქალი დიდა-მონკა (მონკა ნიშნავს ორსულს, ფუხმძიმეს). ქალი დაუნახავს მტრის მეომარს და დასდევნებია. დიდა-მონკა აჩქარებულა და მდინარე ტეხურისაკენ გაქცეულა. მეომარი ფეხდაფეხ მიჰყოლია. ქალს თავისი პატიოსნების შენარჩუნების მიზნით გადაუწყვეტია ადიდებულ მდინარეში შესვლა, რაც მის დაღუპვას ნიშნავდა. ფეხმძიმე ქალი ბუნებასაც შებრალებია: მდინარის ნაპირებს პირი შეუკრავს და დიდა-მონკა წყალგაღმა გასულა, რითაც მოახლოებული საფრთხე თავიდან ასცდენია. ამ ადგილს დღესაც „დიდა-მონკა" ეწოდება.

ქართველმა ხალხმა ამ თქმულებაში ის აზრი გაატარა, რომ სიცოცხლის განმგრძობ მშობელ ქალს ხელს უწყობს არა მარტო საზოგადოება, არამედ — ბუნებაც; ამიტომ დედის მკვლელი უაღრესად ბოროტ ადამიანად იყო მიჩნეული. მეგრული სიტყვა — დიდამ მაკილარი (დედის

მკელელი) დღეანდელ მეგრულში იხმარება არა მარტო ბოროტების, არამედ დანაშაულის აღმნიშვნელ სიტყვადაც.*

დედის სიტყვის, საქმის, ამაგის სჯეროდათ შვილებს, ავიღოთ ხალხური „ლექსო ამოგთქომ". ამ ლექსის მთავარი პერსონაჟი ვაჟია, რომელმაც არ იცის, თუ რა მოუვა თავისი სიკვდილის შემდეგ ოჯახს, სახლ-კარს, ან მის სახელს გარდაცვალებისა და ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ დიდხანს შეინახავს ხალხი, თუ ჩქარა დაივიწყებს, ან როგორ მოიქცევა ცოლი — არ დაივიწყებს მას თუ სხვას გაახარებს? მაგრამ ვაჟის უდიდესი სიხარული ის არის, რომ:

ერთ ეგეც უნდა ვიკითხო:
ჩემს სიკვდილს ვინ იტირებსა,
ვინ ჩამააბნევს ცრემლებსა,
საქმეს ვინ გაიჭირვებსა?
ამასა ეფიქრობ და ეულიც
ამასვე ანამდვილებსა.

ყველაზე ახლოს მასთან დედაა. მისი სიკვდილი დედას გაამწარებს, რადგან

დედის მეტს ჩემი სიკვდილი
არავის აატირებსა,
ოუმც ნათესავნი, და-ძმანი
აღარ აისხმენ ღილებსა.

შვილმა ისიც იცის, რომ ცოლიც ძალიან იტირებს, „ქვეყანას გააკვირვებსა", მაგრამ იმასაც გრძნობს, რომ „ცოტა ხნის შემდეგ ისიცა, სხვისა ჭირს დაალხინებსა", მე კი „სულ ყველას დავავიწყდები, არავინ მომიგონებსა", მაგრამ მაინც იმედი აქვს და დანამდვილებით იცის, რომ

მე დედის გულში ვიქნები,
ძალსაც ვერ დაიძინებსა,
ვინაცელე ძუძუ გამზდელსა
გულით ეგ დამიტირებსა.

---

* რამდენადაც ქართველი ხალხი ქალს-დედას პატივს ცემდა, იმდენად ის წყველა-კრულვით იხსენიებდა იმ უღირს ქალს, რომელიც შვილებს მზრუნველობას არ უწევდა და უპატრონოდ, უთვისტომოდ ჰყავდა მიტოვებული...

დედა ობლების დამყრელი,
კაცის მკელელს ედარებოდა:
უბეში უჯდა გველები,
ძუძუებს ეტანებოდა!

და ასევე:

არ დინდობა დიაცი
მიწყივ, ორპირა, ფლიდია.

დედას განუსაზღვრელად, თავზე მეტად უყვარს შვილი:

დედას ეუყვარეართ შვილები,
დედა არ გეახსოვს შვილებსა,
იმითაც გეტანჯავს გამრენი,
სულ მუდამ გეაცოდვილებსა.

კიდევ უფრო მრავალისმეტყველ და მიმზიდველ სახეებში წარმოგვიდგება ქართველი დედის სახე ბალადაში „ვეფხი და მოყმე"[5], რომელშიც მონადირისა და ვეფხის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და დედის განცდებია გამოხატული. ხალხური სიტყვიერების ამ შესანიშნავ ქმნილებაში ეს ამბავი ასე იწყება:

სანადიროდ გასულმა ახალგაზრდა მოყმემ გაიარა კლდიანი ბილიკები და წინ ჯიხვთა ჯოგი შემოხვდა. ნადირობით გატაცებულს დაუგვიანდა. შუაღამისას „გზას ვეფხი წამოუფრინდა". ვეფხი და მოყმე შეებნენ. ბრძოლისაგან მიწა ზანზარებდა, კლდეები ჩამოინგრა, ხოლო ტყე მიილეწ-მოილეწა. ვეფხმა მოყმეს არც ხმლისა და არც ფარის მოხმარების საშუალება არ მისცა. ბოლოს, როგორც იყო, მოყმემ ხმლის ამოღება მოახერხა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ დაჭრეს. ბრძოლის დროს მოყმე ფარს იშველიებდა, ვეფხი კი სწრაფად მოქმედებდა, მოწინააღმდეგეს ბრჭყალებით დაუგლიჯა კალთები „ჯაჭვისა ჯავშანისანი", მოყმემ ხმლით სასიკვდილოდ დაჭრა ვეფხი, რომელიც „კლდით გარდეკიდა, დაჭრილმა ჩამოაწითლა ქვიშანი, თავად კლდის თავზე ჩამოწვა, მოყმე სულ ამომდინარი".

დედა ამაოდ უცდის შვილს. ის უკვე დაღუპულია. ღამით დედას სიზმარში ეჩვენებოდა შვილისა და ვეფხის ბრძოლა. თვალცრემლიანი დედა მოსთქვამს:

ჩემ შვილ ვზად ვეფხი შაპყრია,
ჯაჯავრებული, ტიალი.
ჩემ შვილს ხმლით, იმას ტოტითა
ღღე დაულამდათ მზიანი.

დედის გულს მხოლოდ ერთი საამაყო გრძნობა ასულდგმულებდა: „ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე, ვეფხებთან მეომარია".

იგი გარდაცვლილ შვილს ვეფხის მიერ მიყენებულ ჭრილობებს უხვევდა, თან ასე დასტიროდა:

შვილო, არ მოკვდი, შენ ვძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნეეაში ვაგიცედა...

ბალადაში აღწერილი ტრაგიკული მდგომარეობა საშინელი განცდების წინაშე აყენებს მთიელ ქალს: ხან ვეფხი, ხან თავისი შვილი ელანდება. ამ განცდებით დატანჯული დედა გაღვიძების შემდეგ გადაწყვეტს ვეფხის დედის მდგომარეობა გაიგოს და მიდის მასთან, რადგან ისიც ხომ მშობელია, რომელიც ისევე იტანჯება, როგორც მეო. ეს არის ქართველი ქალის დიდი ჰუმანიზმი — მის შვილთან ბრძოლაში დაღუპული ვეფხის დედის შეცოდება. შვილის დაღუპვით ფიქრებში გართულ დედას აღმოაჩნდა ძალა, რომ ამ ტრაგედიის მიზეზის — მხეცის დედაზეც კი ეფიქრა და მასთან სამძიმრისათვის მისულიყო:

იქნება ვეფხის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა..

დედის ასეთი გრძნობა სცილდება ჩვეულებრივი კაცთმოყვარეობის საზღვრებს; ადამიანი ადამიანს უნდა აფასებდეს და ეხმარებოდეს, რადგან ყველა მშობელს ერთი საერთო გრძნობა აქვს. ეს გრძნობა ყოველგვარ საზღვარს გადალახავს; შვილი — შვილია, ვისიც არ უნდა იყოს.

დედის იდეალი ქართული ხალხური შემოქმედების ამ შესანიშნავ ძეგლში ამაღლებულად არის ნაჩვენები, აყვანილია ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ პრინციპებამდე. დიდი ტრაგიზმის საჩვენებლად ბალადაში გამოყენებულია ბრძოლა არა მარტო ადამიანებს, არამედ ადამიანებსა და ვეფხებს შორის.

ბრძოლასა და ჭიდაობაში, როგორც წესი, ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იმარჯვებს. ვეფხისა და მოყმის ამბავში კი ორივე გამარჯვებული და დამარცხებულია. ამ ფაქტისადმი დედობრივი დამოკიდებულება ორივესთვის ერთნაირი სიძლიერით იჩენს თავს.

ბალადაში სიუჟეტის ასეთნაირი გადმოცემით წინ წამოწეულია დედობა და დედობრივი გრძნობა. გაცოცხლებულია რუსთველის აფორიზმი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ბალადაში სიკვდილი არ არის ნახსენები; სიკვდილი უთქმელად არის მინიშნებული: „ერთ შვილ ხომ მაინც გავზარდე. ვეფხებთან მეომარია“ და მკითხველი გრძნობს, რომ ეს მეომარი სახელოვანი სიკვდილით დაეცა ბრძოლაში. ამით ბალადაში აღწერილი სურათები უფრო დაძაბული და მიმზიდველია.

დედის დაუფასებელი ამაგი ასეა გადმოცემული ხალხურ სიტყვიერებაში[6]:

ვაიმე, დედის ამაგსა
ვერ გადაუხდი, რა უყო?!
ზურგს აეიკიდო, წაეიღო

ეელარც ვერეეი, რა უყო?
დაეემხო დედამიწაზე,
დაბლა ჭინჭველას ხმა უყო?!

ხალხს დედა-მშობელი წარმოდგენილი ჰყავს, „როგორც საეალად ბეწვისა გზას დადებული ხიდი". ამიტომ ხალხი დედას, როგორც მშობელს განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობა.

დედა ცხოვრების დასაბამია.

— ვინ უნდა გშვას შენ?

— ქალმა.

— ვინ უნდა გაგიღიმოს?

— ქალმა.

— ვინ უნდა აგატიროს?

— ქალმა.

— ვინ უნდა დაგიტიროს?

— ქალმა.

იშვიათი ოსტატობით მიგნებული პოეტური კითხვა-პასუხის ფონზე მკაფიოდ წარმოსახულია ქალის მარად სანუკვარი საყვარელი სახე. ქალი — ეს ერთგულების სიმბოლოა, უკვდავებაა. „ყველა სიკეთის დედაა ქალი. ქალი სიცოცხლის დედაძარღვიაო",—უთქვამს ხალხს. ამიტომ მას ყველა დიდების შარავანდედით მოსავს.

ქალისადმი დიდი პატივისცემის ფაქტია ისიც, რომ, გადმოცემის თანახმად, შერიგების ან პირობის ქაღალდს ძველად მანდილოსნის მკერდზე წერდნენ, ხოლო ზოგჯერ ესეც არ იყო საჭირო, თუ იგი მოდავეთა შორის იკისრებდა შუამავლობას. ჭკვიანი და სათნო ქალი ამოყვრებდა, ამეგობრებდა და არიგებდა გადამტერებულ პირებს, ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურებსაც კი.

ქალი იყო სიყვარულის, ერთობისა და მეგობრობის სიმბოლო. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როცა მტერთან მოლაპარაკება ქალს ჰქონდა დავალებული. ქალი ბრწყინვალედ ასრულებდა დაკისრებულ მისიას და მისი უნარისა თუ გამჭრიახობის შედეგად მტრები ხშირად კომპრომისზე მიდიოდნენ.

ქალის პატივისცემად და დაფასებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ თუ მოჩხუბართა შორის ქალი მანდილს ჩააგდებდა, მოწინააღმდეგენი ჩხუბს თავს ანებებდნენ. მამაკაცი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ქალს უპირველეს ადგილს უთმობდა. სალოცავში ან სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში წასვლისას „წინ მუდამ დედა-კაცები მიუძღვიან, მათ მამაკაცთა გუნდი მისდევს"[7]. ქალის პატივისცემაზე მიგვითითებს ჩვეეაც, როცა რაიმე შემთხვევის გამო ნათესავი ან უცხო სტუმარი ია-

რაღს აბარებდა დედაკაცს, დიასახლისს, როგორც სანდო პიროვნებას.

„ქართველი ქალის ღირსებად, — წერს ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, — ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ როდესაც საქართველო ყოფილა შიშის ქვეშ განრისხებულის მტრების მხრით, მაშინ ეს განსაცდელი ასცილებია დედაკაცების ცდითა და მოხერხებული შუამდგომლობით... რამდენჯერ მომხდარა, რომ ქართველ დედაკაცებს გაუმხნევებიათ კაცები მძვინვარე ომებში. ხმალი ლეჩაქში გახვეული — აი თურმე რა ღონისძიებას ხმარობდნენ ქმრების გასამხნევებლად. ქალებსაც უწინამძღვრიათ ჯარებისათვის“[8].

●

ისტორიულ დოკუმენტებსა და ხალხურ გადმოცემებში შემონახულია მასალები იმ ქართველ ქალებზე, რომლებიც ძველ საქართველოში ლიტერატურულ და კულტურულ საქმიანობას ეწეოდნენ. ამათგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ „წიგნის მოუწყინებლად მკითხველებს“ — წიგნის მასწავლებლებს. გადამწერებს, წიგნის შემკაზმველ-მომხატველებს, ავტორ-მთქმელებს, ხალხური შემოქმედების გადმოცემის დიდოსტატებს.

საერთოდ წერილობით ძეგლებში მწერალ ქალთა სახელებს ძველი დროიდან ვხვდებით.

ქართველ ქალებს ჰქონდათ ორატორული ნიჭიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია თამარის ბრძნული სიტყვა დარბაზის წინაშე.

მდაბიო წრიდან იყო გამოსული, მაგრამ მეფის კარზე პატივისცემით სარგებლობდა ქიზიყელი მოხუცი ქერეი, რომელმაც 1798 წელს ერეკლე მეორის ცხედარი განსაცვიფრებელი სიტყვებით დაიტირა. ეს სიტყვა მჭევრმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. თეიმურაზ ბატონიშვილს იგი მოხსენებული აქვს თავის „შემოკრებული მოთხრობა საქართველოისაში“: „მოვიდა დედაკაცი, ვინმე, — წერს თეიმურაზ ბატონიშვილი, — მაშინ ქიზიყისა მცხოვრებთაგანი, ქერეი, მოხუცებულობისა ასაკსა მიწევნილი. თუმცალა იყო იგი მდაბიოთა ერისაგანი, მაგრამ ცნობილი მეფეთა მიერ და შეწყნარებული კარსა ზედა მეფისასა. იწყო ამან ხმითა მაღლითა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა ტირილსა მას შინა მოიღებდა თვითეულთა ღირს-სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვათა მით უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა, და ყოველთა მიეპყრათ ყური მის მიმართ, და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედაკაცმან ესრეთ შესაბამისი სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა“[9].

ქართველი ქალის როლი ისტორიაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თავის გამოხატულებას პოულობს მხატვრული შემოქმედების ისეთ ძეგლებში, როგორიც არის: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, შავთელის „აბდულმესიანი“, თეიმურაზ პირველის „ქეთევან წამებული“, ფეშანგის „შაჰნავაზიანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „პედი ქართლისა“, გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედას“, „ნანა“, „ქართველის დედა“, აკაკი წერეთლის „ნათელა“, რაფიელ ერისთავის „თამარიანი“, გრიგოლ რჩეულიშვილის „თამარ ბატონიშვილი“, სიმონ გუგუნავას „თამარიანი“, ვასილ ბარნოვის „არმაზის მსხვრევა“, „ხაზართა სასძლო“, „ტრფობა წამებული“ „პირიმზე“ და მრავალი სხვა. ქალის გმირულმა წარსულმა ქართულ კლასიკურ მწერლობას დიდი ელვარება შემატა.

ფეოდალურ საქართველოში სამართალი მამაკაცს ქალზე მაღლა აყენებდა და ქალს არ შეეძლო მის დაუკითხავად რაიმე გაეკეთებინა. მეხუთე საუკუნის ქალებსაც ეს თითქოს კანონზომიერებად მიაჩნდათ, სწამდათ, რომ ქალთა და კაცთა თანასწორობა მხოლოდ იმ ქვეყანაში (საიქიოში) იყო შესაძლებელი. ისინი ოცნებობდნენ იმ სამყაროზე, სადაც არ იქნებოდა უფლებრივი სხვაობა ქალსა და კაცს შორის: „სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა“[10]. მიუხედავად ამისა, სამართლის ძეგლები, ისტორიული წყაროები, საისტორიო მწერლობა თუ ეთნოგრაფიული მასალები მიგვითითებენ ფეოდალურ საქართველოში ქალის ერთგვარ უფლებიანობაზე.

მართალია, შუა საუკუნეებში ყველგან და საქართველოშიც ქალისათვის საქმროს არჩევა მშობლებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ქალები ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ თვითონ მოეძებნათ ცხოვრების თანამგზავრები.

ქართველი ქალის მიერ უფლების მოთხოვნის ამსახველ მასალებს ვხვდებით ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუში:

მე თუ არ მწადის, ჯალაბნო, ვერ გამათხოვებთ ძალდა.
ნუ ახლენთ შუა ეაცებსა, არვან მაუშოთ ეარადა!
ვაიგით, ჩემნო ჯალაბნო, ხეესურ არ მინდა ქმარადა.
წაუელ არსოტიონსა ხეესურთ შვილების ჯაბრადა,—
მამწონან არხოტიონნი, ურჯულოს უდგან ეარადა,
დღის-თაო მაქვ სახელი, ქისტებს თავს სვრიან ცხვარადა,
ბალ-ბალ უელიან მთა-წეერსა, მოაქვ ნადირი ბარადა.
რად მინდა ქმარი ისეთი, ოყოს ჩემს ინაბარადა?
თუ მამცემთ არხოტიონსა, მე სხვა არ მინდა ქმარადა[11].

აი, კიდევ:

თუშის ქალმა თქვა: შეეირთავ
ბასრი სმლის ამობღებელსა,
სულ უწინ ომში ჩამსველელსა,
სახელის შინ მომტანელსა[12].

ხშირი იყო სრულიად საწინააღმდეგო შემთხვევებიც: მშობლები ქალს ათხოვებდნენ სურვილისა და თანხმობის გარეშე; ქალიც უცხო და უცნობი მამაკაცის გაყოლაზე გულსაკლავ სამდურავს გამოსთქვამდა:

დედა, რად მშობე, რა მიყავ,
რად გამათხოვე ძალადა?
ცამწარდა ტკბილი სიცოცხლე
და ალარ მიღირს ჩალადა[13].

ერთ ხალხურ ლექსში ქალი ნატრობს, ნეტავი დაიწუნებდეს მშობლების მიერ არჩეული საქმრო და შეხედებოდეს თავისი „გუნების ქმარი“.

ნეტავი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო:
ციელიდი ლაშარ-ღელესა,
ეაჟებს ეაელებდი თვალსაო.
მაშინ ხომ შეეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო.

ქალის იდეალს წარმოადგენდა ოჯახი და სოფლის მეურნეობა. ერთ ხალხურ ლექსში გასათხოვარი ქალი მშობლებს ეხვეწება, რომ გათხოვება არ სურს, და, თუ ეს აუცილებელია, გაატანონ მიწის ბუშას — გუთნისდედას.

ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ, დედაო.
თუ მიმცე, ისეთ კაცს მიმეც,
რომ იყოს გუთნისდედაო.[14]

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალურ საქართველოში ქართველი ქალი გაბედულად ამჟღავნებს თავის სურვილებს და, გარდა ამისა, მას ვხედავთ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, როგორც აქტიურ წევრს, ეს მაინც არ ნიშნავდა ქალების მამაკაცებთან გათანასწორებას!

●

ქართველ ქალთა ხოტბა, თაყვანისცემა და თავდადებული საქმიანობა ქალის სახელოვანი წარსული, მისი როლი ისტორიაში, საზოგა-

დოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართოდ აისახა XIX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში.

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ქართველ დედას უდიდესი გრძნობით უმღერა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემა „ბედი ქართლისაში"[15].

პოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხეულ თქვენდ, ტკბილ სახსოვარნო!

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უდიდეს შეფასებას აძლევენ ქალს — როგორც მშობელს, დედას და მომავალი თაობის აღმზრდელს.

ილია თავის უკვდავ ქმნილებებში გვიხატავს ქართველი ქალის სახეს წარსულში და მომავლის იდეალად სახავს მას. მგოსანი უმღერის ქართველ დედას, რომელიც მამულს უზრდის შვილს, აკვნიდან უნერგავს სამართლიანობის, თანასწორობისა და ძმობის გრძნობებს, თავისუფლების, თავისი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულს.

ქართველმა ხალხმა უხსოვარ დროიდანვე შემოინახა ქალზე შეხედულებები, ამ შეხედულებათა მიხედვით, დედაში ქალობასთან ერთად კაცობაც არის მოცემული. ილიას თქმით, დედაკაცში დედობაც მოჩანს და კაცობაც, რომ ქალს კაცური (მაღალადმიანური) თვისებები აქვს. დედა ქართულ ენაში საწყისის, ძირითადის, საფუძველის აღმნიშვნელია[16]. დედა წარმომშობელს ნიშნავს, როგორც მავალითად, მაწვნის-დედა, ასევე ძმრის-დედაც. მაწვნისა და ძმრის დასამზადებლად გამოყენებულ ნივთიერებას ეწოდება დედა. რასაც საწყისის, წარმომშობის მნიშვნელობა აქვს[17].

პირველყოფილ ადამიანთა წარმოდგენით მიწა და დედა ერთი და იგივეა, სიცოცხლის, ნაყოფისა და სიმდიდრის წყაროა; მიწა წარმოშობს ნაყოფს, ასაზრდოებს, ამწიფებს მას, ასევე დედა-ქალიც შობს, ასაზრდოებს, ზრდის. თუ ვინმე ღედას (ქალს) შეურაცხყოფდა, იგი მიწასაც შეურაცხყოფას აყენებდა. ყველაზე დიდ დანაშაულად დედის (ქალის) წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედება ითვლებოდა. აი, რას წერს ძველი საქართველოს სახელოვან ქალთა გმირობით აღფრთოვანებული ი. ჭავჭავაძე: „ქართველთათვის დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას" ეძახის. უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს", მკვიდრსა და დიდ ბოძს „დედა-ბოძს", უდიდეს და უმაგრეს ბურჯს „დედა-ბურჯს", სამთავრო აზრს „დედა-აზრს", რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებელი!... „ქალი" განა იმოდენას ეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა" და მასთან ერთად „კაცი"?[18]

XIX საუკუნის მწერლობაში გამოჩნდნენ ქართველი დედები, რომელთა იდეალი იყო შრომა და ოჯახის სიყვარული, შვილთათვის თავდადება და მათ ზნეობაზე ზრუნვა, პირდაპირობა, დაბეჩავებულის გამოსარჩლება, შემწეობა და, რაც მთავარია, ადამიანთა შორის ძმობა — მეგობრობის განმტკიცება. ი. ჭავჭავაძე ამ თემას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა და „ოთარაანთ ქვრივში" დაგვიხატა ქართველი ქალის ისეთი სახე, რომლის ბუნებას სძაგს თაღლითობა და გაიძვერობა, უპირობა და სიცრუე. ადამიანური ღირსების შემლახველი ყოველგვარი უწესობა. მან ქართველი დედის ღირსებები განუზომლად აამაღლა, დააჯილდოვა იგი ფხიზელი გონებით, საღი გრძნობით, ადამიანთათვის საჭირო თვისებებით, წონასწორობის შენარჩუნების დიდი ძალით. დედის ყველაზე მკაფიოდ გამოხატული ნიშანია ადამიანებთან დამოკიდებულებაში პირდაპირობა და ზარმაც-მუქთახორების სასტიკი გაკიცხვა.

ქართველი დედის არსებაში ღრმად არის გამჯდარი შრომის ჩვევა, ცხოვრების სიყვარული და სწრაფვა თავისუფალი მომავლისათვის, რადგან „თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა"[19]. ოთარაანთ ქვრივს ამ სიტყვებს ცხოვრების დიდი გამოცდილება ათქმევინებს.

აკაკი წერეთლის აზრით, ქართველი ქალის იდეალი ყოველთვის იყო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მტრისაგან მისი გამოხსნის ფიქრი, მშობლიური ქვეყნის თავისუფლება, წარმატება და, ბოლოს, პირადი ბედნიერება. იგი დიდად აფასებდა ქალის როლს საქართველოს ისტორიაში. „იერიელები ანუ ქართველები, — წერდა მგოსანი, — სულ სხვა სახით უყურებდნენ ქალებს. უფლებით გათანასწორებულ ამაზონელებს პატივისცემით ეპყრობოდნენ და უკეთეს მათგანს გაოცებით იხსენიებდნენ, როგორც მაგალითად, საოცარ მედეას და გრძნეულ თირთაის — ბოლხიდელ ქალებს. ეს იყო კერპთაყვანისმცემლობის დროს და შემდეგ. საქართველოში ქრისტიანობის დროს, დედაკაცი კიდევ უფრო ამაღლდა მამაკაცის თვალში. უამისობაც არ შეიძლებოდა, რადგანაც ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის ხვედრში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ: ერთი უბრალო მოგზაური, უძლური კაბადოკიელი ქალის, წმინდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა ქართველი ხალხი. ქეთევან დედოფალი საოცარ მაგალითს უჩვენებს საქრისტიანოს რჯულსა და ეროვნებისათვის წმინდა მოწამეობისას. თამარ დედოფალი, რომლის მეფობის დროს სიკეთილით არავინ დასჯილა, უმტკიცებს მის შემდეგ გვირგვინოსნებს, რომ ქვეყნის გაერთგულება და ამაღლება შეიძლება მხოლოდ სიტკბოებით, ლმობიერებითა და სიყვარულით. აი, ეს სამი ქალი

ნათლის სვეტად წინ უძღოდა ჩვენს დედებს... მემატიანენი გაოცებით ეკითხებიან თავიანთ თავს: რა მიზეზი იყო და რით აიხსნება, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მოზღვავებული მტერი... ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირსა და ლხინში მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უზრდიდა სამშობლოს... მეთორმეტე საუკუნეში უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს, არა თუ მარტო საშინაო საქმეში, საგარეოშიაც პოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთები იყვნენ: დავით აღმაშენებლის ქალი — თამარი, მთელს მცირე აზიაში განთქმული და გურჯ-ვექილ თამარად წოდებული; ბურდუხანი, გიორგი მესამის მეუღლე, და რუსუდან, გიორგისვე დაი, თამარ მეფის მამიდა და გამზრდელი, ხორასნის სულტანის ნაცოლარი ქვრივი; კრავაი ჯაყელი, ხვაშაქ ცოქალი — რატი სურამელის დედა, ვახახი და სხვანი"[20].

ქართველ ქალთა დიდებით აღფრთოვანებული აკაკი 1881 წელს ერთ ლექსში წერდა:

> დღიურ სიცხადით ვულდაჩაგრულსა,
> ძილში მეღირსა ტკბილი სიზმარი:
> ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
> ნინო, ქეთევან და თეით თამარი[21].

ზენობიას გასამართლებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ქართველი ქალის ღირსების შესახებ მგოსანი წერდა[22]:

„თუ რომელიმე ხალხის გაცნობა გინდა, იმ ქვეყნის ქალები უნდა გაიცნო, შეისწავლო... ისინი არიან თავისი ქვეყნისა და ხალხის მაჩვენებელი, როგორც ბარომეტრი ტაროსის.... ჩვენი დედები აკვანს რომ ურწევდნენ, მამა-პაპათა საგმირო საქმეებს უმღეროდნენ და მით აჩვევდნენ საგმირო საქმეებს. ვაჟკაცობის დროს და ძმას ამხნევებდა, ცოლი ქმარს და დედა შვილს... იმ გაჭირვების დროს ქართველი ქალები ორ გუნდად განიყოფებოდნენ: ერთი გუნდი რჩებოდა საქართველოშიე გმირების აღმზრდელად და მეორეთი მოფენილი იყო მთელი .აზიის ჰარემები. ტყუილს კი არ ამბობს უცხოელი გეოგრაფი, რომ აზიის ტიპი ქართველ ქალებმა გადააკეთესო. ისინი მოსხლეტილი სამშობლოს, სამშობლოზე ხელაღებულნი, ჰარემებში გამომწყვდეულები, თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ წმინდა გულზე ავგაროზად პეშვი მიწა ედვათ და დღე და ღამ საქართველოზე ოცნებობდნენ: ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ მათგან მოხიბლულ მტარვალებს შეეყენებიოსთ გულისწყრომა და საქართველოსადმი მტრობის აზრი შეეცვალოთ"...

თუ ჩვენი ხალხი ურიცხვ მტერთან ბრძოლაში გადარჩა დაღუპვა-განადგურებას, ეს აიხსნება ერთი მხრივ, ქართველთა მამაცობით, სამშობლოს სიყვარულით, ადამიანური თავმოყვარეობით, თავისუფლებისადმი მისწრაფებით, შორსმჭვრეტელობითა და დიპლომატიური

გამჭრიახობით, მეორე მხრივ, ქართველ ქალთა შეუპოვრობით, ენერგიული და ქვეყნისათვის თავგანწირული მოღვაწეობით.

ქართველი მანდილოსნის დასახასიათებლად მარტო ის რადა ღირს, რომ ძველად სწავლა-განათლების საქმეში ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ. მათი მზრუნველობით ვრცელდებოდა წერა-კითხვა. ხალხში გავრცელებული იყო აზრი: „წიგნი დედაკაცის საქმეა და არა მამაკაცისა, წერა-კითხვას ქალები უნდა ასწავლიდნენ და არა კაცებიო".

იმ დროს, როდესაც ქართველი მამაკაცები მახვილით ხელში ბრძოლის ველზე მტრებს უმკლავდებოდნენ, დედაკაცები ოჯახისა და საშოქალაქო საქმიანობისათვის ზრუნავდნენ. მამაკაცები ახალგაზრდებს ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს, ქალები კი — წერა-კითხვას. „უწინდელს დროში, — აღნიშნავს ალექსანდრე ორბელიანი, — ქალების მიწერ-მოწერა ერთმანეთთან უპირველესი სვეტი იყო ქართული ენის სიტყვიერებისა. იმათი მდაბიური მიწერ-მოწერა ისეთი სასიამოვნო ქართული იყო, რომ მეტად საუცხოოდ გამოთქვამდნენ თავის აზრს. დედაკაცები არამც თუ შველოდნენ მამაკაცებს ხალხის განათლებაში, არამედ ისინი იყვნენ შინ მშვიდობიანობის დამცველნი, ქართველთა შორის ძმობა-ერთობის დამმყარებელნი და საქართველოს კეთილდღეობისა და ძლიერების მსურველნი"[23].

ქართველი ქალები ყოფილან პირველი მკურნალებიც. ისინი სახალხო მედიცინის სათავეში იდგნენ. ლეგენდაში აიეტის ასულ მედეაზე, ნათქვამია: ქვეყნად არ მოიპოვებოდა მედეასთანა მცოდნე და მოხერხებული ადამიანი...

ქალთა ზოგიერთი სახელი მათ გარეგნულ სიმშვენიერეზე მიგვანიშნებს. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენში გავრცელებული სახელები: მზია, მზექალა, მზისავარი, მზევინარი, პირიმზისა, მზევია, მთვარისა, პირმთვარისა, ნათელა, პირნათელა, მშვენიერა, პირლამაზა, ვარდო, ვარდისა, ია, გულისვარდი, გულა, ციალა, მაყვალა, ნარგიზა, ნაზო, ნაზიბროლა, გულთამზე, პირიმთვარისა, ვარსკვლავისა, ვენერა, მარები, იისა, ტურფა, ირმისა, ცინარა და შ.

ქალთა გარეგნული მომხიბვლელობა ვაჟა-ფშაველამ ასე გადმოგვცა:

ქალი გამოდგა ქოხიდან,
შუქი გამოპყვა პირითა.
ქალი ეამზგავსე ამ დროსა
ნამს, ვარდზე მბრწყინავს დილითა.
თუ შურთხი არი ლამაზი,
მსტვინავი მაღალ მთაზედა?
ან თუ შავარდნის წიწილა,
ეწოლარე დედის ფრთაზედ?
ან თუ ვარსკვლავთა კრებული

უხვ-სხეულანი ცაზედ?
ან თუ ალმასი ფრანგული,
ლღვირებული მკლავზედ?
ან თუ ზღვა არი მშფოთვარე.
აყვირებული ზღვაზედ?!
იქნება სამოთხე იყოს,
ქვეყნად მოსული ციდან?[24]

ან კიდევ ი. გრიშაშვილის თქმით:

„აბრეშუმის ჩამოშლილ თმებს
პზის სავარცხლით იეარცხნილა,
თეთრ ყირმიზის სახის ნაკვთზე
ჩაკედომოდა შეების ღიმი,
„ბილთა მძიეი სხეულანკარა
ახეს აყრილა მარჯნის თლილ ქვებს,
პეროეან ტანს არხეედა,
ტანს მზის შუქით ნაქარგ-ნაქსოეს"[25].

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა, მაგრამ ესეც საკმარისად მიგვაჩნია იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ძველი ქართველი ქალის სახე.

## უცხოელი მწერლები ქართველი ქალის შესახებ

ქართველი ქალის გარეგნულ მომხიბვლელობას ოდიდანვე აღნიშნავდნენ არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი მწერლები, მოგზაურები და დიპლომატები; მათი დღიურები და უბის წიგნაკები სავსეა ქართველ ქალთა ქებით. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ქალისათვის ბუნებას მიუნიჭებია სიტურფე, მახვილგონიერება, თავაზიანობა, სათნოება, დიპლომატიური ნიჭი, მაღალი ზნეობრივი თვისებები და ვაჟკაცური სული. მათ დღიურებსა და ნარკვევებში საგანგებოდ ექცევა ყურადღება ქართველ ქალთა გარეგნულ მომხიბვლელობასა და სიმშვენიერეს.

საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსი ესქილე (525—456) თავის უკვდავ ტრაგედია „მიჯაჭვულ პრომეთეში" იხსენიებს კოლხეთს, როგორც მებრძოლ ქალთა ქვეყანას, ახასიათებს მის ქალებს, როგორც ომში ვაჟკაცურ და უშიშარ მებრძოლებს.

კოლხიდის გმირნი: ყმაწვილნი ქალნი,
ომში მამაცნი და უშიშარნი[26].

ქსენოფონტეს (431 — 454) თქმით, იმ თემებს, რომლებსაც ქართველთა მოდგმის ხალხებად იცნობენ, დედაკაცები დიდ პატივში ჰყავთ.

ალექსანდრე მაკედონელის (336—324) მხედრის — პტოლემეის ცნობით, „კოლხეთში დედაკაცები არიან მამაცნი, უფლების მოყვარენი, ძლიერნი და მებრძოლნი“[27].

კლიმენტი ალექსანდრიელი წერს: „მე ვიცნობდი იბერიის მახლობლად ქალებს, რომლებიც მამაკაცების საქმეს ასრულებდნენ“.

ქართველ ტომთა სილამაზის შესახებ აღნიშნა სტრაბონმა (ამ დიდი ადამიანის დედა, როგორც ცნობილია, იყო ქართველი, ჭანეთიდან)[28] თავის გეოგრაფიაში: „უკანასკნელ დროს კოლხეთის მეფე იყო პოლიმონი, რომლის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი ცოლი პითადორა, ქალი დიდად გონიერი და იშვიათი ადამიანი“[29].

ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი აფზალ-ედ-დინ ხაკანი (1120—1199), რომელიც მუდამ იცელიდა საცხოვრებელ ადგილს და ვერსად მოსვენებას ვერ პოულობდა, ამბობდა: „ამ ხუჭუჭთმიანი, სახენათელი ქალის გულისათვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი“[30].

სომეხი აშული ნაყაშ ჰოვნათანი (1661—1722), რომელიც ვახტანგ მეექვსის დროს ცხოვრობდა თბილისში და ახლოს იდგა ქართველ მეფეთა კართან, სატრფოსადმი მიძღვნილ ლექსში ამბობს:

ვაქებ გულით — სიხარულით
პატიოსან ქალაქ — თბილისს,
ფრაად ლამაზ, საყვარელ არს
გურჯისტანის ეოზალეპი, კეკლუცები.

ნ. ჰოვნათანი სასიმღეროდ დაწერილ ცნობილ ლექსში „ხოტბა საქართველოს კეკლუცებს“ აღტაცებულია ქალთა მშვენიერებით:

ყალამ-წარბი მშვილდობს, როგორც ჯაშარი,
თვალში შზე აქვთ, ვაბ, რა კარგი რამ არის!...
რა თმები აქვთ, სულ დასტებად დაწნული,
სახე-მთვარე გაბადრული, ქალწული,
მათი ხედვა უბრალო და თბილია,
ტანადობა ზეცით დალოცვილია[31].

ვამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი ვაგიფი (1717 — 1797) ლექსში „ქართველი ქალი“[32] მოხიბლულია ქალის თმის ვარცხნილობით, ზეაწეული უჩადრო, ღია სახით, სადაფის კბილებით, იემენის ლალის მსგავსი ბაგით, მშვილდისებური წარბებით. იგი მეორე ლექსში „თბილისი“ ასევე აღტაცებულია:

დაპყრიათ წელზე თმის ნაწნავები,
ბოლოს რგოლებათ შეგრეხილები!
მესადარს თვალ-წარბს, ბაგეებს, კბილებს
მოგზაურებიც ვერსად ჰგულობენ.

„რა მშვენიერი აქვთ აღნაგობა,
რიგორი სახე, რიგორი ხელი!
აქ სილამაზეც თაობებიდან
თაობებსა გარდმავალი.

რომაელი მისიონერი პატრი პაველ მარია ფაიანცელი დომინიკიანი (XVII ს.), რომელმაც 1621 წელს ნეაპოლში გამოსცა წიგნი „გულწრფელი მოხსენება საქართველოს სამეფოთა შესახებ", წერდა: „ქართველი დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერნი მოყვანილობისანი არიან... ცხენოსნობაც იციან, სანადიროდ მიმინო დაჰყავთ ხელით და თან დააქვთ მშვილდ-ისარი და კაპარჭი"[33].

რომაელ პატრი პიეტრო დელა-ვალეს (1586—1652), რომელსაც სპარსეთში უმოგზაურია, უნახავს შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველები, მათი ტანჯვა-წამება. იგი ქალაქ შირაზში ქეთევან დედოფლის წამების მოწმე გამხდარა. პატრი წერს: „არ იპოვება არც ერთი სახლი სპარსეთში, რომ საუსე არ იყოს ტყვე ქალებით, დედაკაცებითა და მამაკაცებით. იქ არ არის იმისთანა დიდკაცი, რომელსაც არ სურდეს, რომ ყველა მისი ქალები ქართველები იყვნენ, იმიტომ, რომ ისინი ყველანი მშვენიერები არიან"[34].

გამოჩენილ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს (1643 — 1713), რომელსაც საქართველოში უმოგზაურია ეახტანგ V-ის შაჰნავაზის (1658 — 1675) დროს, შეუსწავლია ქართული ენა. სამშობლოში ჩასულს თავისი მოგზაურობის შესახებ გამოუქვეყნებია რამდენიმე ტომი. ერთ ტომში მოცემულია იმერეთისა და ამერეთის აღწერა.

ჟ. შარდენი ვერ მალავს ქართველი ქალების სილამაზით გამოწვეულ აღფრთოვანებას და წერს: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში, და, შემიძლია ვთქვა, მთელს მსოფლიოში. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვედრია. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვას ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დასატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა... ქართველი ქალები არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში ვასაოცრად წვრილნი, ბუნებით მეტად ნიჭიერნი; მახვილი გონებისანი, ზრდილნი, თავაზიანები, თავმომწონენი, ამასთანავე ამაყნი და ამპარტავანნი. მათ დიდად მოსიყვარულე გული აქვთ"[35].

იტალიელი მისიონერი ბერი არქანჯელო ლამბერტი (1728 — 1777) მიმზიდველად აგვიწერს სამეგრელოს ბუნებას, ხალხის ყოფა-ცხოვრებას, სოციალურ წყობას და სამეურნეო საქმიანობას. იგი ეხება სწავ-

ლა-განათლების საქმესაც და აღნიშნავს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ისე, რომ ამ ქვეყანაში თუ ვისმე სურს კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად“[36].

მოგზაური კათოლიკე მღვდელი აბატი იოსებ დელაპორტი (XVIII ს.), რომელიც 1768 წელს თბილისში ყოფილა, ქართველ ქალებზე წერდა: „საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი არაფერი მინახავს. მე იმათ რომ ვუცქერდი, უნებლიედ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას შეიძლება კაცმა უწოდოს მშვენიერთა სავანე. სხვა ქვეყანაში თუ იშვიათად შეხვდებით მშვენიერებით შემკულ ქალს, აქ ძვირად შეგიძლიათ ნახოთ ულამაზო და შეუხედავი დედაკაცი. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებიან ლამაზები. ძნელია წარმოიდგინოთ უკეთესი მოყვანილობა სახისა, წერწეტი ტანისა და მისი სასიამოვნო რხევისა, რომლითაც განთქმული არიან ქართველი ქალებიო“, და დასძენს: „ამას არ ვაზვიადებო“. დელაპორტი სხვა უცხოელთა განსხვავებით იმასაც აღნიშნავს, რომ „ქართველი ქალი არის ოჯახის ბურჯი, ქვეყნის დამცველი და სწავლა-განათლების მიმდევარი. არა მარტო ომობს მამაკაცთან ერთად, არამედ ოჯახშიც დიდ როლს ასრულებსო“[37].

აზერბაიჯანელი დრამატურგი მირზა ფატალი ახუნდოვი (1812—1878) ქება-დიდებით ამკობს ჩვენს ქალებს:

გამიგონია, რომ ვურჯისტანში
მრავალი ნორჩი ტურფა ქალია[38].

ეს იცის ყარაბაღის ხანმა და სადედოფლოსათვის გურჯისტანში მოდის. მას გზად შეხვედრია თმათეთრი მოხუცი კაცი, რომელსაც მგზავრისათვის უკითხავს მოგზაურობის მიზეზი, მიზანი და მიმართულება.

ბივალ ვურჯისტანს,
ვეინდა ვიშოეთ ტურფა ქალები[39].

როდესაც სომხური ეპოსის გმირის დავით სასუნელის მეუღლეს მშობიარობის დრო დაუდგა, მამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უხაროდა ჯუღა ბიჭი მეყოლებაო, თანაც გადაწყვიტა შვილისათვის ლამაზი საცოლე მოეყვანა. დავით სასუნელს ასწავლეს, რომ ლამაზი ქალები საქართველოში არიანო. ის წამოსულა საპატარძლოს საძებნელად საქართველოში.

როგორც ძველ საუკუნეთა მწერალ-მოგზაურები, ასევე აღწერდნენ XIX საუკუნის უცხოელი მწერლები ქართველ ქალთა მშვენიერებასა და მომხიბვლელობას[40].

ქართველ ქალთა სილამაზეს მაღალფარდოვნად აღწერს ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერეც[41].

დიდ ფრანგ მწერალსა და მოაზროვნეს ვიქტორ ჰიუგოს 1877 წლის გაზაფხულზე პარიზში ეწვია იონა მეუნარგია და მასთან საუბარი თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა:

**ვიქტორ ჰიუგო:** რუსეთიდან ბრძანდებით?

**მე:** არა, საქართველოდან.

**ვიქტორ ჰიუგო:** ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?[42]

ალ. დიუმა (1803 — 1870) XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ესტუმრა და აქ მიღებული შთაბეჭდილებანი გადმოსცა წიგნში „კავკასია". მოგზაური მეტად მოხიბლა ქართველი ქალების სილაძაზემ. ინახულა შამილის ტყვეობაში მყოფი ანა ჭავჭავაძე და განცვიფრდა მისი მშვენიერებით. ბარიატინსკის ბინაში მოხვედრილი ფრანგი რომანისტი შენიშნავს: „ზედმეტია იმის თქმა, რომ აქ იყვნენ ყველაზე ლამაზი და ყველაზე მომხიბლავი თბილისელი მანდილოსნები"[43]...

დიმიტრი ორბელიანის მეუღლის პორტრეტს ა. დიუმა ასე გვიბატავს:

„ის უნდა ყოფილიყო თბილისის ულამაზესი ქალი; პუდრი, რომელსაც ახლა, ალბათ, სიკოხტავის მიზნით ისვამს, მის სახეს მეთვრამეტე საუკუნის ხასიათს აძლევს. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს სხვა წარჩინებული მანდილოსანი, რომელსაც ესოდენ მდიდრული გარეგნობა ჰქონდეს. თუ თქვენ თავად ორბელიანის მეუღლეს ქუჩაში პირისპირ შეხვდით, როცა ის ფეხით მიდის, თქვენდა უნებურად უნდა მოიხადოთ ქუდი, თუნდაც არ იცნობდეთ მას. უსათუოდ მოწიწებით თავს დაუკრავთ, ისეთი პატივისცემით იმსჭვალება მნახველი მისადმი"[44].

თავად ჭავჭავაძის მეუღლე ანას შესახებ წერს:

„შეხედვისთანავე გაოცებთ მისი წმინდა ბერძნული პროფილი, უკეთ რომ ვთქვათ, მისი წმინდა ქართული პროფილი, რაც გულისხმობს ბერძნულ სიწმინდეს. თუ მას სიცოცხლე მიუმატე, საბერძნეთი არის გალათეა. ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეაა. ამ საუცხოო პროფილთან თავადის მეუღლის სახეს ღრმად სევდის იერი გადაჰკრავს. იმიტომ ხომ არ არის სევდიანი, რომ ბუნებამ ისურვა მეტისმეტად დიდი სილამაზით დაეჯილდოვებინა როგორც ზოგიერთ ყვავილს აჯილდოებს იმდენად დიდი სილამაზით, რომ მათ სურნელების გარეშე არსებობა აღარ შეუძლიათ?"[45].

ასევე, ძლიერად იხიბლება ა. დიუმა ეკატერინე ჭავჭავაძის სილამაზით: „ძნელი იქნებოდა სილამაზის ამაზე უფრო მდიდარი ნიმუშის ნახვა"[46].

ცნობილ ფრანგ მოგზაურს და ლიტერატორს მარკიზ დ. კიუსტინს (XIX ს.), რომელსაც უმოგზაურია რუსეთში და აუწერია ნიკოლოზ პირველის დროინდელი რუსეთი, პეტერბურგში სალამოებზე უნახავს ქართველი ქალები, რომელთა შესახებ წერს: „მე შემხვდა რამდენიმე ქართველი ქალი, რომლებშიც შეერთებული იყო სილამაზეც და გრაციაც"[46].

ფრანგული ჟურნალის „თანამედროვე საკითხავნის", ერთ-ერთი კორესპონდენტი (ჟ. მ.) ქართველთა შესახებ აღნიშნავდა:

„ქართველნი იმთავითვე ულამაზეს ხალხად ითვლებოდნენ მთელი დედამიწის ზურგზე. წვრილნი არიან, წერწეტნი, ტანადნი, მაღალნი, და ღონიერნი. საპის ნაკეთები ჩვეულებრივ ლამაზი და მეტად გამოშეტყველი აქვთ: თმა შავი, და დახუჭუჭებული; თვალებიც შავი და კილოიანი; ცხვირი გრძელი და ხშირად კაუჭიანი. საერთო პირისახე უფრო მომრგვალოა, ვიდრე მოგრძო, მხოლოდ ღაწვები თავის დღეში არა აქვთ გამოწეული. სიარულისა და მიხვრა-მოხვრის დროს სიამაყე და კეთილშობილება ეტყობათ და ეს თვისება გვამცნობს, რომ ისინი მეომარი ხალხია. სტუმართმოყვარეობა კულტად, სარწმუნოებად აქვთ გადაქცეული. ნიჭიერნი არიან. ალერსიანი სიტყვა-პასუხი აქვთ..."[47]

ეს დახასიათება, ცხადია, ნაწილობრივ ქართველ ქალებსაც ეხება.

ბარონი ტორნაუ (XIX საუკუნე), რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის მუდმივი სტუმარი იყო, ასე ახასიათებს მასპინძლის ქალიშვილებს ნინოსა და ეკატერინეს:

„მე ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ, ნამდვილად რომელი და უფრო მომწონდა: თუ ეკატერინეს სხივოსანი თვალები და მოჰხიბლავი ღიმილი გულს მწვავდა, ნინოს მიბნედილი სილამაზე და ანგელოზური ხასიათი გულზე მალამოდ მედებოდა; თუ ერთისაკენ მიისწრაფოდა თვალები და გრძნობა, მეორე დაუძლეველი ძალით იზიდავდა სულს"[48].

ბარონი ტორნაუ ეკატერინე ჭავჭავაძეს საქართველოს მზეს უწოდებდა. იგი ხანშიშესული, მწუხარების დროსაც კი მშვენიერი და მიმზიდველი დარჩენილა. ქალურ მიმზიდველობასთან ერთად მასში შეერთებული ყოფილა მამაკაცური ჭკუა და ხასიათი. ეს ნათელი გახდა მაშინ, როცა ეკატერინე თავისი ქმრის დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს მმართველი გახდა და სახელმწიფო საქმეების ასრულებას შეუდგა.

კ. ბოროზდინი (1863 — 1918) ეკატერინეს შესახებ წერდა: „საზოგადოდ ეკატერინე დადიანისამ ისტორიული პირის სახელი მოიხვეჭა".

რუსეთის მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ნ. კარამზინი, ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი და მრავალი სხვა წერდნენ ქართველი ქალების არა მარტო სილამაზესა და გარეგნობაზე, არამედ მათ სულიერ ღირ-

სებებსა და პატრიოტულ საქმიანობაზე, რითაც დიდი და საპატიო როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ისტორიაში.

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები დიდად მოხიბლული იყვნენ ქართველ ქალთა სიმშვენიერით, ჭკუა-გონებითა და გმირული მოქმედებით.

ბევრი მოგზაური არ ტოვებდა საქართველოს არც ერთ კუთხეს და მიისწრაფოდა ენახა იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, კახეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაღალი მთები, მესხეთ-ჯავახეთი და საქართველოს ამ კუთხეებში პოულობდა ქალთა სიტურფეს, სინაზეს, თვალწარმტაცობას.

გერმანელი ექიმი, ბუნებისმეტყველების პროფესორი კარლ კოხი, რომელმაც 1836 — 1838 წლებში შემოიარა საქართველო, იყო რაჭაში და მას უძღვნა თავისი თხზულების ერთი მოზრდილი თავი. ამ შრომაში იგი ქალთა შესახებ წერს: „მთელ იმერეთში არსად მინახავს ისეთი მშვენიერი გოგონები, როგორიც იქ ვნახე. გოგონების ელვარე, შავი თვალები აიძულებენ ყოველ ადამიანს მათ სამართლიანი განსჯა მიანიჭონ“.

კ. კოხის აღტაცებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია სამეგრელოში, სადაც მთავრის ოჯახში იხილა მშვენიერ მანდილოსანთა და ტურფა ასულთა მთელი გუნდები. შემდეგ ინახულა ხანშიშესული მანდილოსანი, ლევან დადიანის მეუღლე მართა, წერეთელის ასული, რომელსაც ძველი სილამაზის კვალი სახეზე კიდევ შერჩენოდა. გაიცნო დადიანის უფროსი ქალიშვილი ნინო, მთელ კავკასიაში მშვენიერებით განთქმული და „საქართველოს ვარდად წოდებული“, თავად ბაგრატიონ-მუხრანელის მეუღლე. ბაგრატიონ-მუხრანელს თბილისიდან კარგად იცნობდა კ. კოხი. ქართველმა თავადმა მას გააცნო თავისი ახლად შერთული მეუღლე, რომლის შესახებაც იგი წერს:

„თავადის ასულმა მიმიღო გარშემორტყმულმა მრავალი თავისი ახალგაზრდა მეგობარი ქალით, რომელნიც მშვენიერებით ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მაგრამ მათს ქალბატონთან შედარებით იყვნენ მხოლოდ ვარსკვლავნი, რომელნიც პირველ საჩინო იქნებიან, თუ მზე მათგან განეშორება. თავადის სათნოება ნებას მრთავდა დივანზე. მისი წარმტაცი მეუღლის გვერდით დავმჯდარიყავი და ევროპული ჩვეულებისამებრ, რომლითაც იგი სიამოვნებით აღჭურვილი უნდა ყოფილიყო, რომ მანდილოსნები ჩემი თანდასწრებით უთავსაბურავოდ გამოჩენილიყვნენ. კავკასიაში ჩემი მოგზაურობის განმავლობაში ხშირად მქონია შესაძლებლობა გავკვირვებულიყავი კავკასიელ ქალების, როგორც ინდო-გერმანული ხალხის მშვენიერებით, მაგრამ როდესაც თავადის ასულის ნინოს გვერდით ვიჯექი, მეც იმ არაბივით, რომელმაც პირველად ჩერქეზის ქალი ნახა და ღვთაებრიობას ხოტბის სიმღერა

შეუწყო, მინდოდა წამომეძახა: „ღმერთო, დიდი ხარ შენ და შენი ქმნილებანი საოცარი!“...

მოგზაური ვიგნერი (1843 წ.) აღნიშნავს: „იმერეთის ქალთა სილამაზე საქვეყნოდ განთქმულია. მათი ზედმიწევნით ზომიერი, მწყობრი, კოხტა, კეთილშობილური სხეულის მოყვანილობანი წარმოადგენენ ბუნებრივ მოდელებს. პირისახის სილამაზით მსოფლიოს ცოტა ქვეყნებს შეუძლიათ შეედარონ ძველი კოლხეთის მცხოვრებთ, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის მკვიდრთ“.

საქართველოში მოგზაურობდა და მოღვაწეობდა გეოლოგი ჰერმან აბიხი, რომელმაც გამოსცა წერილების ორი ტომი. მან აღწერა ქართველი ქალის სიტურფე. იგი ერთ-ერთ წერილში დედასა და მეუღლეს ატყობინებდა: ქართველი ქალები ქებულნი არიან მშვენიერი აღნაგობითა და ჩაცმულობით: პაწია ფეხებით და მაღალქუსლებიანი ქოშებით, თეთრი ჩითის ან ტილოს ქსოვილში გახვეული სხეულით. შუბლს ქვეეით მხოლოდ თავისუფალი სახე მოუჩანთ, ანდა უმეტესად — მუქი თაფლისფერი თუ შავი თვალები; კეთილშობილური და მწყობრი ნაკვთები და ნაზი კანისფერი წარმოადგენს მათს ეროვნულ თავისებურებას.

გასული საუკუნის 40-იან წლებში ამიერკავკასიაში იმოგზაურა ცნობილმა გერმანელმა სოციოლოგმა ბარონ აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენმა, რომელსაც თბილისთან ახლოს გაუვლია და იქ შეუნიშნავს მგზავრები: „სამი ცხენოსანი, მათ შორის ერთი ახალგაზრდა ლამაზი მანდილოსანი, ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი. მხედრები ძალიან მშვენიერი შესახედავი იყვნენ. უცებ ქალის ცხენს მოსართავი მოეშვა და უნაგირი ცალმხრივ გადაუქანდა. მშვენიერი ასული ისე მსუბუქად და სწრაფად გადმოხტა ძირს, რომ მამამ და ძმამ მიშველება ვერც კი მოასწრეს. თავისი ხელით სწრაფად შეამაგრა მოსართავები და ნიავივით მოეცლო კვლავ ცხენს. განაგრძეს გზა. სინაზით აღსავსე მხედარი ქალი თავისი გაშლილი მანდილით ვვირგვინის მსგავსი ჩიხტით, ყელმოღერებით და ნაწნავებ-გადაშვებული, ზღაპრულ მზეთუნახავს ჰგავდა“. დიდხანს იდგა გერმანელი ბარონი მტვრიან გზაზე და გონზე ვერ მოსულიყო. თავი საშუალო საუკუნეების რაინდულ-რომანტიკულ ხანაში ეგონა. „ასეთი სურათები მხოლოდ ამ პატარა, მაგრამ რაინდულსა და რომანტიკულს ქვეყანაში თუ შეიძლება იხილოს ადამიანმა დღეს“. — წერდა იგი.

ბევრი უცხოელი ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა, მაგრამ მათ ცნობები ქართველი ქალების შესახებ სხვა მოგზაურთა ნაწერებიდან გაიგეს და შემდეგ ალაპარაკდნენ.

ასეთია ზოგადად ფეოდალიზმის ეპოქის ქართველი ქალის სახე წერილობით ძეგლებში, ზეპირსიტყვიერებაში, ჩვენს და უცხოელ მოგზაურთა თუ მეცნიერთა ჩანაწერებში.

# ქალი ქართულ საისტორიო მწერლობაში

ჩვენი ქალების სიტურფე-სილამაზეს მარტო უცხო თვალი არ ამჩნევდა, ქართველ ქალთა სახელოვან საქმეებზე საკმაოდ წერდნენ ქართველი კლასიკოსი მწერლები.

საქართველოს შორეულ წარსულში ქალი გვეელინება ქვეყნისა და ხალხის მფარველად. ერთი გადმოცემა, რომელიც ლეონტი მროველს ეკუთვნის და შეტანილია „მეფეთა ცხოვრებაში", გვამცნობს ქალის თავდადებას, რომელსაც არაერთხელ აუღია ხელში ხალხისა და ქვეყნის ხელმძღვანელობა. მაგალითად, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ ქვეყანას მისი ცოლი მფარველობდა და, როგორც ჭკვიან და გამგებიან ქალს, ხალხი დიდ პატივს სცემდა, ენდობოდა, უსმენდა და ეშორჩილებოდა. ამ გონიერმა ქალმა ააშენა ქალაქები, ციხეები და შვილებს გაუყო მამის სამკვიდრებელი. დედა მართავს ქვეყანას და ხელმძღვანელობს ხალხს, შვილები კი განაგებენ სამხედრო საქმეს. მემატიანეს თქმით. „ცოლმან მისმან (ქართლოსისამ, დ. ქ.) აღაშენა დედაციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი (რუსთავი)... და განყენა ცოლმან ქართლოსისამან ხუთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი", და მიუჩინა მათ ადგილები... და მცხეთოსი „იყო გამგე და უფალ ძმათა ზედა". ასევე მოხსენებულია, რომ მეფე — ფარსმან-ქველის შვილიშვილის ფარსმანის სიყრმის დროს მის მაგიერად მეფობდა ბებიამისი ღადანა და „ვიდრე აღიზრდებოდა ყრმა იგი, მეფობდა დედა ადამისი, ცოლი ფარსმან ქველისა, რომელსაც სახელი ერქვა ღადანა"[1].

წერილობით ძეგლებში ფარნავაზის დედაზე ნათქვამია: ქვრივმა ქალმა ფარნავაზი წაიყვანა უშიშარ ადგილას, პატრიოტად აღზარდა და შემდეგ მოიყვანა მამის სამკვიდრებელში (მცხეთაში).

იბერიასა და რანს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით რანის ერისთავის ბარზაბოდის „ქმნულ კეთილი, შუენიერი, რომელსა ერქვა საგდუხტი", შერთეს იბერიის მეფე არჩილის ძეს მირდატს, რომლისგან საგდუხტს შეეძინა შვილები: ხეარანძე, ვახტანგი და მირანდუხტი.

საგდუხტი ქმრის გარდაცვალების შემდეგ იბერიას მართავდა და თან ტახტისათვის ზრდიდა უფლისწულ ვახტანგს. ქვრივმა მცირეწლოვანი ყმაწვილი ჩააბარა ქართველ დიდებულებს, თვითონ წავიდა ბარდავში, წარდგა მამის ბარზაბოდის წინაშე, სთხოვა შვილი ეცნო იბერიის მეფედ და მისთვის მფარველობაც გაეწია. ბარზაბოდმა ქალიშვილს თხოვნა აუსრულა და 15 წლის ვახტანგი იბერიის ტახტზე დასვეს მეფედ.

ქვეყნის გაერთიანებისათვის ხელშემწყობად გვეელინება ბაგრატ მესამის დედა, ქართლის გამგებელი გურანდუხტი, რომელსაც „ეპყრა უფლისციხე და ქართლი“[2].

ქართველი ქალი, სხვა ღირსებებთან ერთად დაჯილდოებული იყო დიპლომატიური ნიჭითა და პოლიტიკური გამჭრიახობით, რასაც სხვადასხვა საქმეში დიდი სიყვარულითა და მონდომებით იყენებდა.

1609 წელს დიდი მოურავის მიერ დამარცხებული, ტყეში დამალული თათარხანის ჯარისკაცები ქართველ მხედარ ქალებს გათოკილები გამოჰყავდათ და გორში შესარცხვენად გზავნიდნენ. ბერი ეგნატაშვილი წერს: „გიორგი სააკაძისა და ლუარსაბ მეორის მიერ დამარცხებული ყირიმელები წარვიდნენ მოსაკიდელზედა შეშინებულნი და დანქრეულნი, შეეიდნენ ტყესა და სიმაგრესა მოსაკიდლისასა, არა აქუნდათ ღონე გზის განგებისა. და მაშინ ჰპოვებდნენ დედანი მოსაკიდილის სოფლისანის ტყეთა შინა დამალულთა ყირიმთა კაცთა, შეიპყრობდნენ, მოჰხდიდდენ დოლბანდსა და, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდენ და კაცთა შეიწყალებდენ და განუტევებდენ“[3].

ქვეყნისათვის თავდადების მაგალითად უნდა მივიჩნიოთ თქმულება სხვილოს ციხეზე. ხალხი გადმოგვცემს: ყიზილბაშებმა ერთ ღამეს ზარბაზნები დაუშინეს სხვილოს ციხეს და მოუნგრიეს ქონგურები, ქართველებმა იმავე ღამეს მოწველეს ძროხები, ფურ-კამეჩები, რძეში გახსნეს კირი და ქონგურები ისევ ააშენეს. რძე რომ არ ეყოთ, ქალებმა ძუძუები გამოიწველეს და კირში გაურიეს. დილამდე ნაშენი გამშრალა და მეორე დღეს ზარბაზნებმა ვეღარ შესძლეს ქონგურების დანგრევა[4].

მეორე თქმულებაში[5], რომელიც ამავე ციხეს შეეხება, მოთხრობილია: სხვილოს ციხეს ლეკები შესეევიან და მტერი გალავანში დაბანაკებულა. სხვილოელებს იარაღის ნაკლებობის გამო მტერი ვერ მოუგერიებიათ, მაშინ ერთ ქართველ ქალს ლეკებისათვის ტყვია-წამალი მოუპარავს და თანამემამულეებისათვის გადაუცია. სხვილოელები გამხნევებულან, გალავანს შესეევიან და ლეკები დაუმარცხებიათ.

საქართველოს ისტორიის „ძნელბედობის“ პერიოდში, როცა ხალხმა „ვერც მოხნა და ვერც მოთესა“, ქვეყნის მზრუნველად და დამშეული ხალხის დამხმარედ მამაკაცებთან ერთად გვეელინებიან ქალებიც. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ეახახი ჯაყელი. ქალი გვეელინება ოჯახის, ქმარ-შვილის, ნამუსისა და რჯულის უდიდეს დამცველად. ასევე უცხო ქვეყანაში ნებსით თუ უნებლიეთ მოხვედრილი ქართველი ქალები მშობლიური ქვეყნის, ხალხის, ენისა და სარწმუნოების უდიდესი დამცველები და მოყვარულები იყვნენ.

საინტერესოა ამ ქართველ ქალთა ცხოვრება-თავგადასავლის ამსახველი მრავალი მეტად საყურადღებო ნარკვევი: დიმიტრი ბაქრაძის— „ქართველი ქალები“, დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული სუ-

რათები და ქართველი ქალი", ზაქარია ჭიჭინაძის — „მეფე ირაკლის გლები გმირები", ალექსანდრე გარსევანიშვილის — „გმირი ქალი, მათე ყაჩაღად წოდებული", მირიან ხუხუნაიშვილის — „მაია წყნეთელი (ერეკლე მეფის მეტოქე)", კორნელი კეკელიძის „ქართველი ქალები შაჰ-აბას პირველის კარზე", ლევან ასათიანის — „ძველი საქართველოს პოეტი ქალები", „გმირი ქართველი ქალები", გიორგი ლეონიძის — „ქართველი გმირი ქალები", ქსენია სიხარულიძის — „ქართველი სახალხო გმირები", ს. გერსამიას „ქართველი ქალი წინათ და ახლა", ანტონ სინთიბიძის — „ქალი ქართულ ფოლკლორში", ქსენია ანთაძის — „ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში", ფუცუ დგებუაძე-ფულარიას — „ქართველი მოღვაწე ქალები" და სხვ.

საისტორიო წყაროებში უამრავი ცნობაა შემონახული სახელოვან ქართველ ქალებზე. ჩვენ შეეცადეთ ზოგიერთი მათგანი შეძლებისდაგვარად წარგვედგინა მკითხველის წინაშე.

## ზენობია

ზენობია ღედოფალი (I ს.) იყო იბერიის მეფის ფარსმან I-ის ძმის მიტრიდატეს ასული, რომელიც ცოლად შეირთო ბიძაშვილმა რადამისტმა. მის შესახებ ცნობას გვაწვდის გამოჩენილი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტი თავის „ანალებში". ფარსმანი მეფობდა ივერიაში, მისი ძმა მიტრიდატე კი — სომხეთში. მათ არ ქონიათ კარგი ურთიერთობა, ფარსმანი ცდილობდა ტახტიდან ჩამოეგდო თავისი ძმა და სომხეთის მფლობელიც გამხდარიყო — ამ მიზნით საიდუმლო გეგმაც შეუდგენია. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" პირველ წიგნში მოთხრობილია:

„მითრიდატეს წინააღმდეგ ლაშქრობის მომზადებისას ფარსმანმა სიფხიზლის მოსადუნებლად ძმასთან გაგზავნა თავისი ვაჟი რადამისტი, რომელიც ბიძასთან გამოცხადდა მამასთან წაჩხუბების მოგონილი ამბით. მითრიდატემ იგი სიხარულით მიიღო. სომხეთში ყოფნა რადამისტმა გამოიყენა სომეხი დიდებულების გადმოსაბირებლად... მითრიდატე მოსალაპარაკებლად გამოცხადდა თავის ძმისწულთან, მაგრამ უკანასკნელმა, იბერთა მეფის (ფარსმანის) განკარგულებით, იგი და მთელი მისი ოჯახი წუთისოფელს გამოასალმებინა"[6].

რადამისტმა დროებით გაიმარჯვა სომხეთში, მაგრამ სომეხი დიდებულები აუჯანყდნენ ბიძის მოღალატეს. რადამისტმა გაქცევით უშველა თავს. მან თან გაიყოლა თავისი ორსული ცოლი ზენობია. მათი გაქცევის ისტორია, ტაციტის მიხედვით, ასეთია:

რადამისტი ცხენის სისწრაფემ გადაარჩინა... მასთან ერთად ცხენი მიაქროლებდა მის ცოლსაც — ზენობიას. ფეხმძიმე ქალი ერთხანს მტრების შიშითა და ქმრის სიყვარულით იტანდა გაქცევის სიძნელეს. მაგრამ როცა განუწყვეტელმა ჭენებამ მისი ჯანმრთელობა შეარყია, იგი ქმარს შეევედრა: „მაჩუქე პატიოსანი სიკვდილი და დამიხსენ ტყვეობის შეგინებისაგანო". რადამისტი ჯერ ეალერსებოდა, მაგრამ შემდეგ, როცა აუცილებელი გახდა მისი გზაში დატოვება, გაიფიქრა: „ვაი თუ სხვა ვინმე დაეუფლება მასო". ამ ეჭვით შეპყრობილმა იძრო მახვილი და „ჩასცა ცოლს მკვლელობას შეჩვეული ხელით"... მიიტანა არაქსის პირას და მდინარეში გადაისროლა, „რომ მკვდარსაც არავინ დაუფლებოდა". რადამისტმა გზა განაგრძო იბერთა საზღვრისაკენ.

მდინარის ყურეში გარიყული ქალი მწყემსებმა შეამჩნიეს... სუნთქავდა... ქალი ამოიყვანეს და დაუწყეს მკურნალობა სოფლური საშუალებებით. როცა მისი ვინაობა გაიგეს, წაიყვანეს ქალაქ არტაქსტში; იქიდან კი ქალაქის მმართველთა მზრუნველობით ტირიდატს მიპყვარეს: ამ უკანასკნელმა იგი ალერსიანად მიიღო და პატივი სცა როგორც დედოფალს (ანალები, XII, 51)[7].

ტაციტის ეს მონათხრობი საფუძვლად დაედო ფრანგი დრამატურგის კლოდ პროსპერ ჟოლიო დე კრებიონის (1674 — 1762) ტრაგედიას „რადამისტი და ზენობია", რომელიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ფრანგულ სცენაზე. ტაციტის მიერ დრამატიულად დაძაბული სტილით მოთხრობილი საქართველოს ისტორიის ეპიზოდი გამოუყენებია ფრიდრიხ ჰებელს (1685—1759). 1720 წელს ლონდონის იტალიურ ოპერაში დაიდგა მუსიკის ამ გიგანტის „რადამისტი", რომელსაც სენსაცია გამოუწვევია. იგი შვიდი წლის მანძილზე სცენიდან არ ჩამოღებოდა.

## სერაფიტი

ზევახ ერისთაისა და კარპაკ დედოფლის ასული, ძლევამოსილი იოდმანგანის ცოლი — სერაფიტი — ანტიკური ხანის ქართველ ქალია სახელოვან პლეადას ეკუთვნის; ეს ულამაზესი დედოფალი 21 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დაუსაფლავებიათ არმაზში...

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია ქალის სახე და ორენოვანი წარწერა: „მე (ვარ) სერაფიტი, — ასული ფარსმან მეფის მცირე პიტიახშის ზევახისა, ცოლი იოდმანგან ძლევამოსილისა (მხედართმთავრისა) და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი (მქმნელი) ეზოს-მოძღვრისა ხსეფარნუგ მეფისა ძისა ავრიფასი, ფარსმან მეფის ეზოის-მოძღვრისა. ვაი, ვაი შენ, რომელიც იყავ ახალგაზრდა, და იმდენად კარგი და მშვენიერი, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილამაზითა. და გარდაიცვალა (სიცოცხლის) 21-ე წელს".

თუ როდის ცხოვრობდა სერაფიტი, ირკვევა წარწერის ასოთა მოხაზულობიდან და ტერმინთა ხმარებიდან, აგრეთვე იმით, რომ მასში მოხსენიებულია ფარსმან მეფე (II ს.); ეს წარწერა აღმოჩნდა 1940 წლის 25 ნოემბერს; გაშიფრა და ისტორიულ პიროვნ ვინაობა დაადგინა სემიტოლოგმა აკად. გიორგი წერეთელმა[8].

სერაფიტი (II. ს.)
ზეკან ერისთავისა და კარპაკ დედოფლის ასული

## სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი

„ნინოს ცხოვრების“ მიხედვით სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი ცხოვრობდნენ IV საუკუნეში, როცა კაპადოკიელმა ტყვე ქალმა ნინომ საქართველოში იქადაგა ქრისტიანობა. მის „ცხოვრებაში“ მოთხრობილია, თუ ნინო განმანათლებელი როგორ მოვიდა „ლაბასა შინა ბოდესა კუხეთისასა“. აქ, მან დაამსხვრია კერპები და მოაქცია ქართველნი. აქვე გახდა ავად და ლოგინად ჩავარდა. მაშინ მასთან მივიდნენ მეფენი და დედოფალნი ყრმებითურთ და „სიმრავლე ერისაი“. ისინი ევედრებოდნენ ღმერთს თავიანთი მოძღვრისა და განმანათლებლის მორჩენას. სალომე უჯარმელმა, პეროჟავრი სივნიელმა და მათთან ერთად დიდებულებმა და მთავრებმა უთხრეს: „გევაუწყე ყოველივე, დედოფალო, საქმე შენი. ვითარ იტყვი ტყვეობასა, ტყვეათა მხსნელო, სანატრელო, რამეთუ ესერა გვისწავიეს შენ მიერ“[10].

მომაკვდავ ნინოს უთქვამს მათთვის: „...მოიხვენით აღსაწერელნი ნიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკეი ესე ჩემი და უდები ცხოვრებაი, რათა უწყოდენ შვილთაცა თქვენთა სარწმუნოებაი თქვენი ღა შეწყნარებაი ჩემი“.

სალომე უჯარმელმა და პეროეავრი სიენიელმა, „მსწრაფელ მოიხუნეს საწერელნი“. ხოლო ნინომ დაუწყო მისი თავგადასავლის ოხრობა და „იგინი წერდეს“.

სალომე მირიან მეფის ძის რევის მეუღლე იყო. მეფე-დედოფალი, ქალაქ უჯარმაში ცხოვრობდა. ხოლო პეროეავრი სიენიელი მეტად დაასლოვებული ყოფილა ცოლ-ქმართან. მაშასადამე, ეს სახელოვანი ქალები ყოფილან ნინოს ცხოვრებისა და სამისიონერო მოღვაწეობის აღმწერნი; „მოქცევაი ქართლისაი“, რომელშიც დაცულია ეს ცნობა, IX საუკუნისაა.

გამორკვეულია, რომ მასში მრავალი ცნობა შემდეგდროინდელია და ზოგი მათგანი ეწინააღმდეგება სხვა საისტორიო წყაროთა ცნობებს. ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, რამდენად მართალია ძეგლის მითითება „ნინოს ცხოვრების“ აღმწერთა შესახებ, მაგრამ იგი მაინც დიდად საინტერესოა, რადგანაც ეს მისია ქართველ ხალხს ქალებისათვის მიუნდვია.

## დუხტია დედოფალი

ძველი საქართველოს სახელოვან ქალთა მორის ღირშესანიშნაეი ადგილი უკავია ქვეყნისა და ხალხისათვის დიდ ქველმოქმედს, იბერთა მეფის — დიდი ბაკურიოსის (IV-ის) თანამეცხედრეს, დედოფალ დუხტიას.

დედოფალ დუხტიასა და მისი მეუღლის ბაკურიოსის ამბები დაცულია „პეტრე ქართველის ცხოვრებაში“[11], რომელიც ასურულ ენაზე დაწერია V საუკუნის გასულს (თუ VI საუკუნის დასაწყისში) ზაქარია ქართველს.

ბაკურიოსი და მისი მეუღლე დუხტია დიდად ქველმოქმედნი ყოფილან, კვირაში სამჯერ ისინი სატახტო ქალაქის ეკლესიაში მოწყალებას არიგებდნენ, სასახლეში საჭმელს ამზადებდნენ და ღამღამობით თვითონვე ურიგებდნენ ღარიბებს, რომელთათვის თავშესაფარიც კი აუგიათ. დედოფალ დუხტიას სამეფო სამოსელსა და სამკაულს ქვეშ თურმე ძაძა ეცვა, თავისი ოქრო-მარგალიტი კი ღარიბთათვის მიუცია. მათ შესახებ აგიოგრაფი წერს: „თავისი ღირსების დამცირებად არ თვლიდა, თავის სასახლეში ნაირნაირი საჭმელები დაემზადებინა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით მიჰქონდა ღამით თვითონ მის მიერ აგებულ ღარიბთა თავშესაფარში და იქ მყოფთ მეფე-დედოფალი საკუთარი

ხელით აჭმევდა. ხოლო ცხონებულმა დუხტიამ, ისეთიეე გამრჯელობით დაჯილდოვებულმა მისმა მეუღლემ, მეფური სამკაულები უგულებელყო და ჩაიცვა ბალნის სამოსელი, ძაძა, გაჰყიდა თავისი ტახტრევანი,... აგრეთვე ყოველგვარი ოქროს ნივთები და მარგალიტები და ღარიბებს დაურიგა იქიდან აღებული თანხა"[12].

დუხტიას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ უცხოვრია სამცხეში და უმოღვაწნია IV — V საუკუნეებში.

## ბაკურდუხტია

იბერთა მეფეს ბუზმარიოსს ცოლად ჰყავდა ბაკურდუხტია — დიდი ბაკურიოსისა და დუხტია დედოფლის შვილი.

ბუზმარიოსი და ბაკურდუხტია იყვნენ პეტრე იბერიელის, V საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მოაზრიოვნის მშობლები.

ბაკურდუხტიას ვინაობის შესახებ ცნობა დაცულია „პეტრე იბერიელის ცხოვრების" ასურულ ვარიანტში. მის შრომაში ვკითხულობთ: „ჩვენი წმინდა მამის დედა ბაკურდუხტია ქვრივად ღარჩა თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ და მისდევდა განუწყვეტლივ მარხვასა და ლოცვას; არასგზით არ ისურვა მეორე ქმარს გაჰყოლოდა. მაგრამ რადგან მას ვერ აეტანა ქალაქში ცხოვრება, არამედ ამჯობინებდა თავის სოფლებში ასკეტურ ცხოვრებას შესდგომოდა, მან ყოველ გზაჯვარედინზე უცხოთა თავშესაფარი და საავადმყოფო ააშენა. როდესაც ცხონებულმა (პეტრემ) შეიტყო მისგან, რომ მასთან მისვლასა და მონახულებას აპირებდა, ის გაიქცა კვიპროსზე, რომ მას არ შეხვედროდა პირდაპირ. და ისიც თავისი მხრივ აღარ მივიდა, ეს რომ შეიტყო მას აქეთ, რაც მან მონაზვნის კაბა ჩაიცვა, სრულიად აღარ სურდა ოდესმე რომელიმე თავისიანისთვის წერილი მიეწერა ან მათგან მიეღო. ეს მას თვითონ რამდენჯერმე უთქვამს ჩვენთვის"[13].

## შუშან დედოფალი

არჩილ მეფის (VIII საუკუნის 40 — 50-იანი წლები) შვილებს (ჯუანშერი, იოანე, გურანდუხტი, მარიამი, მირანდუხტი და შუშანი) შორის განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა უმცროსი ქალი შუშანი, რომლის ქება-დიდება და სილამაზე ცნობილი ყოფილა მეზობელ სახელმწიფოებშიც.

764 წელს ხაზარებმა ქართლი ააოხრეს; ამ აოხრების მიზეზად ჯუანშერი შემდეგ გარემოებას ასახელებს: ქართლის ერისთავს ჯუანშერს ერთი სილამაზით განთქმული და ჰყოლია, რომელსაც სახელად შუშანი რქმევია. „მიესმა მისი ხაზართა მეფესა ხაკანსა, მოგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და უქადა შველა სარკინოზთა ზედა რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუმცნო ჯუანშერ ძმასა და

ღედასა თვისსა. ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: უკეთუ ეღონო იქმნას ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეცა რა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ, და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა"[14]. ი. ჯავახიშვილის აზრით, „ეს უნდა მომხდარიყო 761 წელს. ქართველებისათვის ხაზართა ხაკანის სიძობას და მის პირობას, რომ იგი ქართველებს სარკინოზთა ანუ არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში უშველიდა, პოლიტიკურად მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო, მაგრამ სარწმუნოებრივ სიძულვილს წარმართთადმი დაუხშვია ქართლის ერისთავის სახლობისათვის საღი პოლიტიკური მსჯელობის უნარი"[15].

ქართველთა უარით შეურაცხყოფილმა ხაკანმა „შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა სპასალარი თვისი ბულჩან, გამოელო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად, მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და მისი დაი შუშანა, და მცირეთა დღეთა წარიღო და ტყვე ყვნა იგი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქვეყანაი, და ვითარცა წარემართა გზასა დარიალანისასა". შუშანმა თავი მოიწამლა.

შუშანის სიკვდილის ამბავი ბულჩანმა ხაკანს მოახსენა. ბულჩანი ხაკანის ბრძანებით საშინელი წამებით მოკლეს.

თანამემამულეებმა მოწამლული ქალის ცხედარი მცხეთაში ჩამოასვენეს, დიდი პატივით დაიტირეს და მშობლიურ მიწას მიაბარეს.

ეს ამბავი მოხდა 764 წელს. შუშანის ძმამ ჯუანშერმა ხაზარეთში, ტყვეობაში 7 წელი დაჰყო და 771 წელს ქართლში დაბრუნდა.

შუშანის ტრაგიკული თავგადასავალი მხატვრულად აღწერა ვასილ ბარნოვმა რომანში „ხაზართა სასძლო". მწერალი ამ ნაწარმოებში ყურადღებას ამახვილებს ქართველი ქალის ნებისყოფის სიმტკიცეზე, ქალური ღირსებების, რჯულისა და პატიოსნების დაცვაზე.

## ქართველი ქალები (VIII—IX სს)

ქალის პიროვნებაზე, მის უფლებებზე, როლსა და ძლიერებაზე, სიწმინდის დაცვასა და პატიოსნებაზე მოგვითხრობს X საუკუნის დიდი ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება"[16], მასში განსაკუთრებით შესანიშნავად არის დახატული ქართველი მოღვაწე ქალი, მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარი ფებრონია — მისი მაღალი ადამიანობა და თავდადება ზნეობისა და პატიოსნების დაცვისათვის.

დედა ფებრონია მოვიდა გრიგოლ ხანძთელთან სამცხიდან და დამკვიდრდა მერეში. „ღირსად ცხოვრებისა და სჯულიერად განგებისა

მისისა არა იყო საზღვარ“. მისი პიროვნების სიძლიერე ელინდება აშოტ კურაპალატისა და სიძვის დედაკაცის რომანტიკულ დამოკიდებულებაში.

აშოტმა არტანუჯის ციხეში საყვარელი მიიყვანა, ცოლი კი შეიძულა. ამ აღმაშფოთებელმა ამბავმა გრიგოლ ხანძთელი ძლიერ განარისხა და გადასწყვიტა ქალი აშოტისათვის ჩამოეშორებინა. გრიგოლმა მოციქული მიაელინა აშოტის საყვარელთან, „რათა მოეიდეს მის სანახავად“. დედაკაცი მაშინვე გამოცხადდა მასთან. გრიგოლმა მას აშოტთან განშორება უბრძანა, თან მკაცრად უთხრა:

— ცოლ-ქმარს შორის რატომ ჩამდგარხარ შენი თავის წარსაწყმედელად?

აცრემლებულმა დედაკაცმა უპასუხა:

—მე ჩემი თავის ბატონი არა ვარ, „გადარეული სიყვარული აქვს ჩემდა მომართ კურაპალატსა და არა ვიცი, თუ რაი ექნა. ბრძანებამან სიტყვითა შენმან შემაძრწუნა ფრიად“.

გრიგოლმა აღელვებული დედაკაცი დაამშვიდა:

— შვილო ჩემო, დღეიდან შენი სულიერი ცხოვრება იწყება. მიგიყვან დედა ფებრონიასთან და ლოცვა-კურთხევით გამოისყიდე შენი ცოდვები.

გრიგოლმა „დედაკაცი სიძვისაი“ თან გაიყოლა და ჩაბარა მერეს დედათა მონასტრის წინამძღვარს ფებრონიას.

მომხდარი ამბით შეწუხებული აშოტი სასწრაფოდ ჩავიდა მერეს. ფებრონიამ გადამალა დედაკაცი. აშოტმა წინამძღვარს უთხრა:

— უწყია, დედაო, რაისათვის მოვედი აქ?... ჩემს სახლში იყო საგანძურის მფლობელი ქალი და ყოველი მონაგები ჩვენი მას ებარა. მამასა გრიგოლს აქ წამოუყვანია, ჩვენ კი ბევრი განძეული დაგვაკლდა. აწ უბრძანე, რომ ერთხელ არტანუჯის ციხეში მოვიდეს და ყოველი მოგვითვალოს, მერე კი ისევ თქვენთან გამოვუშვებ, თუ კი იგი მოინდომებს.

ფებრონიამ უპასუხა:

— ნუ მათქმევინებ უკეთურ სიტყვებს. ჩემთვის ყველაფერი ცნობილია. ნუ ჩაიდენ ცოდვას, რომელსაც უსჯულოები შვრებიან.

ასე ამხილა ქალმა აშოტი. დამარცხებულმა მეფემ სიკვდილი ინატრა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“, და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი განშორდა დედათა სავანეს.

ფებრონიამ სტუმრად დარჩენა შესთავაზა მეფეს, მაგრამ მან უარი თქვა; იგრძნო, თუ რა ცოდვას ჩადიოდა ოჯახის წინაშე, და ახლა, რაკი „ხორცთმოყვარეობას“ განეშორა, კმაყოფილი იყო; სულითა იხარებდა, რომ სიბრძნემან განდევნა სულმოკლეობაი იგი მავ-

ნებელი“, თან „აქებდა წმიდათა მათ მძლავრებასა უფროსი, ხოლო ძლევისა მომცემელსა ღმერთსა“.

●

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერილია „ღირსისა დედოფლისა“ ბევრეული-ანასტასიას და ადარნასეს ამბავიც.

გიორგი მერჩულე ამბობს: „დიდი ვნება შეემთხვია ადარნასე ხელმწიფეს“: იმ მეძავი ქალის შეგონებით, რომელთანაც მრუშობდა, „უსამართლოდ განიშორა სიცრუითა სიძეისაითა სარწმუნო ცოლი თვისი და წარგზავნა ქვეყანად თვისად აფხაზეთად“, საიდანაც მოეყვანა.

გრიგოლ ხანძთელმა ადარნასეს შეატყო ულირსი ქცევა და დაუყოვნებლივ ეახლა სასახლეში. მოძღვარმა უსაყვედურა კანონიერი ცოლის გვერდით ხარჭის ყოლა და უბრძანა მისი „განტევება“. ადარნასემ არ შეისმინა. გრიგოლმა იგი გაიცხა და შეაჩვენა წყევლით. ადარნასე ავად გახდა და „ტკივილთა მათგან იგვემებოდა მწარედ“.

შეცდომების საპატიებლად მან გაგზავნა ვინმე კუპრა თავის მეუღლე ბევრეულთან, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ფერსათში — „დიდსა შინა მონაზნობასა“. სოფელში ჩასულ კუპრას გზად შემოხვდა ქალი, რომელსაც „ტეირთი დიდი შეშისა ეკიდა და სახით თვისად მიაქუნდა“. ეს იყო ბევრეული, ბაგრატ შარიელის ასული, რომელიც ანასტასიას სახელით მონაზვნად შემდგარიყო და შეურაცხ-ცხოვრებას ეწეოდა. კუპრამ იცნო იგი და ადარნასეს მაგიერ შეევედრა:

— ქრისტეს ნებისმყოფელო, გევედრები, შეიწყალე უფალი ჩემი, სამართლიანად ღვთისაგან დასჯილი შენს გამო და „ნუ სწყევ მას, არამედ შეუნდვენ დიდნი ბრალნი მისნი“.

ბევრეულმა უთხრა მოციქულს:

— გეფიცები ღმერთს, არასოდეს აღმოსრულ არს წყევაი პირსა ჩემსა, და არცა მას ვწყევ. „ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ხორცით“.

ამის შემდეგ ადარნასე განიკურნა, ხოლო მის შვილებს — გურგენსა და სუმბატს მტერი, ე. ი. ეშმაკი სტანჯავდა. მალე მამამ ისინი გარდაცვლილი დედის საფლავის სანახავად და სალოცავად გაგზავნა სოფელ ფერსათს. ამის შემდეგ ძმებიც განიკურნენ, ხოლო კანონიერი ცოლ-ქმრის გამთიშველი „დედაკაცი იგი შემასმენელი ბოროტად ეშმაკეულ იქმნა და გაცოფდა... შესაზარი იყო სახილველად და სასმენელად“. ხოლო, როცა გონს მოვიდა, „საწყალობელი იგი“ წავიდა ფებრონიასთან, მუხლებში ჩაუვარდა, „ცრემლით და აღუარებდა ყოველთა ბრალთა, და ევედრებოდა ცოდებით, რათა შენდობა მიეღო მამისა ერიგოლისაგან“.

ფებრონიამ გრიგოლს წერილობით ამცნო უკეთური ქალის ისიოენა, მაგრამ მოძღვარმა არ შეინდო ცოდვილი: უფრო დიდად იტანჯოს მან, რადგანაც შეაცდინა ხელმწიფე და სარწმუნო ცოლი ვააგდებინა. ამასთან „განითქვა სახელი მისი. ვითარცა მეძავისა", და თანაც უდანაშაულო ჭაბუკის სისხლი დაღვარა. ამიტომ მას ამ ბოროტებისათვის ყოველი სატანჯველი მიეგოსი.

გრიგოლს ფებრონიაც დაეთანხმა.

მეძავი ქალი სიკვდილამდე მერეს მონასტერში იმყოფებოდა და ეწოდა „შეურაცხს" სამსახურს. სოლო როცა მოკვდა, ფებრონიამ ბრძანა, რომ იგი დაემარხათ ქრისტეს ნებისმყოფელი დების მახლობლად, მაგრამ მიცვალებული ადგილიდან ვერ დასძრეს. ეს მოწმობდა, რომ უფლის ნებით ის უნდა დაემარხათ სხვა მიცვალებულებთან ერთად.

ფებრონია და ბევრეული-ანასტასია სისპეტაკისათვის თავდადებული პირები არიან, ისინი ილაშქრებენ ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, მკაცრად იცავენ საზოგადოებრივ მორალსა და პატიოსნებას, ჰკიცხავენ აშოტსა და ადარნასეს, რომლებიც საზოგადოებრივი ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, რაკი კანონიერ მეუღლეთა გვერდით „დედაკაცნი სიძვისანი" მოიყვანეს.

აშოტისა და ადარნასეს ამორალური საქციელი ქრისტიანული სარწმუნოებისა და ქართული ზნე-ჩვეულებებისათვის შეუფერებელი მოქმედება საეკლესიო წრის წარმომადგენელია კანონიერ აღშფოთებას იწვევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრიგოლთან ერთად, ფებრონია ერევა მეფეთა შინაურ საქმეებში.

ქრისტიანული ეკლესია იცავდა მონოგამიურ ოჯახს ცოლქმრული კავშირის განმტკიცებისათვის, რაც ერისა და სარწმუნოების გასაძლიერებლად იყო საჭირო.

●

დიდი და საპატიო ქალი ყოფილა გრიგოლ ხანძთელის დედა. მან ჯერ კიდევ გრიგოლის დაბადებამდე გადაწყვიტა ისე აღეზარდა შვილი, რომ სახელოვანი ადამიანი დამდგარიყო. დედამ მიაღწია თავის მიზანს. გრიგოლი გახდა მთელ საქართველოში ცნობილი პიროვნება.

როცა გრიგოლის სახელმა დედის ყურამდე მიაღწია, მისი გული სიხარულით აივსო. მას ახარებდა ღვაწლმოსილი შვილის წარმატებანი, გონიერება და მადლობას უხდიდა ქვეყნის შემოქმედს, რომ იმედი არ გაუცრუვდა.

ამ ღირსეულ მანდილოსანს, ვრიგოლის გარდა, სხვა შვილი არ ჰყოლია, ქმარი ადრე გარდაეცვალა და „თვინიერ მისისა შობისა მამაკაცი არღარა იცოდა, არამედ სიწმინდით დადგრომილ იყო ლოცვასა

შინა". მან თავისი ახალგაზრდობა შეალია გრიგოლის აღზრდასა და დავაჟკაცებას.

იმის შემდეგ, რაც გრიგოლი ტაო-კლარჯეთში დამკვიდრდა, დედა წუხდა შვილის განშორებას, ხოლო, როცა გაიგო მისი ადგილსამყოფელი, გამხიარულებული სწრაფად გაეშურა და „მოიწია დედისა ფებრონიასსა მერეს". მერეს სავანეში დედის მისვლა აცნობეს გრიგოლს. გრიგოლი წავიდა მერეში, ინახულა მშობელი. დედა-შვილმა ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი უამბეს. დედამ შვილს უთხრა:

— „შვილო ჩემო, ტკბილო, გიხილე, რომლისთვისაც მსურდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი".

გრიგოლის დედა დარჩა სამოღვაწეოდ მერეს დედათა მონასტერში. ფებრონიამ მას ასე მიმართა:

— „ღმერთის მოყვარეო დედაო, შვილისა შენისა და ძმისა ჩემისა გრიგოლის თანა მე ვარ აწ შვილი შენი და არა დაგაკლდეს ჩვენგან მსახურება".

●

ძეგლში შესანიშნავად არის დახასიათებული ქართველი ფეოდალის ვაბრიელ დაფანჩულის მეუღლე მარიამი, რომელიც ცნობილია როგორც სტუმართმოყვარე და ხანძთის მშენებელთა ერთ-ერთი ხელისშემწყობი.

მარიამის სტუმართმოყვარეობაზე ძეგლის ავტორი გადმოგვცემს, რომ როდესაც გრიგოლი მისულა გაბრიელ დაფანჩულის სახლში, და იქ სახლის უფროსი არ დახვედრია, ღვთისმოყვარე მარიამი ლოცვა-კურთხევით მიგებებია გრიგოლს და ჯეროვანი პატივი უცია, შემდეგ „მრავლითა კეთილითა განუტევა".

ამავე დროს მან გრიგოლს რამდენიმე კაცი გაატანა და თან სთხოვა. „წმინდაო მამაო, ამათ კაცებს ასწავლე შენი მონასტრის გზა, რომ სხვა დროსაც უზრუნველყოთ სანოვაგით თქვენი სულიერნი შვილნი. ამიერიდან არაფერი დაგაკლდებათ ჩვენგან, შენი წმინდა ლოცვით მოგვიხსენიეთ „უფალი ჩემი გაბრიელ და მე, მხევალი შენი, და შვილნი ჩვენნი".

როდესაც გაბრიელმა გაიგო გრიგოლის სტუმრობის ამბავი და აგრეთვე ის, თუ როგორი პატივი სცა მარიამმა სტუმარს, აღფრთოვანებულმა „აკურთხა მეუღლე თვისი" და გრიგოლი ხელმეორედ მიიწვია. აქ მან გრიგოლს „მრავალთა დღეთა განუსვენა". გაბრიელმა და მარიამმა მას წარუდგინეს თავიანთი ოთხი შვილი და სთხოვეს: „აკურთხე ესენი წმიდათა ხელთა შენთაო".

აღსანიშნავია მარიამის ღვაწლი „გუნათლეს ვანის“ მშენებლობაში. მარიამი თხოულა გრიგოლს, რომ დედათათვის სავანე კეთილი ადგილი გამოენახათ დასამკვიდრებლად, ხოლო მამაკაცთათვის კი — სახძთა. მოძღვარს მარიამის თხოვნა აუსრულებია და გამოუნახავს ადგილი „გუნათლეს მახლობლად“, სადაც აუგიათ ქალთა მონასტერი, „რომელსა აწ ჰქვიან გუნათლეს ვანი“.

ძეგლის მიხედვით, იმ ქალებს, რომლებიც ანგრევდნენ კანონიერი ცოლ-ქმრის ოჯახს, ან ოავიანთი ვნებააშლილობით სცდებოდნენ, ეკლესია ჰკიცხავდა, ხოლო შემდეგ, ისინი გამოსასწორებლად მიჰყავდათ მერეს დედათა მონასტერში.

მიუხედავად იმისა, რომ თხზულების ავტორი ქალის ყოველგვარ სიყვარულს უარყოფითად თვლის, იგი მაინც ძვირფას მასალებს გვაწვდის ქალთა პატივისცემისა თუ გაკიცხვის შესახებ...

გრიგოლ ხანძთელის დედის, მერეს დედათა მონასტრის წინამძღვრის ფებრონიას, ადარნასე ხელმწიფის მეუღლის ბევრეული-ანასტასიას და გაბრიელ დაფანჩულის მეუღლის მარიამის მბატვრული სახეები მოგვცა მწერალმა ვასილ ბარნოვმა რომანში „ტრფობა წამებული“.

## გურანდუხტ დედოფალი

გურანდუხტ დედოფალი ქვეყნის გაერთიანებისათვის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მგზნებარე მზრუნველი, ენერგიული და თავდადებული ქალია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა X — XI საუკუნეების მიჯნაზე. „მატიანე ქართლისაის“ ცნობით, „ესე გურანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა“. იგი ცოლად შერთეს ქართლის მეფეს გურგენ მეფეთა-მეფეს, რომლისაგან მას შეეძინა შვილი ბაგრატი (975—1014) — შემდეგში საქართველოს გამაერთიანებელი მეფე. ბაგრატის აღზრდა იკისრა ტაო-კლარჯეთის მთავარმა — უშვილო დავით კურაპალატმა. დავითს უნდოდა საქართველოს დაქსაქსული სამთავროების გაერთიანება და ფიქრობდა, რომ ბაგრატის შვილად აყვანით იგი ამ მიზანს მიაღწევდა კიდეც. გურანდუხტი ქართლის ერისთავ იოანე მარუშიძესთან ერთად ზრუნავდა საქართველოს გაერთიანებისათვის. მათი მიზანი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის სამთავროების შეერთება და ქვეყნის ერთ მთლიან ერთეულად ჩამოყალიბება. მაგრამ მას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ. მათ „შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტი და წარიყვანეს კახეთად“.

დავით კურაპალატმა რომ შვილობილისა და მისი მშობლების შეპყრობის ამბავი გაიგო, „დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა ყოვლითა

ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს მთასლეად კახეთად". კახელები, შეშინდნენ და დაზავება თხოვეს დავითს და „მიუგზავნეს მოციქული და მოუპყრეს პირი ზავისა. განუტევეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ".

„მატიანე ქართლისაის" ცნობით, სამი წლის შემდეგ დავითისაგან „ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისამან გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ", მაგრამ ბაგრატს ქართლში მეორედ ვამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებიც დედა-შვილის, დავით კურაპალატისა და იოანე მარუშიძის უშუალო ხელმძღვანელობით დამარცხდნენ. გამარჯვებულებმა დაამშვიდეს ქართლის მოსახლეობა; ბაგრატმა დედის დახმარებით მამას — გურგენს ჩაბარა ქართლის მართვა, მოწინააღმდეგენი დასაჯეს, ჩამოართვეს თანამდებობები და მათ ადგილზე დაწინაურეს ღირსეული და ერთგული დიდებულები. ბაგრატი გადავიდა იმერეთს და დედის დახმარებით მართავდა იმერეთ-აფხაზეთს.

ქართლში ბაგრატის სამყოფელი უფლისციხე იყო და, როცა 978 წელს ბაგრატი აფხაზეთშიც გამეფდა, დედა — გურანდუხტი უფლისციხეში დატოვა აღმოსავლეთ საქართველოს საქმეების მოსაწესრიგებლად, მაგრამ 980 წლის შემდეგ უკვე იგი სრულწლოვანი გახდა და მას საშუალება ქონდა მეფის უფლება მთლიანად ხელში აეღო.

საქართველოს ისტორიის ავტორები წერენ, რომ, როცა დავით კურაპალატმა ქართლში ბაგრატ ბაგრატიონი გაამეფა, სრულწლოვანი არ იყო, ამიტომ ქართლს, დროებით, დედა-გურანდუხტი განაგებდა, მაგრამ სამი წლის შემდეგ ბაგრატმა შეძლო ქართლის დიდებულები დაემარცხებია და დედის მაგიერად ქართლშიც თვითონ გამეფებულიყო 980 წლიდან.

ამრიგად, დავით კურაპალატმა ისარგებლა აფხაზეთის შინაგანი აშლილობით და თავისი შვილობილი ბაგრატ ბაგრატიონი ქართლის მეფედ გამოაცხადა. ამ საქმეში დავითთან ერთად მოქმედებდნენ გურანდუხტ დედოფალი და იოანე მარუშიძე. მათი გულმოდგინებით გაერთიანდა სამცხე-კლარჯეთი, კახეთ-ჰერეთი, ქართლი და იმერეთ-აფხაზეთი; დასავლეთიდან ამ გაერთიანების საქმეს ხელს უწყობდა გურანდუხტის ძმა, იმერთა მეფე ლეონი.[17].

„ამგვარად, საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა, დამთავრდა ამ ბრძოლის ერთი ძირითადი ეტაპი, გაერთიანდა დასავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი, ხოლო ამ ქვეყნის მეფედ ბაგრატ III გამოცხადდა" („საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. 2).

# მარიამ დედოფალი

(ბაგრატ IV-ის დედა)

ქართველი ქალები ზოგჯერ ელჩებად იგზავნებოდნენ მეზობელ ქვეყნებში დიპლომატიური საქმეების მოსაწესრიგებლად: მათი დიპლომატიური გამჭრიახობა ქვეყანას ხშირად ათავისუფლებდა მტრის შემოსევისაგან; იყო შემთხვევები, როცა ქორწინდებოდნენ კიდეც უცხო ერის წარმომადგენლებზე, რაც მაშინ ერთგვარად ხელს უწყობდა მეზობელ ხალხთა მეგობრობასა და ღაახლოებას.

გიორგი პირველის (1014 — 1027) გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტზე აიყვანეს მისი შვილი — 4 წლის ბაგრატი (1027—1072); სამეფო საქმეებს განაგებდა მისი დედა მარიამი. დედოფალსა და მცირეწლოვან მეფეს განუდგნენ სამხრეთ საქართველოს ურჩი ფეოდალები — ვაჩე კარიჭიძე, ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, ტაოელ დიდგვაროვან აზნაურთა უმეტესობა და ბიზანტიის კეისარი კონსტანტინეც. აამხედრეს საქართველოს წინააღმდეგ. მეორე წელს კეისარმა საქართველოს ასაოხრებლად დიდძალი ჯარი გამოგზავნა. ბიზანტიელმა დამპყრობლებმა იავარყვეს სამხრეთ საქართველო და გარს შემოერტყნენ კლდეკარის ციხეს, სადაც იდგნენ „აზნაურნი ბაგრატისნი". ბერძენ-ქართველთა ჯარები შეიბნენ, მაგრამ შემდეგ „მწვავე და ხანგრძლივ ბრძოლას ბოლო ბიზანტიის სამეფო კარზე შექმნილმა გართულებამ მოუღო. ბიზანტიის საიმპერატორო კარმა საჭიროდ მიიჩნია საქართველოსთან მშვიდობა ჩამოეგდო. სამშვიდობო მოლაპარაკების მიზნით, 1032 წელს ბიზანტიაში გაემგზავრა ბაგრატის დედა მარიამი. ის ფიქრობდა, რომ ბიზანტიის იმპერატორ რომანოზთან დიპლომატიური მოლაპარაკებით ქართველ-ბერძენთა შორის მშვიდობიან ურთიერთობას დაამყარებდა. როგორც დ. ჯანაშვილი წერს, ქალს იმპერატორ რომანოზისათვის დაახლოებით ასეთი რამ უნდა ეთქვა: ვეველრებით ქართველი ხალხის სახელით, ინებოთ და ბრძანოთ, რომ აღარ იყოს ბრძოლა ქართველებსა და ბერძნებს შორის. რა კეთილი დაეყრება ან თქვენ ხალხს, ან ჩვენსას? დააწყნარეთ, დაამშვიდეთ ორივე სამეფო, რომ ხალხმა იშრომოს და იცხოვროს ბედნიერად. თუ კი წინათ ქართველთა და ბერძენთა შორის ძმობა და ერთობა იყო, რატომ ახლა აღარ შეიძლება მშვიდობა ჩვენს შორის? უბოძეთ ჩემს შვილს კურაპალატობა, როგორც ძველად იცოდნენ და ჩამოაგდეთ ერთობა და რომ ეს ერთობა უფრო მტკიცე იყოს ჩვენს შორის, გთხოვთ ჩემს შვილს ბაგრატს მისცეთ ცოლად ვასილ იმპერატორის ასული ელენე[18].

მარიამ დედოფლის გამგზავრების შესახებ „ქართლის მატიანეში"

ეკითხულობთ: „შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა და კუალად ძიებად პატივისა „ურაპალატობისა ძისათვის თვისისა, ვითარცა არს ჩვეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათვის ძის ცოლისა“[19]. ცნობა ბიზანტიაში მარიამ დედოფლის გამგზავრების შესახებ სხვა ისტორიულ წყაროებშიც მოიპოვება.

ბერძენთა მეფემ მარიამს სიხარულით „აღუსრულა ყოველი სათხოველი... მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათვის, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისათვის ელენე დედოფალი“[20].

კონსტანტინოპოლში მარიამს შეხვდა ათონის ივერიის მონასტრიდან მომავალი გიორგი მთაწმიდელი (1009 — 1065), რომელსაც ბიზანტიის იმპერატორისაგან უნდა მიეღო შავ მთაზე გამგზავრების ნებართვა. რომანოზს არ უნდოდა, რომ გიორგი ათონის ივერიის მონასტრიდან გაეშვა, მაგრამ მისადმი დიდი პატივისცემითა და „თანაშეწევნითა მარიამ ბაგრატის დედისაითა“ მან „თავისუფლება მიიღო“. გიორგიმ მაშინვე დატოვა სამეფო ქალაქი და შავ მთისკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ კონსტანტინეპოლი დატოვა მარიამ დედოფალმაც და ანტიოქიაში წავიდა, იქიდან კი განზრახული ჰქონდა წასულიყო „ქალაქად იერუსალემად. ლოცვად და თაყვანისცემად წმიდათა მათ და განმაცხოველებელთა ადგილთა“. ანტიოქიის პატრიარქს კეისრისაგან ბრძანება ჰქონდა მიღებული, რათა პილიგრიმი[21] დედოფალი მიეღოთ „ყოვლითა დიდებითა და პატივითა“ და წარეგზავნათ იერუსალიმში. ჰაგრამ პატრიარქმა და მთავარმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს „თანაზრახვითა მამისა გიორგისითა“, დედოფალს ხელი ააღებინონ გზის გაგრძელებაზე, რადგანაც „არა კეთილ არს აღმოსავლისა მეფეთა დედაი სასარკინოზეთს წავიდეს. ვინაითგან ცოდვათა ჩვენთაგან ივინი უფლებენ ქვეყანასა მას“. გიორგის პირით მათ ეს გადაწყვეტილება „მოახსენეს დედოფალსა და წარსელისაგან დააცხვრეს“. ხოლო ივი დიდად შეწუხდა, მაგრამ „ნებასა ღმრთისასა ვერ წინა აღუდგა“. მაშინ დედოფალი შეეეედრა გიორგი მთაწმიდელს, რომ „შეიწყალოს სული მისი“ და, რაკი „თვით ვეღარ ღირს იქმნა შესვლად წმიდათა მათ და თაყვანისსაცემელთა ადგილთა“, ის საფასე, რომელიც მას უნდა შეეწირა, თავად „გიორგიმ წაიღოს იერუსალიმში და ნაწილი გლახაკებსა და დავრდომილებს განუყოს, ნაწილი შესწიროს — მონასტერთა მათ წმიდათა, რომელნი შენ არიან გარეშოს მისა“.

გიორგი მთაწმიდელმა მარიამ დედოფლის მიერ წმიდა ადგილებისათვის შეწირული საფასე აიღო, ერთ მოწაფესთან ერთად იერუსალი-

მისაკენ გაემგზავრა და დედოფლის ვედრება პირნათლად შეასრულა. პროხორე ბერი ჯვარის მონასტერს აშენებდა და გიორგის ამ მონასტერს „საფასითა ფრიად შეეწია“.

საქართველოში დაბრუნებულმა მარიამმა ბაგრატი დააქორწინა ბერძენთა იმპერატორის ასულზე—ელენეზე და, ამრიგად, ბერძენ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა მოყვრობით შეიცვალა: ეს იყო ხალხისა და ქვეყნისათვის დიპლომატი ქალის თავდადება.

მარიამის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ი. ჯავახიშვილი წერს: „მან ბიზანტიიდან თავის შვილს თანამეცხედრე მოჰგვარა და ქვეყანას მშვიდობა მოუტანა. დაწიოკებული და ხშირი ომებით მოქანცული ქვეყნისათვის კეისრის მოყვრობა და მეგობრობა ნამდვილი სალბუნი იყო“[22].

ბაგრატის მეუღლე ელენე დედოფალი ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და ბაგრატს ცოლად შერთეს ბორენა. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა კვლავ გამწვაედა და მარიამ დედოფალი 1050 წელს ისევ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში სახელმწიფო საქმეების მოსაგვარებლად. მაშინ ბიზანტიაში მეფობდა კონსტანტინე მონომაქი, რომელმაც მარიამი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ სამი წლის განმავლობაში არც თხოვნა აუსრულა და არც საქართველოში დაბრუნების ნება დართო. მაშინ ბაგრატის ცოლმა ბორენამ და მისმა დამ — გურანდუხტმა ბიზანტიის იმპერატორთან გამართეს დიპლომატიური მიმოწერა, რასაც მოჰყვა მარიამის განთავისუფლება.

საქართველოში დაბრუნებულმა მარიამმა დაიწყო ზრუნვა საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. ამ მიზნით დედა-შვილმა (მარიამმა და ბაგრატმა) გიორგი მთაწმიდელს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც თხოვდნენ საქართველოში ჩამოსვლასა და დახმარებას. მართლაც, 1060 წელს გიორგი საქართველოში ჩამოვიდა, 5 წელი დარჩა და მთელი რიგი საეკლესიო ღონისძიებანი განახორციელა. საფიქრებელია, გიორგი მთაწმიდელს კულტურულ-საეკლესიო ზოლვაწეობაში ხელს უწყობდა მარიამ დედოფალიც.

ისტორიამ ვერ შემოგვინახა მისი გარდაცვალების თარიღი.

## ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘ — ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡᲐ

(მართა-ყოფილი, ბაგრატ IV-ის ასული)

ქართველი ქალის, მარიამ-მართა ყოფილის მოღვაწეობის ამბები მოთხრობილია ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში[23].

მეფე ბაგრატ IV (1027 — 1072 წწ) „გაათხოვა ასული თვისი მართა და შერთო ბერძენთა მეფეს“ მიხეილ VII დუკა პარაპინაკს (მეფობდა 1071 — 1078 წწ); მართას ბიზანტიაში მარიამი შეარქვეს. იგი დიდი

ავტორიტეტით სარგებლობდა ბიზანტიის სამეფო კარზე XI საუკუნეში.

როგორც გიორგი მცირე იუწყება, ბაგრატ IV-ის ასული მართა ბიზანტიაში წაიყვანეს აღსაზრდელად თეოდორა დედოფლის მოთხოვნით ამაშინ, „ოდეს თეოდორა დედოფალს ეპყრა ბერძენთა მეფობაი". ამ ამბავს იგი ასე აღწერს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში": კონსტანტინეპოლში „მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა თვისთა. ხოლო მათ დღეთა შინა, განგებითა საღმრთოითა, თეოდორა დედოფალი აღესრულა. და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო". თეოდორა დედოფლის გარდაცვალებაზე გიორგი მთაწმიდელმა თქვა: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა"[24].

მართა კვლავ ბიზანტიაში წაიყვანეს 1065 წელს, როდესაც გ. მთაწმიდელი საქართველოდან კონსტანტინეპოლს ეაემგზავრა. სულ მალე იგი ცოლად შერთეს მიხეილ VII დუკა პარაპინაკს (1071 — 1078 წწ). ამ ამბავთან დაკავშირებით გიორგი მცირე წერს: „მაშინ, რომელთა ასმიოდა წინასწარ-მეტყველება ბერისა (გიორგი მთაწმიდელისა) იხილეს რაი აღსრულებულად, ყოველთა დაუკვირდა და მადლობდეს ღმერთსა"... ხოლო მართას ბებიას გიორგი მთაწმიდელისათვის უთქვამს: „მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაი შენი, რაი-იგი ოდესმე წინასწარმეტყველე მართაისათვის"[25].

1078 წლის 3 აპრილს კონსტანტინეპოლი დაიკავა ნიკიფორე ბოტანიატემ. მიხეილ დუკა იძულებული იყო ვადამდვარიყო და ერთ-ერთ მონასტერში ბერად აღკვეცილიყო. კეისრად დაჯდა ნიკიფორე, რომელმაც მარიამი ცოლად შეირთო მიხეილ დუკას სიცოცხლეშივე. ამით ისარგებლა მარიამმა და დაიწყო ზრუნვა, რათა ნიკიფორეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე თავისი შვილი კონსტანტინე აეყვანა.

ნიკიფორე ბოტანიატეს ინტრიგა მოუწყვეს ძმებმა კომნენოსებმა — ალექსიმ და ისაკიმ. მათ კავშირი დაამყარეს მარიამ დედოფალთან და აღუთქვეს, რომ თუ ალექსი ტახტზე ავიდოდა, ხელს შეუწყობდა კონსტანტინე ყოფილიყო თანაკეისარი და ამით მარიამსაც არ მოაკლდებოდა დიდება და პატივი, როგორც დედოფალს.

მასალებს მიხედვით ცნობილია, რომ ალექსი კომნენოსის გამეფებისას იყო ტენდენცია კომნენოსების დინასტია შეეერთებინათ დუკების გვართან; ამიტომ განიზრახეს შეეულლებინათ ალექსი და მარიამი, მიხეილ VII დუკას მეუღლე და ამავე მოსაზრებით კონსტანტინე დუკაზე დანიშნეს ანნა კომნენე, რომელიც ითვლებოდა ბიზანტიის ტახტის მომავალ მემკვიდრედ.

თ. ჟორდანია ამბობს, რომ მარიამ-მართა 1078 წელს საქართველო-

ში ჩამოვიდა, ხოლო 1081 წელს ისევ საბერძნეთს დაბრუნდა, მაგრამ 1085 და 1103 წელს, ალბათ, საქართველოშივე იმყოფებოდა, რადგან მას მოიხსენიებენ წარწერანი რუის-ურბნისის კრებისაო"[26]. მართლაც 1103 წელს მარიამ დედოფალი ცოცხალია, რაც იქიდან ჩანს, რომ რუის-ურბნისის 1103 წლის კრების დადგენილების ბოლოში დასახელებულ პირთა შორის მოხსენებულია მართა-ყოფილი მარიამ დედოფალიც, როგორც ჯერ კიდევ ცოცხალი[27].

ქართველთა მეფის ასული მარიამი არ ივიწყებს თვისტომთ ბიზანტიის დედოფლად ყოფნის დროს და ათონის ივერთა მონასტრის მიმართ მრავალ ქველმოქმედებას აჩვენებს[28]. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობს, რომ „მარიამს რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს პეტრიწონთანაც..., მარიამ დედოფალს მამულები აქეს პეტრიწონშიც, საღაც ერთხელ თავი შეაფარა მისმა მაზლმა ნიკიფორე დიოვენემ (მიხეილ დუკას ნახევარძმამ).

## თამარ ბაგრატიონი

XII საუკუნის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებელს თავისი ორი ქალი — თამარი და კატა (იგივე ქეთევან) მიუთხოვებია უცხო ქვეყნის უფლისწულთათვის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: დავით მეფემ „ასული თვისი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თვისი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი"[29].

თამარი იყო შირვან-შაჰის აღსართან პირველის მეუღლე, რომელიც შემდეგში ისევ საქართველოში დაბრუნებულა და მონაზვნად აღკვეცილა.

თ. ჟორდანიას გადმოცემით, თამარის დაბრუნება სამშობლოში გამოწვეული უნდა ყოფილიყო შირვანის აოხრებით ან შესაძლებელია, პაპამისის — გიორგი პირველის სიკვდილით (1112 წელს).

თამარს მშობლიური ენის, ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის არ უღალატნია; უცხო ქვეყანაში მყოფმა, გამოამჟღავნა დიდი სიყვარული ქართული ენის, ხალხისა და ქვეყნისადმი.

როგორც ქართველი მემატიანეები გადმოგვცემენ, სამშობლოში დაბრუნებულ თამარს აუშენებია თიღვის მონასტერი, რომელიც 1152 წელს დაუმთავრებია და იქვე მონაზვნად აღკვეცილა. ამ ფაქტს ადასტურებს თვით ტაძრის წარწერაც, რომელშიც „ღმრთის მსახურად", მოხსენებულია თამარი:

ქმნილებამან რაი აქაისა სოფლისამან
სხეაი ძიელოს დაწყება ყოფადისაი
მოქმედებითა შენ ხედ ჯეარცმულისა
ქრისტეს ღმერთისაგთა, რომლისა ძიმართ ეამსა
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს[33].

ამის გარდა, თამარის შესახებ ცნობა შემოუნახავს ლაშა — გიორგის დროინდელ მემატიანეს, რომლის მიხედვითაც მონაზვნად აღკვეცილი თამარი უნდა გარდაცვლილიყო XII საუკუნის 60-იან წლებში[31]. გადმოცემით, როგორც ამას წერს ს. მაკალათია, თამარი დასაფლავებული უნდა იყოს თიღვის მონასტერში[32].

## რუსუდან ბაგრატიონი

დემეტრე პირველის (1125 — 1156) ასული რუსუდანი იყო ხვარასნის სულთნის ცოლი. დაქვრივების შემდეგ დაბრუნებულა საქართველოში და თავის ძმასთან გიორგი მესამესთან (1156 — 1184) უცხოვრია. თავის დროისათვის დიდად განათლებული რუსუდანი ცნობილია როგორც კარგი პოლიტიკოსი და დიპლომატი. ამ ღირსეული ქალის ქველმოქმედების შესახებ ლაშა — გიორგისდროინდელი მემატიანე გადმოგცემს: „რუსუდან დედოფალი იყო ტკბილი და მოწყალე, ნუგეშინისმცემელი და შემხვეწელი გაჭირვებულთა, და მზრდელი ჩვილთა და ობოლთა, რომელ ღირსნი მათგან ზრდისანი ნაშობთა მათთა წინაშე მიუსხმიდიან. ხელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზავნებოდა“[33]. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის ცნობით, დედოფალი რუსუდანი ყოფილა „ყოვლითა სიბრძნითა სავსე“.

როცა 1162 წელს გიორგი მესამემ მცირე აზიის ემირები და სულთნები დაამარცხა, მას მოწინააღმდეგეებთან ზავის დასადებად რუსუდანი წარუგზავნია.

რუსუდანს გიორგი მესამის მიერ მინდობილი დიპლომატიური მისია პირნათლად შეუსრულებია, მოწინააღმდეგე ქვეყნები დაუმშვიდებია და ხალხთა შორის მშვიდობიანობა ჩამოუგდია[34].

გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი „სძალყოფილი დიდი:ა სულთანთა შამირამეთი და დედოფალი ყოვლისა ხვარასნელთა უფლებისა, რომელი სიქვრივისათვის თვისადმე მამულად (იყო მოყვანებული) დედოფლად დაჯდა ქართველთად, უფროსღა დიდებად სახლისა თვისისა და ყოვლისა ამისა სამეფოსა“.[35] რუსუდანთან იზრდებოდა გიორგი მეფის ასული თამარი თავისი დით, „რომელსა რუსუდანვე მოაქვნდა სახელად“[36].

რუსუდანი ზრდიდა აგრეთვე ოსთა მეფის შვილს დავით სოსლანს, რომელიც „მოეყვანა საზრდელად სახლსა შინათ მისსა“[37].

რუსუდანმა დიდი როლი შეასრულა თამარისა და დავით სოსლანის შეუღლებაში.

ბევრ სხვა კარგ თვისებებთან ერთად რუსუდანი ყოფილა გაჭირვებულთა და ღატაკთა შემბრალე[28].

## თამარი – დედა ქართლისა

თამარი, დავით აღმაშენებლის შვილიშვილის – გიორგი III-ის ასული იყო, ზედმიწევნით გონიერი და შორსმჭვრეტელი, ნიჭიერი და უნარიანი, სალხისა და ქვეყნისათვის თავდადებული მზრუნველი, დიდი პოლიტიკოსი, დიპლომატი და ქალთა შორის უმშვენიერესი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი თამარს უწოდებს „ქუენა მნათს“, რომელიც „აღებაძვის ზენასა მნათსა... გინათუ მშვენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ მზეებრ უხუებითა და მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვითა ზედა“[29]. ხალხი მას ეძახდა „ღვთისა სწორს“.

თამარ მეფე (1184–1213 წწ.)

თამარის მამა გიორგი დემეტრეს ძე სამეფო ტახტზე ავიდა 1156 წელს, გარდაიცვალა 1184 წელს და სამეფო საქმეთა გამგებლობას თამარი შეუდგა.

„საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში და სხვათა ცხოვრებაშიც, –

წერს ი. ჯავახიშვილი — იშვიათი მოვლენა იყო,... რომ მეფედ და სახელმწიფოს მმართველად ქალი გამხდარიყო"[40].

თამარ მეფის მიზანი იყო ერის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მიუკერძოებელი სამართლის „განწესება" საზოგადოების ყველა ფენის მიმართ. ამიტომ გიორგი მესამის ასულმა გამეფებისთანავე ყურადღება მიაქცია ქართული ეკლესიის საკითხების მოგვარებას. ამ მიზნით იერუსალიმიდან დაიბარა კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერიძე, საქართველოში მოღვაწე მღვდელმთავრები და დარბაზში შეკრებილთ მიმართა სიტყვით, რომლის შინაარსი დაახლოებით ასეთია:

თქვენ ყველაზე უმეტესად ხართ მოვალენი სამართლიანად და კეთილად იმოქმედოთ. თვალყური ადევნოთ ყოველ საქმეს, გამოიძიოთ ბეჯითად ყოველი ნაბიჯი თქვენი ხალხისა. მისდიოთ მართლმსაჯულებას. თუ მე ვიყო დამნაშავე, გვირგვინი, რომელიც მე მადგია, მომხადეთ, რადგანაც გვირგვინი არის ნიშანი მეფობისა და არა ღვთის წინააღმდეგობისა და უსამართლობისა. ნუ მისდევთ ნურც გვარს, ნურც მთავართა დიდკაცობას და ნურც ღარიბთა სიმცირეს. ყველას სიმართლით მოექეცით — გლეხსა და თავადს, მცირესა და დიდებულთ, ვიმოქმედოთ ერთად ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ხელისუფალთა შეცვლა, ცხადია, თამარს მეგობრებს ვერ შესძენდა, ძველი და ახალი უკმაყოფილებით გამსჭვალულმა „იმერთა და ამერთა, ზემოთა და ქვემოთა" დიდგვაროვანმა მოხელეებმა გადაწყვიტეს უმაღლეს თანამდებობათა ხელში ჩაგდება, გაიძახოდნენ: „აღარ ვეგებით ძველთა ხელისუფალთ და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაჩრცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გვარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგვაროთა და უხმართაგან"[41].

უკმაყოფილოთა სურვილი იყო ძველისძველი წოდებრივი უპირატესობა განეახლებინათ და წოდებრივი, ჩამომავლობითი თვისებები პირად ღირსებებზე მაღლა დაეყენებინათ; თამარსა და მის მომხრეებს ეს არეულობა ისე სწრაფად დაატყდათ თავს, რომ პირველად ურჩ დიდგვარიან მოხელეებს ვერაფერი მოუხერხეს, უკმაყოფილოებს „მიზანში ამოუღიათ ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი ყუბასარი და მსახურთ-უხუცესი აფრიდონი და ორივეს სამსახურიდან გადაყენებას მოითხოვდნენ"[42].

თამარმა შფოთის მომწყობთ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და იძულებული გახდა დიდგვარიანთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

დიდგვაროვანთა გამოსვლა ჯერ დამცხრალი არ იყო, როცა მეჭურჭლეთუხუცესმა (ფინანსთა მინისტრმა) ყუთლუ-არსლანმა, რომელსაც ბევრი თანამგრძნობი ჰყავდა, თამარ მეფეს წაუყენა სრულიად

ახალი მოთხოვნა — ისანში დაარსებულიყო ახალი სახელმწიფო დაწესებულება „კარავი“. სახელდობრ, ყუთლუ-არსლანმა „ითხოვა კარავი ღადგმად ველსა ისანისასა“[43], სადაც „დასხდომილნი მუნ შიგა გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“[44].

ყუთლუ-არსლანის დასის გეგმით საკანონმდებლო უფლება მეფეს უნდა ჩამორთმეოდა და მთლიანად ამ ახალ დაწესებულებას გადასცემოდა. მეფეს ისინი მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას უტოვებდნენ.

ამრიგად, ყუთლუ-არსლანის მომხრეებს მიზნად ჰქონდათ დასახული სახელმწიფო წესწყობილების იმნაირად შეცვლა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება მარტო მეფის სურვილზე არ ყოფილიყო დამოკიდებული.

ყუთლუ-არსლანისა და მის თანამოზიარეთა მოთხოვნილებანი თამარ მეფეს არაფრად ეჭაშნიკა, რადგან ეს „დასასრულსა ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“ იქნებოდა, რაც მისი სამეფო უფლების გაუქმებას უქადდა. ამიტომ თამარ მეფემ „მოიღონა ხელით გდება თავისა მის მოქმედთასა“.

ყუთლუ-არსლანის დაპატიმრებით თამარს ეგონა მოძრაობას ჩააქრობდა და დასიც თავისთავად დაიშლებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. დაპატიმრებულის თანამოაზრეები შეიკრიბნენ და მეფეს თავისი მეთაურის განთავისუფლება მოსთხოვეს. თანაც იარაღი აისხეს და მეფის სასახლეს ემუქრებოდნენ.

თამარ გიორგის ასულმა მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკება გამართა. ამ მიზნით აჯანყებულებს მიუგზავნა შუამავლად ორი საპატიო მანდილოსანი: „ერთი ხვაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაი ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხვისი არავისი ბრალობა“. საპატიო მანდილოსნებმა თავიანთი დიპლომატიური მისია ბრწყინვალედ შეასრულეს და განდგომილნი საქმის მშვიდობიან მოგვარებაზე დაითანხმეს, დაიყოლიეს მეფის სურვილზე: „მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე — მოსრულთა თაყუანისცეს“. ამასთანავე თითონ, „პირობისამებრ აღიღეს პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნებისმყოფელობისა მათისა“[45].

ამგვარად, თამარის წინააღმდეგ ქართველ დიდებულთა მიერ მოწყობილი ამბოხება ჩააქრეს ხვაშაქი ცოქალისა და კრავაი ჯაყელის უშუალო მონაწილეობით.

საქართველოს მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებაობით“ თვალსაჩინოდ შეიზღუდა. „საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში მომხდარი ეს დიდად მნიშვნელოვანი ცვლილება იმ ცვლილებების წინამორბედი და ანალოგიური მოვლენაა, რომელიც XIII საუკუნის ინგლისში მოხდა, სადაც პარლამენტის შექმნით ინგლისის მეფის ხელისუფლება შეიზღუდა“[46].

ამიერიდან თამარის მთავარი საზრუნაი გახდა ქვეყნის შინაური ცხოვრების მოწესრიგება და ქართველ ხალხში ერთსულოვნების დამყარება. გიორგი მესამის მიერ დამცირებულ დიდებულებს, რომლებმაც დანაშაული გულწრფელად მოინანიეს, თავიანთი უფლებები აღუდგინა, დიდგვაროვან ფეოდალთა მოთხოვნით თანამდებობიდან გადააყენა ამირ-სპასალარი ყუბასფარი და მსახურთ-უხუცესი აფრიდონი. შექმნა ახალი სავაზირო, რომელშიც სხვადასხვა თანამდებობაზე დანიშნა მეფის პოლიტიკის მომხრე და სახელმწიფოს ერთგული პირები. შინაური საქმეების მოწესრიგების შემდეგ თამარი გარეშე მტერთაგან ქვეყნის თავდაცვის საქმეს მიუბრუნდა, შეავსო და გააძლიერა დავით აღმაშენებლის დროიდან დარჩენილი ყივჩაღთა ჯარი, ე. წ. „როქის სპა“.

კიდევ უფრო მომაჯადოებელია თამარი, როგორც ქალი. ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლებიც კი განცვიფრებული არიან მისი უზადო მშვენიერებით, ხოლო „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში მოცემულია დედოფლის მშვენიერების აღწერა.

ჩვენს ქვეყანაში, სადარბაზოდ მოსული ირანის დიდებულები განცვიფრებულნი აღიარებენ: „არასოდეს ნახულა კაცთა თვალთაგან, არცა წაგვიკითხავს ძველთა წერილთა შინა, გინა ახალთა, სახე თამარისი“.

თამარ დედოფლის საარაკო მშვენიერების ამბავი მოფენილი იყო მთელს იმდროინდელ მსოფლიოში. უამრავი მეფე და მემკვიდრე ეძიებდნენ თამარის სანუკვარ ხელს: ბერძენი, ფრანგი, სპარსელი, ხოლო მუტაფრადინი ქრისტიანობასაც კი იღებს და საქართველოს ეწვევა თამარის ხელის სათხოვნელად... კიდევ, ვინ მოთვლის, თუ რამდენი უცხო ქვეყნის წარმომადგენელი თუ შინაური უფლისწული ცდილობდა თამარის ქმრობას, მაგრამ მეფეთ-მეფეს, ბაგრატიონთა უძლიერესი სკიპტრის მპყრობელს, ძალადობას ვინ გაუბედავდა?! „ცრემლთა თვისთა თხევით“ ეძიებდნენ ყურადღებას თამარისას.

ქვეყნის დაწყნარების შემდეგ მმართველთა წრეების წინაშე დაისვა თამარის გათხოვების საკითხი. დიდებულებმა გადაწყვიტეს მოეყვანათ რუსთა მთავრის შვილი იური ბოგოლუბსკი. ამ მიზნით დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი ჩრდილოეთის ქვეყანაში გაგზავნეს.

თამარი ქართველ დიდებულთა არჩევანით არ იყო კმაყოფილი. ის

ქორწინებაზე თავს იკავებდა. ამბობდა: „კაცნო, ვითარ ღირ არს შეუტყობელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არც ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცადეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“[47]. ხოლო ქართველი დიდებულები დაჟინებით მოითხოვდნენ ქორწილს.

თამარი დაემორჩილა ერის წარმომადგენელთა მოთხოვნას და რუს ბატონიშვილზე იქორწინა. ორი წლის შემდეგ მას გაშორდა.

ქართველი დიდებულები ხელახლა შეუდგნენ უქმროდ დარჩენილი თამარისათვის საქმროს ძებნას. თამარი დათანხმდა, რომ მისი ქმარი ყოფილიყო დავით სოსლანი, რუსუდან დედოფლის გაზრდილი ოსთა ბატონიშვილი, გვარით ბაგრატიონი. ბაგრატიონთა სამეფო კარზე აღზრდილს ერგო დედოფლის ქმრობა...

ქართულ ხალხურ სიტყვიერებას ეს ისტორიული ამბავი — თამარ მეფისა და დავით სოსლანის შეუღლება ასე აქვს ვადმოცემული:

დიდებეში იქორწინა,
სადაც რომ საყდარი არი,
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თვისი ჯარი;
ასი სული ცხვარი ღაკლა
და ორასი ნიშა ხარი;
ლურჯი სუფრა გაუშალა,
იქნებოდა ასი მხარი;
ქერივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი[48].

დიდებისმოყვარე ფეოდალები თამარის მეორედ ქორწინების წლისთავზე გაძევებული რუსი ბატონიშვილის მხარეზე გადავიდნენ და თამარისა და დავითის წინააღმდეგ საიდუმლო საომარ სამზადისს შეუდგნენ.

შეთქმულების ინიციატორი იყო ტაო-კლარჯეთის მთავარი გუზანი, აბულასანის შვილი, რომელმაც თამარს საქმროდ რუსი ბატონიშვილი აურჩია.

გუზანს მიემბრო სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სვანეთის, აფხაზეთის, იმერეთისა და რაჭის ერისთავები. ამ ფეოდალებმა კონსტანტინეპოლიდან ჩამოიყვანეს გიორგი რუსი, რომელსაც მოუწყეს მეფური შეხვედრა, წაიყვანეს გეგუთს, სამეფო ტახტზე დასვეს და მეფედ გამოაცხადეს, ხოლო შემდეგ (1191 წელს) თამარისა და დავითის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

პირველ ხანებში თამარს ვერ გაეგო ქართველ ფეოდალთა ღალატის მიზეზი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ შეთქმულება იყო მიმართული ტახტის წინააღმდეგ, სასწრაფოდ შეჰყარა ჯარი და წარგზავნა საბრძოლველად გამრეკელისა და დავით სოსლანის სარდლობით.

მოღალატე ფეოდალები დამარცხდნენ და კისერზე საბელმობმულნი, თავდახრილნი მივიდნენ თამართან პატიების სათხოვნელად. თამარს ისინი არ დაუსჯია, გიორგი რუსიც კონსტანტინეპოლს უვნებლად გაისტუმრა, მაგრამ იგი კვლავ ჯარით (მეორედ 1193 წელს) შემოვიდა საქართველოში, „ადგილსა კამბეჩოვანისასა". ამ ბრძოლაშიც ის სასტიკად დაამარცხეს ხორნაბუჯის მფლობელმა ხაღირ მასტალის ძემ და მისმა შვილებმა. გიორგი ვათოკეს ღა თამარს მიუყვანეს, თამარმა კი ისევ უვნებლად გაანთავისუფლა.

თამარმა 1195 — 1196 წლებში ბრწყინვალედ გაიმარჯვა შამქორის ბრძოლებში, დაამარცხა ირანის აზერბაიჯანის მფლობელი აბუ-ბაქრი, რომელსაც თავი დაუმარცხებელი ეგონა. ამ გამარჯვების შემდეგ თამარმა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრები გაამაგრა და მტერთაგან შეუვალი გახადა.

საქართველოს სამეფოს ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერებით განსაკუთრებით აღფოთებული იყო რუმის სულთანი რუქნადინი. მან ჯერ კიდევ ქალაქ მოსულში დაიკვეხა — ნახავთ, ქართველებს რა ღღე დავაყაროო, ხოლო 1203 წელს 4.000 მეომრით საქართველოს დასარბევად გამოემართა. წინასწარ გამოუგზავნია დამამცირებელი წერილი, რომელიც რუქნადინის მოციქულს გადაუცია თამარისათვის. ამ უკანასკნელს იგი დინჯად წაუკითხავს და კითხვისას არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს. „ისტორიათა და აზმათა" ავტორი აღნიშნავს, რომ „ვითარ მოვიდა რუქნადინიდან მოციქული და შეიყვანეს მეფესთან თამარსა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იწყო არა-საკადრებელთა სიტყვათა თქმად: უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა"[49].

გათავხედებული მოციქულის სიტყვებმა მოთმინებიდან გამოიყვანა თამარის გვერდში მდგომი ზაქარია მხარგრძელი. მან სილა გააწნა მოციქულს. იგი მაშინვე წაიქცა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. ზაქარიამ წამოაყენა და უთხრა:

— მოციქული რომ არ იყო, ჯერ ენა უნდა მომეჭრა შენთვის და შემდეგ თავიო.

თამარს რუმის სულტანისათვის მიუწერია:

ეს წერილი, მსურდა, წამოეღო თქვენს მოციქულს. მაგრამ რადგან იგი, ბინდა, ჩქარა მიიღო, ამიტომ „მომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და განგაკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ესერა კართა შენთა ზედა დგანან"[50].

თამარმა ისიც დაუბარა თავის მოციქულს სულთანთან, რომ „ჩვენ

ეზა ვართ წყობად და წინამოგებებადო". ამის შემდეგ შეჰყარა ლაშქარი „იმერთა და ამერთა". და შეიკრიბნენ ჯავახეთში; თამარი კი მივიდა ვარძიას.

რუქნადინი ჯარით დაბანაკებული იყო ბასიანში.

ქართველთა სარდლობამ ჯარის ხელმძღვანელად დანიშნა ზაქარია მხარგრძელი, ახალციხელი შალვა და ივანე, და „სხვანი თორელნი, და ერთ-კერძო აფხაზნი და იმერნი, და ერთ-კერძო ამერნი და ჰერ-კახნი"[51].

მოწინააღმდეგენი შეიბნენ. ურიცხვმა დამპყრობლებმა ივანე მსა-ხურთუხუცესს, ზაქარია გაგელს, შალვა და ივანე ახალციხელებს, თაყაიდინ თმოგველსა და ქართველ თავადებს ცხენები დაუხოცეს, მაგ-რამ ისინი მტერს დაქვეითებულნი შეებრძოლნენ.

ქართველთა თავგანწირული ბრძოლის შედეგად მტერი დამარცხდა. გამარჯვებული მებრძოლები „აღსხდეს ჰუნეთა და, ვიღრე ღამემდე, დევნა უყვეს და ხოცდეს, ჩამოჰყრიდეს და იპყრობდეს, და თვით მათვე ჯარითა ვერ იტევდეს და ურთიერთას დასთრგუნვიდეს"[52].

ძლევამოსილი ქართველი მებრძოლები „აღიესნეს ოქროთა და ვერ-ცხლითა და ჭურჭლითა პატიოსნითა, ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლე-მისა სიმრავლე, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს?"[53] ასეთი აუწე-რელი ნადავლით სახელოვანი ჯარი თამარმა მიიღო თბილისის გარე-უბნებში, ზარ-ზეიმით შეიყვანა დედაქალაქში და მოუწყო დიდი ნადიმი.

ბასიანის ომი ასახულია ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. ერთ ოქმულებაში აღნიშნულია:

შეპყრობილი რუქნადინი თამარისათვის მიუყვანიათ. იგი თავდახ-რილი დამდგარა სახელოვანი მეფე ქალის წინაშე. თამარს უთქვამს:

— რას თხოულობ ჩემგან?

— სიცოცხლეს, ქალბატონო! აბით თქვენ დაასაჩუქრებთ თურქეთ-ში მყოფ ჩემს ასოც ცოლს.

— ძლიერ მეცოდებიან შენი ცოლები, რომელნიც ძალზე ღარიბები უნდა იყვნენ, რადგან შენ დღეს გროშად არ ღირხარ. ეს ბრძოლა რომ არ დაგავიწყდეს, საჩუქრად ჩემგან წაიღე მანდილი.

ბასიანის ომში გამარჯვებამ თამარს დიდი სახელი მოუპოვა ახლო აღმოსავლეთში. „საქართველოს ისტორიის" ავტორები ამ ომის შესა-ხებ წერენ. „ბასიანის ომს ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქარ-თველოსათვის, როგორც შამქორის ომს... საქართველომ ზედიზედ დაამარცხა აღმოსავლეთის და დასავლეთის თურქთა ორი კოალიციური ლაშქრობა, რომელთაც ორი უდიდესი სასულთნო მოთავეობდა. ამაზე უფრო დიდი ძალა ახლო აღმოსავლეთში თურქებს არ გააჩნდათ. ასე რომ საქართველო უკვე ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწი-ფოდ იქცა"[54].

XIII საუკუნის დამდეგს საქართველოს სამეფომ დასვა საკითხი — შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე შექმნილიყო ქრისტიანული სამეფო, რომელიც „საქართველოს აქტიურად დაუჭერდა მხარს თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში“[55]. როგორც ცნობილია, 1204 წელს ქართველებმა დაიბრუნეს ბიზანტიის სამეფოს მიერ მიტაცებული ჭანეთი და ლაზეთი, აგრეთვე ტრაპიზონი, სამსონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ერაკლია. ამ ქვეყნებიდან თამარმა შექმნა ე. წ. ტრაპიზონის სამეფო და მეფედ დასვა დედით ნათესავი ალექსი კომნენოსი.

ტრაპიზონის სამეფოს დაარსებასთან დაკავშირებით უნდა იყოს შექმნილი ხალხური ლექსი:

ოამარ მეფე და ხონთქარი
მალალმა ღმერთმა წაკიდა,
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ ალმასები დაკიდა.
შიე ჩასსა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წეალობას დაპირდა[56].

ამასთანავე ქართველთა ჯარმა ხელთ იგდო ყარსი. ამის შემდეგ ძლევამოსილი საქართველო შიშს ჰბერიდა მტრებს.

თამარმა მტერთაგან გაათავისუფლა სომხეთის ქალაქი ანისიც. 1210 წელს მოუწოდა „ყოველთა წარჩინებულთა იმერთა და აჭერთა“ და გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ. ქართველთა ჯარმა ძლევამოსილი ბრძოლებით დაამარცხა თავაშვებულ მუსულმანთა მფლობელები, აიღო ქალაქები: მიანა, მარანდა, თავრიზი, რომგური — ხორასანი და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა.

ამრიგად, საქართველო ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა ახლო აღმოსავლეთში...

თამარის ლეგენდური გამარჯვებები, მტრის დამარცხება, მუდმივი გამარჯვების რწმენა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ასეა გამოხატული:

პონტოს ზღვით ეურგანის ზღვამდე,
ამერით ხაზარეთამდე,
თვით გელაქუნი ჩრდილოთ კერძ,
მპყრობელი სულ ყივჩაღამდე[57].

„დედა ქართლისა — თამარმა“ ძლევამოსილი გამარჯვებით ადიდა ჩვენი ქვეყანა.

დაუღალავი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შედეგად თამარი დაავადმყოფდა; მისი ჯანმრთელობა შეირყა. „დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო“, რის გამოც „წარიყვანეს აგარათა ციხესა“. ავადმყოფობა თანდათან გაურთულდა. და რამდენიმე თვეში „აღესრულა მზე ქართლისა“[58] — თამარ.

ხალხური ეადმოცემით,

ანდერძი ნახეს მეფისა,
თამარის დატოვებული!..

ამ ანდერძში თამარი წერდა:

პქენითო სამი კუბონი,
თვალ-ოქროთ გამშეკნებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა,
ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში,
არ მყონ თათართა ენებული"[59].

ძველ ქართულ ისტორიკოსთა ცნობით, თამარი დაკრძალეს გელათის დიდებულ ტაძარში, „სამკვიდრებელსა მეფეთასა", „სამარხოსა პატიოსანსა"[60].

ი. ჯავახიშვილი თამარის შესახებ წერს: „საქართველომ დაჰკარგა დიდებული მეფე და მოამაგე, თავისი საუკეთესო მშვენება და სიამაყე. იგი თუმცა ქალი იყო და მეუღლე ჰყავდა, მაგრამ ნამდვილი ქვეყნის გამგე იყო. სახელმწიფო მართვა-გამგეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა და სახელმწიფოს საჭე მტკიცედ ეპყრა ხელთ. თამარმა სამეფო განუხეთქელად დაიცვა, ყოველნიენ შეიტკბნა და მშვიდობა ჰყო ყოველთათვის. მასში შეერთებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე განურისხებელი გული... იგი არ ამტკიცებდა ისეთ განაჩენს, რომლითაც დამნაშავე სიკვდილით, თვალთდაბნელებით ან ასოთ ამოღებით უნდა დასჯილიყო. ამ იშვიათ მეფე-ქალმა საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელები მოსპო"[61].

თანამედროვეთა დასასიათებით თამარი იყო, ბრძენი, კეთილი, სათნო, ღარიბ-ღატაკთა დამხმარე, მხნე, მშრომელი, მაღალგონიერი და შორსმჭვრეტელი, გამგებელი.

თამარის განდიდება ძველთაგანვე დაიწყეს. მისმა თანამედროვე ისტორიკოსებმა ვრცლად და შინაარსიანად აღწერეს თამარის მეფობის ამბები თხზულებებში — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი". ქართველმა კლასიკოსმა მწერლებმა ჩახრუხაძემ, შავთელმა და რუსთაველმა უკვდავების დიდებით შემოსეს ამ ღირსშესანიშნავი მეფე-ქალის სახე.

ჩვენს ქვეყანაში ბევრგან არის თამარის შემოქმედების ნაკვალევი: ერთგან მისი ბრძანებით აშენებული ეკლესიის ნანგრევებია, სხვაგან — ჯლდეში გამოკვეთილი ციხე-ქალაქი თუ მონასტერი[62]; აგერ, გზად გაელილ დედოფალს ცივი წყალი შეუსვამს, ქოშები დაუწმენდია; ბა-

ზალეთის ტბის ფსკერზე ჩაუდგამს ოქროს აკვანი ჩვილი ჭაბუკით, მხსნელად რომ უნდა მოევლინოს ქართველ ხალხს; ხელის უბრალო შეხებით მომაკვდავებს კურნავდა, ხოლო გაიღვრებული ლომის ბოკვერი მის წინაშე ფინიასავით უვნებელი და მოალერსე ხდებოდა... და ასე მისდევს ერთმანეთს სიმართლე თუ ლეგენდა, ზღვარწაშლილი და ერთმანეთში გადახლართული.

თამარი გაიდეალებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. ქართველი მთიელები მას თაყვანს სცემენ, როგორც შეუდარებელ, შორსმჭვრეტელ დიპლომატსა და გონსწავლულ პიროვნებას.

ვის არ გაუგონია, საქართველოში შეგვიანებული მგზავრი რომ შემოსძახებს ურეულის ხმაზე:

ნეტა რა არის მისთანა,
ამოპაული მზისთანა
ჩეფე თამარ-ქალისთანა,
ტაძარი გელათისთანა.

მაშინდელი საქართველო დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც მოიცავდა მთელ ამიერკავკასიასა და წინა აზიის საგრძნობ ნაწილს — მრავალმილიონიანი მოსახლეობით. მის ერთადერთ უმაღლეს მმართველს თამარს სიკვდილამდე მტკიცედ ეჭირა სახელმწიფოს საჭე.

თამარი იძლეოდა შრომის, გამრჯელობისა და ქველმოქმედების მაგალითს. მემატიანის თქმით, როგორც კი სახელმწიფო საქმეებიდან განთავისუფლდებოდა, ხელსაქმეს იწყებდა, რომ აქედან აღებული ფულით ქვრივ-ობლებსა და დავრდომილებს დახმარებოდა.

მხოლოდ „თამარიანი" და „ვეფხისტყაოსანი" რომ შემოენახა საქართველოს ისტორიას, მაშინაც კი სამარადჟამო იქნებოდა თამარისადმი თაყვანისცემა ქართლოსის ნაშიერთათვის. აშკარაა, რომ ქართული პოეზიის ორივე ეს შედევრი თამარის პიროვნების გაელენით იწერებოდა, ჩახრუხაძე და რუსთაველი არც კი ცდილობენ ამის დამალვას და შესავალშივე შველად უხმობენ ფილოსოფოსებს, მოკრძალებით, მაგრამ ბეჯითად აცხადებენ: „თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსაო".

ხალხის წარმოდგენაში თამარი უფრო დიდი და მიუწვდომელია, ისტორიკოსის დახასიათებით თამარი „სანთელი იყო გონიერთა და უგუნურთა, პირველთა განმანათლებელ და მეორეთა დამწუველ. აღვირი იყო უწესოდ მკრთომელთა და დეზ უდებთათვის; კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა და კვერთხი რკინისა ჭაბუკთათვის; კეთილმავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორგალეთა თვალ-უხვავად მგეემელ"[63].

თამარმა პაპისა და მამის მიერ ნაანდერძევი ქვეყანა გააფართოვა

შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ჩრდილო კავკასიიდან სპარსეთის აზერბაიჯანამდე და არზრუმამდე. ვაჭრობის განვითარების მიზნით გაიყვანა გზები, ააშენა ხიდები, ქარვასლები და სასტუმროები. ქართლში თამარის დროს ვაჭრობა დიდად განვითარდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების მიჯნაზე მდგარი თბილისი დიდ საავაჭრო ცენტრად ვადაიქცა.

თამარი იღვწოდა განათლებისა და მწიგნობრობის აყვავებისათვის; გელათი ქართული ფილოსოფიური მწერლობისა და სწავლა-აღზრდის უმნიშველოვანესი კერა გახდა. განვითარდა სასულიერო და საერო მწერლობა.

ქართველი მელექსენი თამარის საქებ-სადიდებლად აკროსტიქებს თხზავდნენ, ხოტბას ასხამდნენ მას უცხოელი პოეტები და აშუღები, მის სახელს სასოებით იხსენიებდნენ კავკასიის მთიელები, სომხები, აზერბაიჯანელები, სპარსელები, თურქები, ფრანგები და სხვები. თამარის მშვენიერებით, სიბრძნით, ნიჭითა და სიკეთით მოხიბლული იყვნენ ბერძნები, ინდოელები, არაბები, ხორასნის, მისრეთის, იკონიისა და სხვა ქვეყნების სულთნები[64].

თამარი დიდ ყურადღებას აქცევდა ღარიბ-ღატაკებს. უძლურთათვის მართავდა თავშესაფარს, მონებსა და ტყვეებს აძლევდა თავისუფლებას.

თამარი საკუთარი შრომითა და საჩუქრით ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს; მისი ქველმოქმედებისა და სამართლიანობის წინაშე ქედს იხრიდნენ მეზობელი ქვეყნებიც. — „თამარ დავრდომილთა ლმობიერი იყო, ობოლთა და ქვრივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა". თამარის წინაშე მორჩილებით მოდიოდნენ: „განჯელნი და ნახჭევნელნი".

ქართველი პოეტები თამარის ღვაწლს განიხილავენ ხალხური პოეზიის ნიმუშებთან და ქართველი ხალხის აზრთან უშუალო კავშირში.

იოანე შავთელი თამარს მიმართავს:

> თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა,
> მშიერთა პური, უსახლთ სართული,
> მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა,
> შიშველთ სამოსლად მონიჭებული,
> მოხუცებულთა, შრომით რებულთა
> სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი (63, 1 — 3)[65].

თამარს, როგორც შეუდარებელი სილამაზისა და მშვენიერებით მოსილ ქალს, აღტაცებაში მოჰყავდა ყველა ქვეყნის რჩეული ვაჟკაცები[66].

ჩახრუხაძეს კარგად აქვს აღწერილი თამარის გარეგნობა და სულის სიმშვენიერე:

> თამარ წყნარი-შესაწყნარი,
> ხმა ნარნარი, პირ მცინარი,

ძზე ცინარი, სარინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი,
მისთეის ქნარი რა არს? — ქნარი,
არსით მთქნარი, უჩინარი.
ეარდ-შამნარი, შამბ_ბაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი... (III)
სიუხვეით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი,
ძდაბლად მოწყალე, ჭერეტად ნარნარი (II, 9)[67].

იოანე შავთელი თამარის ქება-დიდების სათქმელად იწვევს ფილოსოფოსებსა და ბრძენ პოეტებს:

შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენნო,
თამარს ეაქებდეთ, მეფედ ცხებულსა... (I, I, 2).

და იქვე დასძენს:

ძე ადამისი, მსგავსად ამისი
ეისცა ეხილვონ მაცნობ, სად არი?
ღმერთმან სამოთხით, მოგვცა სამ-ოთხით
ეთერ ბრწყინვალე, მზეებრ სადარი,
აღმოსავლეთათ და დასავლეთით
საძხრეთ ჩრდილომდის პპოონ, სად არი
ზესკნელ ქვესკნელით და გარესკნელით
უკანასკნელათ უფსკრულთ სადარი? (2)

ასევე ჩახრუხაძე მოუწოდებს თამარის ქების სათქმელად ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს, ღვთისმეტყველებსა და პოეტებს:

მო, ფილოსოფონ, სიტყვითა არსნო,
თამარს ეაქებდეთ გულისხმიერსა!... (I)[68]

შოთა რუსთაველმა თამარს უძღვნა უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი", სადაც პოეტი მოუწოდებს თავის თავს და სხვებს: „თამარს ეაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული, ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არავად გამორჩეული", და შესთხოვს უმაღლეს ძალას: „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება, — ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს მივსცე გონება"[69].

ხალხური სიტყვიერება თამარისა და შოთა რუსთაველის სიყვარულის შესახებ გადმოგვცემს: უცხოეთიდან დაბრუნებულმა შოთამ ლექსების წერით სახელი გაითქვა. თამარ მეფის პატივსაცემად დაწერა „ვეფხისტყაოსანი" და მიართვა. თამარ მეფეს პოემა ძლიერ მოსწონებია და პოეტი დაუსაჩუქრებია.

გადმოცემით, შოთა თამარს ხშირად ნახულობდა, გამიჯნურებია კიდეც, მაგრამ რადგან მათ შორის წოდებათა სხვაობა იყო და სიყვარული არ შეიძლებოდა, თამართან მისულმა აიღო მუჭით მიწა, სამჯერ

აკოცა მას და საქართველოდან გასვლის წინ საყვარელი ქალის მისამართით წარმოსთქვა ლექსი:

თამარ, ლამაზო ყვავილო,
სურნელოვანო იაო,
ნილამაზე და სიტურფე
ეზისავან აგიღიაო.
ნეტავი შენსა მეჯრეტელსა, —
მე ბეერჯერ მინატრიაო.
ცხრა ეზით ვეწამე, მე შენთვის
ღირსება დამითმიაო[70].

რუსთაველი გასცლია მშობლიურ ქვეყანას.

XII და მომდევნო საუკუნეების ისტორიკოსებისა და მხატვრული საისტორიო სიტყვიერების ოსტატთა მიერ თამარის პიროვნების ლამაზ სახეებში აღწერას კიდევ უფრო ღიდ შეფასებას აძლევენ და პოპულარულს ხდიან მომდევნო საუკუნეების ისეთი საპატიო წარმომადგენლები, როგორიც არიან არჩილ მეფე და ანტონ კათალიკოსი, რომლებმაც „თამარ ღვთისა სწორის“ შთაგონებით შექმნეს პოეზიის უკვდავი ნიმუშები.

ფრიად განსწავლული და ქართველი ერის გმირული წარსულის ღრმად მცოდნე მეფე პოეტი არჩილი (1647 — 1713) პოემაში „თეიმურაზიანი“ ანუ „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, „დედა ქართლისას — თამარს“ ეხმაურება, როგორც სახელოვანი წარსულის უდიდეს გმირს:

როს თამარ, დიდი ხელმწიფე, სრულ ხმელთა პირსა ნათობდა,
სხვათა მნათობდა უმჯობე, მზესა მით ეკამათოდა...
მძლეველი ძლლავრთა მეფეთა, დამამხობელი მათო და...[71]

კათალიკოსი ანტონ პირველი (1720 — 1788) თავის „წყობილ სიტყვაობაში“ წერს: „თამარის საქმენი ჩანან ღვთის შორის“, ნიადაგ იცოცხლებენ ჩვენსა და ჩვენს გარეშეთა „ბრძენთა ბერძენთა, სომეხთა, სირთა, სპარსთა“[72]. სხვათა შორის ანტონი აღფრთოვანებულია ბასიანის ბრძოლით და მასში ქართველთა მონაწილეობით, რომლებსაც თამარი ხელმძღვანელობდა.

XIX და XX საუკუნეების კლასიკური ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ვასილ ბარნოვმა და სხვებმა „თამარ მნათის“ ნაყოფიერი მოღვაწეობის შთაგონებით შექმნეს ლიტერატურის უკვდავი ნიმუშები.

ის გარემოება, რომ თამარ მეფეს ხალხის უსაზღვრო პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, აშკარად ლაპარაკობს, თუ რა სიმაღლისათვის მიუღწევია მას, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელს.

ძველი საქართველოს ზოგიერთი სახელმწიფო მეთაური არა მარტო მფარველობდა მწერლობას, არამედ თვითონაც მწერალი იყო. ჩვენმა ისტორიამ შემოგვინახა ამგვარ მოღვაწეთა რამდენიმე ღირსსახსოვარი სახელი, რომელთა შორის აღსანიშნავია თამარ მეფე. მას მიეწერება რამდენიმე იამბიკო. თამარის იამბიკოები გამოაქვეყნა და შინაარსობრივად შეისწავლა პ. ინგოროყვამ[73]. მათგან ზოგი იამბიკო შეიძლება თამარს არ ეკუთვნოდეს, მაგრამ ქართველთა საყვედრებელი „იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად" უეჭველად თამარის დაწერილია 1195 წელს ქართული მხედრობის მიერ შამქორთან სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების შედეგად და ჩართულია „ისტორიათა და აზმათა" ტექსტში; მისი ავტორი დასახელებულია თვით ლექსის ერთ-ერთ ტაეპშიც ასე:

მე, თამარ, მიწა შენი და მიერიეე,
ცხებულობასა ღირს-მყავ და თვისობასა[74].

პოეტურ მემკვიდრეობასთან ერთად აღსანიშნავია თამარის მიერ წარმოთქმული სიტყვები, რომლებშიც იგრძნობა დიდი ორატორული ოსტატობა.

„ისტორიათა და აზმათა" ავტორი საჭიროდ თელის აღნიშნოს თამარის „სიტყვის სინარნარე" და „ზრახვისა სიმკვეთრე". ამ მხრივ საყურადღებოა სრულიად საქართველოს სახელმწიფოს საეკლესიო კრებაზე წარმოთქმული სიტყვა[75]. მისი შინაარსი გადმოცემული აქვს ისტორიკოსს და ვრწმუნდებით, რომ თამარს ბრწყინვალე ორატორული ნიჭი ჰქონია.

თამარი იყო წერითი მეტყველების შესანიშნავი ოსტატიც. ამის საუცხოო დადასტურებაა რუქნადინისადმი მიწერილი მისი პასუხი. იგი ციტატის სახით ჩართულია „აზმათა" ტექსტში და მშვენივრად გვაგრძნობინებს თამარის ზრახვის სიმკვეთრეს და უძლეველობის მტკიცე რწმენას.

საინტერესოა სიკვდილის პირას მისული თამარის გამოსათხოვარი სიტყვა ერის წინაშე. აქაც გამოსჭვივის მისი მახვილგონიერება და ძარღვიანი სიტყვის ძალა. მომაკვდავი მეფე მიმართავს სამეფო კარის დიდებულებს:

„ბძანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინელესისა უფროს მეფეთა ქვეყანისათა, რომელმან მიუხვნის სულნი მთავართანი. თქვენ ყოველნი თვით მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქვნდა სიყვარული თქვენი, და სარგებელსა და სათნოსა თქვენსა არა დავაკლე თვითეულისამებრ არზანგისა,

ვიდრემდის განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქვენ ზედა მეფედ. აწ მეცა წარვალ მამათა ჩვენთა თანა გზასა ჩემგან უცხოსა, ბრძანებითა საშინელითა და განყოფითა საკვირველითა. გევედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილისა შინა იყვნეთ მახსენებელ ჩემდა. აჰა, ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტევებ რომელნი მომცნა ღმერთმან შვილნი ჩემნი. გიორგი და რუსუდან: ეგენი მიიხვენით ჩემ წილ და მაგათ აღმოგიესონ დაკლებული ჩემი"[76].

აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში თამარის საზრუნავი იყო საქართველოს ერთიანობა და მისი შენარჩუნება.

## თამარ ბაგრატიონი

თამარ დედოფალი (1224 — 1277) იყო თამარ მეფის შვილიშვილი, რუსუდან დედოფლისა და არზრუმის სულთნის ტოღრილის შვილის მოღლის ეღინის ასული. „დედამ ახლად დაბადებულს უწოდა სახელი სანატრელისა ღედისა მათისა თამარ"[77].

რუსუდანმა იქორწინა 1223 წელს, ხოლო ასული ერთი წლის შემდეგ შეეძინა. მცირეწლოვანი თამარი (13 წლის) განსაცვიფრებელი სილამაზის ყოფილა. იგი მოსწონებია ჯალალედინის ძმას, ყიასდინ ქაიხოსრო მეორეს. ყიასდინი მზად იყო თავისი სარწმუნოება უარეყო და ქრისტიანობა მიეღო, ოღონდ თამარი გაყოლოდა ცოლად. იგი ქალის მშობლებს დიდ მზითევს ჰპირდებოდა. რუსუდან დედოფალი დათანხმებულა ყიასდინის დამოყვრებაზე იმ პირობით, თუ თამარს სარწმუნოებას შეუნარჩუნებდა[78].

ქართველ დიდებულებს სურდათ ამ შეუღლებით ორი ქვეყნის—საქართველოს და იკონიის სასულთნოს დაახლოება[79].

ი. ჯავახიშვილი იმოწმებს არაბულ ქრონიკას და დასძენს: „თამარის ქმარს, ყიასდინ სულთანს ისე გაგიჟებით ჰყვარებია თავისი ცოლი, რომ ფულებზე მისი სახის გამოსახვას აპირებდა. მაგრამ ამის მაგიერ მისი თანამეცხედრის დასაკმაყოფილებლად და ბედნიერების ნიშნად ლომის ზევით მოთავსებული მზის გამოსახვა ურჩიეს"[80].

იკონელებსაც დიდად მოსწონდათ თავიანთი რძალი — თამარ ბატონიშვილი, რომელსაც გურჯი-ხათუნს უწოდებდნენ, აღფრთოვანებული იყვნენ მისი სილამაზით, სტუმართმოყვარეობით, ცოდნა-განათლებით. ჭკუა-გონებით, პოლიტიკური გამჭრიახობითა და სახელმწიფო საქმეების ცოდნით.

მოგზაური გუილიომ რუბრუკვისი, რომელიც 1254 წლის ახლო ხანს იყო სელჯუკთა სატახტო ქალაქ კონიაში, მონგოლებთან მოგზაურობიდან დაბრუნებული, ყიასდინისა და მისი მეუღლის — თამარის

შესაბებ გადმოგვცემს: „სულთანს, რომელიც თათრებმა დაამარცხეს, კანონიერი ცოლი ჰყავს იბერიიდან; ამ ქალის ხელში მას ერთი საამიად ძაბუნი ბავშვი ეყოლა, ეს უკანასკნელი სულთანი გახდება შემდეგ"[81].

ამავე მოგზაურის ცნობით, კანონიერ მემკვიდრეს თურმე ყიასდინის მეორე ვაჟი (ბერძენი ქალისაგან) წინასწარ ეცილებოდა ტახტს და თავისი ძმისაგან (თამარის ძისაგან) თითქოს დაპირებაც კი მიუღია. „მაგრამ ყველა მისი ნათესავი დედის ხაზით, იბერიელები ანუ ქართველები, აღშფოთებული იყვნენ ამის გამო. ისე რომ თურქეთში ამჟამად ბავშვი მეფობს და მას ფულიც აკლია და ჯარისკაცებიც, მხოლოდ მტერი ჰყავს ბევრი"[82].

აკად. ვ. გორდლევსკის ცნობით, „თამარის ეს ძე უნდა იყოს შემდეგში რუმის სულტანი ალაედინ კეიკუბად მეორე"[83].

როგორც ა. გაწერელია წერს: „თამარ დედოფლის ცხოვრება იკონიაში კიდევ არა ერთი დრამატული ეპიზოდით უნდა ყოფილიყო აღსავსე. ეს ის დროა, როცა მისი მეუღლე მონგოლებთან ბრძოლებშია გაბმული და მათგან დამარცხებული, იძულებულია იმაქვ მონგოლებს ეახლოს და შეწყნარება ითხოვოს"[84].

როდესაც თამარ ბატონიშვილის მეუღლე ყიასდინ სულთანი გარდაიცვალა, სულთნობა მიიტაცა მისმა მონაყოფილმა ფარმანმა და მანვე ცოლად დაისვა თამარი — გურჯი-ხათუნი. ისტორიკოსი წერს: „მონასა მისსა ფარმანს მიეტაცა სულტნობა, და ცოლიცა მისი, ასული რუსუდანისი გურჯი-ხათუნ მოეყვანა ცოლად"[85].

აკად. ვ. გორდლევსკი გადმოგვცემს: „იკონიის განაწამებ დეღოფალ თამარს არასოდეს არ გაუწყვეტია ახლო კავშირი იკონიის ქრისტიანულ წრეებთან. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თვითონ ყიასდინიც არ ყოფილა მორწმუნე — მუსულმანი, ხოლო მის ერთ-ერთ შვილს ათეისტადაც კი რაცხდნენ"[86].

როგორც ჩანს, — წერს ა. გაწერელია, — ულამაზეს და „სრულქმნილ" თამარ ღედოფლის სულიერ და გონებრივ სიდიადეს ნათლად მოწმობს მისი და მისი ძის მეგობრობა მთელი აღმოსავლეთის უდიდეს პოეტ ჯელალ-ედ-დინ რუმთან (1207 წელს დაბადებულა, ხოლო ამავე საუკუნის 80-იან წლებში კიდევ ცოცხალია).

თამარ ღედოფალი იკონიაში მდიდრად და ბრწყინვალეღ ცხოვრობდა, რაც იქიდან ჩანს, რომ ერთხელ 180 ათასი დინარი გადაუხდია ძვირფასი ბადახშის საფასურად.

იკონიის სახელმწიფოს ისტორიკოსი ეფლიაკი გადმოგვცემს, რომ: „სულთანი რუქნადინი კილიჩ არსლან IV (რომელიც დაახრჩეს აქსარაში), ითვლებოდა ჯელალ-ედ-დინის მამად. მისი დედა იყო ქართველი ქალი — თამარი, რომელიც იყო ცოლი სულთან ყიასდინ ქაიხოსრო მე-

ორისა; ჯელალ-ედ-დინ რუმს განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდა. მან დაახატვინა მისი პორტრეტი და როცა იკონიიდან მიდიოდა, ეს პორტრეტი თან დაჰქონდა; მან გადაიხადა დიდი თანხა (ორი ათასი თუმანი ოქრო), რომ ხელში ჩაეგდო მისი ხალათი". თამარის ეს დავალება შეუსრულებია რუმის მხატვარს აინდუნდულეს.

ასეთი ბვირფასი ყოფილა ჯელალ-ედ-დინ რუმი იკონიის დედოფალ თამარისათვის, რომელსაც პოეტის — მოძღვრისა და სუფი — დევიშის ღარიბული შალის ხალათი უძვირფასეს რელიკვიად მიუჩნევია[87].

საინტერესოა ჯელალ-ედ-დინ რუმის საპასუხო მეგობრობა თამარ დედოფალთან. ავტორის თქმით „გურჯი-ხათუნი (ქართველი ქალი) მოხიბლული იყო ჯელალ-ედ-დინ რუმით, რომლისაგან საჩუქრად მიიღო ჯადოსნური ყვავილები"[88].

თამარ ბატონიშვილის ცხოვრება მხატვრულად აღწერეს ქართველმა მწერლებმა გრიგოლ რჩეულიშვილმა („თამარ ბატონიშვილი"), რაფიელ ერისთავმა („თამარიანი") და სიმონ გუგუნავამ („თამარიანი"). მათ თავიანთ ნაწარმოებებში ისტორიულ სინამდვილესთან შეპირისპირებით მოგვეცეს თამარის, დავით გიორგის ძისა და იკონიის სულთნის ყიასდინის მხატვრული პორტრეტები.

ამ წინდახედულ, შორსმჭვრეტელ და ჭკუა-გონებით ცნობილ მანდილოსანს, რომელმაც ერზინკის სასულთნო საქართველოს დაუმეგობრა, უცხო ქვეყანაში თავისი რჯულისა და დედაენის, ქართველი ხალხისა და ქართული მიწა-წყლის დიდი პატივისცემა ჰქონია.

თამარის გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია. ვიცით, რომ 1277 წელს მისი მეორე მეუღლე ფარმანი მონღოლთა ნოინებმა მოკლეს. თამარი ამ დროისათვის ცოცხალი იყო, მაგრამ შემდეგ რა ბედი ეწია მას, გაურკვეველია.

## სალომე ქართველი

დაახლოებით XIII საუკუნის დასასრულს ქრისტიანული სარწმუნოების არ დატევებისათვის მუსულმანებს უწამებიათ ქართველი ქალი, რომელსაც სალომე რქმევია. მისი სახელი მოხსენიებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში: „ამასვე დღესა წამებაი სალომე ქართველისაი, რომელი პირველ შესცდა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო, ამისა შემდგომად კვალად აღიარა სარწმუნოებაი ქრისტესი, და წარეკვეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაი მისი"[89].

მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი წიგნში „მიმოსვლა" სალომე ქართველის წამების შესახებ გადმოგვცემს: „ქ. ივლისსა კ. (20). მუნ წამებულა წმიდა მოწამე სალომე, რამეთუ შეუპყრიესთ უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდნენ რა, განბასრა სარწმუნოე-

ბა და მათი მხნემან მან. ამისა შემდგომად ცეცხლითა და მახვილითა უწამებიათ სანატრელი იგი"[90]. იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში" მოგვითხრობს: „წმინდა მოწამე დედა სალომე ქართველი აწამეს იერუსალიმსა შინა თათართა, რომელიცა შეიპყრეს და აიძულებდეს დატვევებად სჯულისა და, ვითარცა მტკიცე ადამატი, ეგო შეურყეველად. მაშინ მრავალგვარნი სატანჯველნი მიაპყრნეს წმიდასა მას. გაზებითა ხორცისა გლეჯა და ცეცხლითა წვა ნაწევართა მისთა. და ამით რა ვერა სძლეს წმიდასა მას, უკანასკნელ მახვილითა წარკვეთეს წმიდა თავი მისი, რომელსა დღესასწაულობენ ბერძენნი თვესა ივლისის 20-სა"[91].

სხვა ცნობები სალომე ქართველის შესახებ არ შემონახულა.

მოსახსენებელი ეკუთვნის XIII საუკუნის პირველ მეოთხედს; ჩაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია მოსახსენებელნი ლაშაგიორგისა, შერგილ დადიანისა და მათთა მახლობელ პირთა.

„სალომე XIII საუკუნის II ნახევრის მოღვაწე ყოფილა, ხოლო უწამებიათ იგი ამავე საუკუნის დამლევს"[92].

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ ან რა გვარის იყო სარწმუნოებისათვის ეს თავდადებული ქალი და რატომ იმყოფებოდა იერუსალიმში.

## ვახახი ჯაყელი

ქართველი ქალების თავდადება მარტო მტრის წინააღმდეგ ბრძოლით არ იფარგლებოდა. ისინი მტრისაგან დარბეული, სრულიად დაცლილ და დამშეულ ქვეყანას დიდ დახმარებას უწევდნენ.

XIV საუკუნის პირველ წლებში სამცხე-კლარჯეთის მთავარმა ბექა ჯაყელმა და მისმა ცოლმა ვახახიმ ქართლ-კახეთის მცხოვრებლები იხსნეს შიმშილით განადგურებისაგან. აი, რას მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი:

მტრების შემოსევების გამო ქართლ-კახეთში ხუთი წლის განმავლობაში ვერც მოხნეს და ვერც მოთესეს, რადგანაც „აქა ხუთ წელთა იყო ოხრება... ვიქმენით მიცემულ პირველად მწარესა ტყვეობასა და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრვასა და ხოცასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოებოდა სასყიდლად, არცა დიდითა ფასითა. ესოდენ განძვინდა შიმშილი, რომელ მძორსა არა-წმიდასა ურიდად ჭამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი, გზანი, მინდორნი და ქალაქნი, და სოფელნი მკვდრებითა. ყრმანი მკვდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვდიან, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქვეყნად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდლად. ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა შინა იყო მეუღლე ბექასი ვახახი, რომელი იყო ყოვლითურთ შემკობილი"[93].

ან კიღეე: „გარნა ესეოდენთა შლილობათა არა იყო საქართველოსა შინა თესვა და მკა. და უმეტესნი მოწყდებოდნენ გლეხნი შიმშილითა და უმეტესნი წარვიღოდენ სამცხეს და გამოზრდიდა მათ ბექა და მეუღლე ვახახი"[94].

ამ ჭკვიან, გულუხვსა და „ფრიადისა და უზომოსა", მოწყალების მქონე მანდილოსანს აღუზრდია საქართველოს მეფე გიორგი V (1299 — 1314 წწ), რომელსაც ხალხმა ქვეყნისა და ერისადმი დიდი დამსახურებისა და თავდადებისათვის „ბრწყინვალე" შეარქვა.

ვახახი ჯაყელის ცხოვრების სხვა მხარეები ჩვენთვის უცნობია. ვიცით, რომ ის და მისი მეუღლე ბექა ერთსა და იმავე დროს — 1307 წელს გარდაცვლილან.

## ქვაბთახევის ფამეგულნი

თემურ-ლენგ სამარყანდელმა (1381 — 1404 წლები), შთამომაელობით თურქმა, საქართველო რამდენჯერმე დაარბია. ცეცხლითა და მახვილით ქართლი ექვსჯერ შემუსრა, დაანგრია, ნაცარტუტად აქცია ქალაქები და სოფლები, დახოცა ადამიანები. ამის მიუხედავად თემურმა ვერ გატეხა ქართველი ხალხის ნებისყოფა, ვერ დაიმორჩილა სამშობლოს მოყვარული ქართველობა. ვინც ამ პერიოდის საქართველოს წარსულს თვალს გადაავლებს, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოვიდეს მაშინდელი ქართველი ქალების უმაგალითო სიმტკიცით, სულიერი და ზნეობრივი სიდიადით. წარუშლელია მათში მამულისადმი თავდადებული სიყვარული და პატივისცემის გრძნობა. საამაყოა მათი გმირული თავგადასავალი, რომელსაც მოგვითხრობენ ისტორიული და ხალხური წყაროები.

თემურ-ლენგის შემოსევების დროს (XIV საუკუნის ბოლოს) ხასიათის სიმტკიცე და დიდი ნებისყოფა გამოუჩენიათ ქვაბთახევის მონასტერში მყოფ მანდილოსნებს. მათი რწმენა დამპყრობლებს ვერ შეუცვლიათ ვერც მუქარით, ვერც მოფერებით. როგორც გადმოგვცემენ, მონღოლთა შიშის გამო ქვაბთახევის მონასტერში მონაზონ ქალთა გარდა, შეხიზნული ყოფილან თავად-აზნაურთა ცოლებიც.

თემურ-ლენგმა 1393 წლის შემოსევისას იავარყო „ტფილისი და სრულიად ყოველივე სანახებნი ქართლისანი"[95]. ხოლო ქვაბთახევში ჩასულმა მრავალი ბოროტი საქმე ჩაიდინა, ბრძანა ეკლესიის „ცეცხლითა დაწვა და დარღვევა, რამეთუ შინაგან ტაძრისა მის შელტოლვილ იყვნენ ყოველნივე მუნ მყოფნი, წმიდანი მღვდელნი, დიაკონნი და ფიჩოსანნი, მღვდელ-მონაზონნი, გლახაკნი და უღონონნი, დაერდომილნი, და დედანი მონაზონნი, რომელნი მდგომ იყვნეს აზნაურთა და თავადთა ასულნი და დედანი"[95].

ნგრევისა და ხოცვისაგან დაქანცულმა მტერმა ქვაბთახევის მონასტერში შეხიზნულნი „ბონაზონნი გამოიყვანნა და შეასხნა სამეჩანგო ბესასხელნი, და დაკიდა ეჟუანნი და ზარნი ფერხისა დააბმევინა, ათამაშა და ამღერა“[97].

თემურ-ლენგმა შეპყრობილებს უბრძანა ქრისტეს რჯულის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოეღოდათ საშინელი წამებით სიკვდილი. მტარვალი ფიქრობდა, ასეთი ველური მოქმედებით გატეხდა ქართველ ქალთა ნებისყოფას, მაგრამ მოტყუვდა. ქალებმა შეინარჩუნეს სარწმუნოებრივი სიმტკიცე. მაშინ ხელფეხშეკრულები ეკლესიაში შეყარეს. მათი ხმა „ვაებისა და ოხრებისა ისმოდა ვითარცა ქუხილი ცისა“[98].

კათალიკოს ანტონ პირველის თქმით, მტარვალმა მოატანინა შეშა და „შეჰყრიდეს კარებთა და ფანჯრებთაგან, და დააზვინეს ძლიერად და მაღლად, და მერმე დასხმულ—ჰყვეს ნავთი და შეუდეს ცეცხლი და ალი იგი ცეცხლისა აღვიდოდეს გუმბათით“.

ეს შემაძრწუნებელი ამბავი, რომლის წაკითხვა და მოსმენა გვაღელვებს, ქართველმა მემატიანეებმა მოგვითხრეს[99]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი მონასტერში დახოცილ ქალთა შესახებ ამბობს: „ხოლო დამწუარნი იგი წმიდათა გუამთა მათთა აჩრდილნი ვიდრე დღეინდლად დღემდე მსგავსად კაცთა სახედ იხილვების იატაკსა მას შიგან წმიდისა ტაძრისასა“[100].

ამ მონაზონ ქალთა წამების ისტორია ვრცლად აღწერა კათალიკოსმა ანტონ პირველმა ნაშრომში „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ენებათა წმიდათა მოწამეთა დიდთა, რომელნიცა ბრძანებითა უღმრთოისა თემურ-ლენგისა და ლაშქართა მისთაგან დაიწუნეს ეკლესიასა შინა მონასტერსა დედის ღუთისასა ქვაბთა-ხევს“, რომელიც მოთავსებულია მის მარტიროლოგიურ თხზულებათა კრებულში („მარტირიკა“). 1882 წელს ანტონის ეს თხზულება მ. საბინინმა გამოაქვეყნა „საქართველოს სამოთხეში“.

## რუსა ამირეჯიბი

რუსა ამირეჯიბი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIV საუკუნის მეორე ნახევარსა და XV საუკუნის პირველ მეოთხედში, იყო მეფე ალექსანდრე პირველის ბებია (დედის დედა), მისი უშუალო აღმზრდელი და ხელმძღვანელი. რუსამ შვილიშვილს ჩაუნერგა საუკეთესო თვისებები ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ალექსანდრე მეფე თავისი აღმზრდელის (ბებია რუსას) შესახებ გადმოგვცემს: „ბებიისა ჩემისა ჩემზედა მრავალფერად ვალდებულებისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათვის“[101].

რუსამ უდიდესი დედობრივი და სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გამოიჩინა შვილიშვილისადმი, ბავშვობიდანვე შეასწავლა ზრდილობიანი თავდაჭერა, ჩაუნერგა დიპლომატური ჩვევები, ქვეყნისა და ხალხის სიყვარული; — იგი სიკვდილამდე აღზრდილის ერთგული დარჩა.

რუსა ყოფილა არაჩვეულებრივი პიროვნება, დიდი მხნეობისა და ნებისყოფის პატრონი, ნამდვილი სახელმწიფოებრივი, უნარიანი ადამიანი. თემურ-ლენგის მიერ გადამწვარ და აოხრებულ ქვეყანაში პირველმა მან გამოიჩინა ნამდვილი მამაცური მხნეობა და შორსმჭვრეტელობა: მრავალგვარი გაჭირვებისა და დაბრკოლების მიუხედავად ხალხს მისცა განახლებისა და, რაც მთავარია, აღმშენებლობის გამამხნევებელი მაგალითი იმ დროს, როდესაც ქვეყანა „უსჯულოსა თემურის" ველური შემოსევის შემდეგ „უნუგეშინის ცემოდ განსრული" იყო, საქართველოს დიდებული საყდრები და ციხე-ქალაქები დანგრეული და ურიცხვი სოფელი გადაბუგული; როცა „მუდმივი ტყვენვა და რბევა იყო საქართველოსა"[102].

ხანშიშესულ მანდილოსან რუსა ამირეჯიბს გული არ გაუტეხია და შეუდგომია ბარბაროსთა ხელით დანგრეული ქართული ხელოვნების მშვენიერი ძეგლის სვეტიცხოველის აღდგენას: „გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სვეტთა საყდრისათა". ის, ალბათ, ოცნებობდა იმ ბედნიერ დროზე, როდესაც დიდი შრომის დაგვირგვინებას ელირსებოდა, მაგრამ მუხანათმა ბედმა ქართველი ერისთვის სასარგებლოდ საქმის დამთავრება არ დააცალა, მანამდე გარდაიცვალა.

ქალის დიდი ღირსებაა ქვეყნის აღორძინებისათვის თავდადებული მებრძოლის აღზრდა. სწორედ ასეთი ღირსებითა და ნიჭით იყო დაჯილდოებული ალექსანდრე მეფის აღმზრდელი ბებია—რუსა ამირეჯიბი.

## ანა დედოფალი

ქართული საისტორიო მწერლობის უძველესი ძეგლის „ქართლის ცხოვრების" ნუსხის არსებობა კახთა მეფის ალექსანდრე პირველის (1476—1511) მეუღლე ანა დედოფლის სახელთან არის დაკავშირებული. მის სახელს უნდა მიეწეროს აგრეთვე მრავალი კულტურულ-აღმშენებლობითი ხასიათის თაოსნობა. ანა დედოფალი თავის მეუღლესთან ერთად დიდი მონდომებით იღვწოდა ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და მშენებლობისათვის. კერძოდ, მისი აქტიური მონაწილეობით იქნა აღდგენილი ალავერდის დანგრეული ტაძარი...

ანა დედოფალს ეკლესია-მონასტრების განახლების გარდა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაშიც მიუღია მონაწილეობა; ჩვენამდე მოაღწია ყველაზე მნიშვნელოვანმა ძეგლმა — „ქართლის ცხოვრებამ", რომელსაც „ანასეული" ეწოდება[103]. როგორც მისი ანდერძი-

დან ჩანს, ანა დედოფალმა XV საუკუნის დამლევს გადააწერინა „ქართლის ცხოვრება“. გადამწერის ანდერძში ნათქვამია: „დედოფალთა დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი... მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა.. რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა... ბრძანებათა მისთა ვერღარა ურჩ ექმენით, ხოლო ჩუენ ძალისაებრ ჳითარცა ძალგუეძლა ვიღაწეთ. დაღაცათუ ნაღვაწი ესე უნდო და უშეერ არს, არამედ შენდობა იყავნ ყოველთაგან“[104].

მეორე ანდერძში ნათქვამია, რომ მათ ააშენეს და გაწმინდეს ალაველრდი „ყოვლისაგან ღვარძლისა, აღაშენეს ცაი და გუმბათი და სამხრონი... რამე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა ჯერ იყო წინანდელთა ქმნულთა ნიეთთა სიკეთითა და მოქმნულებისა. შეუსწორებელობისა და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა, ყოვლად დიდებულთა ყოელითა სიკეთითა, შესწირნა მრავალნი ეკლესნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთათეის“[105].

ანა დედოფლის ღვაწლი მეუღლესთან და დედამთილთან ერთად ცნობილია იმავე ანდერძში ამგვარად: „შემდგომად ამათ რაოდენიმე ეკლესიანი აღაშენეს და რაოდენიმე წარმათთაგან შეეინებული ეკლესიანი განწმინდეს“[106].

ნესტან-დარეჯანის, ალექსანდრე მეფისა და ანას შესახებ ცნობები დაცულია აგრეთვე დავით-გარეჯის მონასტრის 1479 წლის სიგელში. აქ ვკითხულობთ: „ჩვენ... მეფემან ალექსანდრე.. დედა ჩვენმა ნესტან-დარეჯანი და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან ანამ რაოდენი ქება-მადლობა შევსწიროთ თქვენდა მომართ და ვითარი ქველის საქმე ვქმნეთ წინაშე ძისა თქვენისა! ჩვენდა მომართ წყალობა და წინამძღვრებითა ძილისა ცხოვრებისათა აგარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და, უკუქცეულ არიან ვიდრე დღეინდელად დღემდე“[107].

1479 წლის იანვრის სიგელით, ალექსანდრე მეფესა და ანა დედოფალს მცხეთისათვის შეუწირავთ სოფელი ახალშენი: „მეფეთ-მეფის გიორგის ძემან მეფემან ალექსანდრე და პატრონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან, დედამან ჩვენმან, და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალმან ანა... მოგახსენეთ ვეჟინისა და პირითა სოფელი ახალშენი“[108].

ანა დედოფლის ღვაწლის შესახებ არსებობს კიდევ ერთი საბუთი, (გაცემული 1505 წელს ანა დედოფალისა და კახთა შეფე ალექსანდრეს მიერ ჭარმაულელთა მღვდლისადმი), საიდანაც ირკვევა, რომ ანა დედოფალს ჰყოლია ორი შვილი: გიორგი და დიმიტრი[109]. ანა დედოფალს საერთოდ ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ცხოვრება-თავგადასავლის გადაწერასა და დაცვაში.

## ვარდისახარ-გულჩარა

ვარდისახარი ცხოვრობდა XV საუკუნის დამლევსა და XVI საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღმოსავლეთ და ევროპელ სწავლულთა (ისკანდერ მუნში, ანტონიო გოვეა, ავგუსტინო ნანი, ბარონ დე სალინიაკი, ჰამერი, ბელოკუროვი) წყაროებში დაცულია ცნობები ქართველი ქალის, გიორგი X-ის შვილის ვარდისახარ-გულჩარას (თუ გულნარას) საქართველოდან უცხოეთში — სტამბოლში დიდი ამალით ჩასვლის, მისი ბაბუას — სიმონ მეფის ციხიდან განთავისუფლების ცდებისა და ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰ-აბასს შორის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ[110].

ვარდისახარ-გულჩარას მოქნილი დიპლომატიის შედეგი უნდა იყოს ციხიდან სვიმონ მეფის გამოხსნის ცდა, რომელიც თავიდანვე კარგად დაწყებულა, მაგრამ მეფის სასარგებლოდ მაინც არ დამთავრებულა, რადგანაც საქართველოსაკენ მომავალი მეფე შვიდი დღის შემდეგ უკანვე გაუბრუნებიათ და სტამბოლის ციხეში მოუთავსებიათ.

ვარდისახარ-გულჩარას თავისი ჭკუითა და დიპლომატიური ნიჭით მეტისმეტად მოუხიბლავს სულთან ახმედის დედა, რომელიც შვილის ფრონტზე ყოფნის გამო კონსტანტინეპოლში სახელმწიფო საქმეებს განაგებდა. ვარდისახარ-გულჩარას „მოხერხებული ქცევით და წესიერი სამსახურით მისი ნდობა მოუპოვებია და რამდენიმე ხანს სტამბოლში დაუყვია“ (მ. სვანიძე). სულთნის დედას სპარსეთ-ოსმალეთს შორის წარმოებული ომის შეწყვეტის საკითხზე შაჰ-აბასთან და მის მამიდა ზეინაბ-ბეგუნთან მოსალაპარაკებლად დესპანად ეს ქალი გაუგზავნია. ამ ცნობას ადასტურებს უცხოელი ავტორი და ამბობს, ქართლის მეფე სვიმონის მეორედ დატყვევების შემდეგ სტამბოლიდან სპარსეთში გაგზავნეს „ქართველი ქალი სახელად გულჩარა, რომელიც მისი აღმატებულების შაჰ-აბას პირველის კარზე იმყოფება“.

ზეინაბ-ბეგუნისა და შაჰ-აბასისათვის გულჩარას არაერთგზის ჩასვლა სპარსეთში ფრიად სასიამოვნო იყო, თუმცა არც ამ დესპანობას მოჰყოლია სასურველი შედეგი; სტამბოლის ციხიდან სვიმონის განთავისუფლების ცდა ისევ უშედეგოდ დამთავრებულა.

ასე რომ, გიორგი მეფემ მამის დასახსნელად სტამბოლში გაგზავნა არა მარტო შვილი დავითი, არამედ თავისი უმშვენიერესი ქალიშვილიც, რომელიც უცხოეთში დიდი დიპლომატიური ნდობით სარგებლობდა, ამ ამბავს ადასტურებს 1603 წელს კონსტანტინეპოლში მყოფი ვენეციის ელჩის ნანის ცნობაც.

ვარდისახარ-გულჩარა მთელი მონდომებით შეუდგა ძნელი დიპლომატიური მისიის შესრულებას. თუ როგორ გაართვა მან თავი ამ რთულ

ამოცანას, მოთხრობილია აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში, რომლებშიაც ასახულია ნიჭიერი, ენერგიული დარბაისელი დიპლომატი ქალის როლი ირანსა და ოსმალეთს შორის ზავის დადებისას.

უცხოელთა წყაროებიდან ჩანს ისიც, რომ ქართველი ქალი რამდენჯერმე ყოფილა შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად. 1606 წლის ზაფხულში ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დერვიშ-ფაშამ ვარდისახარ-გულჩარა გააგზავნა შაჰ-აბასთან, რომელმაც ამ ქალს თურქეთის მხრივ 1555 წლის ირან-ოსმალეთის ზავის აღდგენა სთხოვა.

ასევე 1609 წლის 5 სექტემბერს საფრანგეთის ელჩი სალინიაკი თავის მეფეს წერდა: „ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრიღანაა (საქართველოდანაა, დ. ქ.), ქალი, რომელიც ამ საქმეში გამოცდილია და თავისუფლად ნახულობს ოსმალეთის სულთანსა და სპარსეთის შაჰს, აი, სამი დღეა ჩამოვიდა მათ შორის ზავის დასადებად“.

ასე რომ, ვარდისახარ-გულჩარა განსაკუთრებული რწმუნებით ყოფილა უფლებამოსილი და თავისუფლად ხედებოდა როგორც სულთანს, ისე შაჰს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ იგი ოსმალეთისა და ირანის ძონარქების დიდი ნდობით სარგებლობდა.

ქართველი დიპლომატი ვარდისახარ-გულჩარა, რომელიც სვიმონ მეფის დავალებით ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადებისათვის იღვწოდა, მოლაპარაკებისას შეეცდებოდა საქართველოს ინტერესების დაცვასაც. ადვილი შესაძლებელია, იგი სვიმონ მეფის სურვილითაც იყო მისული კონსტანტინეპოლს, რომ უფრო ეფექტიანი გაეხადა სულთნის კარზე პოლიტიკური მოლაპარაკება. ცნობილია, რომ სვიმონ მეფე თვითონვე ზრუნავდა საკუთარი თავის განთავისუფლებისათვის.

ვარდისახარ-გულჩარას საქართველოდან წასვლა, თურქეთსა და სპარსეთში მისი ხშირი მოგზაურობა, ენერგიული საქმიანობა იმაზე ჩიუთითებს, თუ როგორ ცდილობდნენ საქართველოს მაშინდელი მესკვეურები ოსმალეთიდან ქართლის მეფე სვიმონის განთავისუფლებას. ამ მიზნის განსახორციელებლად გულჩარა თავისებურ პოლიტიკურ ხერხს ხმარობდა. სვიმონთან საქმიანი მოლაპარაკების შედეგი უნდა იყოს ვარდისახარ-გულჩარას დიპლომატიური მისია ზეინაბ-ბუგუნთან და შაჰ-აბასთან.

1612 წლის სექტემბერში ირანის ელჩი ყადი ხანი ქართველ დიპლომატ ქალთან ვარდისახარ-გულჩარასთან ერთად კონსტანტინეპოლში ჩავიდა. ჰამერი აღნიშნავს, რომ ეს ის დიპლომატი ქალია, რომელსაც ადრე ოსმალეთის ვეზირმა ირანთან ზავის დადება დაავალა. ეს მეორე შემთხვევა იყო, როდესაც კონსტანტინეპოლში დიპლომატად ქალს აგზავნიდნენ. მან არა მარტო თავისი სილამაზით, ბრწყინვალებითა და

მჭევრმეტყველებით მოხიბლა კონსტანტინეპოლის მაღალი საზოგადოება, არამედ მისი ენერგიული ჩარევის შედეგად ჩაიშალა ოზბეგების წარმომადგენელთა ზრახვანი.

ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში აღნიშნულია, რომ ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის".

1612 წელს ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების დადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ვარდისახარ-გულჩარას. მისი ენერგიული დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად შეწყდა ირან-ოსმალეთის სისხლისმღერელი ომი. ეს ომი მძიმე ტვირთად აწვა არა მარტო ირან-ოსმალეთს, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებსაც, კერძოდ, საქართველოსაც.

ადვილი შესაძლებელია, რომ ვარდისახარ-გულჩარა თავს არ დაზოგავდა დიპლომატიური მისიის დროს თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის და საყვარელი ბაბუის — სვიმონ მეფის გამოსახსნელად.

ამრიგად, ვარდისახარი ეკუთვნის პლეადას იმ ქართველ საბელოვანი ქალებისას, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით სამშობლოს ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობაში.

## შალიკაშვილის ქალი

უცხოეთში გადახვეწილ ქართველ ქალთაგან აღსანიშნავია XVI საუკუნის სახელოვანი ქალი ოთარ შალიკაშვილის ასული, რომელიც საქართველოდან ყაზმინს (სპარსეთი) იყო გათხოვილი ლუარსაბ მეფის დედის ნესტან-დარეჯანის მკვლელ შაჰ-თამაზზე. ოთარ შალიკაშვილის ქალს ჰყავდა ორი ვაჟი: შაჰ-ისმაილი და შაჰ-ხუდაბანდა. მისი შვილიშვილი იყო ცნობილი ტირანი შაჰ-აბას პირველი.

1569 წელს სპარსელთა მიერ ღალატით შეპყრობილი ქართლის მეფე სვიმონი (1537 — 1600) შაჰ-თამაზს დაპატიმრებული ჰყავდა ალაპუთის ციხეში. სპარსეთის ტახტზე ავიდა შაჰ-თამაზის შვილი შაჰ-ისმაილი, რომელმაც დედის ჩაგონებით ტყვედ მყოფი სვიმონი და ბაგრატ მუხრან-ბატონის ძე არჩილი ცოლშვილიანად გაათავისუფლა და შირაზიდან ისპაჰანში გაისტუმრა.

შაჰ-ისმაილის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძმა შაჰ-ხუდაბანდა, უფროს ძმაზე უფრო მკაცრი ტირანი. მან სპარსეთში მყოფ სვიმონს მოსთხოვა რჯულის გამოცვლა, თანაც შეპირდა სამშობლოში დაბრუნებას და ქართლის ტახტს. ქვეყნის ჭირ-ვარამით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სვიმონმა სარწმუნოება ფორმალურად გამოიცვალა.

ოთარ შალიკაშვილის ქალი მწვავედ განიცდიდა სამშობლოს ბედუკულმართობას და დიდად ეხმარებოდა სვიმონს. სვიმონის რჯულის

გამოცელამ იგი ძალიან შეაწუხა, მიიწვია თავისთან სვიმონი, „მისცა ნიჭნი მრავალნი და სამოსელნი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქართლად" და თან გამოაყოლა იქ მყოფი ტყვე ქართველები.

ოთარ შალიკაშვილის ასულის მოქმედებისა და სვიმონის განთავისუფლების შესახებ ბერი ეენატაშვილი წერს: „შაჰ-ხუდაბანდის დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმან, მოიყვანა მეფე სვიმონ, ვითარცა წესი არის ქართველთა დედანი ლეჩაქს მოახვევენ, — და იგიცა ქართველი იყო, — მანცა ეგრეთვე ყო და წარმოუგზავნა ლეჩაქი თვისი და მოუმცნო: „მეფე სვიმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აიღე და გწადდეს ხრმალიო, ჩვენც მოგვეხმარე და შენსა საბატონოსაცა, და მისცა ნიჭი მრავალი და სამოსელი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქაროლად და წარმოვიდა"[111].

ხმალზე ლეჩაქის მოხვევა ნიშნავდა საქართველოსა და სპარსეთს შორის დედაკაცის შუამდგომლობით სრულ, დაურღვეველ მშვიდობასა და ერთობის დამყარებას.

შალიკაშვილის ქალის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია, ვიცით მხოლოდ ის, რომ ამ მანდილოსანს უცხოვრია XVI საუკუნეში. აქედან ცხოვრების მეტი ნაწილი გაუტარებია დამპყრობთა ქვეყანაში.

## ქეთევან დედოფალი

ქართველი ქალი არა მარტო იბრძოდა ქვეყნის თავისუფლება-კეთილდღეობისათვის საკუთარი შვილის, ძმისა თუ მამის გვერდით, არამედ ხშირად ამ ბრძოლის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლშიც გამოდიოდა. თუ იგი რა უნარს, ნებისყოფის სიმტკიცესა და თავისი ქვეყნისათვის თავდაღებას იჩენდა, ამის მკაფიო მაგალითს ქეთევან დედოფალი იძლევა.

ქეთევანი (1575 — 1624) დაიბადა ქართლის ფეოდალის აშოთან მუხრანბატონის ოჯახში. 12 წლის ასაკში (1587 წ.) მიათხოვეს კახთა მეფის ალექსანდრე მეორის უფროს ვაჟს — დავითს. კეთილი ქცევით, სათნოებითა და ნიჭით კახეთის მეფის სასახლეში დიდი ყურადღება დაუმსახურებია. მისადმი ყველა პატივისცემით ყოფილა გამსჭვალული, ამით უსარგებლია 14 წლის გონიერ, შორსმჭვრეტელ ქეთევანს და სამუდამოდ გადაძტერებული ქართლ-კახეთის მეფეები — სვიმონ პირველი და ალექსანდრე მეორე შეურიგებია. ქეთევანის ქმარი დავითი განათლებული კაცი იყო, კარგად იცოდა სპარსული ენა და სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა. ცნობილია, რომ მან სპარსულიდან კუსა და მორიელის არაკამდე თარგმნა ანვარი სოჰაილის „ქილილა

და დამანა". ამის მიუხედავად, ქეთევანი ქმრის კმაყოფილი არ იყო: დავითმა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი ცისეში დააბწყვდია

წმინდა მოწამე ქეთევან დედოფალი
(1575–1624 წ.)

და კახეთის სამეფო ტახტს თვითონ დაეპატრონა, დავითი მსოლოდ 6 თვეს მეფობდა, 1602 წელს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა, ციხიდან განთავისუფლებული ალექსანდრე ისევ გამეფდა.

ქეთევან დედოფალს დავითისაგან დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი — თეიმურაზი, შემდეგში ცნობილი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე.

გრიგოლ ხუცეს-მონაზვნის დახასიათებით, „დედოფალი ქეთევანი იქმოდა, ვითარცა შვენოდა, ყოველსა კეთილსა საქმესა: ეკლესიათა შენებასა, ობოლთა შეწყნარებასა და ქვრივთა ნუგეშინის ცემასა, და გლახაკთა და დავრდომილთა ხელისაპყრობასა და თვით პატივითა მით

სამეფოთა იყოფდა"[112]. ის იყო ჭკვიანი, სათნო, სამშობლოს მოყვარული, დიდად განათლებული, გრძნობიერი პოეტი და მაღალი ზნეობის ქალი, უდაოა, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა, რომ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება არ არეულიყო გარეშე მტრების გამუდმებულ ლაშქრობათა გამო.

იმდროინდელი საქართველო ეკონომიური გაპარტახების გზაზე იდგა, ხალხს ფიზიკური განადგურება მოელოდა. წყეული-კრულვით იგონებს ქართველი ხალხი შაჰ-აბასს, რომლის მითითებითაც კახეთი ძირფესვიანად ამოაგდეს. 100 ათასამდე ქართველი ბრძოლაში დაიღუპა. ამდენივე სპარსეთში გადაასახლეს. მრისხანე დამპყრობელმა კახეთი დაწვა, ვენახები თუ ხეები ააჩეხინა და მშვენიერი კუთხე, რომელსაც სპარსელი პოეტები „ოქროს მტევანს" უწოდებდნენ, უდაბნოდ გადააქცია.

შაჰ-აბასი პირველი ეძებდა საბაბს „ურჩი გურჯების" დასასჯელად. ალექსანდრემ ქეთევანის დასტურით სპარსეთში გაგზავნა მცირეწლოვანი თეიმურაზი. მაგრამ შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა კახთა მეფის დამორჩილება. ირანის მბრძანებელს არ მოსწონდა ქართლ-კახეთის მეფეების — სვიმონისა და ალექსანდრეს მეგობრობა და რუსეთისაკენ მისწრაფება. მან ისარგებლა შემთხვევით და, როდესაც თეიმურაზი ირანში ჩააყვანინა, კახეთში გამოგზავნა ალექსანდრე მეფის ეაჯი, გამაპმადიანებული კონსტანტინე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში სპარსეთის შაჰის კარზე იზრდებოდა. შაჰმა მას კახეთის მეფობა მისცა და დაავალა მამისა და ძმის მოკვლა.

კონსტანტინეს გრემში დიდი შეხვედრა მოუწყვეს. მან მამას შაჰის ძღვენი მიართვა. საიდუმლო აგენტებმა დრო იხელთეს და მოხუცი ალექსანდრე და გიორგი ვერაგულად მოჰკლეს (1605 წ.).

კონსტანტინემ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, ხოლო ქვრივ ქეთევანს მოსთხოვა ცოლად გაჰყოლოდა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „მაშინ მიუგზავნა რძალსა თვისსა ქეთევანს კაცი, რომელი იყო ცოლი დავითისა და დედა თეიმურაზისა, და შეუთვალა ვითარმედ: შეგირთავ ცოლად და შენცა მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადიანისა"[113]. ამასვე გადმოგვცემს გრიგოლ ხუცეს-მონაზონი: „დაიპყრა კონსტანტინე სამკვიდრებელი მამისა თვისისა და წარმოვიდა ბილწი იგი ყოველვან თვისთა და ახლოს მისსა (ქეთევანისა) მიიწია და ენება, რათამცა შეერთო იგი ცოლად"[114].

ამ ამბით აღშფოთებულმა ქეთევანმა მოუწოდა კახელებს სამშობლოს მოღალატის, მამისა და ძმის მკვლელის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. გონიერმა და შორსმჭვრეტელმა მანდილოსანმა ქმრის, მამამთი-

ლისა და მაზლის სიკვდილის შემდეგ, თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, გლეხთა და თავად-აზნაურთა დედები, ცოლები და დები ჯარის შუა ნაწილში, დედოფალთან დროშის ქვეშ იდგნენ და გაიძახოდნენ: სიკვდილი ან გამარჯვება! მისი ბრძანებით კახეთის თავადებმა დიდი რაოდენობით შეკრიბეს ლაშქარი, დანიშნეს სარდლები, ხოლო წინამძღოლობა თვითონ ქეთევან დედოფალმა ითავა.

გრიგოლ ხუცეს-მონაზონის სიტყვით, მან „შეიმოსა სიმხნე მამაკაცობრივი და განაწყო სპარაზენნი თვისნი. და წინამძღოლად წარიძღვანა ჯვარი პატიოსანი და განწირა თავი თვისი. და არღარა იყო მაშინ დედობრივი უძლურობაი, გინა შიში ზარებისა მის უსჯულოთაისა, და სიმრავლესა არა მიხედვითა, არამედ ზედ აქვნად თვალნი და გონება მისნი"[115].

აჯანყებულები ღამით თავს დაესხნენ მოღალატე კონსტანტინეს, მოკლეს, „მოსწყვიდნეს სპანი მისნი პირითა მახვილისაითა" და სპარსეთის შაჰს ჩაუშალეს კახეთის დამონების გეგმა. გამარჯვებულმა კახელებმა ქეთევანი დასვეს დედოფლად, ხოლო გამოითხოვეს მძევლად მეფე თეიმურაზი.

ქეთევან დედოფლის გმირულმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპარსეთის სასახლეში. შაჰ-აბასს არ ესიამოვნა კახელთა „ურჩობა", მაგრამ მაინც გონივრული სიდინჯით ბრძანა: კონსტანტინეს მკვლელს ხელიმც შერჩების, მამის მკვლელს უარესი უნდა დაემართოსო"[116]. შემდეგ მოიხმო თეიმურაზი, მის გასაგონად „აგინა დიდად კონსტანტინე და უთხრა თეიმურაზს: კონსტანტინეს დაუხოცია მამა და ძმა თავისი და აწ იგიცა მოუკლავთ, ახლა შენთვის მომიცემია კახეთი"[117].

თეიმურაზი საქართველოში დიდი საჩუქრებითა და დავალებებით წამოვიდა. კახეთის დიდებულებმა უფლისწული გრემში უჩვეულო ზეიმით მიიღეს და 1606 წელს კახეთის მეფედ აკურთხეს. დედამისმა მცირეწლოვან შვილს ასე მიმართა: „შვილო აქამომდე ვიყავ მე საქმითა მამაკაცობრივითა, ვიდრემდის დასცხრა ღელვა გვემულებაი სამეფოისა ამისა. აწ ნებითა და განზრახვითა ღმერთისაითა იქმნა მეფობა შენი და არა უგულებელყო ღმერთმან ლოცვანი და ვედრებანი ცოდვილისა ამის მხევლისა მისისანი... ხოლო მე ამიერითგან ვჯდე მყუდროებით ვითარცა შვენის დედათა და მოვიცალო... ვიზრუნო ეკლესიათა და მიცემად გლახაკთა[118].

თავის სამეფო საქმიანობაში თეიმურაზმა პირი იბრუნა შაჰისაგან და შეეცადა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას რუსეთთან. შაჰი, ცხადია, არ იყო კახეთის მეფეებით კმაყოფილი. ერთხანს გადაწყვიტა ჩამოეგდო მტრობა ქართლ-კახეთის მეფეებს შორის, მაგრამ

ამ ხრიკებითაც რომ ვერაფერი გააწყო, 1614 წელს ურიცხვი ლაშქრით წამოვიდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ საბრძოლველად და განჯაში მოსულმა თეიმურაზს შეუთვალა შენი შვილი მომეციო. თეიმურაზმა უმცროსი შვილი გაუგზავნა, შაჰმა უფროსიც მოსთხოვა. თეიმურაზმა ეს მოთხოვნაც შეუსრულა. შვილიშვილებს თან გაჰყვა ქეთევან დედოფალი[119].

შაჰმა მძევლები განჯაში დატოვა, მერე იქიდან შირაზს გაამგზავრა, თვითონ კი ურიცხვი ლაშქრით შეესია კახეთს, ააოხრა და ტყვედ წაასხა ურიცხვი ქალი და კაცი, დიდი და პატარა. ლამაზი ქალები და კაცები შინამოსამსახურეებად თუ მონებად გაყიდა. ასე რომ, სპარსეთში არ მოიძებნებოდა თუნდაც ერთი შეძლებული ოჯახი, რომ არ ჰყოლოდა ქართველი ტყვე ქალი. დანარჩენი ქართველობა დაასახლეს მოუსავლიან ადგილებში (ახლანდელ ფერეიდანში).

შირაზის ციხეში გამომწყვდეულ ქეთევან დედოფალს ერთი წუთითაც არ დავიწყნია სამშობლო და თავისიანები. ციხეშივე ჰყავდათ გამომწყვდეული აგრეთვე მისი შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე, რომელთა ნახვის უფლება არ ჰქონდა საყვარელ ბებიას. შაჰმა წინადადება მისცა ქეთევანს — მიეღო მაჰმადიანობა; დედოფალმა კატეგორიულად უარჰყო შაჰის წინადადება. იგი ოდნავადაც არ შეუშინებია ლუარსაბისა და მისი საყვარელი შვილიშვილების დასჯას. ქეთევანმა ზიზღით უარყო ირანის მბრძანებლის „სიყვარულიც". ერთი სიტყვით, შაჰმა მტკიცე ხასიათის დედოფალს რწმენა ვერ შეურყია — ვერც დაპირებით, ვერც თხოვნა-მუდარით და ვერც მუქარით. ბოლოს გადაწყვიტა მისი მკაცრად დასჯა. 1624 წლის სექტემბერს, 10 წლის პატიმრობის შემდეგ შაჰის ბრძანებით სპარსელმა ჯალათებმა ქეთევან დედოფალი გააშიშვლეს და ლურსმნებით მოჭედილ ფიცარზე დააწვინეს. შემდეგ გახურებული რკინით დაშანთეს მისი სხეული, მოჰგლიჯეს ძუძუები, სხეულში გავარვარებული შანთები გაუყარეს და ბოლოს თავზე გახურებული ქვაბი დაადგეს.

ჯალათების წინაშე ქეთევან დედოფალი, როგორც მისი ცხოვრების აღმწერი მოგვითხრობს, „აღსდგა მხნე ყოვლითურთ უშიშართა გულითა". სამშობლოს სიყვარული და მისი გამარჯვების ურყევი რწმენით აღგზნებული ქალი განსაცვიფრებელი გმირობით ითმენდა საშინელ წამებას. „ცა განაკვირვა, განაკრთო ქვეყანა მისმა თმენამა". ამ განწირულების ჟამსაც კი ქეთევანი მშობლიური ქვეყნის და მისი ხელმძღვანელის — თეიმურაზის მტერზე გამარჯვებას ნატრობდა. „შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა", — ასეთი იყო მისი უკანასკნელი სურვილი.

ქეთევანი ჯოჯოხეთური წამებით გარდაიცვალა. ამ ტრაგედიის დამს-

წრე-მოგზაურმა ფრანგებმა ქეთევანის ნეშტის ნაწილი თეიმურაზს გამოუგზავნეს საქართველოში. ქრისტიანულმა ეკლესიამ ქეთევანი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 13 სექტემბერი დააწესა.

ქეთევანის წამებაზე რომაელი მოგზაური პატრი პიეტრო დელა-ვალე (XVII ს.) მოგვითხრობს: „ინდოეთიდან დაბრუნებულმა, ბაზორაში რომ ჩამოველი, შეეიტყვე შემდეგი ამბავი: 12 სექტემბერს, 1624 წელს ქეთევან დედოფალი სპარსეთის ხელმწიფის ბრძანებისამებრ დიდი წვალებით მოუკლავთ ქრისტეს რჯულზე სიმტკიცის დადგომისათვის. იმავე ქალაქ შირაზმში, სადაც ამდენი ხანი დაკავებული იყო. არ ვიცი, რა მოქმედებას ითხოვდნენ მისგან. სიკვდილს იგი შეხვდა მხნედ, კითარცა უდიდებულესი მოწამე“.

დელა-ვალე მეგობრობდა სპარსეთში მყოფ ტყვე ქართველებს. მან განსაკუთრებით ანუგეშა დატყვეევებული ქეთევანი. რაც ამ შესანიშნავ ადამიანს ენახა და გაეგონა საქართველოსა და მისი გაწამებული ცხოვრების შესახებ მოგზაურობის დროს, შეუტანია მოხსენებაში, რომელშიც პირდაპირ და დიდი სიბრალულით აღწერილია ქართველთა მდგომარეობა სპარსეთში და ქეთევან დედოფლის წამება, მოხსენება 1625 წელს პაპის ურბანოს მერვისათვის წარუდგენია.

მოგზაური დელა-ვალე იმასაც გაღმოგვცემს, რომ უნახავს ქეთევანის სურათი ფერაბადის ერთ-ერთ სასახლეში. შვილიშვილების ლევანისა და ალექსანდრეს წამების შესახებ ბებიამ არაფერი იცოდა, არ ეუბნებოდნენ, რომ ამ ამბით არ დაეტანჯათ. „მე როცა მომიხდა ქეთევანთან შესვლა, მისიონერებმა გამაფრთხილეს, ამაზე არაფერი მეთქვა. როდესაც შაჰ-აბასმა ვეღარ შესძლო დედოფლის დამორჩილება, ბრძანა მისთვის რჯული შეეცვალათ, ხოლო დედოფალმა აქაც დიდი ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა, როგორც თავის პატიოსნების, ასევე სარწმუნოების დასაცავად. იგი მზად იყო აეტანა ყოველგვარი სასჯელი, შანთით დადაღვაც კი. ქეთევანმა ისლამის სჯულს სიკვდილი არჩია“.

სპარსეთში მყოფ გრიგოლ ორსინსაც აღუწერია შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრება და ქეთევან დედოფლის წამება.

ურბანოს პირველი თეიმურაზისადმი მიწერილ წერილში ქეთევანზე აღნიშნავს: „...რაოდენ სიმტკიცე სარწმუნოებისა — გამოიჩინა დედა თქვენმა, რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას თავისი სამეფოს დაკარგვა და სიკვდილი არჩია“.

თეიმურაზმა სპარსეთის შაჰს სთხოვა გაეგზავნა მისთვის ქეთევან დედოფლის გვამი, რომელიც დიდი პატივით ინახებოდა ისპაჰანის, აგუსტინიანი მონაზვნების მონასტერში. „რა შეიტყვეს თეიმურაზის ასეთი სათხოვარი, 1627 წელს მაშინვე სამნი მონაზონნი წამოვიდნენ საქართველოს, და წამოიღეს თან ნაწილი ქეთევანისა, მაგრამ გზაში

დასნეულდნენ და ერთი ამხანაგი მოუკვდათ. ამის გამო ისევ უკან გაბრუნდნენ. მეორედ კიდევ სცადეს მგზაურობა, მაგრამ კვალად დასნეულდნენ გზაში. ხოლო მესამედ რომ დაადგნენ ორნი გზას დიდის შეწუხების შემდგომ,... 1628 წლის ივნისის პირველს, გორში მოვიდნენ... პატრი ამბროზიო და ძმა პეტრე, თან მოიტანეს ქეთევან დედოფლის ნაწილი. თეიმურაზმა დიდის პატივით მიიღო პატრი ამბროზიო..., რომელმაც თეიმურაზს დედამისის წმინდა ნაწილი ჩააბარა. ხოლო მეფემან დიდის პატივით, სასოებითა და გულმხურვალებით მიიღო დედის ძვირფასი ნეშტი, ჩასვენა ძვირფას კუბოში და შემდგომ წაასვენეს სამიტროპოლიტო ეკლესიაში... და შესაფერ ადგილს დასვენეს"[120].

თეიმურაზმა თავისი დედის ნეშტის ნარჩენები მეფური პატივით დაფლა ალავერდის ტაძარში.

ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და მოწამებრივი სიკვდილის ისტორია აღწერეს ქართველებმა და უცხოელმა მწერლებმა.

საინტერესო ცნობას გვაწვდის ილია ტაბაღუა, რომელიც ქეთევან დედოფლის წამების შესახებ წერს: „...ამას წინათ ლისაბონში პორტუგალიის ეროვნულმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა სომეხი ისტორიკოსის რობერტი გულბენკინის წიგნი სახელწოდებით „ლუის პერეირა დე ლანჩერდას და წმ. ავგუსტინის ორდენის პორტუგალიელი მამების ბელჩიორ დოს ანჟოს და გილერმ დე სანტო ავგუსტინოს ელჩობა სპარსეთში 1604 — 1605 წწ". როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ეს წიგნი გამოსულა ირანის მონარქიის შექმნის 2500 წლისთავთან დაკავშირებით. იგი დაწერილია დიდძალი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე და შეიცავს მეტად საინტერესო, ახალ მასალებს სომხებისა და ქართველების მოღვაწეობაზე ირანში, საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობაზე. აქ ქეთევანის შესახებ მოთხრობილია შემდეგი:

ქეთევან დედოფალი დიდხანს იყო ტყვეობაში. შაჰ-აბასის ყოველი ცდა აეძულებინა იგი რწმენა შეეცვალა, უშედეგოდ მთავრდებოდა. 1620 წელს შაჰის ბრძანებით ქეთევან დედოფალი შირაზში გადაიყვანეს. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ დასავლეთ ევროპელ მისიონერებთან ჰქონდა კავშირი.

შირაზის ბეგლარ-ბეგს შაჰისაგან დავალებული ჰქონია ყოველნაირად ემოქმედა ქეთევან დედოფალზე და გაემაპმადიანებინა. დედოფალს განუწყვეტლივ აწამებდნენ, ძაგრამ წამებას გმირულად იტანდა. ამაში დიდად ეხმარებოდნენ ევროპელი მისიონერები, რომლებიც დედოფალს ამხნევებდნენ.

სწორედ ამ პერიოდში შირაზში იყო პორტუგალიელი მისიონერი მამა ამბროზიო დოს ანჟოსი. იგი დაკავშირებია ქეთევან დედოფალს და მის თანმხლებ პირებს, რომელთა რიცხვი 40-ს აღწევდა. ევროპელი

მისიონერების გავლენით ქეთევან დედოფალი კათოლიკური სარწმუნოებისადმი უფრო სიმპათიით განწყობილა.

როცა შაჰ-აბასმა ქეთევან დედოფლის გამაჰმადიანების შესახებ შირაზის ბეგლარ-ბეგისაგან უარყოფითი პასუხი მიიღო, შირაზში გაგზავნა რამდენიმე თავისი მინისტრი, რომლებმაც შაჰის სახელით ქეთევან დედოფალს უთხრეს, გამაჰმადიანების შემთხვევაში შაჰი მას ცოლად შეირთავდა და უამრავ სიმდიდრეს მისცემდა. უარის შემთხვევაში კი წამებით სიკვდილი მოელოდა. ქეთევან დედოფალს უპასუხნია, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდა ქრისტიანობას.

შაჰის მინისტრებს რომ არაფერი გამოუვიდათ, მისი სიკვდილით დასჯა ბრძანეს და თავიანთი გადაწყვეტილება აცნობეს ქეთევან დედოფალს, რომელსაც რამდენიმე წუთით თავისუფლება უთხოვნია. თხოვნა დაუკმაყოფილებიათ. ქეთევან დედოფალი შესულა თავის სამყოფში, ულოცია, ღმერთისათვის ძალა უთხოვნია წამების გადასატანად, მერე გასულა და შაჰის მინისტრებისათვის მიუმართავს: „ახლა კი შეგიძლიათ მომექცეთ ისე, როგორც შაჰმა ბრძანა, მაგრამ ის არ მიატოვებს თავის ქრისტეს, ჩვენს ღმერთს"[121].

ამ დროს უკვე გაჩაღებული ყოფილა კოცონი, რომელზეც რკინის შანთებს ახურებდნენ.

წამებული დედოფალი სულის ამოხდამდე ლოცულობდა. როცა მიიცვალა გვამისათვის კოცონიდან აღებული მუგუზლები დაუყრიათ და ისე დაუწვავთ, რომ ადგილზე ჩონჩხი-ღა დარჩენილა. ეს მოხდა 1624 წლის, 22 ენკენისთვეს...

რამდენიმე წლის შემდეგ, თეიმურაზ მეფემ სთხოვა შაჰ-აბასს დედის ნეშტი, რომელიც ისპაჰანში პორტუგალიელ მისიონერთა მონასტერში ინახებოდა. შაჰმა მას თხოვნა შეუსრულა.

რობერტო გულბეკიანის წიგნში ვკითხულობთ:

„ქეთევან დედოფლის რელიკვიების ნარჩენი — თავი და ძვლების ნაწილი გადასცეს მის შვილს თეიმურაზ I-ს პორტუგალიელმა მამებმა ამბროზიო დოს ანჟოსმა და პედრო დონ სანკტომ".. ეს მოხდა 1628 წლის ივნისს, გორში.

ქეთევან დედოფლის ნეშტის სხვა ნაწილები, განაგრძობს სომეხი ისტორიკოსი, წმ. მამების გილერმისა და ფრ. იერენიმო დე ჯრუზას ნეშტებთან ერთად წაიღეს ჯერ ისპაჰანში, ხოლო იქიდან — გოაში (ინდოეთი), ჩააწყეს შავი ქვის კუბოში და მოათავსეს დე ვრასოს მონასტერში. რობერტო გულბეკიანის ეს უკანასკნელი ცნობა მით უფრო საინტერესოა, რომ აქამდე ფიქრობდნენ — ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი თითქოს ნამიურში (ბელგია) სხვა ცნობით კი რომში ინახებოდა,

რობერტო გულბეკიანის წიგნში მოთავსებულია ჩვენთვის დღემდე უცნობი ოთხი სურათი, რომლებიც ავტორს აღმოუჩენია ლისაბონში და გრასას მონასტრის კედლებზე, იგი კარგა ხანია გადაქცეულა სამხედრო ყაზარმად. პირველ სურათზე აღბეჭდილია ქეთევან დედოფალი პორტუგალიელ მამებს შორის. მეორეზე — ქეთევან დედოფლის წამება, მესამეზე — ნეშტის ჩატანა გორში და თეიმურაზ მეფისათვის გადაცემა, მეოთხეზე — სამივე ეს სცენა ერთად"[122].

თეიმურაზ პირველმა წამებულ დედის შესახებ დაწერა პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა". სადაც ასახულია იმდროინდელი საქართველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა, შაჰ-აბასის შემოსევები, თეიმურაზის მეუღლით ყოფნა ემიგრაციაში და მისი ოჯახის (დედისა და შვილების) ტრაგიკული სიკვდილი.

ქეთევან დედოფლის წამების საშინელი სცენა ასეა აღწერილი:

პირველად ცეცხლი დაგზნეს, მაშიდ შაპყარეს რკინანი,
მაშინ რადაცა მოეხვნეს საწველნი სისხლთა მდინანი.
უთხრეს, თუ რჯულზე მოიქეცე, დაგდე ივი წინანი,
და თეარე სასჯელს ეს არი, რა ნახონ შენცა ინანი...

მერმე გაუბეს ხელ-ფეხი, გაძაბეს განა მაჯები,
გაზით დაგლაჯეს ძუძუნი, დადეს მსურეელე საჯები.
ბარები შუბლსა შემოსდეს ყველა პქნეს მათი აჯები,
აღმა ასეთქნეს კეფანი, ეა, თქმითა აქ ეისაჯები!

ქეთევანის წამება ლექსად აღწერა აგრეთვე არჩილ მეფემ „თეიმურაზიანში", გრიგოლ ხუცეს-მონაზონმა დაწერა აგიოგრაფიული ძეგლი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა", მისი ცხოვრება მოკლედ აღწერეს ბერმა ეგნატაშვილმა, ვახუშტი ბაგრატიონმა, იოანე და დიმიტრი ბაგრატიონებმა. კათალიკოსმა ანტონ პირველმა დაწერა პროზად ვრცელი საკითხავი და იამბიკო — ლექსი, რომელშიც იგი ქება-დიდებით იხსენიებს წამებულ ქალს:

ეს ქრისტეს სძალო, ისაპ — მჭირვალი ლალი,
არ — ნათელ — მრცხალი, არ ყეაეილთ ფერით მზრალი,
აქეს საღვთო ალი, ეით ცხოველი წყალი,
გულს უძს სალი, მით დასცა მძლაერი მწყრალი,
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი[123].

1657 წელს ქეთევან დედოფლის გაწამებული ცხოვრების თემაზე გერმანელმა მწერალმა ანდრიას გრიფიუსმა (1616 — 1664) გამოაქვეყნა ტრაგედია „ქართველი ქალი ეკატერინე" (1633 წელს). ინგლისში (ოქსფორდში) ქეთევანის წამებაზე დაიბეჭდა წიგნი, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: 1) წინასიტყვაობა ქართველთა ვინაობაზე და

2) ბერძენი ბერის — ანტიოქიის რწმუნებულის გეორგის წერილი აბატ-სოფრომისადმი. წერილი 1632 წელს ბერძნულად (ლათინური თარგმანით) ცალკე წიგნად დაიბეჭდა[124].

ხალხურ სიტყვიერებას შემოუნახავს ლექსი, რომელიც, ჩვენი აზრით, ქეთევანის წამებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. აი ისიც:

ორშაბათ დილა ეათენდა,
ღრუბელი, აეი დარია,
მდეევები ერთად შეიბნენ,
მიწა დაიძრა, წყალია,
თოფის ხმა ქუხილად მოდის,
ნეტავ რა ქარიშხალია?!
იშანი ცოლი ჩიოდა,
ძლიერ ყმაწვილი ქალია,
ამისი სახელი არის
ქეთევან დედოფალია[125].

მეორე ლექსი, რომელიც უნდა შექმნილიყო XVII საუკუნეში, აღწერს კახეთის მეფის — დავითის მეუღლის ქეთევან დედოფლის გარეგნულ და შინაგან სიმშვენიერეს. მისი სახის კანის „სითეთრეს" და „უმტვერო ქაღალდის მსგავსებას", მთქმელის პირით, ქეთევან დედოფალს ისეთი ხასიათი ჰქონია, რომ ვერვინ შეატყობდა მოწყენას, რომ ამ ქალს პირი სამოთხეს უგავდა.

აი, ხალხური ლექსიც:

ქეთევან, შენი სითეთრე
უმტვერო ქაღალდს გიგავსო,
ვერვინ შეგიტყობს მოწყენას,
პირი სამოთხეს გიგავსო;
ზეზე მდგომმა კაცმა განახოს,
ამას იტყვის: „ალეა დგასო"[126].

საინტერესოა მესამე ლექსი „სპარსეთში დატყვევებული", რომელიც სპარსეთში მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეს — ფერეიდნელ ქართველებს სასიმღეროდაც კი გაუხდიათ, იგი სპარსეთში მყოფ ქართველთა გაჭირვებულ ცხოვრებას აღწერს.

ამ ლექსის „სპარსეთში დატყვევებულის"[127] ავტორია ლიდა ნიჟარაძე-მგალობლიშვილი (1878—1970) და არა სეიფულა იოსელიანი. ლექსი დაწერილია ქალიშვილობაში, 1896 წელს. მასში გადმოცემულია ქართველი ხალხის წარმომადგენელთა დაბეჩავებული ყოფა უცხოელ დამპყრობთა მონობაში და პატრიოტული სულისკვეთება.

აი ეს ლექსიც:

ამას ამბობდა ქართველი,
სპარსეთში დატყვევებული:
„რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ
მე არ ვავდები სპარსელი.
რა ეუთხრა ისეთ ქართველსა,
ვის ტანჯვა გასძნელებია.
ქეთევან, შალვა, დიმიტრი,[128]
ბიძინა დაეიწყებია,
ანდა ისეთსა, რომელსაც
დიდება გაკკვირვებია
და მოურავი გიორგი
ერთხელ არ მოკვონებია“...

ლექსში სხვა ქართველთა შორის შალვა, დიმიტრი, გიორგი საკაძე, მოხსენებულია სახელი ქეთევანი, რომელშიც ჩვენი აზრით, ქეთევან დედოფალი უნდა იგულისხმებოდეს.

ამ შესანიშნავი ქალის სხვა მხარეებთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მუხრან-ბატონის ასული ქეთევანი იყო პოეტი, მან მცირერიცხოვან ლექსებში გადმოგვცა თავისი განაწამები ცხოვრება. აღსანიშნავია ლექსი „ანბანთქება“. დავით რექტორის ხელნაწერ კრებულში მას აქვს ასეთი წარწერა: „წმიდის მოწამის ქეთევან დედოფლისაგან არის ნაბრძანები, ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას პირველმან შირაზს მპყრობილად წარგზავნა მპყრობილობაში მწუხარებამან სთქვა ფისტიკაურად (გვ. 25—26)“[129].

იგივე ლექსი ზოგიერთი ხელნაწერის მიხედვით მიეწერება სულხანსაბა ორბელიანს[130]. მაგალითად, გ. ლეონიძემ გ. ჩიქოვანის არქივში იპოვა „ანბანთქება“, ნათქვამი ორბელის ძის სულხანისაგან. გ. ლეონიძის ცნობით, „ანბანთქებაში“ ლაპარაკია 1683 წელს სულხანის მწუხარებაზე პირველი ცოლის დარეჯან ბაგრატიონის გარდაცვალების გამო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ „ანბანთქება“ ქეთევანის უნდა იყოს და ჩვენი ხელნაწერების[131] მიხედვითაც მას მიეწერება. ლექსში კახეთის დედოფალი ქეთევანი წარმოდგენილია როგორც ტყვე და პატიმარი. სიტყვები „ბნელსა მჯდომი“ პატიმრობაზე მიგვანიშნებს და არა სულხან საბა ორბელიანის ცოლის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებაზე.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქეთევან დედოფალი 10 წელიწადს დაპატიმრებული (ბნელსა მჯდომი) იყო შაჰ-აბასის კარზე. ამ ხნის განმავლობაში სამშობლოს, ნათესავ-ახლობლებსა და, განსაკუთრებით, შვილიშვილებს დანატრებული ქეთევანი დარდისა და ვაებისაგან მოტყ-

და, რამაც ქალის (და არა ირბელიანის) გარეგნული მომხიბველობა, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, „წარხდეს ელვათა მშვენიერება“.

„ანბანთქებაში“ თქმული სიტყვები „ამას ეტირი ბნელსა მჯდომი“, „თვალნი ჩემნი ისრეე ირწყვის“, „ცრემლის დენა ძნელად შრება“, „წყარო თვალთა, ჭმუნვით მყოფთა“ გადმოგვცემს ქეთევანის ტყვეობითა და პატიმრობით გამოწვეულ მწუხარებას, სულიერ ტანჯვას, სპარსულ ჯალათთა მიერ მიყენებულ ტკივილებს და ამის გამო თვალთაგან ცრემლთა დენის („თვალნი ჩემნი ისრეე ირწყვის“) ამბებს.

მშობლიურ ქვეყანასა და ახლობელ ადამიანებს მოშორებული ტყვე-ქალის უნუგეშო მდგომარეობა, ფიზიკურად დასჯა და მწუხარება კარგად არის აღწერილი ლექსში „ანბანთქება“:

ამას ეტირი ბნელსა მჯდომი, გულთა მდეღრად დადაგული.
ესრეო ვება ვის მოება, ზედი-ზედ აე დართული?
თვალნი ჩემნი ისრეე ირწყვის, კმარის მისგან ლამბელი,
მილად მოდის, ნაკადულად, ოდეს ნახონ აკურებული,

ჟამნი ჩემნი გამოწელილე, რამ ოდესმე სული მეყოს;
ტყება ვიწყე უთვალავნი, ფლობა მიჯობს ესრეთ მეყოს.
ქცევა სოფელს, წამს საყოფელს, ღიმილიცა გარდამეყოს.
ყველას ღმერთი გაწმიმარტებს, შიშთა მასთა ხელი მეყოს.

ჩამომება სვე უბედურს, ცრემლის დენა ძნელად შრება.
წყარო თვალთა, ჭმუნვით მყოფთა, ხარბად დენით გადმოსქრება.
ხორცნი ღაწვთა ჯაერმან დაწვნა, წარხდეს ელვათა მშვენიერება
ალი, მომშორდა ლხინი და შვება. ალი, წამიხდა სახიერება!

ტ. რუხაძე წამებულ ქალს მიაწერს აგრეთვე „ანბანთქების“ ჟანრით ღაწერილ სამ ლექსს: „აღვალს ბედსა“, „ამისათვის ბაგე გაესწირე“ და „ან ალვისა“[132].

ქართულ ლიტერატურაში შემდეგაც არ შეწყვეტილა ამ სახელოვანი გმირი და პოეტი მანდილოსნის წამებული ცხოვრების აღწერა. ქართველთათვის ნინო, თამარი და ქეთევანი ერთმანეთისაგან განუშორებელ სამებად იყო აღიარებული. ქეთევანმა სამშობლოს უანგარო სიყვარულით აიტანა ყოველგვარი გაჭირვება. მისი სახელიც ისტორიამ შარავანდედით შემოსა—ერისა და სარწმუნოებისათვის წამებული უწოდა.

## მარიამ დადიანი

მარიამ დედოფალი (1605 — 1682) იყო ასული მანუჩარ დადიანისა და თამარ ათაბაგის ქალისა. სვიმონ გურიელის ყოფილი ცოლი და ქართლის მეფის გამაპმადიანებული როსტომის მეუღლე. მან დიდი და საპატიო რთლი შეასრულა საქართველოს XVII საუკუნის ცხოვრებაში. „მარიამი გაიზარდა დადიანების მწიგნობრობით ცნობილ სამთავრო კარ-

ს. ეხსი ძმა, მეცენატობით განთქმული ლევან II დადიანია, რომელმაც გაალექსვინა მამუკა მდივანსა და ბარძიმ ვაჩნაძეს „ზააქიანი“ და „ხაამიანი“. მის კარზე გადაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ნუსხა, რომელიც უძველესია პოემის თარიღიან ხელნაწერთა შორის“ (გადაწ. 1646 წ.)[133].

მარიამ დედოფალი (დადიანი), შახნაზაზის მეუღლე (XVII ს.)

1621 წელს, 16 წლის ასაკში მარიამი მიათხოვეს მამია გურიელის შვილს სვიმონს, რომელიც ბოროტი და ახირებული პიროვნება იყო. მალე შეეძინა შვილი ოტია, რომლის სიყვარულმა და აღზრდამ მარიამს დაავიწყა ამ ოჯახში გატარებული მწარე ლღეები. 1625 წელს სვიმონმა მოკლა მამა. ამ ამბავმა სათნო მარიამი მოთმინებიდან გამოიყვანა, მიატოვა ქმრის ოჯახი და თავისი შვილით წავიდა ძმასთან — ლევან დადიანთან. ლევანმა უღირსი სიძე შეიპყრო და თვალები დასთხარა.

ამ პერიოდისათვის ქართლის მეფეს ვამაჰმადიანებულ რისტომს მოუკვდა ცოლი გორჯასპ აბაშიძის ასული ქეთევანი (იგივე გულდუხტარი). რამდენიმე ხნის შემდეგ მან ლევან დადიანს გაუგზავნა ელჩები ნიკოლოზ ირუბაქაძე—ჩოლოყაშვილის მეთაურობით და მთავარს მისი დაი მარიამი სადედოფლოდ სთხოვა.

ელჩები 1633 წლის 23 ოქტომბერს სამეგრელოს გზას დაადგნენ (ქართლის გზები თეიმურაზ პირველს

შეკრული ჰქონდა), ახალციხის მხრიდან მოუარეს, მთები გადალახეს და 19 ნოემბერს 26 დღის მგზავრობით დაღლილები, წარსდგნენ მთავრის — ლევანის წინაშე[134]. ლევანმა ისინი დიდი პატივისცემით მიიღო. ქერიეი როსტომი „დაემზახლა ლევან დადიანსა და მან მოსცა დაი თვისი მარიამ... და წამოიყვანა როსტომ მარიამ და მოვიდა ტფილისს და ქმნა ქორწილი მუნ დიდებული“ 1634 წელს[135].

როგორც ახალქალაქის ერთი წარწერიდან ირკვევა, მარიამ დედოფალს მეუღლე როსტომთან ერთად თეძმის ნაპირას „აღუშენებია საყდარნი და მონასტერი“[136].

როსტომის გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.) ქართლის განმგებლობა ყეენმა ჩააბარა ვახტანგ V-ს, შაჰნავაზად (1620 — 1675) წოდებულს, ხოლო „დედოფალი მარიამ შეიყვანეს ტფილისის ციხეში. ქრისტეს აქეთ... 1658, ყეენის ბრძანებითა“[137]. შემდეგ ყაენმა იგი დაიბარა თავის ჰარემში. დედოფალმა ყაენს სიბერის ნიშნად თავისი თეთრი თმა გაუგზავნა. მაშინ განრისხებულმა აბაზმა შაჰნავაზს უბრძანა შეერთო როსტომის ყოფილი ცოლი. ამ უკანასკნელს არ უნდოდა მარიამ დედოფლის შეროკა, რადგან ცოლად ჰყავდა ყაფლან ორბელიშვილის ასული როდამი, „სიკეთით აღვსილი“ ქალი.

ეს თავზარდამცემი ამბავი აუწყეს მარიამ დედოფალს, რომელმაც მწარედ დაწყევლა თავისი გაჩენის საათი და ყაენის ვერაგულ განზრახვას დაემორჩილა. უღონო შაჰნავაზმა მაშინ „განუტევა როდამ და იქორწინა მარიამსა ზედა“[138].

ამრიგად. 60 წლის მარიამ დედოფალი ყაენის ბრძანებით მესამედ მისთხოვდა შაჰნავაზს.

ქართლის დედოფლად გახდომის შემდეგ მარიამმა თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართველ ხალხს. მან ჯერ მაჰმადიან როსტომსა და შემდეგ შაჰნავაზს გაუღვიძა ერისა და სამშობლოს დიდი სიყვარული[139]. საგრძნობი გავლენა ჰქონდა შაჰის კარზეც. მემატიანეს ცნობით, „დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსითა ხატითა, და ედვა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოველითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფის შემდგომად არავინ ყოფილ არს[140].

მარიამის დაუღალავი შრომითა და მეცადინეობით შედგა ქართველ მოთავე კაცთა კრება, სადაც დაადგინეს აკრძალულიყო ტყვეთა მოტაცება და გაყიდვა.

მარიამმა ყურადღება მიაქცია ქართულ ლიტერატურასაც. მოიწვია მწიგნობრები და შეავსებინა საგალობლები, გადააწერინა „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ჩვენს მეცნიერებაში მარიამ დედოფლისეულის

ბახელით არის ცნობილი და საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა.

ამ ნუსხის ერთი ანდერძი ასეთია: „ღმერთო, დაიცავ ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერება წმიდა ესე წიგნი“[141].

მარიამ დედოფალმა თავისი სახელი უკვდავყო ქართული კულტურისათვის დაუღალავი მუშაობით. „ქართლის ცხოვრების“ გადამწერი მრავალჯერ იხსენიებს მარიამ დედოფალს და მის შვილს ოტიას.

აღსანიშნავია მარიამ დედოფლის ღვაწლი ქართული ისტორიული ძეგლების გადარჩენის საქმეშიც. როგორც ირკვევა, ერთი ხელნაწერის მინაწერიდან, მას ტყვეობიდან „გამოუხსნია“ და დაღუპვას გადაურჩენია X საუკუნის ძეგლი. მის მინაწერში ნათქვამია, „ჩვენ, ხელმწიფემა პატრონმა, დადიანის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა მარიამ, ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდან გამოვიხსენ და გავაახლე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩვენდა შესანდობელად“[142]. ხელნაწერი კალიგრაფიული ხელოვნების იშვიათი ნიმუშია. მარიამსვე ტყვეობიდან დაუხსნია პარხალის მრავალთავი (A—95). ასევე მისივე ზრუნვით გადარჩენილია სხვა ხელნაწერებიც[143]. მარიამი მზრუნველობას იჩენდა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებია ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ხელნაწერების გადაწერა-გამშვენიერება, ქარგვა, და ოქრომკედით ქსოვა.

ოტიას უდროო სიკვდილმა მარიამი სულიერად დასცა. მემატიანეს სიტყვით, „ოცს წელიწადს ბატონმა დედოფალმან არც ხორცი ჭამა, არც შავი გამოიცვალა“. ცხოვრების დარჩენილი დღეები შეალია სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობას.

მარიამის სურათი გამოხატულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე. მისი ცხოვრების ნაწილი აღწერილი აქვს XVII საუკუნის პოეტს ფეშანგს თავის პოემაში („შაჰნავაზიანი“).

„ამგვარ კულტურულ თაოსნობათა შოქმედი ქალი პირად ცხოვრებაში უბედური ყოფილა. ჯერ იყო და ძმამ მოუკლა პირველი ქმარი და როსტომ მეფეს მიათხოვა, როსტომის გბრდაცვალების შემდეგ შაჰ-აბას II-იხ ბრძანებით როსტომის ნაშვილებს და ამდენად მის შვილობილსაც, ვახტანგ მეხუთეს შერთეს ცოლად. ვახტანგს კი ამ დროს პირველი მეუღლე ჰყავდა როდამი, რომელიც ქქესი ვაჟისა და ორი ქალის დედა იყო. მარიამს დედობითაც არ გაუხარია; მას ერთადერთი ძე (გურიელისაგან) ოტია გარდაეცვალა.

მაგრამ გაუტეხელი გულის პატრონი ყოფილა მარიამ დედოფალი, პირადმა უბედურებამ მასში ვერ ჩაკლა სიყვარული ქვეყნისა და მთელი თავისი ძალა მის კულტურულ-ეროვნულ საქმიანობას მოახმარა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტო-

რის მაღალი შეფასება: „ყოველთა საქართველოსა კაცთაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან იყო ყოვლითურთ შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფის შემდგომად აღარავინ ყოფილა"...[144].

ასეთია მოკლედ ამ მანდილოსნის ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ცნობები.

## ელენე დედოფალი

(ათაბაგი)

სამხრეთ-საქართველოს ანუ სამცხე-საათაბაგოს მთავრის (ათაბაგის) როსტომის ქალზე — ელენეზე წერს იტალიელი მწერალი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი წიგნში „წერილები საქართველოზე". ამ წიგნში

ელენე დედოფალი (ათაბაგი) (XVII ს.)

(გვ. 132) მოთავსებულია ქრისტეფორე კასტელოს ალბომიდან ამოღებული სურათი ელენე ათაბაგისა, რომელსაც აქვს ასეთი მინაწერი: „ელენე ათაბაგი, სამცხის პროვინციის, არტაანის მთავრის ასული, შემდეგ იყო მესოპოტამიაში, ის გახდა სპარსეთის დედოფალი, იყო შაჰ-აბას დიდის ძის შაჰ-სეფის მეუღლე"[145].

შაჰ-სეფი იყო შაჰ-აბას პირველისა და ქართლის მეფის ლუარსაბის დის თინათინის შვილი. ამის შესახებ მატიანეში ვკითხულობთ: „რა ჟამს გამეფდა პატარა ლუარსაბ, მაშინ სთხოვა ყაენმან შააბაზ დაი თვისი ცოლად. და მისცა დაი თვისი თინათინ და ესვა ცოლად შაა-ბაზს[146].

ვინ იყო როსტომ ათაბაგი (ელენეს მამა) და ვისთან ტოვებდა ის აღსაზრდელად შვილს ელენეს? ქრისტეფორე კასტელოს ათაბაგის სურათზე ასე მიუწერია: „სამცხის ათაბაგი. ელენეს მამა. კეთილშობილი ფაშა... სამცხის ათაბაგი ფაშა დიდად საყვარელი და გაბედული მეომარია აღმოსავლეთში. იგი ჩვენი მისიონერების მეგობარია. გურიელ, ბიძასთან (დედის ძმასთან) დედოფალ ელენეს სტოვებს"[147].

ხოლო ელენე ათაბაგის დედა ყოფილა დიდი სავაჭრეულოს წარმომადგენელი, მამია გურიელისა და მალაქია კათალიკოსის და. ქრისტიანული სარწმუნოების დიდად მოყვარული ელენეს დედის, გურიელის ქალის შესახებ ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრებაში" წერს, რომ თურქეთის ხონთქარმა გამოგზავნა კაცი და როსტომის ცოლს აძალებდნენ მაჰმადის სჯულს. როცა ეს ამბავი გაიგო, ქალი „შეძრწუნდა ფრიად და ზარი დაეცა და განიგულა სიკვდილი თავისი თვისისა და არა დატევება სჯულისა, და ენება გადავარდნა თავისა თვისისა კლდესა შინა და არაეინ უტევა. კვალად განიზრახა მოშთობა თავისა. და ვერცა იგი აღასრულა რამეთუ ჰყვანდათ შეპყრობილი და სულს იქით ღონე აღარ ჰქონდა"[148].

სამცხე-საათაბაგოს მმართველს როსტომს (იგი XVI საუკუნის ბოლოს იწოდება ფაშად და არა ათაბაგად) არ უნდოდა მისი ერთადერთი ქალი თურქეთის სულთანს ჰარამხანაში წაეყვანა და 14 წლის გოგონა აღსაზრდელად ცოლისძმას მალაქია კათალიკოსს (გარდაიცვალა 1639 წელს 26 წლის ასაკში) გაუგზავნა.

მ. თამარაშვილი[149] ელენე ათაბაგის შესახებ გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობებს: მესხებისა და ჭანების მთავარს —ათაბაგს, რომელსაც მაჰმადიანობა მიეღო იმის გამო, რომ მთავრობა არ ჩამორთმეოდა, ჰყავდა მხოლოდ ერთი, მეტად მშვენიერი ასული. რადგან იგი გრძნობდა თავის დანაშაულსა და გულში ნანობდა სარწმუნოების დატოვებას, არ უნდოდა, თავისი დიდად საყვარელი ქალიც ამ უბედურებაში ჩავარდნილიყო. ეს კი მოსალოდნელი იყო: სულთანს რომ შეეტყო მისი ქალის სილამაზე, მაშინვე სრაში წააყვანინებდა, რასაც უეჭველად მოჰ-

ქვეყნოდა სარწმუნოების გამოცვლაც. ამიტომ იგი ჩააბარა მალაქია კათალიკოსს, ვიდრე ქვეყნის გარემოება შეიცვლებოდა, რომ მერე ქრისტიან ქართველ მთავარს მისთხოვებოდა. კათალიკოსმაც ელენე მიიღო როგორც საკუთარი შვილი და ჰყავდა თავისთან. იქვე ახლოს მისიონერები იყვნენ. ელენემ დაიწყო სიარული მათ ეკლესიაში და გულმოდგინედ უსმენდა ყოველ ქადაგებას და სწავლა-დარიგებას... თავისი კეთილისა და სამაგალითო ცხოვრებით ელენე გახდა ყველას მისაბაძი. მთელს გურიაში ლაპარაკობდნენ მის სილამაზესა და სათნოებაზე. ელენეს აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღოდა პატრ ქრისტეფორე კასტელოს, რომელიც XVII საუკუნის 30-იან წლებში ჩამოვიდა ჯერ გურიაში და შემდეგ სამეგრელოში. ელენეს მამა ათაბაგი ოსმალებმა მალე დაატყვევეს. ამიტომ თავის ერთგულ და სულიერ მამად ელენეს მიაჩნდა სწორედ ეს პატრი — ქრისტეფორე კასტელო.

მალაქია კათალიკოსმა თავისი სამთავროს საქმეებისათვის ელჩი გაგზავნა სპარსეთის შაჰთან. როცა ელჩი საქმეს მორჩა და დასაბრუნებლად ემზადებოდა, შაჰმა მას უთხრა: ჩემს შვილს (შაჰ-სეფის, დ. ქ.) ვინმე დიდი გვარიშვილის, დედოფლობის ღირსი ქალი აურჩიე. იქნებ თქვენს ქვეყანაში ასეთი ვინმე გეგულებაო. ელჩმაც უამბო უზომო სიმშვენიერე, გაზრდილობა და ყოველი ღირსება ელენესი... შაჰს ძლიერ გაეხარდა და ელჩისავე პირით შემოუთვალა მალაქია კათალიკოსს, ელენე გაეგზავნა მისი შვილის საცოლედ. ეს ამბავი ელენემ გულთან არ გაიკარა, უარზე დადგა, ეშინოდა თავი განსაცდელში არ ჩაეგდო, არ სურდა უცხო ერისა და რწმენის კაცის მეუღლეობა.

ამ პერიოდისათვის გურიაში ბლომად იყვნენ ოსმალები, რომელთაც შეიტყეს ელენესა და სპარსეთის შაჰის ამბავი და მაშინვე სულთანს აცნობეს. სულთანმაც დაუყოვნებლივ შემოუთვალა მალაქიას, ელენე ჩემი ქვეშევრდომია, ჩემთვის მინდა და საჩქაროდ გამოგზავნე, თორემ ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებიო. კათალიკოსი ორ ცეცხლს შუა ჩავარდა. არ იცოდა, რომელი აერჩია. მოელაპარაკა დადიანს. ელენე ჩემთან გამოგზავნე და სულთანს შეუთვალე, რომ არაფერი შეგიძლია, სამცხე-საათაბაგოს მმართველის როსტომის ქალი ელენე ჩემთან არ იმყოფება ლევან დადიანთან არის აღსაზრდელად სამუდამოდ საცხოვრებლად და მასთან იქნება-თქო.

სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს განზრახული ჰქონდა ელენე მიეთხოვებინა არა თურქეთის სულთნისათვის, არამედ სპარსეთის მბრძანებლის შაჰ-აბას პირველის შვილ შაჰ-სეფისათვის (მეფობდა 1629 — 1642 წლებში).

ეს განზრახვა აუმჯობესებდა ლევან დადიანის პოლიტიკურ მდგომარეობას.

გურიაში დროებით მცხოვრებმა ქრისტეფორე კასტელომ ადრევე იცოდა სამცხე-საათაბაგოს მმართველი როსტომის ასულის ელენეს ამბები და სურდა, რომ იგი უცხოელისათვის არ მიეთხოვებინათ.

ამ მომენტისათვის აღმოსავლეთ საქართველოდან ჯერ გურიაში მალაქიასთან, ხოლო შემდეგ გურიიდან სამეგრელოში ლევან დადიანთან ელენე ათაბაგის ხელის სათხოვნელად სპარსელთა მოციქულები მოვიდნენ. ლევანს სპარსეთის მხარე ეჭირა. გაუხარდა მოციქულების ჩასვლა სამეგრელოს სამთავროში და დათანხმდა, რომ ქალი ირანის ტახტის მემკვიდრისათვის მიეცა.

ლევან დადიანის გადაწყვეტილება განუცხადეს ელენეს. ათაბეგის ქალს თავზარი დაეცა და ყოველივე ამცნო ქრისტეფორე კასტელოს. მან საიდუმლო კავშირი დაამყარა ელენე ათაბაგთან და ურჩია არ დათანხმებულიყო უცხო ქვეყნის დედოფლობას.

ელენე ხელმეორედ გააფრთხილეს, რომ სპარსეთში წასასვლელად გამზადებულიყო. მაშინ მუხლმოდრეკით შეევედრა აღმზრდელ ლევან დადიანს, რომ უცხო ქვეყანაში არ გაეგზავნა.

ლევან დადიანი მიხვდა, რომ ელენე ათაბაგის უარი ქრისტეფორე კასტელოს შთაგონებით იყო გამოწვეული და უცხოელ მისიონერს აუკრძალა ქალის ნახვა და მასთან საუბარი.

როსტომის ქალს დაჟინებით თხოვდნენ დათანხმებულიყო სპარსეთის მომავალი შაჰ-სეფის ცოლობაზე. ელენე სასტიკი წინააღმდეგი იყო. ლევან დადიანმა თავის აღზრდილს სცემა, რითაც დიდი და წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიაყენა. ათაბაგის ქალი ისე შეაწუხა აღმზრდელის არაადამიანურმა მოქმედებამ, რომ გადაწყვიტა თავის მოკვლა, ოღონდ უცხო ქვეყანაში წასვლას ასცდენოდა.

ლევან დადიანმა ახლა სხვა, უფრო საიმედო ხერხს მიმართა: ვეზირებთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტა, რომ ელენე სპარსეთში მოტყუებით წაეყვანათ. სამეგრელოს მთავარმა როსტომ ათაბაგის ქალს განუცხადა:

შენთვის ბედნიერება მინდოდა, სპარსეთის დედოფალი იქნებოდი. იმ ქვეყანაში გაცილებით მეტი ქართველი ცხოვრობს, ვიდრე საქართველოში. მინდოდა მათი მფარველი ყოფილიყავი და დახმარებოდი თავიანთი უბედური მდგომარეობის შემსუბუქებაში. რაკი შენი თავის მტერი ხარ, დარჩი აქ, ოღონდ სასახლეში როდი გაგაჩერებ, წადი გურიაში, კათალიკოს მალაქიასთან. ლევანმა ამალას უბრძანა ათაბაგის ქალისათვის მდიდრულად ჩაეცმიათ, მიეცათ უამრავი საჩუქარი და გაესტუმრებიათ თითქოს-და გურიის სამთავროსაკენ. ორი დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ელენე მიხვდა, რომ მიპყავდათ არა

გურიაში, არამედ სპარსეთში. აღმზრდელის ასეთმა ვერაგულმა მოქმედებამ ქალი ძლიერ შეაწუხა, მაგრამ გვიანღა იყო.

ირანში ჩასულთ აუარებელი სპარსელი შემოეგება. როსტომ ათაბაგის ასულმა უარყო ეს მიღებაც, რის შემდეგ საპატარძლო ჩაიყვანეს ისპაჰანში, სადაც შაჰ-აბასის შვილმა შაჰ-სეფმა სადედოფლოს სიყვარულით მიუალერსა და გადასცა ძვირფასი საჩუქრები. სეფიმ დიდი ბრწყინვალებაც უჩვენა საპატარძლოს, მაგრამ უცხო გარემოში მოხვედრილმა, დანაღვლიანებულმა ათაბაგის ქალმა უარყო უცხოელი საქმროს ყოველგვარი ცერემონიალი; მიუხედავად ამისა, როსტომის ქალიშვილს უჩვეულო ზეიმით შეხვდნენ და განსაკუთრებული ქორწილიც გაუმართეს. ათაბაგის ქალი იძულებული გახდა თავის ბედს დამორჩილებოდა.

როგორც ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი გადმოგვცემს, „სპარსელებს" უკვე ჰყავდათ ხელმწიფე და არ უნდოდათ ახალი შაჰის (სეფის) ცნობა, რადგან მას ქართველი დედა ჰყავდა, შაჰ-სეფი ტახტს ქართველების რაზმის დახმარებით დაეპატრონა"[150]. 1629 წელს შაჰ-აბასის ვარდაცვალების შემდეგ ტახტზე დაჯდა მისი და ქართველი ქალის თინათინის შვილი შაჰ-სეფი, ამგვარად, ათაბაგის ქალი ელენე სპარსეთის დედოფალი გახდა.

შაჰ-სეფის ძლიერ უყვარდა ქართველი წეს-ჩვეულებები და გადაქეტებული ღვინის სმაც. ამ საქმეში იგი ეჯიბრებოდა სპარსეთში ჩასულ ყველა ქართველ დიდებულს. ერთხელ დადიანს კაცი გამოუგზავნა და შემოუთვალა, რომ გავიგე შენს სამთავროში გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომიგზავნოო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იგი სპარსეთში შაჰის ახალგაზრდა საცოლეს, რომელიც იყო ათაბაგის ახლის შვილი და ისიც მიემგზავრებოდა ირანში (იგულისხმება არტაანის ათაბაგის ქალი ელენე, კათალიკოს მალაქიას გაზრდილი, შემდეგ ირანის შაჰის სეფის ანუ იუსუფის მეუღლე). ირანში რომ ჩავიდნენ ისინი, შაჰი ერთიორად იყო გახარებული, რადგან მოუვიდა ახალგაზრდა ცოლიც და შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო შაჰის კარზე მრავალი წვეულება იმართებოდა, სადაც მუდამ პატიჟობდნენ შერმანდინ ჭილაძეს (მსმელის სახელი და გვარი). ამან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში... საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაჰმა მოინდომა მასთან სმაში შებმა და იმდენი სვა, ვიდრე არ დაბნეულდა და სული არ განუტევა. ჭილაძე კი საჩუქრებით გამდიდრებული სამშობლოში დაბრუნდა[151].

დაქვრივებული როსტომ ათაბაგის ქალი, ელენე საქართველოში გამოემგზავრა. მისი შემდგომი ცხოვრების შესახებ ჯერჯერობით არავითარი დოკუმენტი არ არის აღმოჩენილი.

## მართა მონაზონი

იმ თავდადებულ ქალთა შორის, რომლებიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის უცხო ქვეყნიდანაც კი ზრუნავდნენ, საინტერესოა იერუსალიმში მოღვაწე ქართველი მანდილოსანი მართა მონაზონი (XVIII საუკუნე), რომელიც იმერეთის კათალიკოს გრიგოლს (1696 — 1742) და მოწინავე ქართველ საზოგადოებას ბარათის საშუალებით ატყობინებს იმ არასასიამოვნო ამბებს, რაც თავს დაატყდა იერუსალიმის ქართველთა კოლონიას.

წერილში იგრძნობა ქართველი ქალის უდიდესი სურვილი — შეინარჩუნოს და დაიცვას იერუსალიმის ქართველთა კოლონიის მოძრავი თუ უძრავი ქონება.

„მეთექვსმეტე საუკუნის გასული და მეჩვიდმეტის პირველი ნახევარი, — წერს კ. კეკელიძე, — ეს იყო დრო, როდესაც საქართველოში არევ-დარევის გამო, იერუსალიმის ქართველთა წმინდა ადგილები ქართველების რიცხვის შემცირებისა და საქართველოდან უყურადღებობის გამო, ან ძველდებოდა, ან ინგრეოდა, ანდა უცხო ტომის სამღვდელოების, კათოლიკებისა და სომხების ხელში გადადიოდა. საქართველოში იყვნენ ისეთი პირები, რომლებიც ამას ყურადღებას აქცევდნენ და შეძლებისამებრ საქმესაც შველოდნენ“[152].

იმერეთის კათალიკოსის გრიგოლისადმი გამოგზავნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს მართა მონაზონი, მიმართულია იქითკენ, რომ გამონახოს საშუალებები უცხოელებისაგან წართმეული ადგილების, მონასტრებისა და მოძრავი ქონების გამოხსნისათვის.

ამავე წერილში მართა მონაზონი გადმოგვცემს თავისი შვილის სვიმონის შესახებ, თუ როგორ სწავლობს სიბრძნის-მეტყველებას: „ახლა ჩემი სვიმონ, — წერს მართა,—ოსტატი და ბრძენი შეიქმნა; აქაური ამბავი, ღიაღ, კარგად შეიტყო; ამისა ფიქრი ქონდენ, თუ აქ დადგეს, მაგრამ ამანაც კარგად მოიხდინა საქმე, თუ ღმერთი წარუმართებს, ასე უთხრა, რომ კათალიკოზის შორე ძმა ვარო და მონასტერს ნუ ეშურებითო, თვარა კათალიკოზი მობრძანდებისო, იმისთვის მოველ ამბავი შევიტყოვო, მე წინ მიუძღვებიო“. ამ გაფრთხილების შემდეგ მტაცებლები შეფიქრიანდნენ და ხელი აიღეს განზრახვის შესრულებაზე. მართა ემუდარება გრიგოლ კათალიკოსს: „ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოსოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ! ეს წმინდა ადგილი სრულიად ქართლის ყოფილა, და ეხლა ლამის, რომ სულა გამოვარდეთ“.

ეს წმინდა ადგილები ხონთქარმა ფრანგებს გადასცა და უთხრა: „რაც გურჯი ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადრო რამეო.

ჯერ კიდევ ასეთი პატივისცემით გვიხსენიებენ, ამიტომ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილია... თუ არ მოხვალთ, დააქცევენ, საბრალო პატრიარქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ მოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხონთქართან, ისრევე მოგცემსთ; უსაცილოდ გოლგოთასაც და გერმანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამითი კერძო გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის".

მართა მოუწოდებს კათალიკოსს, რომ „ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე... უსათუოდ შაეი ზღვით გამოგზავნე კაცი და საპატრიარქოდ სტამბოლს მოვიდეს და იქიდან ვეზირი ნახოს. თუ ასრე არ იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისი ფეხით იარეთ და, ვინც ბატონები იყოს, ან გურიას, ან ოდიშს, ან იმერეთ და ქართლით. პირობა ღასდეეით, და ამ გვარად კრება და ვეზირობა ქენით... თუ იერუსალიმი დაგეკარგებიან, რასღა სჯული ან რასღა პირჯვრის წერა გექნებათ?"[153].

მართა მონაზონის ვინაობის შესახებ არაფერი ვიცით, მისი ცხოვრებიდან თუ რაიმე ცნობა მოგვეპოვება, დაცულია მხოლოდ მის მიერ გრიგოლ კათალიკოსისადმი მიმართულ წერილში, რომელიც დაწერილი უნდა იყოს XVII საუკუნის მიწურულსა და XVIII საუკუნის დამდეგს — 1742 წლამდე.

## დარეჯან ბატონიშვილი (არჩილის ასული)

დარეჯანი (1665—1740) იყო ვახტანგ მეხუთის ძის არჩილი მეფისა და თეიმურაზ პირველის ძის დავითის ასულის ქეთევანის შვილი. ცოლქმარს ჰყავდათ ვაჟები ალექსანდრე (ის შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა და პეტრე პირველის მიერ გამოხსნის შემდეგ გზაში გარდაიცვალა), მათე და დავითი, რომლებიც ბავშვობიდანვე დახოცილან, და ერთი ქალი — დარეჯანი, რომელსაც რუსეთი „დარია ცარევნას", „დარია მერეტინსკაიასა" და „დარია არჩილოვნას" უწოდებდნენ. იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში, სოფელ სვესვიატსკოეში, სადაც მამამისი არჩილი საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამწვავების გამო იყო გადახვეწილი. არჩილმა საბოლოოდ რუსეთის მეფის — პეტრე დიდის მიერ ბოძებულ მამულში დამკვიდრებულმა 1703 წელს დააარსა სტამბა და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

სამშობლო ქვეყნისა და შვილების დაკარგვით ჯანგატეხილი არჩილი და ქეთევანი რუსეთის მეფეს პეტრე დიდს თხოვდნენ თავიანთი ქალის — დარეჯანის მემკვიდრედ დამტკიცებასა და მეფური წოდების ღირსი სასიძოს გამოძებნას.

არჩილი (1713 წ.) და ქეთევანი (1719 წ.) მიზნის მიუღწეველად გარდაიცვალნენ. დაასაფლავეს დონის მონასტერში, შვილების — ალექსანდრეს, მათესა და დავითის გვერდით[154].

პეტრე დიდს კარგი ურთიერთობა ჰქონდა არჩილის ოჯახთან და ამიტომ მასთან შეზრდილ არჩილის შვილს არტილერიის გენერალს, ალექსანდრე ბატონიშვილს მიენიჭა სამხედრო წოდება გენერალ ფელდცეხმეისტერისა[155].

უცხოობაში მყოფი დარეჯანი დედასთან ერთად ამზადებდა მაღალხარისხოვან მხატვრულ ქსოვილებს ქართული წარწერებით, რომელთაც ეკლესიებს უგზავნიდა.

დედა-შვილის მეცაღინეობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ „იერარქიული ხარისხი ვალდაის იეერიის მონასტრისა, რომელიც პეტრეს მიერ ალექსანდრე ნეველის მონასტერზე იყო მიწერილი, გაუქმებულ იქნა. ქეთევან დედოფალმა და დარეჯანმა ეს ამბავი არქიმანდრიტ ლავრენტისაგან შეიტყვეს და მათ გადაწყვიტეს ეხრუნათ იმისათვის, რომ ივერიის მონასტრის ხარისხი მიკუთვნებოდა დონის მონასტერს, რაც შეძლეს პეტრე დიდის უშუალო დახმარებით. ისინი მონასტრის კეთილმოწყობას ახმარდნენ პირად სახსრებსა და დანაზოგსაც.

მოსკოვში ჩასული ქართველები — ვახტანგ მეექვსე, ბაქარი, ვახუშტი ბატონიშვილი, კათალიკოსი ანტონ პირველი, დედამისი — მონაზონი ელისაბედი და სხვები აქ, დონის მონასტრის ეკლესიის თაღებს ქვეშ ეძებდნენ სულის სიმშვიდეს.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ „დარეჯანი სათავეში ჩაუდგა მოსკოვის ქართველთა საქმეებს", კიდევ უფრო გააძლიერა საქველმოქმედო საქმიანობა მშობლიური ქვეყნისა და თავისი ხალხის ჭირვარამის შესამსუბუქებლად.

პეტრე პირველი დაღუპული მეგობრის ოჯახს არ ივიწყებდა. ხშირად დადიოდა მარტომყოფ, ხანშიშესული დარეჯან ბატონიშვილის ოჯახში. ამ მეგობრობას მშობელი ქვეყნის მოყვარული დარეჯანი მოხერხებულად იყენებდა საქართველოს კეთილდღეობისათვის.

პეტრე დიდს თავისი ერთგულება და სიყვარული დაღუპული მეგობრის ოჯახისადმი იმით გამოუხატავს, რომ შვედებზე გამარჯვების ზეიმი ვსესვიატსკოეში — დარეჯან დედოფლის სასახლეში გადაუხდია, სადაც დიასახლისობდა — თვით დარეჯანი, პეტრეს ბავშვობისა და ყრმობის მეგობარი... პირველი სასმისი პეტრემ შვედებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად არჩილის სახლში აიღო[156].

აღსანიშნავია, რომ 1722 წლის 30 იანვარს ვსესვიატსკოეში, პეტრესთან საუბრისას დარეჯანი იყო არა მარტო პეტრეს ახლობელი ადამიანი, არჩილ მეფის ქალიშვილი და გენერალ ფელდცეხმეისტერის ალექსანდრეს ცოლი, არამედ საქართველოს სრულუფლებიანი მინისტრი

რუსეთის მთავრობასთან, თუმცა ოფიციალურად იგი ამ სახელს არ ატარებდა. საქართველოსაგან სრული ნდობით აღჭურვილი დარეჯანი მოლაპარაკებას აწარმოებდა პეტრეს მთავრობასთან. ამის რწმუნებას დარეჯანს აძლევდა მეფე ვახტანგ VI, არჩილის ძმისწული და დარეჯანის ბიძაშვილი[157].

როდესაც პეტრე დიდმა სპარსეთის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა, მან ქართველებთან გამართა მოლაპარაკება; დარეჯანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო, მის სიტყვას დიდად აფასებდნენ როგორც პეტრე პირველი, ისე მისი თანამემამულეები.

მშობელ ქვეყანას მოცილებული დარეჯანი სოფელ ვესესვიატსკოეში იღვწოდა თავისი სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის. მის ჭერქვეშ აფარებდნენ თავს საქართველოდან ლტოლვილნი. სხვა ქართველთა შორის დარეჯან დედოფლის სასახლეში თავი შეუფარებია მოგზაურობით დამაშვრალ სულხან-საბა ორბელიანს, რომელსაც საქართველოდან ვახტანგ VI-ის წერილები გადაუცია მეფის ასულისათვის. ერთი წერილი თვით დარეჯანის კუთვნილება იყო, ხოლო მეორე ამ უკანასკნელს უნდა გადაეცა პეტრე დიდისათვის, რადგან დარეჯან ბატონიშვილი „პეტრე პირველთან დაახლოებული იყო და ვახტანგ მეექვსესა და იმპერატორს შორის შუამავლის როლს ასრულებდა"[158].

დარეჯან ბატონიშვილი რომ ვახტანგ VI-ის საიდუმლო დიპლომატიურ ამბებს აგვარებდა პეტრე დიდთან, ეს იქიდან ჩანს, რომ 1724 წლის 7 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ვახტანგი, სხვათა შორის, წერდა დარეჯანს: „გებრძანა, ნურავის შეატყობინებო და რაღა დროს ჩემი სიტყვის შეუნახავობა არის"[159].

არჩილ მეფის უკანასკნელი იმედი. ქვეყნისათვის დაუცხრომელი მზრუნველი, მშობლიურ ქვეყანას მოწყვეტილი, უჭირისუფლო, 75 წლის დარეჯან ბატონიშვილი 1740 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა და დასაფლავებულია დონის მონასტერში დედის, მამისა და ძმების გვერდით. ასე გადაშენდა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი არჩილის ოჯახი[160].

## თამარ ბაგრატიონი

(ვახტანგ VI-ის ასული)

ქართველი ქალი მამაკაცთან ერთად მონაწილეობდა როგორც პოლიტიკურ, ისე სამოქალაქო ცხოვრებაში. ერთ-ერთი ასეთი მოღვაწეა ვახტანგ VI-ის ასული, თამარ ბატონიშვილი. ის ქართლ-კახეთის დამეგობრების მიზნით ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი 12 წლისა, მიუთხოვებიათ თეიმურაზ მეორისათვის. იყო პატარა კახის დედა. მან თავისი ნიჭითა და მტკიცე ხასიათით ქართლსა და კახეთში დიდი და საპა-

ტიო სახელი მოიხვეჭა. თამარმა გონებრივი გამჭრიახობით რამდენ-ჯერმე იხსნა ქვეყანა განსაცდელისაგან. მან ძნელბედობის დროს „აკისრა ქვეყნის მართვა.

XVIII საუკუნის 40-იან წლებში დაღესტანში მოსულმა ნადირ-შაჰ-მა ქართლ-კახეთი ააწერინა. ამ ამბების თანამედროვის სიტყვით, „ყიზილბაშებს არ დაუტოვებიათ არც ერთი სოფელი თუ ნასოფლარი, რომ არ აეზომათ და დაეხარკათ. ყიზილბაშებმა სათითაოდ დათვალეს ვაზები, ხეხილი და ყოველ ძირს გადასახადი შეაწერეს. ფულადი გადასახადი შეწერილი იყო აგრეთვე ყოველ მამაკაცზე ათი წლის ასაკიდან"[161].

დამპყრობმა მძიმე გადასახადი დააკისრა ქართველებს — დიდძალი სურსათ-სანოვაგის ვაღება და რამდენიმე ათასი შებმული ურმის გაგზავნა სპარსეთში. ამას ქართლში შიმშილობა მოჰყვა. „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯელ ენახეთ ბალახის კურკას გაახმობდიან, დაფქვიდენ და იმას სჭამდენ: დაუწყეს თხოვნა პურისა, ეკიდა კაცი და დედა-კაცი, მრავალი სული ჯოხით მოკუდა; თუ პურს სადმე გასასყიდს იშოვიდენ, თავისის ხელით შეილებს აძლევდენ. მრავალი სული აიყარა ამ ქვეყნით და უცხოთა ალაგთა გარდაიხვეწა. ურუმის ქვეყანა ქართლის კაცით აივსო"[162].

თეიმურაზ მეორემ მოიწვია დიდებულთა კრება, რომელზეც გადაწყდა გაეგზავნათ ელჩი ნადირ-შაჰთან და ეთხოვნათ ქართლზე დადებული ხარჯის მოხსნა. ეს დიდი და საპატიო მოვალეობა უკისრია დიპლომატიური ნიჭით აღჭურვილ თამარ ბატონიშვილს, რადგანაც ნადირ-შაჰი მას დიდ პატივს სცემდა. თამარს თან რამდენიმე რჩეული მანდილოსანი გაუყოლებია და წამდგარა დაღესტანში მყოფ ნადირ-შაჰის წინაშე. მასპინძელხ ელჩი ქალი დიდი პატივით მიუღია. თამარს შაჰისათვის დაწვრილებით აუწერია ქართლ-კახეთის გაჭირვებული მდგომარეობა და თან უთქვამს: ქართლ-კახეთის მცხოვრებლებს თავისთვის არა აბადიათ რა, თვითონ მშიერები არიან და სპარსთა ჯარი რით უნდა გამოკვებონო? საქართველოში თქვენი წინააღმდეგი არავინ არის, ხალხს მხოლოდ სიღარიბე აწუხებს და ამიტომ თქვენი სურვილის დაკმაყოფილება არ შეუძლიაო. დიპლომატმა მანდილოსანმა ნადირ-შაჰს დაუმტკიცა, რომ არც ქართველი ხალხი, არც თეიმურაზი და ერეკლე — მისი მოწინააღმდეგენი არ არიან, რომ ქართლ-კახეთში ნამდვილად დიდი სიღარიბეა.

თამარის გამჭრიახ სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სპარსეთის მბრძანებელზე; ამიტომ მას თავის განზრახვაზე ხელი აუღია და ქართლ-კახეთზე დადებული გადასახადი მოუხსნია, რასაც ქართველ ხალხში დიდი აღტაცება და სიხარული გამოუწვევია.

ნადირ-შაჰი ძლიერ გაკვირვებული იყო თამარ ბატონიშვილის ჭკუით, მოხერხებით და მის ყოველ თხოვნას ასრულებდა.

რუსეთში ვახტანგ VI-ის წასვლის (1724 წელი) შემდეგ ქართლის საქმე აიწეწა. იურიდიულად ქართლის პატრონად ითვლებოდნენ ვახტანგ VI-ის შთამომავლები, ისინი კი რუსეთში იყვნენ.

ნადირ-შაჰმა თამარი დაამტკიცა ქართლის გამგედ. ამ დიდ და მეტად პასუხსაგებ საქმეს თამარ ბატონიშვილი ასრულებდა სამი წლის განმავლობაში, ხოლო 1744 წელს მისი თხოვნით ნადირ-შაჰმა ქართლი მისცა მის ქმარს თეიმურაზ მეორეს, ხოლო კახეთი შვილს — ერეკლე მეორეს. ამრიგად, ეს ორი სამეფო ამ ბრძენმა მანდილოსანმა ნათესაური კავშირით შეაერთა.

მართალია, თეიმურაზ მეორემ ქართლის მეფობა მისი მეუღლის თამარ ბატონიშვილის თხოვნით მიიღო, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ქართლის გამგედ სიკვდილამდე ისევ თამარი დარჩა.

საინტერესოა კიდევ ერთი, მეტად საყურადღებო მომენტი თამარ ბატონიშვილის ცხოვრებიდან.

როდესაც ნადირ-შაჰს ქართლის ვექილი გივი ამილახვარი გადაუდგა, მათ შერიგებაში თამარმა დიდი როლი შეასრულა.

თეიმურაზმა და ერეკლემ გივის სთხოვეს შერიგება, რაზეც ის არ დათანხმდა. გაიმართა სასტიკი ბრძოლა სურამის ციხეში გამაგრებული გივი ამილახვრისა და თეიმურაზ — ერეკლეს ჯარებს შორის. ბოლოს გივი ამილახვარმა მათ ციხიდან შემოუთვალა: „ბატონი დედოფალი მობრძანდეს და იმას მივენდობითო"[163]. მართლაც, დედოფლის მისვლისთანავე გამოვიდა ამილახვარი გივი და ეახლა ბატონ დედოფალს, მოართვა გული ჭეშმარიტი და თავისის საქონლის დავთარი, ერთგულების ფიცი მისცა მას და თეიმურაზს, ხოლო მათგან უვნებლობის პირობა მიიღო. ამის შემდეგ ციხის კარები გაიღო.

ამრიგად, ამ მეტად ჭკვიანმა ქალმა მოძმეები სისხლის ღვრას ააცდინა.

გაუგიათ თუ არა გივი ამილახვრის განთავისუფლება, შაჰს შემოუთვლია: თვალები დათხარეთ ან ირანში გამომიგზავნეთო. ამ ამბით თამარ ბატონიშვილი იმდენად შეწუხებულა, რომ გივი ამილახვრისათვის უთქვამს: თან გაგყვები ირანში, რომ შაჰს თვითონ ვთხოვო შენი შეწყალებაო.

მემატიანეს ცნობით, თამარ ბატონიშვილი ყოფილა „სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა". გარდაიცვალა 1747 წელს.

## ქეთევან ანდრონიკაშვილი

ქეთევანი (1754 — 1782) იყო ქიზიყის მოურავის პაპუნა ანდრონიკაშვილის შვილი[164]. 13 წლის ასაკში, 1767 წელს ის შეირთო მეფის

ძემ გიორგი XII-ემ. ქორწილი დიდი ზეიმით გადაიხადეს თბილისში.

პლატონ იოსელიანი გადმოგვცემს; „ოდეს მეფის ძე მოვიდა კახეთსა და ეწვია სოფელსა ვეჯინსა, ანდრონიკაშვილს რევაზსა, მაშინ მოხდა დევნა ლეკთა, რომელნიცა გამოჩნდნენ ალაზნისა ველსა. რევაზ და სხვანი თანა დამსწრენი ომისა ლეკებთა თანა, ესრეთ მხნეთ გამოჩნდნენ, რომელ მეფის ძე თვით, მუნ დამსწრე, გაჰკვირდა ოდეს იხილა რევაზ ანდრონიკაშვილი მუხლსა მძიმედ დაჭრილი, მიუვიდა რა სახლსა, მაშინ გამოაცხადა დაჭრილობა თვისი. განკვირვებულმან ბეფის ძემან გამოუცხადა მას გმირსა რევაზს სურვილი დისა მისისა ქეთევანისა შერთვა ცოლად. დროსა ამას, ქალსა ამას არღა ჰყოფნდა მამა ცოცხლად, რომელსაც მოუთხრობდა აზნაური პერო პაელიანაშვილი“[165].

ქეთევანს ჰყოლია ცხრა შვილი: ოთხი ვაჟი — დავით, იოანე, ბაგრატი და თეიმურაზი, რომლებმაც შემდეგში თავი ისახელეს. როგორც გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა და მწერლებმა. და ხუთი ქალი — ბარბალე, სოფიო, ნინო, რიფსიმე და გაიანე[166].

ჩვენს ისტორიას შემოუნახავს ქეთევან ანდრონიკაშვილის ძეტად საინტერესო გმირობა. რასაც დიდი განცვიფრება გამოუწვევია იმდროინდელ ქართველთა შორის.

1778 წელს 500 მარბიელი ლეკისაგან შემდგარი რაზმი ღართისკართან (ბებრის ციხესთან) თავს დასხმია ქართლიდან თბილისში მოძალალ ქეთევან რევაზის ასულ ანდრონიკაშვილს, რომელსაც 300-მდე ქართველი ახლებია. ღართისკართან ლეკებს სროლა აუტეხიათ. ქართველი მხედრები დაბნეულან, მაგრამ მათი მეთაურობა ქეთევანს უკისრია. პირველად თვითონ აღუმართავს მახვილი დამარბეველთა წინააღმდეგ და ქართველებს სასტიკად დაუმარცხებიათ მტერი.

ამ ამბავმა ისე დააფრთხო ლეკები, რომ იმ მხარეში სათარეშოდ ველარ გამოდიოდნენ, რამაც საშუალება მისცა მტრის მიერ შეშინებულ მოსახლეობას უშიშრად ეცლოთ, „ღართის კარსა შინა თვინიერ მამაკაცისა“[167]... ამ ამბის გამგონე ერეკლე მეფე საზეიმო სალუტით მიგებებია გმირ რძალს.

ქეთევანის გმირული თავგადასავალი აღწერეს დავით ბატონიშვილმა თავის „ახალ ისტორიაში“ და პ. იოსელიანმა წიგნში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“.

ქეთევანი გარდაიცვალა 1782 წელს.

რძლის გარდაცვალების გამო დამწუხრებულ ერეკლე მეორეს უთქვამს: ახლა დაიღუპა ჩემი ოჯახიო.

ქეთევანის ცხედარი მეფის სასახლიდან გაუსვენებიათ. სახელოვანი ქალის კუბოს 1.000-მდე ცხენოსანი, 500 ქვეითი მოტირალი ქალი და

კაცი მიპყვებოდა. გარეჯის უდაბნოში მიმავალთ წინ ეგებებოდნენ სოფლელები და მოტირალთ უმასპინძლდებოდნენ პურით, ხორცით, თევზითა და სხვა სურსათ-სანოვაგით.

ქეთევანის ცხედარი დიდი საეკლესიო ცერემონიალით დაკრძალეს დავით გარეჯის მონასტერში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში, აღსავლის კარის წინ, იქ, სადაც დასაფლავებულია კახეთის შეფე ალექსანდრე.

## მარიამ დადიანი

XVIII საუკუნის სახელოვან ქალთა შორის არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ გამოჩენილ პიროვნებას, როგორიც იყო ოტია დადიანის ასული, იმერთა მეფე სოლომონ პირველის მეუღლე მარიამ დედოფალი.

სოლომონ პირველმა მარიამის შემწეობით შეძლო ოსმალთა დამარცხება და დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობის დამყარება. ეს მამაცი ქალი თურქებთან ბრძოლის დროს თავისი რაზმით პირველი შეევიდა ბაღდათის ციხეში. აი, რას წერდა გერმანელი ვეიდენბაუმი ამის შესახებ: „მტრის გარნიზონი სულ 30 თურქისაგან შედგებოდა და გამაგრებული იყო ბაღდადის ციხეში, რომლის აღება გაძნელდა. ამის მიუხედავად ქართველებმა მტერი მეტად შეავიწროეს, ამიტომ ციხეში მყოფებმა შემოუთვალეს მათ: დაგნებდებით თუ იმერეთის დედოფალი მარიამი მეციხოვნეთა სიცოცხლისა და ქონების ხელუხლებლობას დაგვპირდებაო. ქართველებმა მტრის წინადადება მიიღეს. თურქები გამოვიდნენ დროშებით, ხოლო დედოფალი მარიამი თავისი ამალით პირველი შეევიდა ბაღდადის ციხეში“[167].

მარიამ დადიანის ამ გმირობას განცეიფრებაში მოუყვანია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე და საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი ვოლტერი (1694 — 1778). ეს უკანასკნელი დედოფალს წერდა: „ქართველების გმირობა საკვირველი სრულიად არ არის, რადგან ისინი მითრიდატ დიდის შთამომავალნი არიან“[168].

მარიამ დედოფლის შთაგონებით სოლომონ პირველმა აკრძალა ტყვეებით ვაჭრობა.

იტალიელ მწერალს მისიონერ ლეონის მოეპოვება ცნობები იმერეთსა და მასში შემავალ საერისთაოებზე 1742—1773 წლამდე[169]. ის თავის რელაციონში მოგვითხრობს, რომ ახალციხესა და იმერეთს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება უკისრია იმერთა მეფის სოლომონ პირველის მეუღლეს მარიამ დედოფალს, რომელსაც უნახავს ახალციხის ფაშა იბრაჰიმი და უთხოვია მისთვის ამ ორ მხარეს შორის მშვიდობიანობის დამყარება. იმერთა მეფე სოლომონ პირველმა უდიდესი საჩუქრებით თავისი მეუღლე, დედოფალი მარიამი, გაგზავნა დიდის ამალით, რომ ახალციხის ახალი ფაშისაგან ზავი ეთხოვა. მას თავისი

უმაღლესობისაგან დავალებული ჰქონდა იმერეთის ყოველი საქმის მოგვარება.

ფაშამ ყველაფერი კეთილგანწყობილების ნიშნად მიიღო და მადლობის გადახდის შემდეგ უთხრა: სიამოვნებით მწადია მშვიდობა განმტკიცდეს. ადრინდელი მშვიდობიანობით უნდა ისარგებლონ ქვეყნებმა, რომელნიც ბრავალი ომისაგან დაიქცნენ და განადგურდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ თქვენი ქმარი (სოლომონ პირველი. დ. ქ.) მის წინაპართა ჩვეულებისამებრ გაჰყიდის ტყვეებს. ქალმა სულგრძელად უპასუხა, რომ არ შემიძლია ამ პირობაზე დავთანხმდე და, ვიდრე ჩემი ქმარი ცოცხალია, მისი საბრძანებლიდან დიდ სულთანს ქართველ ტყვე ქალებს აღარ მიყიდისო. ამ სიტყვებით მან ფაშას ადგილსამყოფელი დატოვა და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. შემდეგ კი, მაინც მოახერხა იმერელი ტყვეების განთავისუფლება. რამდენიმე დღის შემდეგ გამოეთხოვა ფაშას.

მარიამის ელჩობამ ნაყოფი გამოიღო. სოლომონ პირველმა ტყვეებით მოვაჭრე თავადებს სასტიკი დევნა დაუწყო.

მარიამ დედოფალმა თავის დროზე დიდი წესრიგი დაამყარა დასავლეთ საქართველოში, მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ თავის მეუღლე სოლომონ პირველს გამოაცემინა ქართველ ტყვეთა გაყიდვის აკრძალვის ბრძანება!

## ანა ორბელიანი

ანა მათეს (მამუკას) ასული ორბელიანი[170] იყო ანა ბატონიშვილის, ერეკლე მეორის დის შვილიშვილი. იგი დაბადებულა 1765 წელს (მეორე ცნობით 1770 წელს), ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ აღსაზრდელად აუყვანია ერეკლეს დას ანას და შემდეგ მეფის სასახლეში იმყოფებოდა. ანა როდესაც დაქალდა, ერეკლე მეორის დასტურით, მიათხოვეს იმერთა მეფის გიორგი მეშვიდის ძეს, დავით მეორეს.

დავითისაგან ანას შეეძინა ვაჟი კონსტანტინე. ანას მეუღლე დავითი ემიგრაციაში 1788 წელს გარდაიცვალა[171]. იმავე წელს იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ მეორე (1788 — 1815), რომელმაც მაშინვე ეჭვის თვალით დაუწყო დედა-შვილს ყურება. სოლომონი ფიქრობდა, რომ ანა შურს იძიებდა, რაიმე ხიფათს შეამთხვევდა: ამიტომ გადაწყვიტა იგი მოეკლა, ხოლო შვილი კონსტანტინე მუხურის (სოფელია ზემო იმერეთში) ციხეში დაემწყვდია[172].

მეფის ასეთმა გადაწყვეტილებამ ყველა ააღელვა.

ანას ლაჩრულად გაქცევა არ უნდოდა. ვერც ის მოეხერხებინა, რომ აეცდინა შვილი და საკუთარი თავი მოახლოებულ საფრთხეს. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალი მხლებლებმა ქუთაისიდან

სურამის გაუვალ მთებში გააპარეს. კონსტანტინე ბატონიშვილი კი მეფის ბრძანებით მეორე დღეს მუხურის ციხეში ვამოკეტეს.

დიდხანს იყო დაშალული ანა ბატონიშვილი. არ იცოდა, თუ რა ვადით იყო მისი შვილი მუსურის ციხეში დაპატიმრებული. ეერც ის წარმოედგინა, თუ როდემდე უნდა ეცხოვრა ასეთ მდგომარეობაში.

ანა დედოფალი, იმერთა მეფის დავითის მეუღლე (XVIII ს.)

ამიტომ გადაწყვიტა სურამში გადასულიყო და იქ მდგომ რუსის ელჩის უფროსის ლაზარევისათვის დახმარება ეთხოვა. წინასწარ მისწერა წერილი, რომლითაც აცნობებდა თავის უმწეო მდგომარეობას და თხოვდა შვილის დახსნას. ის წერდა:[173]

„ჩემს შესახებ უნდა მოგახსენოთ: მოწყალეო ბატონო, რომ მე ძლიერ ადრე დავობლდი და, როგორც ობოლი, აღვიზარდე პაპის ზრუნვითა და ღონისძიებით; მანვე მიმათხოვა იმერეთის მეფეს დავითს. მყავდა ერთადერთი ნუგეში, იმედი, შვილი, მუდამ ჩემთან, ჩემის

ალერსით და მშობლიურის გრძნობით აღზრდილი სამი წლის ძე კონსტანტინე, რომელსაც ჩემს მკერდს გარეშე ბინა არა ჰქონია, მომგლიჯა სოლომონ მეფემ და მუხურის ციხეში მიკლავს. აგერ რვა წელიწადი გაღის და მე, საბრალოს, მის დატანჯულ ღვდას, ძუძუს კუნთებზედ ცეცხლი შეკიდება, ვიწვი. ვიტანჯები, მისი ერთი ხმის გაგონებასაც ვერ ვღირსებივარ, მისი ლანდიც არავინ ღამანახვა. არა-ერთხელ ვიყავი ამ მიზნით ერეკლე მეფესთან, არა-ერთჯერ და ორჯერ ვსთხოვე ჩემი შვილის განთავისუფლება. მაგრამ დაკმაყოფილება მისგან ვერასოდეს ვერ მივიღე. შვილის განთავისუფლების მაგივრ მეფემ სოფელ ხეფნის ხეევში ცხოვრების ნება მომცა და ღღემდის აქ ვცხოვრობ. მაგრამ აქაც ძიმუხთლა ბედმა. აქაც ჩემს სიმწარეს უმეტესი სატანჯველი დაემატა და მოთმინების ფიალაც ლამის ამევსოს. აქ. ჩემდა საუბედუროდ, გოგია აბაშიძე გადამეკიდა, ყოველ ღონისძიებას ხმარობდა როგორმე მოეცალეევინებინა ჩემოვის ეეხი და ამ მიზნის მისაღწევად რამდენჯერმე მოინღომა თათრებისათვის მივეყიდე. მაგრამ ეს, ჩემდა საბედნიეროდ, ვერ მოახერხა: ამ გარემოებამ ისე გაჯავრა და შეაძულა ჩემი თავი, რომ შემოვიჩინა გარეშე კაცები და მოინღომა სახლკარით ვადავეწვი, მაგრამ ვადავრჩი უბედურებას. ჩემი ქმარი ვააძეევს თავის საშობლოდან ღა ყველასაგან მოძულებულმა, სასოწარკვეთილმა, უცხო ქეეყანაში ღალია სული. ამის შემდეგ გიორგი მეფემ და დავით ბატონიშვილმა შემიბრალეს და ერეკლე მეფის ნაწყალობევი სოფელი ხეფინის ხეევი კიდევ მომანიჭეს. აქაც სოლომონ მეფემ და მისმა სარდალმა დამასიეს ჯარი, ორი აზნაური მომიკლეს, ორი მძიმედ დაეიჭრეს და მეც მოსაკლავად დამდევდნენ, მაგრამ უდაბურს ტყეში შევაფარე თავი და სიკვდილს ვადავრჩი. ამ ყოფაში, სურამის მთებში მნახა თქვენმა კაპიტანმა ტურკოვიჩმა და ჩამომიყვანა სურამში, რითაც ამაცდინა მოახლოებულ საფრთხეს. მე კარგად ვიცი, რომ თქვენ ჩემი ძმის თამაზ ირბელიანისა და მისი ოჯახის პატიეისმცემელი ხართ. გთხოვთ, ასეთ ყოფაში მყოფი ქვრივი ღედა შემიბრალოთ. გემუდარებით, მისწეროთ მეფე სოლომონს, რომ მე მის საზღვარზე ვცხოვრობ; ეს ადგილი მას არ ეკუთვნის, ამიტომ მომეცით ნება, რომ შემეძლოს აქ თავისუფლად ცხოვრება; უმორჩილესად გთხოვთ, მიხსნათ ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან, სანამდე თხოვნით წარვსდგებოდე ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორთან და ვთხოვო ჩემი შვილის მუხურის ციხიდან განთავისუფლება".

წერილმა ღიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლაზარევზე, მაგრამ თვითონ მაინც ვერ გადაწყვიტა ამ ბედშავი ქალის ბედი. ამიტომ შეეკითხა მთავარმართებელ კრორინგს, თუ როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. პასუხის მიღებამდე ლაზარევმა ანა თავის ბინაზე გადმოიყვანა,

რომ სოლომონს არ შეეპყრო. გენერალმა შეადგინა ოქმი, რომელშიც წერდა, რომ მისი ჯარის ოფიცრები ტყეში ნადირობის დროს წაადგნენ თავზე უცნობ ქალს და მასთან მიიყვანეს. მთავარმართებელმა ანას წერილი გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს, რომელმაც გამოგზავნა ასეთი პასუხი: ქერივი ანა გაიგზავნოს ქ. ტფილისში, დაენიშნოს შესაფერი ჯამაგირი და იცხოვროს იქ ახალ განკარგულებამდე.

ანა საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა.

შვილის დარდით დასნეულებული 1802 წელს წავიდა პეტერბურგში, წარუდგა იმპერატორ ალექსანდრე პირველს და თვალცრემლიანმა სთხოვა მუხურის ციხეში გამომწყვდეული შვილის განთავისუფლება.

იმპერატორის ბრძანებით სოლომონ მეფესთან გაიგზავნა განსაკუთრებული მოხელე სოკოლოვი კონსტანტინეს განთავისუფლების და პეტერბურგში მისი გაგზავნის სიგელით.

სოკოლოვი 1802 წლის 28 ივნისს ჩავიდა მოზდოკს, ხოლო 24 ივლისს სოფელ ხვანწკარაში მიიღო სოლომონ მეფემ, მაგრამ სათხოვარი არ შეუსრულა.

სიგელის საპასუხოდ სოლომონი იმპერატორს სწერდა: ძლიერ ვწუხვარ, რომ ჯერჯერობით ვერ ვასრულებ თქვენს მოთხოვნას — კონსტანტინეს განთავისუფლებას, რადგან უშვილო ვარ, ვფიქრობ, თუ შვილი არ მომეცა, კონსტანტინე ვიშვილო და სამეფო იმას გადავცე; თუ შვილი მეყოლა, მაშინ მისი, როგორც მოწინააღმდეგის, განთავისუფლება არ შემიძლიაო.

1802 წელს კნორინგმა აცნობა ანას, რომ პეტერბურგიდან თბილისს ჩასულიყო, რადგან მისი შვილის განთავისუფლების შესახებ ყოველგვარი მიმოწერა მთავარმართებელ პ. ციციშვილს აქვს გადაცემულიო.

ანა საცხოვრებლად თბილისში ჩამოვიდა.

ბოლოს სოლომონი იძულებული შეიქმნა გაეთავისუფლებინა კონსტანტინე ბატონიშვილი იმ პირობით, რომ ხელმწიფე იმპერატორი კონსტანტინეს არ მისცემდა საქართველოში ცხოვრების უფლებას.

სოლომონ მეფემ განთავისუფლებული კონსტანტინე გააყოლა ს. ლიონიძეს ქ. თბილისში მთავარმართებელ პ. ციციშვილთან, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ კონსტანტინე გაგზავნა პეტერბურგში, იმპერატორ ალექსანდრე პირველთან.

ანას ახალგაზრდობის ცხოვრებიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი. იგი ბესარიონ გაბაშვილის ტრფობის საგანი გამხდარა, რომელსაც მისთვის უძღვნია შესანიშნავი ლექსი „დედოფალ ანაზედ“.

## ნინო ბატონიშვილი

ქართველ ქალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ერეკლე მეორის შვილიშვილს, გიორგი XIII-ის ასულს ნინოს (1773—1847). მას სწავლა-განათლება მიუღია სამეფო სასახლეში, როგორც ნინო ერისთავ-შერვაშიძე გადმოგვცემს. ნინოს ჰყოლია სპეციალური აღმზრდელები, რომელნიც ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას და „ელინთა მეცნიერების" დარგებს — ღრამატიკას, — რიტორიკას, დიალექტიკას, კატეღორიას და სხვა საგნებს.

იმერეთსა და სამეგრელოს შორის ატეხილმა ქიშპობამ ერეკლე მეორეს გადააწყვეტინა, რომ ნინო ცოლად მიეცა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ კაციას ძე დადიანისათვის, ხოლო მარიამ კაციას ასული დადიანი იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს შეერთო. ამით ერეკლეს სურდა იმერეთსა და სამეგრელოს შორის მეგობრული უთრიერთობის დამყარება. ეს ასეც მოხდა: „წელსა 1791 აქორწინა დადიანი გრიგოლ მეფის ირაკლის პირმშო ძემან გიორგიმ ასულსა თვისსა ზედა ნინას, და წარიყვანა იგი დიდისა მზითვითა ოდიშს"[173]. ამ ქორწინების შესახებ ჰ. იოსელიანი წერს: 1790 წელს „მეფის ძეს გიორგის დადიანმა კაციამ მოგზავნა დესპანად ჭყონდიდელი ანტონი და თავადი ბეჟან დადიანი, რათა მოსცეს შვილსა მისსა გრიგორის, მეგრელთა სამთავროსა მემკვიდრესა, ცოლად ქალი ნინა; მეფის ძემან არა თქვა უარი და აუწყა მეფესა ირაკლის, რომელმანცა ბრძანა თანხმობა"[174].

გრიგოლ კაციას ძე დადიანი 50 თავადით, აზნაურითა და გლეხით მიეადა თბილისს. მეფე-დედოფალს ჯვარი დასწერეს სასახლის ეკლესიაში და პატარძალი დიდი მზითვით გაისტუმრეს ზუგდიდში, — მოგვითხრობს თანამედროვე.

ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან ნინოსათვის მზითვად გაუტანებიათ ძვირფასეულობა, მათ შორის, ქართული ხელნაწერი წიგნები: ქართლის ცხოვრება, სიტყვის კონა, ქილილა და დამანა, სეილანიანი, ეარდ-ბულბულიანი, შამი-ფარვანიანი, გაზაფხულისა და შემოდგომის ვაჭაასება, ანბანთქება, მაჯამა, ღრამატიკა, დიალექტიკა, კატეღორია, სიბრძნე-სიცრუისა, ვისრამიანი, დავრიშიანი, ამბავი დიფნის ქალაქისა, ყარამანიანი და სხვა მრავალი. ამის გარდა, ნინოსათვის გაუტანებიათ სხვადასხვა სახელმძღვანელო და საღვთისმეტყველო წიგნები[175].

ამ მზითევს ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ექიმი ნინო ერისთავ-შერვაშიძე წერს: ჩვენ გულწრფელად უნდა გვწყინდეს, რომ გიორგი ირაკლის ძემ არ გააორკეცა თავისი ქალიშვილის მზითევი, რადგანაც ნინოს ქორწინების ოთხი წლის შემდეგ მეფის მთელი სა-

ლარო გახდა საკუთრება აღა-მაჰმად ხანისა 1795 წელს თბილისის დარ-ბევის დროს.

ნინო გიორგის ასულმა ვერ შეძლო შთამომავლობისათვის შემოენახა მამის მიერ ვადაცემული განძის მეოთხედიც კი. ქართველ ხალხს შეეძლო ეამაყა მარტო მზითვის სიაში აღწერილი ძვირფასეულობით, რომლებიც ასე აკვირვებდნენ საქართველოს განთქმულ სამეფოს სტუმრებს.

ნინო დედოფალი იყო ერეკლე მეორის ოჯახის წევრი, რომელმაც ღიდებული მეფის ცოდნა და გამოცდილება დასავლეთ საქართველოში გადაიტანა და შეეცადა პაპის მიზნებისათვის შესაფერი სამსახური გაეწია, მართლაც, სამეგრელოს მთავარ გრიგოლსა და იმერეთის მეფის სოლომონ მეორეს შორის მშვიდობიანობა დამყარდა.

ქმართან ერთად სამეგრელოს დედოფლის ნინოს მიზანი იყო რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა. ოსმალეთის აღაგმვა, დაკარგული მიწა-წყლის დაბრუნება და დასავლეთ საქართველოს შინაური ცხოვრების მოწესრიგება.

1804 წელს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა და სამეგრელოს მმართველობა ქვრივმა ნინომ იკისრა.

ნინო მიზნად ისახავდა აფხაზეთის გამოხსნას ოსმალთა ტყვეობიდან. მაგრამ საამისოდ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფოთის ციხის აღება, რადგან ის ოსმალეთის გავლენის მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა შავი ზღვის სანაპიროზე, ხოლო შემდეგ—იმერეთთან კავშირის დამყარება. დედოფალმა ნინომ ისიც იცოდა, რომ ვიდრე ფოთის ციხე თურქთა ხელში იქნებოდა, სამეგრელოც ვერ მოისვენებდა. ამიტომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ფოთიდან თურქები გაეძევებინა. ამ მიზნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელს ტორმასოვს, რომელმაც ნინოს დასახმარებლად ფოთში გაგზავნა ჯარი გენერალ-მაიორის გრ. ორბელიანის მეთაურობით.

ფოთის ციხეს ალყა შემოარტყეს და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ციხის აღება გაძნელდა, მაგრამ მოიერიშეებს მოეშველნენ მამია გურიელის მეომრები და სულ მალე მტრის ჯარი ციხიდან განდევნეს.

ბაგრატ ბატონიშვილი თავის „ახალ მოთხრობაში" წერს: „ხოლო წელსა 1809 წარგზავნა უკუე ტორმასოვმან მხედრობანი თუისნი მყოფნი იმერეთსა შინა და მოუწერაცა ცოლსა გრიგოლ დადიანისასა, მთავარინასა ოდიშისასა, მეფის გიორგის ასულსა ნინას, რათა ესეც შეუერთდეს ოდიშ-ლეჩხუმელთა მხედრობითა თვისითა და წარვიდნენ და აღიღონ ციხე ფოტისა, რომელიცა მდგომარე არს შავი ზღვის პირს, რამეთუ ეს მთავრინა ნინო იყო ფრიად მხნე დედათაგანი და უშიშ, და

ჰყვებოდა ყოველთვის მხედრობათა თვისთა სარდლად ომთა შინა უშიშ-
რად"[176].

საინტერესოა ტორმასოვის წერილი რუსეთის იმპერატორისადმი. მასში ნინოზე ნათქვამია: „ეს ქალი განსაკუთრებულად სამართლიან პატივისცემას იმსახურებს. მის ცდას უნდა მივაწეროთ გადმობირება კიორგი შერვაშიძისა. ამავე დროს ფოთის ალყას დედოფალმა (ნინომ. დ. ქ.) ორბელიანის რაზმს თავისი ჯარები შეუერთა, შეფირ-ფაშას დასამარცხებლად... იგი ჩვენს რაზმებს საკვებს და მუშახელს აწვდიდა უფასოდ. მას რომ ჩვენთვის სიმხნე-სიმამაცისა და ერთგულების მაგალითი დაენახვებინა, თავის ჯარისათვის ხშირად საკუთარ სიცოცხლეს დიდ საფრთხეში აგდებდა, მიდიოდა ჯარში, ბრძოლის წინა ხაზზე და ხშირად იმ ადგილსაც იმყოფებოდა, სადაც საარტილერიო ბატარეის დადგმანი ხდებოდა. ამასთან მხნეობა-სიმტკიცის და ერთგულება-თავდადების მაგალითი ჯერ აქ არავის უნახავს".

ფოთის ციხის აღების დროს დედოფალმა დაიმკვიდრა „რაინდი ქალის" სახელწოდება.

ნინოს თავგანწირული ბრძოლა შესანიშნავად არის ასახული იმ სურათზე, რომელიც ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ არქეოლოგიური მოგზაურობის დროს იპოვნა სოფელ ბირკნალში, ნინოს შვილიშვილის თომა გიორგის ძე ერისთავის ოჯახში. სურათზე გამოხატულია ფოთის ციხის აღება, იმერლებისა და მეგრელების მამაცური ბრძოლა რუსის ჯართან ერთად. ჯარს წინ მიუძღვის სამეგრელოს დედოფალი ნინო, რომელიც ცხენზე ზის ამოწვდილი ხმლით ხელში. ციხე ალყაშემორტყმულია და იწვის. დედოფლის ნათელი სახე სავსეა ენერგიით. ეს სურათი ნინოს უჩუქებია იმპერატორ ალექსანდრე პირველისათვის[177].

ნინო შესანიშნავია როგორც მშობელი დედა, რომელსაც გათხოვების მეათე წელს ჰყოლია 6 შვილი[178].

ნინოს ვაჟი ლევან 1815 წელს იმპერატორ ალექსანდრე პირველმა დანიშნა სამეგრელოს მმართველად. შვილს პეტერბურგში მცხოვრები დედა დიდ რჩევა-დარიგებას აძლევდა. 1839 წლის 1 იანვრის წერილში, რომელიც რიაზანიდან გამოგზავნილია, წერს: „იმპერატორი ზღვით ქალაქ ფოთიდან ჩამოვა საქართველოში. ყველგან გაყევი იმპერატორს, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის ჩვენი ოჯახის ერთგულების შესახებ, მაგრამ ცოდნა და ნახვა თავის თვალით სულ სხვაა, მეფე კიდევ უფრო განადიდებს შენს სახელს".

ნინო მალე მოწყდა სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებას და დროის დიდ ნაწილს შვილთან გიორგისთან ერთად რიაზანის გუბერნიაში ატარებდა. დედამ გიორგის ბევრი ძვირფასი განძეულობა უბოძა. ამ ეან-

ძის უმეტესი ნაწილი მისი სიკვდილის შემდეგ დაიკარგა როგორც თვით მფლობელისა, ასევე ისტორიისათვის.

ნინო ბატონიშვილის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ ბაგრატ ტონიშვილი „ახალ მოთხრობაში" წერს: „წელსა 1811 მოვიდა ოდ-ში დედოფალი ნინა, მეუღლე დადიანის გრიგოლისა, ქვრივადმყოფი, მეფის გიორგის ასული, მოწოდებითა იმპერატორისათა სანკტ — პეტერბურხს"[179].

ნინო ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრების" მცოდნე ყოფილა. რუსეთში გადასახლებისას მზითვის სია თან წაუღია და მისი რამდენიმე პირი გადაუწერინებია. სიცოცხლის ბოლო წლებში ნინო ეორონეკის მონასტერში აღკვეცილა მონაზვნად, ხოლო 1847 წელს 75 წლის ასაკში გარდაცვლილა, დაუსაფლავებიათ პეტერბურგში (ნევის საკრებულოში).

## დარეჯან დადიანი

მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკა მწვავედ განიცადეს ბაგრატიონთა ტახტის უკანასკნელმა წარმომადგენლებმა: ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალმა და მისმა შვილებმა — მარიამმა, ქეთევანმა და თეკლამ; გიორგი XII-ის მეუღლემ — მარიამ გიორგის ასულმა ციციშვილმა, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ასულმა—დარეჯან ბატონიშვილმა, სოლომონ II-ის დამ მარიამმა, კაცია დადიანის ასულმა მარიამმა, წულუკიძის ასულმა სოფიომ (გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას მეუღლე). მისმა ქალმა ეკატერინე გურიელმა და იმერეთის ჯარების სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლემ ქეთევან აბაშიძემ.

მათგან პირველ რიგში საინტერესოა დარეჯან დედოფლის ცხოვრება. დარეჯან გიორგის ასული დადიანი (1726—1807) იყო ერეკლე II-ის მესამე მეუღლე. მათი ქორწინების შესახებ დავით ბატონიშვილი 1749 წლის თარიღით გადმოგვცემს: „ხოლო ჟამსა ამას გარდაიცვალა დედოფალი აბაშიძის ზაალის ასული ანნა და იქორწინა მეფემან ირაკლიმ დადიანის ასულსა ზედა დარიაზე, რომელი ესე იყო მესამე ცოლი მეფისა ირაკლისა"[180].

ერეკლე მეორისაგან დარეჯან დედოფალს ჰყოლია 14 შვილი — 5 ქალი და 9 ვაჟი. აქედან 1 ქალი და 4 ვაჟი მცირეწლოვანები დახოცილან[181].

მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკის სუსხი დარეჯან დედოფალმაც იწვნია. დავით და ბაგრატ ბატონიშვილები გადმოგვცემენ: ფრიად მოხუცებული, 70 წლის ასაკში, დარეჯან დედოფალი გადაასახლეს რუსეთში.

სამშობლო ქვეყანასა და თავის ხალხს დანატრებული მანდილოსანი ცხოვრობდა პეტერბურგში და ამ უცხო ქვეყანაში ითელიდა თავის მწარე დღეებს.

საინტერესოა ერთი გადმოცემა, რომელიც თავისუფლებაწართმეულ ქალს მიეწერება.

ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დედოფალი პეტერბურგ-

დარეჯან დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე
(1726—1807)

ში თავისი საცხოვრებელი სახლის წინ მდგარა. მის სახლთან ჩაუტარებიათ გალიაში დამწყვდეული ჩიტები. დარეჯან დედოფალს უბრძანებია მისი ყიდვა, ყველანი გაოცებულან, თუ რად უნდოდა დედოფალს ამდენი ფრინველი.

დარეჯანს აუღია გალია, გამოუღია ფანჯარა, ჩიტები სათითაოდ გაუშვია და უთქვამს:

— ჩვენც გვეყოფა ტყვეობა. თქვენ მაინც იცოცხეთ თავისუფალნი და თვალცრემლიანს გულია გადაუდია.

დარეჯან დედოფლის ცხოვრების უკანასკნელი წუთებისა და გარდაცვალების შესახებ პაგრატ ბატონიშვილი წერს: „წელსა 1807, ნოემბრის პირველს გამოჩნდა ეარსკველავი კუდიანი გრძელი და არა კომეტა. წელს ამას გარღაიცვალა ლედოფალი ღარეჯან დადიანის ასული, მეუღლე მეფისა ირაკლისა, სანკთ-პეტერბურგსა შინა ნოემბრის 8, რომელიცა დაჰარხა იმპერატორმა ალექსანდრემ ლიდითა ცერემონითა ნემეცკის მონასტერსა შინა ხარების ეკლესიაში“[182].

ასე დაასრულა სიცოცხლე სამშობლოს მოცილებულმა დარეჯან დედოფალმა.

## მარიამ დადიანი

XVIII — XIX საუკუნეების მიჯნაზე ქართველ ქალთა შორის ყურადღებას იპყრობს კაცია დადიანის ასული. იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლე მარიამ დედოფალი.

1801 წელს ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ხოლო სამეგრელო — 1803 წელს; იმერეთის მეფე სოლომონ II კი წინ აღუდგა რუსეთის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. სოლომონს ძალა არ ეყოფნიდა ბრძოლისათვის და დახმარებას თურქეთში ეძებდა. ტორმასოვმა შეძლო სოლომონის დაპატიმრება, მაგრამ გლეხი ივანე სალარიძის დახმარებით იგი გაიქცა და თავი შეაფარა ახალციხის ფაშას, რომელმაც სოლომონს ვერავითარი დახმარება ვერ გაუწია და საცხოვრებლად ტრაპიზონი მიუჩინა. ი. სალარიძე დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს.

ამ პერიოდში სოლომონის მეუღლე მარიამ დედოფალი მუხურის ციხეში იყო დამწყვდეული. რუსეთის მთავრობას ეშინოდა, რომ დედოფალი ნათესავების მეშვეობით არ დაკავშირებოდა ახალციხეში გაქცეულ სოლომონ II-ს. მთავარმართებელი როზენი განკარგულებას განკარგულებაზე იძლეოდა, რომ მარიამ დედოფლისათვის მკაცრი თვალყური ედევნებინათ. ამავე დროს მან სოლომონთან გაქცეული თავადების ოჯახებიც დააპატიმრებინა. დედოფალ მარიამს არც ეს აკმარეს: 1810 წელს თავისი მულით (მარიამით) რუსეთში გადაასახლეს. ამაზე ქართველი ისტორიკოსი გადმოგვცემს: „წელსა ამას 1811 მოიყვანეს პყრობილად რუსთა იმერთა დედოფალი, მეფის სოლომონის ცოლი, დადიანის კაციას ასული მარიამ და დაი მეფე სოლომონისა მარიამ, მეუღლე თავადის ანდრონიკაშვილის მელქისადეკისა, და დაასადგურეს ვორონეჟის ქალაქსა მპყრობილად“[183]. ვორონეჟიდან მარიამი გადაიყვანეს პეტერბურგში და იქ მიუჩინეს მუდმივი ბინა[184].

მარიამ დედოფალი, სოლომონ II იმერთა
მეფის მეუღლე

პეტერბურგში მარიამ დედოფლის ცხოვრების შესახებ მის თანამედროვეს, 80 წლის მოხუც გრიგოლ ივანეს ძე დადიანს უამბნია კ. ბოროზდინისათვის. ამ უკანასკნელს ამბავი დედოფლის ცხოვრების შესახებ დაუბეჭდავს ჟურნალ „ნივას“ მე-11 წიგნის დამატებაში. ეს მასალა 1893 წელს „ივერიასაც“ გამოუქვეყნებია.

პეტერბურგში გადასახლებული დედოფალი თავისი მხლებლებით ბინადრობდა ახლანდელი ლიტეინის პროსპექტის ერთ-ერთ მახლობელ ქუჩაზე. პატარა ხის სახლში. მისი ცხოვრება არც ისე სახარბიელო იყო: ქართულად ეცვა, სახეს კიდევ შერჩენოდა სილამაზის ნიშნები, ყოველდღე დადიოდა სალოცავად ღვთისმშობლის (ალექსანდრე ნეველის) ლავრაში. მისი სადღესასწაულო ტანსაცმელი ყოველთვის ერთნაირი იყო. დედოფლის დარბაისლობით და სიკეთით სავსე სახეზე იშვიათად აღიბეჭდებოდა ღიმილი, ისე დიდი მწუხარება

ჰქონდა გამოვლილი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი ქმარი სოლომონი იძულებით გაიქცა ოსმალეთში.

ვიდრე სოლომონი ცოცხალი იყო, ცოლ-ქმარს შორის მიწერ-მოწერა წარმოებდა. ქმრის უნუგეშო მდგომარეობა მარიამს გულს უკლავდა, სოლომონს სთხოვდა შერიგებოდა რუსეთის მთავრობას, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

1815 წელს სოლომონი გარდაიცვალა, ქმრის სიკვდილი მარიამმა მწარედ განიცადა. ეს უბედურება მისთვის თავზარდამცემი იყო. ექიმებს ეშინოდათ დედოფალი ჭკუიდან არ შეშლილიყო. ზედმეტი მწუხარების გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამ მდგომარეობაში მყოფს უთხოვია ხელმწიფისათვის: „ახლა, როდესაც ჩემი უბედური ქმარი ცოცხალი არ არის, მოიღეთ მოწყალება, ხელმწიფეო, და მიაქციეთ ყურადღება იმ გლეხს, რომელიც ათი წელიწადია იტანჯება შორეულ ციმბირში. მართალია, ის გლეხი თქვენი მოწინააღმდეგეა, ხოლო ჩემი განსვენებული მეუღლის ერთგულია, რომელმაც იხსნა იგი ტყვეობისაგან და მის მაგიერ, ხომ ხედავთ, თავი საფრთხეში ჩაიგდო. მე დიდად ვიტანჯები მისის უბედურებით, იგი ძალიან ძვირფასია ჩემთვის და ამისათვის ვბედავ გთხოვოთ მისი მოწყალება, აპატიეთ და დაამბრუნეთ, რომ შევიძლო მისი მოვლა-პატრონობა“.

ხელმწიფე დაპირებია დედოფალს გლეხი სალარიძის გათავისუფლებას. „გავიდა ხანი, დედოფლის მწარე ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. მას, ერთხელ დილით მოახსენეს უცნობი მათხოვარი მოხუცის მოსვლა. მარიამი მათხოვრების განკითხვას ჩვეული ყოფილა და უბრძანებია მოსული სახლში შეეშვათ და შეძლებისდაგვარად დაესაჩუქრებინათ. ბერიკაცი შესულა სახლში, დედოფალს უცვნია გლეხი ი. სალარიძე, ისინი ერთმანეთს გადახვეულან.

ი. სალარიძემ უამბო დედოფალს სოლომონის გაპარება ახალციხეში და თავისი თავგადასავალიც, თუ როგორ იტანჯებოდა ათი წელი შორეულ ციმბირში.

თვალცრემლიანმა დედოფალმა მწუხარებით მოისმინა მისი მსახურის უბედური ცხოვრების დეტალები.

დედოფალმა თავის მხრივ სალარიძეს უამბო სოლომონის გარდაცვალებისა და მისი გაწამებული ცხოვრების ამბები და დასძინა: — ახლა, ივანე, ხომ ხედავ, ჩვენს საერთო მწუხარებაში ღმერთმა ხელი არ აიღო ჩვენზე და ბოლოს, ისევ ერთად შეგვყარა. ახლა ჩვენსე ბედნიერი ქვეყნად არავინ მეგულება, დაივიწყე შენი განვლილი ცხოვრება, ვილოცოთ ერთად და ჩვენი სიმწარით სავსე დღენი ერთად დავასრულოთ. ახლა წადი დაიძინე, შენ მოსვენება გჭირდება...

დედოფალმა მიაცილა სალარიძე მისი ოთახის კარებამდე და გამო-

ემშვიდობა, მაგრამ რას მოიფიქრებდა, თუ ერთგული მსახურის ეს ნახვა უკანასკნელი იქნებოდა.

მეორე დილით საწოლ ოთახში დედოფალმა სალარიძე მკვდარი იხილა.

ეს უბედურება მარიამ დედოფალმა ვერ აიტანა და ის რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა"[185].

იმერეთის უკანასკნელი დედოფლის, სოლომონ II-ის მეუღლის მარიამის პეტერბურგში ცხოვრების შესახებ ასევე საინტერესო ცნობებს გვაწვდის დედოფლის თანამედროვე და პირადი ნაცნობი, გენერალ-მაიორი გიორგი ივანეს ძე აბაშიძე.

„ახლა რომ დავფიქრდები, — უთქვამს მარიამ დედოფალს, — მიკვირს, რა ცხოვრება გვქონდა და ან რა იყო ჩვენი მეფობა. ჩვენს სადგომს ქუთაისს, ოქროს ჩარდახს, ფანჯრები არ ჰქონდა, ზამთარში ფარდაგებს ვაფარებდით, სასმელ-საჭმელს ჩვენ თვითონ არ ვამზადებდით შინ, სულ ძღვნის იმედით ვიყავით. ხანდახან ჩვენთვის სამოახლოში გავაკეთებინებდით საჭმელს, ფული მაშინ ძვირი იყო. ჩემს ქმარს — სოლომონს ახალციხის ფაშისათვის უნდა გაეგზავნა წლიური ხარკი 800 მანეთი. რამდენჯერმე მოგვთხოვა, მაგრამ ვერ გაუგზავნეთ. მესამეჯერ რომ შემოგვითვალა, თუ ერთს თვეში არ გამომიგზავნით, ლაშქრით მოვალო, ყოველი ჩემი სამკაული დავაგირავე. მთელი იმერეთი შევანძრიეთ და აქა-იქ ფული მოვხიკეთ და, როგორც იქნა 4 თვის შემდეგ მოვაგროვეთ და 800 მანეთი გაუგზავნეთ ფაშას"[186].

მარიამ დედოფალთან დიდი ნაცნობობა ჰქონია პლატონ იოსელიანს, რომელსაც მისთვის მიუძღვნია 1838 წელს მის მიერ გამოცემული იოანე შავთელის „აბდულმესია" შემდეგი წარწერით: „მათ უმაღლესობას, მეფისა სოლომონ II-სა მეუღლეს დედოფალ მარიამ კაცია დადიანის ასულს მდაბლად მიუძღვნის ტფილისის სემინარიასა შინა ფილოსოფიისა და ფიზიკის მასწავლებელი, ღვთის მეტყველების კანდიდატი პლატონ იოსელიანი. აგვისტოს 24-სა 1838 წელსა, ტფილისი".

მარიამ დედოფლის სახე ქართულ ხალხურ საისტორიო სიტყვიერებას ასე აუსახავს:

ნეტა რა არის მისთანა; ამომავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდვია, იმ ოქროს ჩარდახისთანა.
გაღმით-გამოღმით ქალაქი, შუაზე მეედნისთანა,
დედის მუცლიდან ნაშობი მარიამ დედოფლისთანა?

მარიამო, რამ გაგაესო, თორმეტი დღის მთვარის მსგავსო?
შიგნით თეალი სამოთხის გაქვს, გარს წამწამი ხშირი გაქესო,
მდომიერმა კაცმა გნახოს, ამას იტყვის: „ელვა დგასო"!
ერთი შენი შემოხედვა ათას ჯავრსაც დაკარგავესო"![187]

## მარიამ ციციშვილი

გიორგი ციციშვილის ასული მარიამი (1768 – 1850) 14 წლის იყო, როცა გიორგი XII-მ ქეთევანის გარდაცვალების 40 დღის შემდეგ, 1782 წელს, ცოლად შეირთო. რძალი მესამე დღეს ერეკლე მეორეს უნახავს და დიდად მოსწონებია. პლატონ იოსელიანის სიტყვით, მე-

მარიამ დედოფალი (ციციშვილი),
გიორგი XII-ის მეუღლე

ფემ „ნახა რძალი თვისი საესე მშვენიერებითა, ჯერთ ყმაწვილი 14 წლისა. მეფემან მიართვა პირის სანახავად ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი თვლებითა, მარგალიტითა და იაგუნდებითა მორთული, რომელიცა ფასობდა იტყვიან ას თუმნათა, ქარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის გაღმა, მეტეხისა ძირში ავლაბრის გზის მარჯვნით. მასვე დღესა, მეფისავე მუნ ყოფნასა მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანცა პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძეწკეი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმისა ფარ-

ჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანოსული 70 მარგალიტისა ასხმული და 30 იაგუნდისა თვალი"[188].

მეფის ძის ასეთი აჩქარება ხალხს არ მოსწონდა და ქორწილიც ფარულად მოხდა. სასახლის დიდებულები ცალ-ცალკე მიდიოდნენ მისალოცავად გიორგისთან და დედოფალთან.

მარიამს შეეძინა 10 შვილი — (7 ვაჟი და 3 ქალი).

1803 წელს გიორგი მეფის ქვრივს მარიამს იმპერატორისაგან მოუვიდა ბრძანება: „წარეიდეს როსიად შვილებითურთ". მარიამი დიდ მწუხარებაში ჩავარდა. მას ვერ წარმოედგინა სამშობლოს დატოვება.

პ. ციციშვილმა ლაზარევს მოსთხოვა დაეპატიმრებინა მარიამი და რუსეთში ისე გაეგზავნა, ხოლო „ლაზარევმა შეუსია ჯარი შინა მძინარეთა დედა-წულთა და თვითცა შეუხდა შინა მაგინებელი დედოფლისა და ენება გარდმოგდება ტახტით და განთრევა გარეთ. ამისი მხილველმან... თავადმან ხიმშიაშვილმან ნიკოლოზ აღენთო სულითა ერთგულებისათა... ვერ მომთმენმან ამისმან დასცა ხანჯალი ღენერალს ლაზარევს და მოკლა იგი აპრილის 8. რომელნიცა მიეტევნენ ხმლითა და დაკოდეს დედოფალი მარიამ დიდად მხარსა და ხელსა შინა და უწყეს ციციანოვსა, რეცა სიკვდილი ლაზარევისა მის მიერ, რომლისა გამო აღენთო შურითა და განუსინჯაობითა და აუწყა იმპერატორსა ალექსანდრეს ესე ყოველი. ხოლო ხელმწიფემან ბრძანა დაპატიმრება დედოფლისა მარიამისა მალოროსიასა შინა ბელგოროდად წოდებულსა ქალაქსა, დედათა მონასტერსა შინა, და იყო წელი 8 ამა პატიმრობასა შინა ფრიადთა მწუხარებითა და ნაკლულოვანებით"[189].

ამ ფაქტს აღნიშნავენ დავით ბატონიშვილი და პლატონ იოსელიანიც.

საინტერესოა გადასახლების შესახებ მარიამ დედოფლის თხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი[190]. აი, ეს თხოვნაც:

„18 აპრილს, — სწერდა მარიამი, — გენერალი ლაზარევი მთელი როტით მომადგა კარზედ და ოთხი აფიცრით შემოვიდა ჩემს ოთახში, რომელშიც დედაჩემი, ჩემი სიძე და ასლან ირბელიანი, სეფექალები და მრავალნი მსახურნი იყვნენ. ლაზარევმა შემოსვლისთანავე უბრძანა გარეთ გასულიყვნენ ყველანი, რადგან ჩემთან რაღაც ბრძანება ჰქონდა ციციშვილისაგან გადმოსაცემი, რომ ვითომ მე ჩუმად ვამოშეპარებინოს ორი ვაჟიშვილი, რის გამო ნაბრძანები აქვს დარაჯი მომიყენოს, და მითხრა: ციციშვილმა გამომგზავნა ეხლავე ავმდგარიყავი და ჩემი შვილებით გავმგზავრებულიყავი. ეტლიც მზად იყო. მე ვთხოვე: შვილი ოქროპირი, რომელიც ავადმყოფობდა, აქ დაეტოვებინათ და მორჩენისთანავე ჩემთან გამოეგზავნათ. ლაზარევმა უარი მითხრა და თან დასძინა: ნუ იგვიანებ, მოემზადე. მე ვთხოვე, ერთი სა-

ათის დარჩენის ნება მოეცა, რომ ჩემს ბავშვებს გამოელვიძათ და ერთად წავსულიყავით, მაგრამ ლაზარევმა არც ერთს ჩემს თხოვნას პატივი არა სცა; პირიქით, გავიდა გარეთ, შემოიყვანა თოთხმეტი ოფიცერ-ყაზახი, ხელით მიუთითა ლოგინზე, რომელზედაც მე ჩემი უფროსი შვილით ირაკლით ვიწექი და უბრძანა შევეპყარით მე და ჩემი ქალი თამარი. მომცვივდნენ: ზოგი ხელში მწვდა და ზოგმა ლოგინი გაითრია. ამ დროს ჩემმა შვილმა ჯიბრაილმა ვერ მოითმინა, ხანჯალი იძრო და შეჰყვირა, რომ სანამ მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მოგცემთ, დედაჩემი მაგრე ათრიოთ. შვილს თამარსაც ყაზახების შემოსევაზედ სარკმლის დირეზე მდებარე ხანჯალი აეღო უპატიოსნების მიმყენებელთაგან თავის დასაცავად. ამის დამნახველნი აფიცერნი უკუიქცნენ და ერთბაშად კარში გამოცვივდნენ. ცოტა ხნის შემდეგ გენერალი უცებ შემოვარდა ამოღებულის ხმლით და თან შემოჰყვა ხმალ-ამოღებული იგივე ყაზახ-ოფიცრები. ამის დამნახავმა სარკმლიდან ხანჯალი ავიღე, მაგრამ თავში დამიმიზნა ხმალი, ავიცდინე, — ბზარში მომბვდა და ღრმად დამჭრა. ეს ამბავი რიჟრაჟზე მოხდა. ჩემთან ნაცვალი მოვიდა ერთი ყაზახით, დიმიტრი ორბელიანიც შემოვიდა და უბრძანა ტახტიდან გადმოველეთ და საბანზედ დავეწვინეთ; გამიყვანეს გარეთ და ჩამსვეს ეტლში. ნაცვალმა გასისხლიანებული ჩემი ბალიში გამოიტანა და თავით დამიდო. შვილები ცალკე დროგში ჩამისხეს, მაგრამ მტირალი ირაკლი არ დადგა, ჩემკენ გამოიწია... ვერას რომ მიუახლოვდით, ციციშვილისაგან გამოგზავნილი ექიმი ტატულა მოვეწია ჭრილობის შესახვევად. ამავე ექიმმა მითხრა, რომ ლაზარევი მოუკლავთო. ვფიცავ თქვენი იმპერატორობითის უდიდებულესობის სიცოცხლეს, აქამდის არ გამეგონა ლაზარევის მოკვლა. იქნება ჩემის უბედურებით წაქეზებულმა მისმა მტერთაგანმა რომელიმემ ჩაიდინა ბოროტმოქმედება, რადგან, როგორც ქართველთა შორის, ისე რუსთა შორის მრავალი მტერი ჰყავდა.

ვორონეჟში მისვლისთანავე, 13 ივნისს გუბერნატორმა გამოგვიცხადა სასტიკი ბრძოლა, რომლის ძალითაც მონასტერში შეგვამწყვდია და კარი გამოგვიკეტა. იმდენი უბედურების გამოვლის შემდეგ თქვენგან წყალობას მოველოდი, უფრო უბედურ მდგომარეობაში ჩავვარდი. საუკუნოდ მოვაკლდი ჩემს მიწა-წყალს, მოკლებული ვარ აგრეთვე ჩემ ქმართან ერთად დასაფლავებას მცხეთაში, მოხუც ჩემს დედ-მამას და ძმებს და ცხრა მთის გადმომვლელ გაჭირვებითა და ვაებით დაწიოკებული შვილებით, — სიკეთის მაგიერ ისევ უბედურება მხვდა წილად... მე დედოფალს, რომელიც დასჭრეს, ათრიეს, ექვს მის შვილს შეურაცხყოფა მიაყენეს, ყურადღებასაც არ აქცევენ. გადმოგვხედეთ მოწყალების თვალით და შემიბრალე უბედურებაში ჩაცვივნული ჩემი უდა-

ნაშაულები შვილები. თქვენი ნახვის იმედი გამიცრუვდა, რისთვისაც ეწერ ამ თხოვნას; შვილებით გემუდარებით, მოვეცეთ უფლება თქვენი ნახვისა, შეისმინეთ ვედრება ჩვენი. დედოფალი მარიამ".

მხოლოდ 8 წლის შემდეგ გაათავისუფლეს იგი მონასტრიდან. ამ განთავისუფლების შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „წელსა 1811 გაათავისუფლა... იმპერატორმა ალექსანდრემ დედოფალი მარიამ, მეუღლე მეფისა გიორგისა, პყრობილობისაგან ბელგოროდით და მოიყვანეს მოსკოვს და დაასაღვურეს სლობოდის სახელმწიფო სახლში აგვისტოს 22"[191].

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი 1850 წელს გარდაიცვალა მოსკოვში, საიდანაც ქართველმა დიდებულებმა დიდი ცერემონიით ჩამოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს მცხეთის სიონში, ერეკლე II-ისა და მეუღლის გიორგი XII-ის გვერდით.

## თეკლა ბაგრატიონი

თეკლა (1776 — 1846) იყო ერეკლე II-ის უმცროსი შვილი. იგი 16 წლამდე ვაჟურად ჩაცმული და შეიარაღებული ხშირად ხლებია თავის სახელოვან მამას სხვადასხვა ბრძოლაში. თეკლა მამის დიდი მანუგეშებელი და პატივისმცემელი იყო. პატარა ასული მამას მოხუცებულობას უტკბობდა და ხშირად ათქმევინებდა: ჩემს ვაჟიშვილებს ჩემი თეკლას სიკეთე რომ ჰქონდეთ, ბედნიერი ვიქნებოდიო.

თეკლა ბატონიშვილი თავისი ქცევით და-ძმებისაგან ყოველმხრივ გამოირჩეოდა, ამიტომ მამამ 4 წლის გოგოს 1780 წლის 14 ოქტომბრის თარიღით უბოძა სახუმარო სიგელი: „გიბოძეთ ეს სიგელი შენ, ჩვენს ქალს თეკლა ბიჭს, თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერიდან გიწყალობებთ ბიჭის სახელს და უბრძანეთ ყველა შენს ძმებს და დებს გიწოდონ თეკლა ბიჭი"[192].

თეკლა მეფის სასახლეში იზრდებოდა დედის — დარეჯან დედოფლის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ. იცოდა ქართული მწიგნობრობა, იყო მოკრძალებული, სათნო; ქართული ლიტერატურა უყვარდა და ლექსებსაც წერდა.

თეკლას 8 წლის ასაკში თოფის ხმარება დაუწყია.

არსებობს ერთი ასეთი გადმოცემა: სალილის წინ სასახლის აივანზე მეფე ერეკლე და დიდებულები საუბრობდნენ, ეზოში ხეებზე ჩიტებს ფრენა და ჭიკჭიკი დაუწყიათ. აბა, ვინ ესვრის და ჩამოაგდებს გაფრენილ ჩიტს? — უკითხავს რომელიღაც თავადს. ერეკლეს უბრძანებია, მომიტანეთ ჩემი ყირიმის თოფი და დამიძახეთ თეკლასო. მოუტანიათ თოფი, რომელიც ერეკლეს შვილისათვის გადაუცია და უთქვამს: ჩიტს თუ ჩამოაგდებ, თოფს ჯილდოდ მიიღებო.

თეკლა ერეკლეს ასული ბაგრატიონი
(„თეკლა ბიჭი“)

მეფის პატარა ასულს თოფი მხარზე მკვირცხლად მოუგდია, დაუმიზნებია და გასროლისთანავე ჩიტი ძირს ჩამოუგდია. მეფის ამალას შესანიშნავი მსროლელი ბატონიშვილისათვის ქებისა და სიხარულის ყიჟინა დაუცია.

ერეკლეს შვილი გულში ჩაუკრავს და ხმამაღლა უთქვამს: „ჰაი, ჰაი, თეკლა ბიჭო, ეს ჩემი საყვარელი ყირიმის თოფი შენთვის მიჩუქებია“[193].

იმ დღიდან მისთვის თეკლა ბიჭი შეურქმევიათ.

არსებობს გადმოცემა, რომ მამის მიერ ბოძებული თოფი თეკლა ბატონიშვილს სიკვდილამდე არ მოუშორებია.

თეკლა ხშირად დაჰყვებოდა მამას სანადიროდ და მარჯვე სროლით ბევრჯერ გაუკვირვებია მონადირეები.

თავმომწონე ერეკლე მეფეს ერთხელ ყველას გასაგონად უთქვამს: თეკლა რომ ვაჟი ყოფილიყო, არავისი შველა არ დამჭირდებოდაო. იქვე მყოფ თავად ონანიშვილს მეფისათვის უკადრებია: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადიაო“.

საისტორიო მასალები თუ ხალხური გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ თეკლა ბატონიშვილი ბავშვობიდანვე ყველას აოცებდა გონების გამჭრიახობით, შესანიშნავი ცხენოსნობით, მშვილდ-ისრისა და თოფის ხმარებით.

ერეკლეს სიკვდილმა თეკლა ძლიერ დაამწუხრა. ეს ცხადად გამოავლინა ერთ წერილში, რომელიც მიუწერია გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე მაიასათვის.

მამის გარდაცვალების შემდეგ თეკლა ვახტანგ ორბელიანისათვის ᲛᲘᲣᲗᲮᲝᲕᲔᲑᲘᲐᲗ. Პ. იოსელიანი გადმოგვცემს: ქართველმა დიდებულებმა სთხოვეს სნეულ მეფეს (გიორგი XIII), რომ მან ბრძანოს გათხოვება მეფის ასულის თეკლასი. გიორგი მეფეს თანხმობა გამოუცხადებია, რის შემდეგ, „დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანიშვილზედ, რომელიც იყო ძე თავადის დიმიტრისა. ესე ქორწილი იყო 7 სეკდემბერს 1799 წელსა. მეფესა უყვარდა დიდად და გამორჩევით დაი თვისი თეკლე“[194].

თეკლას საᲛი ვაჟი Ჰყავდა, ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგი — ცნობილი პოეტი.

„თეკლა ბატონიშვილი, — წერს ი. ჭავჭავაძე, — ზედმიწევნით მცოდნე ყოფილა მის დროინდელ ქართულ მწერლობისა... სიბრძნით და სათნოებით შემკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი... ამისთანა დედა... რა თქმა უნდა, ბევრს რასმეს სანაღვლელს და სანატრელს სახელოვანის წარსულისა ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემით“[195].

ალექსანდრე ორბელიანი თავის ღედაზე წერს: ბატონიშვილი თეკლა მეფის ერეკლეს ოჯახის მემატიანეა და მართალი დედაკაცი არისო[200]. მისივე სიტყვით, 1812 წელს დედამისი — თეკლა კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის აქეზებდა ქმარსა და ნათესავებს.

1812 წელს, — იგონებს ა. ორბელიანი, — კახეთში არეულობა მოხდა. კახელები ჯერ თიანეთში, ხოლო შემდეგ კახეთში რუსეთის მეფის თეიმთᲰყრობელური პოლიტიკის გამტარებლების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამის გამო მამაჩემი (ვახტანგ ორბელიანი) დაიბარა მთავარმართებელმა მარკიზმა და დაავალა: მეფის ერთგულებისათვის კახელების წინააღმდეგ ებრძოლა.

დაღონებული მამა მოვიდა სახლში და ყოველივე უამბო დედაჩემს

თეკლა ბატონიშვილს და თან დაუმატა: თუ არ შეეასრულე, ცოლ-შვილს ამიწიოკებენო.

ცოლ-ქმარს შორის გაიმართა ასეთი საუბარი:

„— ჩემი რჩევა ეს არის, რომ თქვენ სულ ერთიან კახელებს მიუდგეთ, — წადი, ნუღარ დააყოვნებთ, საქმეს. აქ ჩვენ, რაც უნდა მოგვეიგიდეს თქვენ ცოლ-შვილს, თუნდ სულერთიან ლუკმა-ლუკმა დაგვჭრან, ერთი არაფერი არის, ოღონდ მიუდექით თქვენს ძმებს კახელებსა, — დედაჩემმა გადაწყვეტით უთხრა ესა.

— კახელი თავადაზნაურობა სულ გადაუბირებიათ — მიუგო მამამ.

— მაშ ყველაფერი ჩაიშალა, წახდა?

— სწორედ ეგრეა, ჩემო ბატონიშვილო!

— ახლა რაღა გვეშველება. ეგ ღმერთმა იცის, მე კი ეღარ მსახავ ცოცხალს; ბატონიშვილო. აწ ჩვენ წვრილშვილებს გაუფრთხილდი და, რაც გეყოლოთ, ორსული ბრძანდები, იმისაცა“[196].

თეკლა განსაკუთრებით განიცდიდა თავისი ქვეყნის მდგომარეობას. მას არ მოსწონდა ცარიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა მოქმედება, რამაც 1832 წლის შეთქმულებასთან მიიყვანა თეკლა და მისი შვილები[197]. ალექსანდრე, დიმიტრი და ვახტანგ იყვნენ შეთქმულების მონაწილენი, ხოლო მათი დედა—დიდი თანამგრძნობი.

თეკლა ბატონიშვილის დასახასიათებლად საკმარისია შვილის ალ. ორბელიანის მოგონება, რომელშიც ნათქვამია: „როდესაც ჩემთან თბილისში ოფიცერი სინიცკი მოვიდა და გადასახლებაში წასვლა მიბრძანა, ჩემმა ცოლ-შვილმა ტირილი მორთო, მაშინ გაისმა დედაჩემის ხმა: ჩემი მკვლელი ის იქნება, ვისაც ახლა შეწუხებულს ენახავო“.

ა. ორბელიანს თავისი მეუღლე და სამი ბავშვი აცილებდნენ, ხოლო „ერეკლეს ასული თეკლა გადასახლებაში მიმავალ შვილს სასახლის ფანჯრიდან ღიმილით ისტუმრებდა. ვინ იცის, რამდენი ნაღველი იყო ამ ღიმილში ჩაღვენთილი“[198].

თეკლას მონაწილეობა მიუღია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რისთვისაც თავის დედა დარეჯანთან ერთად სამშობლოდან პეტერბურგში გადაასახლეს.

გადასახლებიდან დაბრუნებული თეკლა უმეტესად ცხოვრობდა თბილისში, მამის მიერ ბოძებულ სოლოლაკში. თეკლას საზოგადოებას შეადგენდა ქართველი თავადაზნაურული არისტოკრატია.

თეკლას სახელით ცნობილია სამი ლექსი: ა) „რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი“, 2) „ყოველთა მოდასეთა დაისრეს გული“ და 3) „მოგახსენებთ ყოველთ, აზიელთა ერთა“.[199] ლექსებში გადმოცემულია

ღრმა სევდა უმწეო მდგომარეობის გამო. ავტორი სხვა ბატონიშვილებთან ერთად გლოვობდა ბაგრატიონთა სამეფო ტახტის დაქცევას.

თეკლა გარდაიცვალა 1846 წელს 70 წლის ასაკში. დასაფლავებას ნათესავების, ახლო ნაცნობებისა და მეგობრების გარდა დაესწრნენ დიდებულები და მეფის მთავრობის თვალსაჩინო მოხელეები, მათ შორის, მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი მეუღლითურთ. დაკრძალეს „სობოროსა მცხეთისასა, ადგილსა სამარხსა ყოველთა საქართველოს მეფის სახლისა წევრთასა". მამის გვერდით გამზადებულ საფლავში, რომელიც განკუთვნილი იყო მეფის მესამე მეუღლის დარეჯან დედოფლისათვის, რომელიც გარდაიცვალა და დაკრძალეს პეტერბურგში[200].

## ქეთევან აბაშიძე-წერეთელი

ქეთევანი (XVIII—XIX ს.) იყო დავით აბაშიძის ასული და იმერეთის ჯარების სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე.

ცნობილია, რომ იგი რჩეული რაზმით დაბანაკდა მოდინახეს ციხეში და ბრძოლა გაუმართა მოძალადე დამპყრობლებს. ქმრის არყოფნის დროს აწყობდა ყუმბარებს ზარბაზნებში, თვითონვე უმიზნებდა და მოზღვავებულ მტერს ესროდა.

მოდინახეს ციხის ისტორიიდან საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელიც ამ მანდილოსანთან არის დაკავშირებული (96 წლის ნანია ჯაფარიძის ნაამბობი, მწერალ გიორგი წერეთლის ჩანაწერი)[201]. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია:

როცა მეფე სოლომონ მეორე გაიქცა ქალაქიდან, მას თან გაყვა სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, ხოლო მისი მეუღლე ქეთევანი, დავით აბაშიძის ასული, მამაცი და დიდებუნებოვანი ქალი, შეეიდა ჯარით მოდინახეს ციხეში და, როგორც მეფის ერთგული, თავგამეტებით იბრძოდა, ასრულებდა თავის ქმრის ქაიხოსრო სარდლის მაგიერობასაც.

ზურაბ წერეთლის შვილმა გრიგოლ წერეთელმა საჩქაროდ წამოიყვანა რუსეთის ჯარის ერთი რაზმი თავისი ზარბაზნებით და ჩაიყვანა ხოდაბუნში, ერთ-ერთ ციხეში, რომელიც ზურაბ წერეთელმა წაართვა ორ ძმას აბაშიძეს. ქეთევან აბაშიძე გამაგრდა მოდინახეს ციხეში. მეციხოვნედ და ზარბაზნების გამგედ იყო ბასილიკა ღონღაძე. მოწინააღმდეგემ დაუშინა მოდინახეს ციხეს ყუმბარები, მაგრამ ვერა დააკლო რა. ყუმბარების დიდი ნაწილი ციხემდე ვერ აღწევდა და ფერდობზე ეცემოდა. ზოგიერთი ხედებოდა ციხის ბურჯებს, მაგრამ ვერაფერს აკლებდა; ბასილიკა ღონღაძემ კი რამდენიც დაუმიზნა ქვე-

მეხი, იმდენი ყუმბარა ან ხოდაბუნის ციხის კედლებს მოარტყა და შეანგრია, ან თვით ციხეში ჩააგდო. ცოტა ხნის შემდეგ ცუდად ნაშენი ხოდაბუნის ციხის კედლები ჩამოინგრა. გრიგოლ წერეთელი იძულებული იყო ჯარი ციხიდან გამოეყვანა და ველზე მოშორებით დაებანაკებია. მოწინააღმდეგემ რომ ამ მხრიდან ვერა მოახერხა რა, მოდინახეს აღმოსაელეთიდან მოუარა, გაუსწორდა სიმაღლეს და ქვემეხებიდან დაუშინა, ციხეში მყოფნი დაფიქრდნენ ამ მოულოდნელობით. მათი ზარბაზნები სამხრეთისაკენ იყო მიმართული. მოწინააღმდეგის რამდენიმე ყუმბარა ჩავარდა ციხის ვალავანში და გასკდა. მოდინახეში მყოფნი შეეიწროვდნენ, მაგრამ დავით აბაშიძის ასული ქეთევანი ამ მდგომარეობამ უფრო გაამხნევა, ბრძანა ციხის გალავანში წყლის მოშვება, რომ წყალი ნახევარ არშინზე მდგარიყო, და რაც ყუმბარა გადმოვარდებოდა გალავანში, მოკიდებული ჩლა წყალს გაექრო და აღარ გამსკდარიყო. ქეთევანმა ამასთანავე ბრძანა ნაბდები დაესველებინათ. ამ მდგომარეობაში მყოფ მეციხოვნეებს მოწინააღმდეგემ ციხის გალავანში გადმოუგდო ყუმბარა, რომელიც ქეთევანის მახლობლად დაეცა, მაგრამ ჯერ არ გამსკდარიყო. ქეთევანმა სწრაფად აიღო სველი ნაბადი, გადააფარა ყუმბარას. ამასობაში ბასილიკა ღონღაძემ სამხრეთისაკენ მიმართული ქვემეხები მოაშლევინა და მოწინააღმდეგის მიმართულებით დაადგმევინა. ერთი-ორი გასროლის შემდეგ მოწინააღმდეგემ უკან დაიხია. ბრძოლა შეწყდა.

მოდინახეს ციხეში მხიარულების ხმები ისმოდა.

მეორე დღეს, ქეთევან დედოფალმა მიიღო გრიგოლ წერეთლის ბარათი; იგი ეფიცებოდა ერთგულებას — მე შენი ერთგული და მოყვარული მაზლისწული ვარო. ნება მიბოძე მოვიდე და დედად გაღიარო. ძუძუზე კბილი დამადგმევინე, რომ უფრო დამერწმუნო. დიდი მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან. შეგიძლია სოლომონ მეფე ისევ იმერეთში დააბრუნო შენი მეუღლითურთ, ქვეყანა დაამშვიდო, ჩვენზეც მეფის წყალობა გადმოაელინო. ხელმწიფე იმპერატორის ნებაც ეს არის, რომ ის მხოლოდ მფარველობდეს მეფეს და მეტი არა უნდა — რაო.

პირიან დედაკაცს ეაჟკაცის სიტყვა მართალი ეგონა და დანიშნა დროც, რომ მარტო ის შემოეშვათ ღამით ციხეში და მისწერა მარტო მოდიო.

ბრძოლის დაწყებიდან მესამე დღეს შეიყვანეს გრიგოლ წერეთელი მოდინახეს ციხეში ქეთევან აბაშიძესთან მოსალაპარაკებლად. გრიგოლმა აასრულა ხალხური წესი, დაადგა კბილი ძუძუებზე ქეთევანს. ამრიგად, გახდა მისი შვილობილი და შემდეგ ნება მისცა რამდენიმე კაცი გრიგოლთან ერთად შეეშვათ მოდინახეს ციხეში.

მეორე ღღეს მოხდა საშინელი ამბავი. შეცვივდნენ ციხეში გრიგოლის მომხრეები ჯარით, წერეთელი მივარდა თავდადებულ მანდილოსანს, ხელზე მისი ნაწნავები დაიხვია და ციხიდან გარეთ გამოათრია.

ქეთევან აბაშიძე დაატყვევეს, ხოლო მისი მომხრე კაცები დახოცეს და ციხე აიღეს.

ასეთი ვერაგული მოქმედებით შეძლო მოწინააღმდეგემ სახელოვანი ქალის დამარცხება.

თავი მესამე

# სოციალური უსამართლობისა და გარეშე ფტრების წინააღმდეგ მებრძოლი ქალები

მატიანე შენს სახელზე,
ალბათ, მიტომ გაინბა,
მარგალიტით ნაქსოვალი
რომ არ გეცეა ოქროს კაბა.
ბ. ლეონიძე

## ბარნაბიანთ ნინო

კახეთში არსებობს რამდენიმე ლეგენდა ქალქვაზე[1]. ერთ-ერთის შინაარსი ასეთია:

სოფელ ბოდბეში ბარნაბიანთ გვარის ცოლ-ქმარს ჰქონდათ შეძლებული ოჯახი, ჰყავდათ 7 ვაჟი და ერთი, ყველაზე უმცროსი — ქალი; ეთელი ოჯახი შეჰხაროდა მას, რადგან იგი გამოირჩეოდა სილამაზით, მოსიყვარულე გულით, მორჩილებითა და თავაზიანობით. როდესაც ნინო განმანათლებელი ჩასულა ბოდბეში ქრისტიანობის საქადაგებლად, ბარნაბიანთ ქალი 15 წლისა ყოფილა. ნინოს ძალიან მოსწონებია ეს გოგონა და მისთვის თავისი სახელი უწოდებია.

პატარა ნინო არ შორდებოდა წმინდა ნინოს; ყველგან დაჰყვებოდა, ყოველ საქმეში ეხმარებოდა, ლოცულობდა მასთან ერთად. წმინდა ნინომ თავისი ცოდნა და გამოცდილება გადასცა თავის ნათლულს, რომელიც ქადაგებდა ხალხში ქრისტეს მცნებას. ბარნაბიანთ ნინო უხვ დახმარებას აძლევდა გლახაკებსა და დავრდომილებს. რამდენიმე ხნის შემდეგ წმინდა ნინოსა და პატარა ნინოს შთაგონებით მოინათლნენ ბოდბელები და, საერთოდ, ქიზიყელები. პატარა ნინო 20 წლისა იქნებოდა, როდესაც წმინდა ნინო გარდაიცვალა.

ბარნაბიანთ მობეზრებული ჰქონდათ თავი სასიძოებისაგან. ჭაბუკები ნატრობდნენ პატარა ნინოს შერთვას. მშობლები და ძმებიც ცდილობდნენ მის გათხოვებას, მაგრამ ნინო უარზე იყო, მას თვალწინ ედგა ღვთისმშობლისა და წმინდა ნინოს სახეები. მან თავი ვერ დააღწია მოძალადე მთხოვნელებს და იძულებული გახდა სახლიდან გაქცეულიყო.

ბინა ერთ-ერთ უპატრონო მოხუც ქალთან დაიდო, აქაც არ ასვენებდნენ მოტრფიალენი. ბოლოს გაბეზრებული ქალი შეეევედრა ღვთისმშობელს, რომ ქვად ექცია და ამით მაინც აეცდინა გათხოვება. ღვთისმშობელმა შეიწყნარა ნინოს ვედრება და აქცია ქვად. იგი დევს ბოდბის ყველაწმინდის ეკლესიის კარებში. ხალხი მას ეძახის ქალქვას. იმ ადგილას, სადაც ღვთისმშობელმა ლოცვის დროს ჰატარა ნინო გააქვავა, აუშენებიათ ღვთისმშობლის ეკლესია.

მეორე ლეგენდა შეეხება ერთ დიდ ქვას[2], რომელიც „ბარნაბიანთ ქალქვის" სახელითაა ცნობილი, იგი ერთი დიდი ლოდის ნატეხია, რომელიც შავი ფერით განსხვავდება ადგილობრივი ქვისაგან. აქაურები მასში ხედავენ ქალს ნახევრადგახსნილი მკერდით და ხელში აკვნით.

ამ ქვის შესახებ ლეგენდა გადმოგვცემს: ერთხელ ბარნაბიანთ გვარის ქალი, სოფელ ბოდბიდან გათხოვილი წინამხარში (ვარეკახეთი), წავიდა სტუმრად მშობლებთან ბოდბეში. ამ დროს სოფელს ლეკები დაესხნენ, სცემდნენ მამაკაცებს, ძალადობდნენ ქალებზე. ერთმა ლეკმა განიზრახა ბარნაბიანთ ქალის გაუპატიურება. ამ ქალმა სასწრაფოდ აიღო შვილიანი აკვანი, გაიქცა ეკლესიაში და მხურვალედ შეევედრა ღმერთს, რომ გადაექცია ქვად და არ ჩაეგდო მოძალადე ლეკების ხელში. ღმერთმა შეისმინა ქალის ვედრება და გააქვავა კიდეც. მოირბინეს ლეკებმა და, ვიდრე ქალი მოასწრებდა გაქვავებას, მოაჭრეს მას ცალი ძუძუ. ამის შემდეგ გაქვავებული ქალი ზურგზე წევს. ქალქვას მიმართავენ უბიწოების დაცვის დროს[3].

მეორე ქვა, რომელიც ცნობილია დათუკაანთ ქალქვის სახელით, ალაზნის იქითა კახეთშია, შილდისა და ენისელს შორის. მის შესახებ გადმოგვცემენ ისეთსავე თქმულებას, როგორსაც ბარნაბიანთ ქალქვაზე, შინაარსი ასეთია: ქალი სამი ბავშვით გამოექცა ლეკებს. ერთი ბავშვი დედას მოჰყავდა ხელში აყვანილი, ხოლო ორი უკან მოსდევდა. ლეკები უკვე ეწეოდნენ მას. მაშინ ქალი შეეევედრა ღმერთს გადაექცია ქვად ან ჩიტად, რომ შესძლებოდა გაფრენა. ღმერთმა განწირულის თხოვნა შეიწყნარა და ბავშვები ქვად აქცია. ამ ქვას ადგილობრივი ქალები მიმართავდნენ უბიწოების დაცვის მიზნით, ან დიდი წვიმების თუ გვალვის დროს გადააბრუნებდნენ ქალქვას და ამინდი თითქოს უნდა შეცვლილიყო.

ხალხის გადმოცემით, ქალქვას მთელი ქვეყანა რომ დაეჭიდოს, ადგილიდან ვერ დასძრავს, მაგრამ მასთან ბარნაბიანთ შთამომავლობის უსუსური ბავშვიც რომ მივიდეს, ხელი ახლოს და შესძახოს: „ბარნაბიანთ გვარისა ვარ, აქეე, მამიდაო", — ქალქვა მაშინვე გადმობრუნდება.

ამბობენ მსგავსი ქვა გურჯაანშიც არისო, ახტალის მახლობლად, გზატკეცილიდან რამდენადმე მაღლა, ტყეში. აქ ქალქვას უკავშირებენ ახტალის წარმოშობას[4]. ამ ლეგენდის შინაარსი ასეთია:

ქრისტე ღმერთს უთქვამს, რომ ფერიცვალობა დღეს (6 აგვისტოს ძველი სტილით) კალო არავინ გალეწოთო. ერთ მღვდელს არ უწამებია ეს და ამ დღეს კალო გაულეწავს. ღმერთი გაჯავრებულა, გლეხის ტანისამოსი ჩაუცვამს და ხალხში ჩამოუვლია. მისულა მღვდლისას, უნახავს კალოს ლეწავდნენ და უთქვამს: მღვდელო, დღეს რა დღეა, კალოს რატომ ლეწავო? მღვდელს უთქვამს: ჩვენმა ქალებმა ღილას ადრე იცვალეს ფერიო. ქრისტემ არაფერი უთხრა, ისე გაბრუნდა. მღვდლისას იმ დროს ყოფილა მისი გათხოვილი ქალი ბავშვებიანად. ღმერთს ამ ქალისათვის უთქვამს: აიყვანე შენი შვილები, აკვანი და წადი ქმრის სახლშიო. ქალსაც აუღია აკვანი, მხარზე შეუდგამს და წასულა. ქრისტეს გაუფრთხილებია: უკან არ მოიხედოო; ქალი რომ წასულა, ღმერთს ჯვარი გადაუსახავს იქაურობისათვის და ახტალად უქცევია, შემდეგ ამოვარდნილა საშინელი ნაცარტუტა და წაულეკავს მღვდლის სახლ-კარი. ქალს გულში უთქვამს: ნეტა ჩემს მშობლებს რა დაემართათო. ვერ მოუთმენია და სერზე ასულს უკან მიუხედავს და დაუნახავს, რომ იმ ადგილას, სადაც მისი დედ-მამის სახლ-კარი იყო, საშინელი ნაცარტუტის ტბა დამდგარიყო და ყველაფერი შთაენთქა. ვაიმეო დაუძახია და იქვე გაქვავებულა.

ეს ლეგენდა მოგვაგონებს სოდომ-გომორის გაქცევისა და ლოთის ცოლის მარილის სვეტად გადაქცევის ბიბლიურ ამბავს.

## თუში დედები

ქართველი ხალხი ძველთაგანვე დაუფიქრებია თუშეთში არსებულ თემურ დავას. ამასთან დაკავშირებით შექმნილია ორი ლეგენდა, რომლებშიც სადავო საკითხი მაღალი ეროვნული შეგნებით არის გადაწყვეტილი: ერთი ჩვენ ჩავიწერეთ სოფელ მარტყოფში, მეორე საფუძვლად დასდებია ვაჟა-ფშაველას თხზულებას „ჩაღმა-წოვა“.

ვაჟა-ფშაველა 900-იან წლებში დიდად ზრუნავდა შირაქში მთიელთა ჩასახლებაზე, მაგრამ ამ საქმეს ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების უსულგულო და ბტრული დამოკიდებულება, ხოლო, მეორე მხრივ, ბობოლა მეცხვარეების კერძომესაკუთრული ინტერესები. ამიტომაც ვაჟა-ფშაველას ორ ფრონტზე უხდებოდა ბრძოლა.

წინააღმდეგობა არსებობდა თვით თუშებს შორისაც. ა. მათურელის ცნობით[5], „1907 წლის შემდეგ ჩაღმა და წოვა თუშებს შორის დამოკიდებულება ფრიად გამწვავებული. შეიძლება მომხდარიყო შეიარაღებული შეტაკება, მაგრამ დავა მშვიდობიანად დამთავრებული. ა. მათუ-

რელს მიუნწევია შეგნებული თუში ინტელიგენცია, რომ ხალხზე გავლენა მოეხდინათ და ძმას ძმის სისხლი არ დაღვარა; თანაც ვაჟასათვის უთხოვნია— შეეთხზა თუშთა ცხოვრებაზე თხზულება, რომელშიც ასახული იქნებოდა მათი ძმობა და კეთილგანწყობილება. ვაჟა-ფშაველას ეს წინადადება მიუღია და კიდეეაც დაუწერია პოემა, რომელსაც „ჩაღმა-წოვა“ რქმეეია. ეს პოემა ავტორს დამთავრებული ჰქონია 1913 წელს და კარგიც გამოსულა. ერთხელ სოფელ თონეთში თუშების თანდასწრებით ვაჟას ის წაუკითხავს კიდეც და მსმენელებზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ცრემლებიც ულვრიათ. ა. მათურელს განზრახვა ჰქონდა ეს პოემა წიგნად გამოეცა, მაგრამ მისი ბედი ცუდად წამართულა: შირაქიდან მიმავალ ვაჟას ახშის ჭალაში (თიანეთ-ჩარგლის გზა) დაკარგვია ჩანთა, რომელშიც ამ პოემის გარდა სხვა ნაწერებიც ჰქონია. დაკარგული ბევრი ეძებეს ვაჟამ და სხვა დაინტერესებულმა პირებმა, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. ავტორს არც შავი დარჩენოდა, რომ ხელახლად აღედგინა. ვაჟას თურმე პკითხეს: თუ შეიძლება მისი აღდგენაო? ნაღვლიან პოეტს უპასუხნია: ერთხელ ნაშობი, მეორედ არ იშობაო. პოემის შინაარსი, ა. მათურელის გადმოცემით, დაახლოებით ასეთი ყოფილა:

თუშების მთლიანი მოსახლეობა მტერმა შემუსრა. ერთი გადარჩენილი მანდილოსანი ძუძუმწოვარა ბავშვით გაქცეულა მთის გზით, რომ თავშესაფარი გამოენახა. გადავიდა მთას და ჩაღმა დაეშვა. მტერი კვალდაკვალ რომ არ გაჰყოლოდა, გზას იქცევდა. ბოლოს კლდოვანი ადგილისათვის შეუფარებია თავი. ცოტა ხნის შემდეგ იმავე მიმართულებით მას შეუმჩნევია გზად მომავალი მანდილოსანი ძუძუმწოვარა ბავშვით. ერთმანეთს გამოცნაურებიან. მეორე მანდილოსანს უამბნია პირველისათვის, რომ მთის გაღმა მხარე დიდი წვალებით ჩამოიარა, ბავშვი უტიროდა და ძუძუსწოვით უხდებოდა დაღმართის ჩამოთავება, ხსნის იმედი მხოლოდ მაშინ მიეცა, როდესაც წინ მიმავალი მანდილოსანი შენიშნა. ერთმანეთის ნუგეშისცემის შემდეგ ორივე ალაზნის დაპაწყისში დასახლებულა, წამოეზარდათ ერთს ბიჭი, მეორეს — ქალი, რომელთა ჩამომავლობისაგან წარმოიშვა თუშების ორი მოდგმა — ჩაღმა და წოვა. სოფლების აღორძინება ორი მიმართულებით დაიწყო, გაშენდა ჩაღმა და წოვა. ერთი ოჯახიდან წარმოშობილი ძმები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ.

ჩვენს მიერ სოფელ მარტყოფში 1952 წელს ჩაწერილ მეორე თქმულებაში („ლეგენდა თუშებზე“) საუბარია ქართველ დედა ბარბალეზე. ეს ქალი ალვანში ცხოვრობდა. ერთხელ ამ სოფელს თავს დაესხა მტრის ურიცხვი ლაშქარი. დიდი ბრძოლების შედეგად ალვანელთა უმრავლესობა დაიხოცა, გადარჩენილებმა თავი ტყეს შეაფარეს. მათ შორის,

ამ რბევა-აოხრებას თავი დააღწია ერთმა ალვანელმა ქალმა ბარბალემაც, რომელსაც ტყუპი ძუძუმწოვარა ბავშვები ჰყავდა. თავდამსხმელებს გაქცევის დროს ქალი დაუჭრიათ. დედას შვილები სამშვიდობოს გაუყვანია, ცოტა ხანს შეუსვენებია, შემდეგ ბავშვები ხელში აუყვანია და აჰყოლია მაღალი მთის აღმართს, იქნებ რომელიმე მეზობელ სოფლამდე მივაღწიო, რომ შვილები დაღუპვისაგან ვიხსნაო. მთაზე ასვლისას დაჭრილ დედას ღონემ უმტყუნა და დაეცა, იგრძნო აღსასრულის მოახლოებაც. წაქცეულმა დიდი წვალებით თავი აღმოსავლეთით შეაბრუნა, რომ ქართული წესით მომკვდარიყო.

ღონემიხდილსა და მომაკვდავ დედას ბავშვები მარჯვენა და მარცხენა ძუძუებს მიადგნენ და წოვა დაუწყეს. დაჭრილი ქალი გარდაიცვალა. ეშიერი ბავშვები საჭმელს ითხოვდნენ. ერთ ძუძუში რძე მალე გამოილია. იმ მხრიდან ბავშვმა ძუძუს თავი მიანება და ბალახის ნამს დაუწყო წ ო ვ ა და ისე დაადგა იგი ჩ ა ღ მ ა მთის ფერდობს. მეორემ კი წოვა მანამ, ვიდრე ძუძუში რძე სულ არ გაშრა. სოფლელებმა ბავშვები იპოვეს და გადაარჩინეს. ძმები გაიზარდნენ და შექმნეს ოჯახები. ხალხმა დედისა და შვილების პატივსაცემად იმ მთას, სადაც ტყუპი ბავშვების დედა გარდაიცვალა, უწოდა ბ ა რ ბ ა ლ ე ს ანუ ბორბალოს მთა, ხოლო შთამომავლებს იმ ძმისას, რომელიც ნამის წოვით მთის ფერდობს ჩაღმა ჩაჰყვა ჩ ა ღ მ ა თუშები, მეორე მ წ ო ვ ე ლ ძმის ჩამომავლებს კი წ ო ვ ა თუშები. ხალხის გადმოცემით ასე წარმოიშვა თუშების ორი განშტოება.

ხალხური ლეგენდაც გვიჩვენებს, რომ საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი თუშთა თემების (წოველებისა და ჩაღმელების) ერთგვარი დაპირისპირება. როგორც ჩანს, ხალხი ამ საკითხს უყურადღებოდ არ ტოვებდა და ეძებდა გზას თუშთა შორის არსებული უთანხმოების აღმოფხვრისათვის. სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით ქართველებმა შექმნეს ეს ლეგენდები.

თუშური საისტორიო ზეპირსიტყვიერება მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს წოვა და ჩაღმა თუშების გმირულ თავდადებაზე. მათ თავი გამოიჩინეს ბახტრიონის ბრძოლაში. საყოველთაოდ ცნობილი არიან ასპინძის გმირი წოვა დილოიძე და შამილთან მეომარი შეთე გულუხვაიძე. დევდარის ანთა და ზეზვა გაფრინდაული ხომ თუშთა საამაყო წინაპრები იყვნენ. თუშების წრიდან გამოსულმა ინტელიგენტებმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან საკუთარი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებაში, ხოლო ახლა ისინი მეცნიერებისა და ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე ნაყოფიერად მუშაობენ.

წოვა და ჩაღმა თუშების ერთობლივი ცხოვრება კარგად არის გააზ-

რებული ხალხურ თქმულებებში და იქ გატარებული ეროვნული აზრი სახელმძღვანელო უნდა იყოს გმირი წინაპრების ღირსეული შთამომავლობისათვის. ამას ქადაგებს ხალხური თქმულებები და ეს ჰქონდა მიზნად დიდ მგოსანს ვაჟა-ფშაველასაც, როგორც დაკარგული პოემის შექმნის დროს, ისე შემდგომ პრაქტიკულ საქმიანობაში

## მარიამ თავდადებული

ქართველი ქალის გმირობის გამოსახატავად ხალხს ბიბლიური გადმოცემა ივდითის შესახებ გადაუმუშავებია და მარიამის საგმირო საქმეებზე შეუქმნია თქმულება, რომელიც მწერალ ქალს ბარბარე ჯორჯაძისას ჩაუწერია[6]. ლეგენდის შინაარსი ასეთია:

თურქები კახეთს ურიცხვი ჯარით შემოესია. საქართველოს მეფე თავისი ლომგული ვაჟკაცებით წინ აღუდგა დამპყრობლებს. ამ ბრძოლას ორივე მხრიდან მრავალი ჯარისკაცი შეეწირა.

მეფის ვეზირმა ასეთ ხერხს მიმართა: სილაბაზით ეანთქმულ თავის ასულს —მარიამს დაავალა მტრის ბანაკში შესვლა და მისი მეთაურის მოკვლა, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

პირბადეჩამოფარებულმა მარიამმა ღამით მტრის ბანაკი გაიარა და შეიხის კარამდე მიაღწია, გზაზე კარის მცველებმა ჰკითხეს ვინაობა, ან რა სურდა, მაგრამ ქალმა ცივად უპასუხა: ვინ ვარ, თვითონ თქვენს უფროსს მოვახსენებო. დარაჯებმა შეიხს აცნობეს უცხო ქალის ბანაკში მისვლა და მარიამი წარუდგინეს. ქალმა მოახსენა:

— თუ გსურთ ყოველივე გაიგოთ, მსმენელები დაითხოვეთ.

ქალმა პირბადე ჩამოიხსნა და დაიწყო: მე ვეზირის ქალი ვარ, სახელად მქვია მარიამი. როდესაც ჩვენმა მეფემ და თქვენ ომი დაიწყეთ, რამდენიმე ამხანაგი ქალით წამოვედი თქვენს ბანაკში ჯარის დასათვალიერებლად. მე, ჩემდა საუბედუროდ, დაგინახეთ და თქვენი ტრფიალება ჩამივარდა გულში. სიყვარულმა ისე ამიყოლია, რომ დედ-მამის დაუკითხავად მოვედი თქვენს წინაშე. გსურთ შემიწყნარეთ, გსურთ ახლავე უბრძანეთ მომკლან, თავი განწირული მაქვს.

— ნუთუ მართალს ამბობ? — ჰკითხა შეიხმა. — ჯერ ჩემს თვალს შენისთანა მშვენიერება არ უნახავს, სხვა ქართველი ქალებიც შენ გვავანან? ან სად გისწავლია ასე კარგად ჩვენი ენა?

— ჩვენში ძალად ასწავლიან თქვენს ენას, რადგან ჩვენი ქალები ყაენს მიჰყავს.

ქალით მოხიბლულმა შეიხმა ყოველივე დაიჯერა და უბრძანა დარაჯებს, რომ ღამით მასთან არავინ შეეშვათ.

შეიხმა მოისურვა მარიამის ხელით ღვინის დალევა. ქალმა დედისაგან დამზადებული და ეამოტანებული წამალი მოხერხებულად ჩაუყა-

რა ღვინოში. შეიხს მკედარივით ჩაეძინა. მარიამს გაახსენდა მშობლის სიტყვები: „როგორც მკედარი, ისე შეიქმნება", შემდეგ ამოიღო მამის მიერ ნაბოძები ბასრი ხანჯალი, რომელიც კაბის ქვეშ ჰქონდა დამალული და მძინარეს თავი მოკვეთა, შეახვია და წამოსასხამში დამალა. შემდეგ მტრის ბანაკიდან გამოიპარა და შეიხის თავი მამას მოუტანა. ვეზირმა მტრის თავი მეფეს მიართვა და მოახსენა:

—ასემც დამხობილა ყოველი თქვენი მტერი, როგორც ჩემი ქალის ხელით ეს დაეშხო.

მეფემ გმირი ქალი სასახლეში მიიწვია და ჰკითხა:

— ასე ყმაწვილმა ქალმა ეს საქმე როგორ მოახერხე?

მარიამმა უპასუხა:

—სამშობლო ქვეყნის დახსნისათვის თავს როგორ დავზოგავდი? თუ ვერაფერს შეეიძლებდი, მაშინ ჩემს სიცოცხლეს იქვე დავასრულებდი.

შეიხის მოკვეთილი თავი ჯოხზე წამოაგეს და გათენებისას მოწინააღმდეგის ბანაკში ჩამოატარეს.

ქართველები დაერივნენ მტრის ჯარს და მუსრი გააელეს. მოშხლურები, რაკი სარდალი მკედარი ნახეს, ვაიქცნენ. ქართველები ფეხ-დაფეხ მიჰყვნენ, ბევრი მათგანი აჩეხეს და გამარჯვებულებმა ქალაქ ვრემში დიდი ლხინი გადაიხადეს.

## ნათელა წერეთელი

ქართველი ქალის სახელოვანი თვისება — სამშობლოს სიყვარული შესანიშნავად დაგვიხატა აკაკი წერეთელმა პოემა „ნათელაში". პოეტს ნათელა წარმოდგენილი ჰყავს უდიდეს პატრიოტად, რომელსაც ქვეყნის ჭირი მიაჩნიათ თავის ჭირად და დიდება — საკუთარ დიდებად.

პოემა დაწერილია ისტორიული ფაქტებისა და ხალხურ თქმულებათა საფუძველზე[7]. მათი დაკავშირებით აეტორმა შექმნა ერთი დასრულებული ამბავი.

პოემის შინაარსი დაახლოებით ასეთია:

ნათელა იყო ქველი წერეთლის ასული: ლამაზი, ტანადი და ყოველი სიკეთით აღსავსე, მთვარის მსგავსი, ჰქონდა ცისკრის ვარსკვლავის ღიმილი და ვარდისფერი სახე. მისთვის ბუნებას მიეფინა იის სინაზე და სამოთხის შუქი, განგებას კი მიეძღვნა გიშრის თვალები და კოჭებამდე ნაწნავები. ამ მომხიბველელმა ქალმა ბევრ თავდადებულ მეომარს აუძგერა გული. ყველას სურდა მისი ცოლად შერთვა, მაგრამ ქალის პასუხი ერთი იყო: ჯერ ჩემი გული ყველასათვის როგორც სამარე, გრილიაო, თუმცა ნათელა ისეთ საქმროს ეძებდა, რომელსაც მის მიერ შეკერილი ოქრომკედით ნაქარგი თეთრი ჩოხა მოერგებოდა, და ამავე დროს მტრის ასოც თავს მოუტანდა მოდინახეს ციხის გალავ-

ნის სარქველად. ნათელას დაეპატრონებოდა ის, ეისაც შეეძლო ამ პირობის შესრულება.

ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ვაჟკაცები წერეთლის მოდინახეს ციხის დარბაზში და იზომებდნენ საბედისწერო ჩოხას, მაგრამ არავინ აღმოჩნდა, რომელსაც იგი მოერგებოდა.

ერთ დღეს ნათელამ თვალი მოჰკრა თეთრ ცხენზე მჯდომ ჭაბუკს, რომელიც ბედაურს აზვირთებული მდინარისაკენ ელვის სისწრაფით მოაგელვებდა. ყველა ხიდი ადიდებულ ყვირილას წაელეკა და მხედარმა ცხენი წყლის ზვირთებში შეაგდო. ორივენი აბობოქრებულ ტალღებში გაეხვიენნენ და შთაინთქნენ. ამ საშინელ სურათს ნათელა გულის კანკალით უყურებდა და, რომ მათი დაღუპვისაგან თვალი მოერიდებია, პირზე ხელი მიიფარა. მხედარმა სძლია ადიდებულ მდინარეს, წყლის მეორე ნაპირზე გავიდა, კვლავ თავის ფეხმარდ ცხენს მოახტა და თვალის დახამხამებაში გაჩნდა ნათელას ციხე-კოშკის კარებთან. ამ დროს მაღლიდან „ჩოხა დაეშვა ფრიალით", რომელიც მხედარმა „აიღო ხელში, გასინჯა, ჩაიცვა, ერგო კიდეცა, გაიორკეცა სურვილი, ისისთვის გაიხსნა კიდე ცა". შემდეგ ქალს კოცნა გაუგზავნა, „მოახტა მარდად თეთრასა, რომელი გზითაც მოვიდა, დაადგა ისევ იმ გზასა".

უცხო მხედარმა ნათელას გულში წარუშლელი სიყვარული დატოვა: „წავიდა და თან წაიღო ნათელას სული და გული".

გავიდა დრო. წერეთლის ციხე-დარბაზის გალავნის სარქველად ნათელას მოსდის სამშობლოს მტრების თავები. ასოცს აკლდა ერთი, რომელსაც მოუთმენლად მოელის თავმომწონე ქალი. გადის დრო, მაგრამ უცხო მხედრის არაფერი ისმის. გამოუთქმელია წერეთლის ასულის მწუხარება. მას ჰგონია, რომ იგი დაიღუპა და შავებით შემოსილი ცრემლს აფრქვევს ციხე-კოშკის კედელთა შორის.

ერთხელ ციხის კარი გაიღო და მსახური ატყობინებს ნათელას, წითელცხენიანი და წითელჩოხიანი კაცი მოვიდა, თქვენს ნახვას ითხოვსო.

წერეთლის ქალის ნებართვით უცხო ჭაბუკი დარბაზში შევიდა, მუხლი მოიყარა ასულის წინ და ჰკადრა: მოვსულვარ თქვენი ტყვე და პირობის აღმსრულებელი!... და, აწ, მიიღეთ ჩემგან ძღვნად, ვით პირის სანახავიო, ქვეყნის მტრისა და ორგულის ეს მეასოცე თავიო.

უცხო მხედრის სტუმრობა ნათელასათვის მოულოდნელი და წარმოუდგენელი ნეტარება იყო. ასულის მწუხარება ლხენა-მხიარულებად შეიცვალა. მან უცხოს მორიდებით ჰკითხა ვინაობა. ჩაჩოქილმა ახალგაზრდამ „მიუგო, მაგისი ძნელი არ არის ცოდნაო: მთავრის შვილი ვარ, მთავარი, დადიანი ვარ ცოტნეო".

ქალ-ვაჟმა ცოლ-ქმრობის პირობა დადეს და მალე ქორწილიც ვა-

დაიხადეს ჯერ საჩხერეში, შემდეგ კი მდინარე ხობის ნაპირას, მთავრის სასახლეში. ქორწილის დროს ნათელამ ცოტნეს უთხრა, რომ შეეგროვებინა ლაშქარი და თანამოძმეებს დახმარებოდა მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ცოტნემ მეუღლეს უპასუხა: ჩემი მიზანიც ეს იყო. ამიტომ შევყარე ეს ხალხი და ახლა, როცა ამერთა დიდებულნი შეთქმულან მტრის გასანადგურებლად და მონობისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად, მეც ჩემი ვაჟკაცებით გადაწყვეტილი მაქვს მოძმეთა დახმარება და ამ მიზნით გეგმაც შედგენილია, მათ საშველად ჯავახეთში უნდა ჩავიდეთ. „ეს ხალხიც მიტომ შევყარე, რომ გამემჟღავნა ყველა ეს, მოსამზადებლად მე სხვა დროს ხელს ვერ ვიგდებდი უკეთესს“.

ცოტნე ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს დიდებულებთან წინდაწინ იყო მოლაპარაკებული, რომ დასავლეთ საქართველოდან ჯარს ჩაიყვანდა და მონგოლების წინააღმდეგ შეთქმულებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა. მართლაც, ქორწილის შემდეგ დიდი ჯარით გაემგზავრა ქართლისაკენ. გზად მიმავალმა გაიგო, რომ შეთქმულები შეეპყრათ და ანისში წაეყვანათ. ბრძოლის დაწყება უაზრობა იყო, ამიტომ ჯარი უკან დააბრუნა და თვითონ ორი კაცით წავიდა ანისში მამულიშვილთა ბედის გასაზიარებლად. იქ ნახა „გაშიშვლებულნი მოძმენი“, ტანზე თაფლი ჰქონდათ წასმული, ბუზებისა და მზისაგან საშინლად იტანჯებოდნენ. ნოინმა შეთქმულებს ეს სასჯელი იმიტომ დაადო, რომ უარყოფდნენ მონგოლთა წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ცდას. ცოტნე წყნარად ძვიდა ტყვეებთან, გაიხადა, ტანზე თაფლი წაისვა და მოედანზე მათ გვერდით დაჯდა.

როცა ნათელამ ქართველ შეთქმულთა ბედი შეიტყო, აბჯარი აისხა და მონღოლთა ნოინის წინაშე წარსდგა, რომ ვაჟკაცური გამბედაობით მოძმეთათვის ბორკილის სიმძიმე შეემსუბუქებინა. ის შავებში იყო ჩაცმული და სახეზე ბადე ჰქონდა ჩამოფარებული. ნათელამ ნოინს თხოვა ქმრისა და სხვა ტყვე ქართველების განთავისუფლება. ნოინს მოეწონა ქართველი ქალის გამჭრიახობა, სილამაზე, გაბედულება და შეჰპირდა ქმრის განთავისუფლებას. ოღონდ მოინდომა ცოტნეს გამოცდა, დაიბარა და უთხრა:

— ყოველიეს გაპატიებ, თუ ერთი ღამით შენს ცოლს მომვვრი.

განრისხებულმა ცოტნემ მტარვალს მოახსენა:

— შენი ბედი, რომ ახლა ჩვენ სტუმარ-მასპინძელი ვართ, თორემ მაგის თქმას ძვირად დაგიხვამდი.

ახლა ნოინმა ცოტნეს უთხრა:

— ეს ქალი კუთხეში რომ ზის, ჩემი შვილობილია, სასიძოდ ამირჩევიხარ, მინდა ცოლად შეგრთო.

ცოტნემ მოუჭრა:

— ორცოლიანობა ჩვენში წესად არ არის.

ნოინმა უბრძანა:

— აბადე პირბადე იმ ქალს და აკოცე, როგორც საყვარელს.

სხვა გზა არ იყო, ცოტნემ ჩადროსანს ახადა პირბადე და შეიცნო თავისი მეუღლე... ქალის ასეთი გამბედაობით მოხიბლულმა ნოინმა გა-თავისუფლა პატიმრობაში მყოფი ქართველი დიდებულები.

აკაკი წერეთელი ხალხში დარჩენილ თქმულებას ქველი წერეთლის ასულის შესახებ ასე გადმოგვცემს: ნათელა, ჩვენი აზრით, ლეგენ-დური პიროვნებაა. საუბრის დროს ყოველთვის ამბობდა: „ცოტნე და-დიანის საფლავის გვერდით მღებარე მეორე ქვას აწერია — ნათელა. ხალხის წარმოდგენით, ნათელა ოდიშის მთავრის ცოტნე დადიანის მე-უღლეა, რომელმაც თავისი გაბედული მოქმედებით იხსნა ქმარი და ტყვე ქართველები.

ქალით ძლეულმა ნოინმა ირწმუნა ქართველთა გმირული თავდაღე-ბა და გაათავისუფლა ისინი"[8].

ასეთია ისტორიული თუ ხალხური სიტყვიერების მასალები აკაკის პოემაში „ნათელა", სადაც აღწერილია საქართველოს ისტორიის შავ-ბნელი პერიოდი, მონგოლთა მიერ მისი აოხრება.

იყო თუ არა ნათელა ისტორიული პიროვნება, ამის გარკვევა არ ხერხდება. აქ მთავარია ის, რომ აკაკიმ მოგვცა ქართველი პატრიო-ტი ქალის განზოგადებული სახე, რომელიც უმღერის თავისუფლე-ბას, ერთიანობას, ძმობა-მეგობრობასა და სიმძლავრეს.

## ბულბულა ჟვიშელი

ქეიშხეთიდან 2 — 3 კილომეტრის მოშორებით, მტკვრის ხეობაში აღმართულია მაღალი მთა. მასზე აგებულია დიდი ციხე-კოშკი, შიგ-ნით ჩაკრილია უზარმაზარი ქვევრები, საფიქრებელია, წყლის მარა-გისათვის. გადმოცემით[9] ციხე-კოშკი აშენებული უნდა იყოს XVI სა-უკუნეში. ხალხი ლეკთა თავდასხმისაგან თავის დასაცავად ამ კოშკში იხიზნებოდა.

სოფლიდან კოშკამდე მიეყავართ ერთ გზას, რომელსაც ხალხი ლე-კის გზას უწოდებს. ციხის ხელში ჩაგდების მიზნით ეს გზა ლეკებს გაუყვანიათ.

ერთხელ ლეკთა დიდი ბრბო სოფელს დაესხა. მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა გლეხის ქალმა ბულბულამ იკისრა. სასწრაფოდ შეადგინა დამცველი რაზმი, მცირე ხნით მოიგერია ლეკთა იერიში და ხალხი დიდძალი სანოვაგით ციხე-კოშკში დააბინავა. ციხე-კოშკს სა-იდუმლო გვირაბი ჰქონდა, საიდანაც სასმელი წყალი შემოჰქონდათ.

ბულბულა თავისი რაზმით ციხის ქონგურებიდან უთვალთვალებდა მოახლოებულ ლეკებს, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ ციხეში ვერ შელიოდნენ. ეძებდნენ საიდუმლო გზას, წყალსადენს, მაგრამ ამაოდ. წყლის სათავე ვერ აღმოეჩინათ. ბოლოს დაიჭირეს სახედარი, რომელიც იქვე. ტყის პირას ძოვდა, მოაწყურეს და ციხე-კოშკის გარშემო რამდენჯერმე შემოატარეს: თუ სადმე ნიადაგში წყალია, სახედარი შეიგრძნობს და ვაჩერდებაო.

ეს ასეც მოხდა.

ნიადაგი გათხარეს და წყლის მილები ამოყარეს.

ციხეში შეხიზნულთ უწყლოდ გაუჭირდათ ყოფნა და იძულებული გახდნენ წყლის სათავის აღსადგენად ვინმე გაეგზავნათ.

წყლის მილების გასწორება ბულბულამ იკისრა. სასწრაფოდ გამოვიდა ციხე-კოშკიდან და მალულად გასწია სათავისაკენ.

ჩასაფრებულმა ლეკებმა ქალი შეიპყრეს, ციხეში შესასვლელი გზის სწავლება მოსთხოვეს და სიცოცხლის შენარჩუნება აღუთქვეს.

ბულბულამ მოძალადეებს ციხე-კოშკზე მისასვლელი შორი გზა ასწავლა. მტერი დაადგა ბულბულას ნასწავლ გზას, ქალი კი სასწრაფოდ მივიდა წყლის სათავესთან, გაასწორა მილები და ციხისაკენ მოკლე გზით გაიქცა.

გაქცეული ქალი ლეკებმა შენიშნეს, თავგანწირულ ღედაკაცს გზა გადაუჭრეს, ბულბულა ლეკთა ბრბოს გაუძალიანდა, მაგრამ ნაკუწ-ნაკუწად აქციეს.

მტერმა აიღო ციხე-სიმაგრე, ხალხი შეიპყრო და ტყვედ წაიყვანა.

გავიდა ხანი, ხალხმა გმირი ქალის პატივსაცემად ციხე-კოშკსა და სოფელს ბულბულა შეარქვა.

ვინ, ან რა გვარის იყო ეს გმირი ქალი, ხალხური ზეპირსიტყვიერება ამაზე არაფერს ამბობს.

## კორბოულელი და კავთისხეველი მანდილოსნები

ქართველ ქალს ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასთან ერთად თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა მამულისათვის ვაჟკაცის აღზრდა. ამ მხრივ სამაგალითოა კორბოულელი და კავთისხეველი ქალების პატრიოტული სულისკვეთება და სიმტკიცე ქვეყნის, ხალხის დაცვაში.

ერთი ამბავი, რომელიც „ახალი ქართლის ცხოვრებაში" ბერი ეგნატაშვილის მიერ არის მოთხრობილი, შეეხება ქართველთა მეფე სეიმონ პირველის (1537 — 1600) ბრძოლებს იმერეთისა და სამეგრელოს სამთავროს შეერთებისათვის. მეფეს შეუყრია ქართლ-კახეთიდან დიდძალი ლაშქარი და დასავლეთ საქართველოში გამგზავრებულა. გზად

სოფელ კორბოულში გაუვლია. იქ ერთი მოხუცი მანდილოსანი, გვარად გოგოლაური შეხვედრია. დედაკაცი სვიმონ მეფეს შეხვეწნია: ჩემი შეილიც წაიყვანე მამულის დასაცავად. სვიმონ მეფეს საკმაოზე მეტი მებრძოლი ჰყოლია და მანდილოსნისათვის უთქვამს: „დედაო, ასე არა უწყი, რომელ კაცითა მთვრალ ვარ“[10]. ე. ი. მებრძოლები მოჭარბებით მყავსო?

გაწბილებულ დედას მეფისათვის თხოვნა გაუმეორებია, მაგრამ არაფერი გამოსვლია.

ამ ბრძოლაში სვიმონ მეფე დამარცხდა, მცირე ამალით უკან მომავალმა ისევ კორბოულში გამოიარა, წინ შემოხვდა ისევ ის დედაკაცი, რომელიც გზის პირას ახოს თხრიდა, და დამარცხებულ მეფეს დამცინავი სიტყვებით მიმართა:

— „მეფეო, ვეჭვობ, მაშინ რომ კაცით მთვრალ იყავ, გამოგნელებია“[11].

მეფეს მანდილოსნისათვის არაფერი უთქვამს.

კორბოულიდან ჩამოსულმა სვიმონმა მოაღწია ქართლის სოფელ კავთისხევს. გზაზე, შეხვედრია ხანში შესული გლეხის ქალი, გვარად ქვლივიძე, რომელსაც ქართველთა მეფე ვერ უცვნია. მეფემ მოსვენებისათვის კავთისხეველ მანდილოსანს თავშესაფარი სთხოვა. მოხუცმა დიასახლისმა მგზავრი სახლში მიიწვია. ამ ქალის ქმარი და შვილი სვიმონ მეფეს ახლდა ბრძოლაში.

დიასახლისმა ბრძოლის ველიდან მომავალ უცნობ მგზავრს საუზმე მოუმზადა და მიართვა. როდესაც მასპინძელმა შეიტყო, სტუმარს მეტი ჭამა აღარ შეეძლო, მაშინ გაბედა და ჰკითხა ქართველი მეფისა და მისი ლაშქრის ბრძოლის ამბავი. სტუმრისაგან მასპინძელი განსაკუთრებით მოითხოვდა სვიმონ მეფის ამბების შეტყობას.

სტუმარმა დიასახლისს ამცნო სვიმონ მეფის დამარცხება. ამ სიტყვებმა მოხუცი დიასახლისი დიდად შეაწუხა და ცრემლები დაღვარა. ბოლოს სტუმარს ტირილით ჰკითხა ქმრისა და შვილის ამბავი. სვიმონ მეფემ უთხრა, რომ თქვენს ქმარ-შვილს ვერ ვიცნობო. მეფის მდგომარეობით შეწუხებულმა დიასახლისმა თქვა:

— თუ ღმერთმა ჰქნა, სვიმონ მეფე ცოცხალი გადარჩა და მშვიდობით დაგვიბრუნდა, მისი ჭირის სანაცვლო იყოს ჩემი ქმარ-შვილი და სხვებიც, რომლებიც კიდევ მყვანანო.

ასე საუბრობდა ქვლივიძის ოჯახის სტუმარი და დიასახლისი ომის, მეფის, ლაშქრისა და ქმარ-შვილის შესახებ.

მეორე დილით მასპინძლის გულუხვობით ნასიამოვნები სვიმონ მეფე დიასახლისს გამოემშვიდობა და შინ გაემგზავრა.

გავიდა ხანი. დიასახლისის ქმარ-შვილი უვნებლად დაბრუნდნენ ბრძოლიდან.

გადმოცემის თანახმად მანდილოსნის მასპინძლობითა და ერთგულებით კმაყოფილ მეფეს ქელიეიძის ოჯახისათვის აზნაურობა უბოძებია.

## თაედადებული დედა

სპარსეთის შემოსევამ ქართველობა ფეხზე დააყენა. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ვაჭარი თუ მოხელე, ბერი თუ მღვდელი, ყველა ერთი სულითა და გულით იყო გამსჭვალული საძულველი მტრის წინააღმდეგ: ზოგი იარაღს წმენდდა, ზოგი ტანსაცმელს ამზადებდა: ყველა საქმიანობდა, ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა.

ქართლ-კახეთის, თუშ-ფშაე-ხევსურეთისა და სხვა კუთხეების დედაკაცები სწრაფად და მონდომებით ამზადებდნენ ქმარ-შვილს. მათი სურვილი იყო, რომ მტერი ერთი დაკვრით გაენადგურებინათ.

კახეთის ერთ შორეულ სოფელში, ქვრივი ქალი მარინეც ამზადებდა თავის ერთადერთ თედოს. შვილს მიაწოდა ტანსაცმელი და უთხრა: — იარაღიც მზადა გაქვს და, აბა, შენ იცი, როგორ მოიხმარ. მართალია, ყმაწვილი ხარ, გამოუცდელი, მაგრამ მტერთან ბრძოლას როდი ისწავლი, თუ ომში არ ჩაები, მამაშენი რამდენჯერმე იყო ბრძოლის ველზე და შინ ყოველთვის მშვიდობით ბრუნდებოდა. გაიგონებდა თუ არა, საქართველოს მტერი შემოესიაო, ერთ წუთსაც აღარ დაიცდიდა... დიდად აფასებდა თავის სამშობლოს, რჯულსა და, მტერს რომ თან შეკვდომოდა, არად ინაღვლიდა. შენც აგრე გმართებს თავის გამეტება, თუ გიყვარს შენი ქვეყანა. შვილო, შენი სურვილით მიდიხარ ლაშქრად და მეც, როგორც დედა, სამშობლოს მოყვარულის შვილის დედა და მხნე მეომრის მეუღლე, ვასრულებ მამაშენის ანდერძს: გაძლევ იმის ხმალს და გაფიცებ მამის სულს, თუ გული არ გერჩის საომრად, თუ გეშინია, ნუ წახვალ და მამაშენის სახელს მიწასთან ნუ გაასწორებ...

— ნუ გეშინია დედი! ამ ხმალმა მევე გამკვეთოს, თუ შეგარცხვინო, — ბრუგო თედომ და დედას ხმალი გამოართვა.

გადახვეული დედა-შვილი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. ბოლოს დედა შვილს მოშორდა, წაღმა შემოაბრუნა, პირჯვარი გადასახა და დაუმატა:

— გამარჯვებული მომსვლოდეს შვილო!

— დედი, დედი, ერთხელ კიდევ მომეხვიე, — თვალცრემლიანი შეევედრა თედო.

— ე, ცრემლები რა არის? — ჰკითხა დედამ შვილს.

— მომიტევე ღედი, გული ამიჩვილდა, თორემ მიშით არ მოვდგებ, — შეესიტყვა დედას შვილი.

ნაწყენი მარინე რაღაცას ლუღლუღებდა. ამასობაში მათ გზას მოუახლოვდა მოხუცი მეომარი, რომელიც რამდენიმე ახალგაზრდას მოუძღვებოდა და თედოც მათ შეუერთდა. დედა უძრავად იდგა და გაშტერებული გაჰყურებდა იმ გზას, რომელზეც ფაფარაყრილი ლურჯა მის საყვარელ ერთას მიაგელვებდა.

მხედრები გაეცალნენ მთას და შემოსძახეს სიმღერა. გაისმოდა სიტყვები:

ეაეკაცის სახელს უკვდავს ქყოფს,
საშობლოს მტერთან ომია.
თვალი, უტყუარად შორს მჭვრეტი,
გული მხნე, ვითა ლომია,
ხმალი მტრის სისხლში ნაწრთობი,
ჩასმახი ყალყზე მდგომია!
უკუქცეული ეაეკაცი,
თემთავან დასაგმობია.

სპარსეთის ჯარს გამოცდილი ჯაფარ-ხანი სარდლობდა.

ქართველთა მეფე მამა-შვილური დარიგებით ამხნევებდა, როგორც ქართველთა ლაშქარს, ისე მის სარდლებს.

— ხვალ გადაწყდება საქართველოს ბედი, გამოცდილ სარდალ ჯაფარ-ხანს იმედი აქვს გამარჯვებისა, მაგრამ მე და ჩემი ლომგული ქართველები სულ ერთიანად გავწყდებით, ან შეუპოვარი ხანის თავს ჩვენი ბანაკის წინ შუბის წვერზე აგებულს აღვმართავთ. დიახ, ეს ასე მოხდება, ჩემო ერთგულო შვილებო, ხმამაღლა და გაბედულად წარმოსთქვა ქართველთა მეფემ.

— აღსრულდეს ბრძანება მეფისა, — იყო მეომართა პასუხი.

— სიკვდილი დამპყრობელთ! — ერთხმად იგრიალა ქართველთა ჯარმა.

გათენდა, დღის სინათლეზე გამოჩნდა წინა დღით ბრძოლაში დახოცილი ქართველთა და სპარსელთა გვამები: ისინი სიკვდილსაც კი ვერ შეერიგებინა.

გათენებისას განახლდა საშინელი და შემზარავი ბრძოლა. სპარსთა ლაშქარმა ქართველებს თავგამეტებით შემოუტია, მაგრამ ისინი მოძალადეებს მედგრად დახვდნენ. ასი ქართველი ათას სპარსელს უმკლავდებოდა და ანადგურებდა.

ქართველთა მეფე მტრის ცენტრალურ სადროშოში იბრძოდა, ლომგულ მეომრებს გარს უვლიდა და ამხნევებდა.

ჯაფარ-ხანი თავისი ჯარით ქართველთ მეფისაკენ გამოემართა. მეფემ ეს შენიშნა, „ჰკა მაგათო", — იყვირა და თავისი ლაშქრით მოეხდურებისაკენ გაექანა. გამოცდილი ჯაფარი მიუხვდა ეშმაკობას მე-

ფეს, სწრაფად იძრო მახვილი, მაგრამ ერთმა ქართველმა მებრძოლმა ელვის სისწრაფით დაარტყა ხმალი ჯაფარის კისერს და ტანიდან განშორებული თავი ბურთივით გაგორდა აწრიალებულ ცხენთა ფეხებ ქვეშ. ახალგაზრდა მხედარმა მოკვეთილი თავი ხმალზე ააგო და დააპირა უკან გამობრუნება, რომ ამ დროს ურიცხვი მეომარი დაედევნა. უნდა დაწეოდნენ და აეკუწაო, მაგრამ მეორე მხრიდან უცნობმა ქართველმა შაკი ცხენი გამოაჭენა ყოჩაღი მებრძოლისაკენ და თავგანწირული ხმით შესძახა:

— არ შედრკე, თედო!..

ამ სიტყვებით გამხნევებულმა თედომ იქით გადაისროლა ჯაფარის თავი, საიდანაც ეს ხმა მოესმა, ხოლო თვითონ მამაცურად შემოუტრიალდა მტერს. რამდენიმე ქართველიც მიეშველა და შეიქმნა ხმლების საშინელი ჩახა-ჩუსი. ჯაფარის თავს კი მეფისაკენ მიარბენინებდა ჩოსის კალოებმოკეცილი თავპირშებურვილი და შავ ცხენზე ამხედრებული უცნობი.

ჯაფარ-ხანის სიკვდილით გამხნევებული ქართველი მებრძოლები უწყალოდ ულეტდნენ თავგზააბნეულ სპარსელებს.

— შეფეს გაუმარჯოს! — შესძახა ახლად მოსულმა მხედარმა, მოკვეთილი ჯაფარის თავი მის წინ გააგორა და დაუმატა: ასე მტერი ამოკიწყდესო, — და უმალვე წავიდა იქით, საცა ჯაფარის თავის წამკვეთი მებრძოლი ეგულებოდა.

— სიკვდილი ჯაფარ-ხანის მკვლელს! — დაიძახა ერთმა სპარსელმა და გაექანა თედოსაკენ, მაგრამ შავ ცხენზე მჯდომმა მხედარმა ისე მაგრად დაჰკრა სპარსელს ხმალი მარჯვენა მხარზე, რომ მარცხენა ფერდამდე ირიბულად გაჰკვეთა. ამ მომენტში ერთი ახალგაზრდა სპარსელი მიიჭრა თედოსთან და ისე ძლიერად ჩასცა მახვილი, რომ მკლავი იდაყვში მოსწყვიტა. თედომ ცხენზე ძლივს შეიმაგრა თავი, გაექანა იმ სპარსელისაკენ, მაგრამ სანამ მიაღწევდა, შავ ცხენზე მჯდომმა ის და სამი სხვა სპარსელი შუა გაჰკვეთა. შავცხენოსანი ამაზე არ შეჩერებულა, თედოზე მოზღვავებულ სპარსელებს თავგამეტებით ხოცავდა, თან თედოს უტრიალებდა, მაგრამ სანამ ის მოასწრებდა, მტერმა ხმალი კვლავ ისე მაგრად დაჰკრა თედოს, რომ თავგაჩეხილი ჩამოვარდა ცხენიდან. ამის დანახვაზე ერთი საზარლად შეჰკივლა შავცხენიანმა და თედოს მკვლელი ნაკუწებად აქცია.

მტრის უმრავლესობამ ქართველებს სძლია და ეს მხნე მეომარიც მალე თედოს გზას გაუყენა. სახელოვანი გმირები — თედო და უცნობი მხედარი, ნაკუწ-ნაკუწად აკეპილი ეყარნენ ბრძოლის ველზე.

მომდევნო დღეს, მეფის კარვის წინ აღმართული იყო ჯაფარის თავი. ღრმად ჩაფიქრებული მეფე გაშტერებული მისჩერებოდა ერთ ადგილს: დიდებულებიც მოწყენით შეჰყურებდნენ მას.

— მერე ნამდვილად იცით, რომ არა სცღება ნინია? როგორ ღაიჯერო, რომ ეს მართალია!

— დიახ, დიდებულო მეფეე, ნამდვილს მოგახსენებთ — და მას კარავში ნინია წარუდგინეს.

— მართალია, ნინიაე, რაც შენ გითქვამს?

— დიახ, მეფეე, ნამდვილი გახლავთ, თუმცა სრულიად აკუწულები არიან, მაგრამ დედა-შვილი ჩემი ხელით მოვიტანე და აქვე, ჩვენს პანაკთან დაეაწყვე.

— მერე თქვენ შენიშნეთ, რომ დედაკაცი იყო? — მიუბრუნდა სარდლებს მეფე.

— გავბედავთ და მოგახსენებთ, რომ ჩვენს ჯარში არც ერთი გმირი არ მოიპოვება ისეთი, რომელსაც ასეთის თავგანწირვით ბრძოლა შეეძლოს. ელვის მსგავსი სისწრაფე, ხმლის ოსტატური ხმარება და მტრის განადგურება... რაღაც საოცრებას წარმოადგენდა. ვისაც კი მოასწრებდა, უმალვე სიცოცხლეს ასალმებდა, მზეს უბნელებდა.

— არ მეგონა, თუ მარინე მართლა აასრულებდა თავის სიტყვას, — თქვა ნინიამ და დაუმატა, — იგი მეტყოდა: ნინიაე, ვაი თუ, მტერი კვლავ შემოესიოს საქართველოს და ჩემმა პატარა თედომ ვერ შეძლოს ქვეყნის სამსახური. მაშინ მე ავიღებ ხმალს და ნახავ, რა დღესაც ღაეაყენებ საქართველოს მტერსაო.

მარინემ გაამართლა თავისი სიტყვები, მაგრამ თვითონაც და მისი თედოც გმირულად შეაკვდნენ საქართველოს მოსისხლე მტრებს.

— ნეტარება იმ ქვეყანასა და ხალხს, რომლებსაც ასეთი დედები ჰყავთ! ის არასოდეს არ დაეცემა და მტერი მათ ვერას ვერაკლებს. მარინემ მამულს შესწირა შვილი, ქართველებს გამარჯვება მოუპოვა და თვითონაც შეეწირა ერისა და ქვეყნის დიდებას.

ქება და დიდება სახელოვან დედას — მარინეს! საუკუნო ხსოვნა მის გმირულ მოქმედებას!

## თამარაშენელი მანდილოსანი

მეფე—ერეკლე II ლიახვის ხეობას ესტუმრა და თამარაშენში ზაალ მაჩაბელთან დაბინავდა.

მასპინძელს უნდოდა ნადიმის გამართვა, მაგრამ მეფემ უარი უთხრა:

— თქვენი ამბავი რომ ვიცი, ჩემი გულისათვის ქვეყანას დააწიოკებთ. საჭირო არ არის, უბრალოება სჯობია, — და ბოლოს დასძინა: ყველი, პური და კეთილი გულიო.

მცირე საუზმის შემდეგ, ერეკლემ მეფის ტანსაცმელი გაიხადა. უბრალოდ ჩაიცვა და ქართლის სოფლებს ჩამოუარა, რომ ახლო გასცნო-

ბოდა, ვინ რაზე ჩიოდა. სოფელ თამარაშენთან ახლო მეფე ერთი გორაკით დაინტერესდა.

მასპინძელმა მოახსენა:

— ეს ნაცარგორაა. მასზე ბევრი თქმულებაა შემონახული. მე მგონია ამ ადგილს ძველად წარმართთა სამლოცველო უნდა ყოფილიყო.

მეფემ ნაცარგორიდან თვალი გადააცლო და დატკბა ოქროთი დაფენილი მინდვრების ხილვით. გაოცდა, რომ ამოდენა მინდვრებში მხოლოდ ერთი დედაბერი იდგა, გამალებით ფოცხავდა ნამკალს, იღლიაში იდებდა და აბულულებდა.

მეფე დედაბერთან მივიდა, მიესალმა და შეეკითხა:

— მარტოდმარტო რატომ მუშაობ, დედი?

— მარტო არ ვიყავ, მთელი სოფელი მეხმარებოდა, მაგრამ ხმა დაირხა, მეფე ერეკლე თამარაშენში მობრძანდაო; ყველა მის სანახავად წავიდა და მიმატოვეს, — მიუგო დედაბერმა ისე, რომ ზედ არც კი შეუხედავს, კვლავ მუშაობა განაგრძო.

მეფემ ახლა შეამჩნია იქვე მიყრილი ცელები, ნამგლები, ორთითები, ფოცხები.

— მერე რატომ შენ კი არ გაჰყე, დედი? ნუთუ შენ კი არ გიყვარს მეფე?

— იჰ, შე გასახარელო, — მიუგო დედაბერმა, — მეფე-ერეკლე ვის არ უყვარს, თავს შემოვევლე, მაგრამ გაჭირვება... მარტოხელობა.., ჩემი ქმარი მეფის მხარდამხარ იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ, დიდი მებრძოლი იყო... მეფის სიყვარული დაიმსახურა...

— ეგ რომელზე ბრძანებ?

— პაველია მახარაძეზე... ის ჩემი ქმარი იყო.

— პაველია მახარაძე?

— ჰო...

— მახსოვს, დავით სარდლის ბრძანებით პირველი ის გაიჭრა ასპინძის ომში... ვაჟკაცურად დაიღუპა!

მეფემ ქუდი მოიხადა.

— რა ვუყოთ ქვეყნის სამსახურია, — განაგრძო დედაბერმა, — დაიღუპა, მაგრამ ქვეყანა გადარჩა. მას აქეთ სოფელი მიწას ხნავს, სოფელი მეხმარება. მეფე რომ არ მობრძანებულიყო თამარაშენში, ალბათ, ყველას აქ ნახავდით.

— ჰო, მაგრამ, — სიტყვა ჩამოართვა მეფემ, — შენ ყველაზე მეტად გმართებდა გენახა მეფე და წყალობა გეთხოვა.

— არა, ბატონო, — მიუგო დედაბერმა, — მეფის წარამარა შეწუხება ვის გაუგონია, ისედაც ქვეყნის ზრუნვითაა დატვირთული და ჯერ კიდევ არა მიშავს რა, არც ისე მიხრწნილი ვარ, მკლავი მერჩის, ვირ-

ჯები, ბეორეც, კარგია მეფის ნახვა, მაგრამ დროს გაცდენა არ ივარგებს, მუშაობას მოვცდები, აგერ მზე იწვერება.

მეფეს დიდად მოეწონა დედაბრის პასუხი, ოქროთი საკუბე ქისა გადასცა და უთხრა:

— აი, ეს შენ, ასეთი მუყაითი და გამრჯელი დედა ყოფილხარ. შენს მეზობლებს უთხარი: თქვენ მეფის სანახავად თამარაშენში წახვედით, მე კიდევ თვითონ მეფე თავისი ფეხით მეახლა-თქო.

დედაბერი გაშრა:

— მაშ, შენ..

— ეგ სულერთია, დედი, ვინცა ვარ, — მეც შენსავით ვარ, დროს ტყუილუბრალოდ როდი ვკარგავ[12].

## ქიზიყელი დიასახლისი

ქართველი დედები თავიანთ შვილებს მუდამ მაბულის სანაცვლოდ ზრდიდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი მოგვითხრობს ერთ საინტერესო ეპიზოდს:

თეიმურაზ I ირანიდან საქართველოში ბრუნდებოდა. გზად მიმავალმა ღამე ქიზიყელი გლეხის ოჯახში გაათია. სასურველ სტუმარს, კახეთის მომავალ მეფეს დიასახლისმა გამოუყვანა ცხრა აკვნით ცხრა ბავშვი და უთხრა: ამ ბავშვებს სამშობლო ქვეყნის დასაცავად ვზრდიო. ვახუშტი წერს: „მოვიდა მალემსრბოლად ქიზიყს თეიმურაზ ყოვლითა თვისითა მუნ მყოფთა კახით. ქიზიყს ისტუმრა გლეხმან ერთმან და უძღვნა ცხრა წულნი აკვნით“[13].

ამ ფაქტის შესახებ პოეტი არჩილი „თეიმურაზიანში“[14] მეფეს ათქმევინებს:

„ქიზიყს მოველ ერთ სოფელსა უმეცარად. შეუტყობლად,
ერთი კაცი მოველგეპა, მართ ვეგონეთ ჩვენ ბეკობრად;
რა გამიცნა, თაყვანი მცა, ენა იწყო შესამკობრად,
მადლი ჰკადრა შემომქმედსა: „ნეტარძი ჩემს ამდროთ მოყრად“.

სტუმრად მისული მეფისათვის ოჯახის დიასახლისმა „მოიყვანა ცხრა ყმაწვილი აკვნითა და შიგ ჩაკრული“ და თან მეფეს უთხრა:

„ეიცი არას' არ შეიძღვნი“, ბღვენი ვიძღვნა თუმცა სრული,
სრულამც თქვენა გენაცვლების, დედმამიან თქვენთვის სრული.
შენი ჭირი ჩვენ სანაცვლოდ სული გვკონდეს ამოსრული?“

ქართველი ქალის საზრუნავი ყველგან და ყოველთვის იყო სამშობლო და ხალხის კეთილდღეობა.

## თოთელი ნანა

ხალხური გადმოცემით, XVII — XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ქისტებს დაულაშქრავთ კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ხევსურთა სოფელი ჯუთა. ჯუთელებს მომხვდურთათვის ძლიერი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ბრძოლაში თავი უსახელებია ჯუთელ ქალს, რომელსაც იქაურები თოთელთ ნანას უწოდებდნენ. მას ქისტებისაგან მოკლული ძმის ტანსაცმელი ჩაუცვამს, მისივე ხმალი აუღია და მტერს შუალაშისას უშიშრად შებმია. გაცხარებული ბრძოლის დროს ნანას მუზარადი მოხდია; ქისტს ქალის თმები რომ დაუნახავს შემკრთალა, მაგრამ ბრძოლა არ შეუწყვეტია. მუზარადმოხდილი ნანა მტრის შუბმას გაბედულად განაგრძობდა და ხმლით აუკაფავს მოწინააღმდეგე. ჩვენთვის ცნობილია ხალხური ლექსის ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ნათქვამია:

იძახის შუაღმის დროსა,
ჯუთას დაეცნენ ბანთაო,
ნაგები ქურსიკაისა
ცეცხლის მაიღლებს ალსაო.
უთუათ კიბალაური ხმალზე
ცდის მკლავის ჯანსაო,
შაწუხდა თოთელთ ნანაო,
ისარს დაუკერნენ ძმასაო:
ხელს წამაიღებს ქალბელი
ძმისა პერანგსა, ხმალსაო,
საიქიოსკენ უნცროსად
ქისტს წაულალავს სამსაო...

არსებობს ამ ლექსის მეორე ვარიანტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრძოლის დროს ნანასათვის ქისტს ხევსურული პერანგის ფარაგა[15] ჩამოუგლეჯია, მაგრამ, როდესაც გაუგია, რომ მოწინააღმდეგე ახალგაზრდა ქალია, ეს არაფრად ჩაუდია და მისი მოტაცების სურვილით შეპყრობილს ბრძოლა გაუგრძელებია.

მუზარადმოხდილი და მკერდგაშიშველებული მანდილოსანი რომ დაუნახავთ, ჯუთელ მამაკაცთაგან ერთ-ერთს მისთვის მიუძახებია „ნუ შეგრცხვინდების ნანაო, მტერმც დაგვატანა ძალაო!“ — და მართლაც, პერანგშემოხეულ ქალს სიკვდილამდე უბრძოლია.

ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით კი, ერთ-ერთმა თანამებრძოლმა ნანას

მსართ ნამახულა ჩოხაი;
აპა ჩაიცვი, ქალაო,
თაეს დაბლა ნუ ჩამაიღებ,
მტერმც დაგვატანა ძალაო...

ხალხური ლექსი მეტს არაფერს გვეუბნება.

გადმოცემით, ამ გმირი ქალის გვარი არაბული ყოფილა და. რაკი ამ სახელოვან ქალს თოთელთ ნანას უწოდებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი წარმოშობით სოფელ თოთიდან იქნებოდა.

## მარიამ ხერხეულიძე

1624 წლის იელისის შუა რიცხვებში განთიადისას მარადსახსოვარი მარაბდის (თეთრი წყაროს რაიონი) ველზე ომი დაიწყო. ქართველებმა სძლიეს მტერს, მაგრამ მოწინააღმდეგის სარდალი ყიზილბაში ბრძოლის ველს არ თმობდა. ამ დაძაბულ ვითარებაში მას მაშველი ჯარი მოუვიდა და ძლიერი შემოტევა განავითარა, თან ხმა დაირხა, თვითონ შაჰი მოვიდაო. მეორე მხრივ მოღალატეებმა ხმა გაავრცელეს — თეიმურაზი მოკლესო. ქართველებს გული გაუტყდათ და პირი იბრუნეს. ყიზილბაშები გაქცეულებს უწყალოდ ხოცავდნენ. ომში განსაკუთრებით გლეხები დაიღუპნენ. ისინი ერთად ჯგუფდებოდნენ და თავგანწირულად იბრძოდნენ, ვიდრე ყიზილბაშებს უკანასკნელ კაცამდე არ მეაწყვდნენ.

ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლთა შორის იყვნენ გლეხთა წრიდან გამოსული ქალები. რომლებზეც ჟამთა აღმწერლები ძალზე ცოტას წერდნენ. მათ სახელოვან პლეადას ეკუთვნის XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამშობლოსათვის თავდადებული ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დედა მარიამი[10], რომელიც მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთი მოკლული შვილის ნაცვლად მეორეს ეზავნიდა, ვიდრე მეცხრე შვილიც არ გასწირა, ხოლო შემდეგ, როცა სხვა საშველი არ იყო, თვითონ აიღო იარაღი და დამპყრობლებს ეკვეთა. ბევრი მათგანი გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში შვილებთან ერთად თვითონაც დაიღუპა.

ამ გმირულ ეპოპეაზე არსებობს ერთი ხალხური გადმოცემა. იგი 1957 წელს ჩაგვაწერინა 65 წლის მიხეილ ზურაბის ძე ხერხეულიძემ[17].

მარაბდის ველზე მოსულ სპარსელთა წინააღმდეგ მეფე თეიმურაზს გიორგი საკაძის დახმარებით ქუდზე კაცი გამოუყვანია. ომში მონაწილეობა მიუღია ხერხეულიძის ოჯახსაც, რომლისგან საბრძოლველად ცხრა ძმა გამოსულა. შინ მხოლოდ ქვრივი დედა და და დარჩენილან.

დედას ომში მიმავალი შვილები ლოცვა-დარიგებით გაუსტუმრებია და უთქვამს:

— მტრის ისარი ზურგში არ მოგხვდეთ, არ შემარცხვინოთ, და თუ სიკვდილი გიწერიათ, გულში მოხვედრილი ისრით მოკვდით. ასახელეთ სამშობლო და თქვენი დედა!

მეორე დღეს დარჩენილ დედას ეზოში ჯარა დაუდგამს. მისჯდომია,

რთვა დაუწყია და ყველა გამვლელ-გამოვლელს ეკითხებოდა მარაბდის ომის ამბებს.

რამდენიმე დღის შემდეგ ბრძოლის ველიდან ცხენზე ამხედრებული დაბრუნდა უმცროსი ვაჟი. დედამ ჯარა გვერდზე მიაგდო, შვილს მივარდა და მოუთმენლად ჰკითხა:

— როგორ არის ბრძოლის საქმე?

სისხლში მოსვრილ ვაჟს დედისათვის უთქვამს:

— როდესაც ბრძოლა დამთავრდა, მე სასიკვდილოდ დაჭრილ ძმებს თავი ერთად მოვუყარე, მკურნალი მივუჩინე და შენთან გამოვიქეცი, რომ წაგიყვანო და ისინი ცოცხლად გაჩვენო.

დედა მაშინვე წასულა მარაბდაში, უნახავს დაჭრილი შვილები და განგებისათვის უთხოვნია მათი გადარჩენა, მაგრამ ამაოდ: ყველანი ძძიმედ ყოფილან დაჭრილი და დახოცილან. ურიცხვი მტრის მოძალებას ძმები ვერ გადაურჩნენ და თვითეული მათგანი მამაცური სიკვდილით დაეცა.

არსებობს მეორე გადმოცემა: დაჭრილმა დედამ შემოიარა მკვდრებით მოფენილი ველი, ეძებდა გმირულად დაღუპულ შვილებს, პოულობდა, ჭრილობებს უსინჯავდა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ქვეყნის ამაოხრებლებს. ბოლოს, როცა მათი გვამები ერთად დაასვენა, ორმა სპარსელმა ჩამოიარა. ისინი დაჭრილებს ხოცავდნენ და მკვდრებს ძარცვავდნენ. ერთმა მათგანმა ცხრა ძმაზე წამოიძახა: ამათ შეხედეთ, როგორ გოჭებივით ყრიანო. გამწარებულმა დედამ მტარვალს შეხედა და შეეხვეწა: გეთაყვა, ეგ ხმალი მომაწოდე. თავი მეც უნდა მოვიკლა, ამ შვილების დამკარგავს რად მინდა სიცოცხლეო.

სპარსელებს დახოცილთა ქამარ-ხანჯლებსა და სამკაულებზე ეჭირათ თვალი და დედაკაცს ხმალი სიხარულით გაუწოდეს. შურისძიებით ანთებულმა დედამ მომხვდურები ხმლით აჩეხა და თვითონაც მოიკლა თავი.

მესამე მსგავსი, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული გადმოცემის მისედვით იქვე ჩაუვლია ორ სპარსელს. ერთ მათგანს უთქვამს: დედას შვილები როგორ გოჭებივით ჩაუხუტებიაო. ამის გამგონე ქალი ფეხზე წამომდგარა და მტრებს გადასდგომია:

— თქვენ მე დედა-ღორი მიწოდეთ, ჩემს შვილებს — გოჭები... ახლა დედა-ღორს სურს ანგარიში გაგისწოროთ და ამის თქმისთანავე ორივე სპარსელი სასიკვდილოდ დაუჭრია და მომაკვდავებისათვის მიუძახებია: ასე იცის დედა-ღორმა ძაღლების მოკვლაო. შემდეგ დედასა და მეცხრე შვილს კიდევ დიდხანს უბრძოლიათ მტრის წინააღმდეგ და ბოლოს დაღუპულან.

არჩილ მეფე პოემა „თეიმურაზიანში“ მარაბდის ომისა და მასში თავდადებულ გმირ ქართველ მებრძოლთა შესახებ გადმოგვცემს:

კელაე მოისრეს დიდებულნი, ქართველნი და კახნი ბევრი,
აღათანგის სახლის-კაცი შვიდი მოკვდა, კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ციციშვილი, კახი დავით, გულად ხევრი
კიდევ ბევრი კარგი მოუმე დამიკაუნეს ვითა მტევრი[18].

გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო" ანუ „ომის შემდგომ ღამე ლხინი, ერევნის სიახლოვეს", ცხრა ძმა ხერხეულიძეთა შესახებ წერს:

აბ, ცხრა ძმანი სახელგანთქმულნი,
ძმანი გულითად შეთვისებულნი;
ვით წმიდა მსხვერპლი ცად შეწირულნი,
ერთ ჟამს ერთ ომში ერთად დაკლულნი[19].

ანტონ ფურცელაძე პოემა „მარაბდაში" მოხიბლულია სამშობლოსათვის დავდადებული ცხრა ძმის, განსაკუთრებით მათი დედის გმირობით. პოემაშიც ასეა გადმოცემული მარაბდის ომი:

ბრძოლის წინა ღამე. არ სძინავს ცხრა ძმას, ემზადებიან. დედა და ცოლები მხარში უდგანან, ამზადებენ. დედა ცხრა შვილს გზავნის ომში. სახლში მარტო ქალები რჩებიან, მაგრამ ეს არავის არ ანაღვლებს, მთავარია სამშობლოს ხსნა.

ანტონ ფურცელაძე ომში დაღუპულ ხერხეულიძეთა საფლავებზე (თუმცა დედაზე არაფერს ამბობს) წერს: „ხალხში ორნაირი თქმულებაა: ზოგთა თქმით, ეს ცხრანი ძმანი მარხიან შიო მღვიმის მონასტერთან. სამწუხაროდ, მე ვერ მოვახერხე ამ ადგილის ნახვა. ზოგთა თქმით, მარხიან მარაბდის სასაფლაოზედ. მარაბდისა მე შევამოწმე. აქ ვიკითხე მოხუცებულებში, ამათ მაჩვენეს მარტო შვიდი საფლავი, თითო საფლავს ადევს თითო ქვა, რომელზედაც არის ამოჭრილი თითო ხმლიანი კაცი.

ეს ქვები ზოგი ძლივსღა ჩანს მიწაში, ზოგი ისევ კარგადა ჩანს, ორი ქვა ვერ ვიპოვე: ჩემს კითხვაზე იმათ მითხრეს, რომ ცხრა ქვა იყო და არ ვიცით, ორი რა იქნაო. იქნებ მიწაში დაიმალნენ. შესაძლებელია მარტო შვიდი ქვა იყვეს: მეფე არჩილის თქმით, გარდა აღათაგან ხერხეულიძისა, მოკვდა შვიდი იმისი სახლიკაცი. თუმცა არა სწორად, ცნობა ეს არის, რადგან მთელ საქართველოს ხალხში არის დარჩენილი და გავრცელებული ამბავი, რომ მოიკლა ცხრა ძმაო. ამასვე მოგვითხრობს ალექსანდრე ორბელიანი. ესევე გამიგონია ძველებური მწიგნობარი ეფრემ ალექსიშვილისაგან. ასევე ამბავი არის დარჩენილი მთელს ხერხეულიძიანთ საგვარეულოში.

ამასთან არ შეგვიძლია მწუხარებით არ მოვიხსენიოთ, რომ არ არის დარჩენილი ამ გმირების სახელები. ეფრემ ალექსიშვილის თქმით, ორი იმათგანი იყო ერთი პაატა, თანამეომარი გიორგი საკაძისა, რომელიც

იყო ერთი იმ ოთხთაგანი, რომელიც ახლდნენ საკაძეს სპარსთა მოწყვეტის შეთქმულებაში მუხრანს; მეორე იყო კახაბერი, რომელსაც ბაჯასაც ეძახდნენ და, რომელმაც იხსნა საკაძე ლუარსაბ მეფისა და შადიმან ბარათაშვილის შეთქმულებიდან"[20].

1963 წელს ხერხეულიძეთა საფლავების დასათვალიერებლად ვიყავით სოფელ მარაბდაში[21]. სოფლის განაპირას არის პატარა ეკლესია. ბარათაშვილების მიერ წმინდა მარინეს სახელზე აშენებული, რომლის ეზოში სხვა საფლავთა შორის არის გმირის იარაღით აღჭურვილი გულხელდაკრეფილ ხერხეულიძეთა რვა სამარე, ეკლესიის მომვლელი იყო 72 წლის სოფიო ხიზანიშვილი, რომელმაც მიგვიყვანა საფლავის ორ ქვასთან, ბალახები გადასწი-გადმოსწია, წვიმისაგან დაყრილი ნალექებისაგან გადაასუფთაა ქვები და გვითხრა:

— აი, ეს, რომელსაც ჩიხტიკოპი ახურავს, ხერხეულიძეების დედაა, ეს კი, რომელსაც კოსა აქვს, შვილია ამისა, გმირი ძმების დაა.

დედისა და დის სამარიდან 6 მეტრის დაშორებით აღმოსავლეთით, არის საფლავის შვიდი (ერთი პატარა — ეს არის ხერხეულიძეთა უმცროსი ძმა) ქვა, რომლებზედაც ამოკვეთილია ქართველ ვაჟკაცთა ფიგურები, რაც მიუთითებს, რომ ამ ქვათა ქვეშ განისვენებენ მარაბდის ომის გმირები — ძმები ხერხეულიძეები. ამათგან ოცი მეტრის დაშორებით, ეკლესიის ჩრდილოეთ დასავლეთით არის კიდევ ერთი ქვა, რომელზეც კაცის ისეთივე ფიგურაა ამოკვეთილი, როგორც დანარჩენ შვიდ ქვაზე. მარაბდელთა თქმით ესეც ხერხეულიძეთა მერვე ძმის საფლავია, ხოლო მეცხრე ძმის საფლავი არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ მეცხრე ძმის საფლავის ქვა ჟამთასვლამ გააუჩინარა[22].

ქვები ეკლესიის ეზოში მდებარე სხვა ქვებისაგან განსხვავებულია. მათზე ამოკვეთილია ვაჟკაცები და ორი ქალი, ხოლო დანარჩენ ქვებზე მარტო წარწერებია. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ისინი ხერხეულიძეთა ისტორიულ ოჯახს ეკუთვნის და სპეციალური დაკვეთით არის გაკეთებული.

გადმოცემით, გმირი ცხრა შვილი და მათი დედა მარაბდელებს დაუსაფლავებიათ იმ ანდერძის თანახმად, რომელიც ძმებს ომში წასვლის წინ თანასოფლელებისათვის დაუტოვებიათ. საფლავების ქვებზე ამოუკვეთიათ გმირების სახეები და საბრძოლო იარაღი. როცა ხერხეულიძეთა დაც გარდაცვლილა, მარაბდელებს ისიც მათ გვერდით დაუკრძალავთ.

მარაბდის ომის ისტორიულ თემას ა. ფურცელაძემ მიუძღვნა პოემა „მარაბდა", ხოლო ი. გოგებაშვილმა მოთხრობა „ცხრა ძმანი ხერხეულიძენი".

ხერხეულიძეთა მამაზე არაფერი ვიცით, ასეთი შვილების მამა

გულადი მებრძოლი უნდა ყოფილიყო. იგი ცოლზე ადრე გარდაცვლილა. ობლად დარჩენილი შვილები ქვრივ დედას დაუზრდია.

## ქართველი ქალი

განსაკუთრებული გმირობა ჩაუდენია უცნობ ქართველ ქალს, რომლის ქმარი ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპულა. ამ ქალის შესახებ ინგლისელი მოგზაური ჰანვეი მოგვითხრობს:

„1724 წელს უზურპატორი მაჰმუდი პროვინციიდან დაბრუნდა ისფაჰანს, სადაც მოვიდა მარტის ბოლოს. როდესაც ის შედიოდა ქალაქში, მასში გაოცება და აღფრთოვანება გამოიწვია განსაკუთრებულმა შემთხვევამ; როგორც კი დაინახა მისი ჯარები, მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი ქალი ცხენით გაექანა მათ შესახვედრად, ეცა მათ და მოკლა 20 ავღანელი, სანამ დანარჩენებმა მოასწრეს გონს მოსვლა და მისი დაჭერა. ეს ქალი იყო საქართველოში დაბადებული და აღზრდილი, მას გადაუწყვეტია შური ეძია. მისი ქმარი მოუკლავთ აბასაბადის ხიდზე, ისფაჰანის აღების დროს. ამ მიზნით თავისი ორი ბავშვი და ქონება ჩაუბარებია თავისი ძმისათვის და, მიუხედავად მგზავრობის მთელი სიძნელეებისა, ჩამოსულა აქ საქართველოდან. მტერთან შეჯახებისას ერთობ დასახიჩრებული ის მიუყვანეს მაჰმუდს, რომელიც განცვიფრებული იყო მისი თავგანწირვით და ბრძანა, რათა მას მოეპყრან მთელი ყურადღებით, რომელსაც ის იმსახურებს თავისი სიმამაცის წყალობით“[23].

ამავე ქალის გმირობას მოკლედ მოგვითხრობს პოლონელი მოგზაური და მწიგნობარი კრუზინსკი, რომელმაც დაგვიტოვა სპარსეთში მყოფ ქართველთა ლაშქრობის აღწერა[24].

„1725 წელს, — წერს კრუზინსკი, — ერთი დედაკაცი, რომლის ქმარი მოეკლათ გულნაბადის ომში, მოიჭრა საქართველოდან ისფაჰანს შურის საძიებლად. ავღანთ ძვირად დაუჯდათ მისი ქმრის სიკვდილი. მან მოკლა ორმოცდაათი კაცი და დატყვევებისას იცნეს, რომ ის დედაკაცი იყო, მაგრამ პატივი სცეს თურმე იმის გმირულად თავგანწირვას და გაათავისუფლეს“.

ამ ქალის გვარი და სახელი უცნობია.

## გულადი ცოლი

ალექსანდრე ორბელიანი მოგვითხრობს: „ლეკიანობის დროს ქართველ კაცს გატენილ თოფზე ეძინა. როდესაც დაიძახებდნენ მდევარიო, დაღლილ-დაქანცული კაცი გაოგნებული წამოვარდებოდა და ცოლი გატენილს თოფსა ხელში აძლევდა ამ სიტყვებით: „კაცო, რას გაოგნებულხარ, მდევარს იძახიან, აჰა თოფი! დაღლილ-დაქანცული კაცი ეტ-

ყოდა მეუღლეს: კიდევ მდევარი! ამ ერთ კვირაში შვიდჯერ ვყოფილვარ მდევრად და ესეც მერვე იქნებაო. დედაკაცი პასუხობს: უსამართლოს მტრისაგან უსამართლოდ რომ იღუპება ჩვენი მამული, მაშინ რასა იქ, არ წახვალ? ერთი მაგალითი ხომ არ არის ეს, ასე იყო და ამგვარი მოუსვენებელი ცხოვრება ჰქონდათ ჩვენთა მამაპაპათა"[25].

ქართველ დედებს ტირილი და წუწუნი არ სჩვეოდათ, გაჭირვების დროს ვაჟკაცურად იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ. ასეთ დედათა რიცხვს ეკუთვნის კოკოტა ვაჩნაძის მეუღლე, რომლის გმირული თავგადასავალი ჩაწერა თ. სახოკიამ და დაბეჭდა 1896 წელს „საქართველოს კალენდარში".

აი მისი მოკლე შინაარსი:

კალოუბნის უდაბურსა და მიუვალ ხეობაში ერთ შემაღლებულ ადგილზე დგას ძველებური კოშკი, რომელიც ეკუთვნის გულად მეომარს კოკოტა ვაჩნაძეს.

ერთ ღამით ვაჩნაძის ცოლს აცნობეს ლეკების შემოსევა. კოკოტა შინ არ იყო. მანდილოსანმა სასწრაფოდ გააღო კოშკის კარი, რომ გაეგო, ვინ იყო მაცნე; მის წინ იდგა 13 წლის ბიჭი, უცებ კოშკთან ჩასაფრებულმა ლეკმა ყმაწვილს ზურგში მახვილი ჩასცა, ხოლო ღია კარებიდან ლეკთა ბრბოს შეუძღვა. მეციხოვნეებმა წინააღმდეგობა გასწიეს. ვაჩნაძის ცოლმა ძუძუთა ბავშვი სასწრაფოდ აკვნიდან ამოიყვანა, ხელში დაიჭირა და მტრის წინ აღიმართა. დანარჩენი ბავშვები ლოგინიღან წამოცვივდნენ და გარს შემოეხვივნენ დედას, რომელიც ლეკებს ებრძოდა და თანაც შვილების დაცვას ცდილობდა. მტრის შემოსევა სოფლელებმა გაიგეს და კოშკისაკენ გამოემართნენ იქ მყოფთა მისაშველებლად, მაგრამ მოხუცები და ბავშვები რას გახდებოდნენ მოზღვავებულ მტერთან, მათი მამები, ძმები, ქმრები და შვილები კი ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ კოკოტასთან ერთად.

ლეკებმა კოშკის ნადავლი ხელთ იგდეს. მეთაურმა ბრძანა, ბავშვები დახოცეთ, დედა შეჰკარითო. ლეკები ვაჩნაძის მეუღლეს მისცვივდნენ, მაგრამ მხეცად ქცეული ქალის დაჭერა ვერ შესძლეს. კოკოტას დედას დანა ეჭირა ხელში და ახლომოსულ ლეკებს უღერებდა. ერთმა ვაჩნაძის მეუღლეს შვილი გამოსტაცა და კედელს შეახეთქა. სხვებმა დანარჩენი ბავშვები დახოცეს. ცოცხალ-მკვდარი ბებია სიხსლში ცურავდა. ვაჩნაძის მეუღლემ გონება დაკარგა. მას ერთმა ლეკმა ხელი მოხვია და დამცინავი სიტყვებით უთხრა:

— ჩემთან წამოდი, ლამაზო, ჩემი ცოლი იქნები, ვიდრე ქმარი არ ვამოგისყიდისო.

ამ სიტყვებმა ქალი გონს მოიყვანა, მიხვდა, რომ ჯერ ყველაფერი არ მოთავებულა და მწარედ წამოიძახა: ნამუსი დამრჩენია, თავი არ

უნდა დავზოგო მის გადასარჩენად და ისეთნაირად დაერია ლეკებს, რომ ყველა გაკვირდა. იქვე მდგომ მოძალადეს ხელი გაარტყა სახეში და უსულოდ მიწაზე დასცა, მაგრამ მეორემ ხანჯლით მარჯვენა მოჰკვეთა.

ქალმა შეატყო, რომ საშველი არ იყო და ლეკს უთხრა:

— დამაცა, წამოგყვები, მხოლოდ ნება მომეცი, ჩემს სახლს გამოვემშვიდობო.

ლეკი დათანხმდა.

ვაჩნაძის მეუღლემ ქმრის სახელზე თავისი სისხლით კოშკის კედელზე დაწერა: „მე ვკვდები. არ უღალატო სჯულს, მამულსა და სინდისს, მტერს სამაგიერო გადაუხადე". შემდეგ იქვე მდგომ ლეკს მარცხენა ხელით ხანჯალი გამოსტაცა და გულში დაირტყა.

## თინათინ ციბა ანუ მარიუჩა

ამ ქალის შესახებ ცნობებს გვაწვდის იმ ეპოქის ცოცხალი მოწმე, დიდი მოგზაური, ქეთევან დედოფლის თანამედროვე, ახლო ნაცნობი და მისი ჯოჯოხეთური სიკვდილის დამსწრე იტალიელი პატრი, ცნობილი მოგზაური და სამხედრო პირი, ფილოლოგი და პოეტი პიეტრო დელავალე (1586 — 1652),[26] რომელსაც სიყვარულის ნიადაგზე მიუტოვებია რომი და 1614 — 1624 წლებში დაუწყია მოგზაურობა (ვენეციიდან კონსტანტინეპოლში, ალექსანდრიაში, კაიროში, იერუსალიმში, შემდეგ დამასკოსა და ალეპოს გავლით წასულა ბაღდადში, ჰამადანსა და ისპაჰანში, პერსეპოლსა, შირაზსა და ინდონეზიაში); დაბრუნებისას ჩასულა მოსკატში, ბასრაში, ალეპოსა და კვიპროსში (ახლო აღმოსაელეთის ქვეყნებში)[27].

მოგზაურს იტალიურ ენაზე აუწერია როგორც კახეთის ყოფილი დედოფლის — ქეთევან ბატონიშვილის ტრაგიკული თავგადასავალი და მისი ჯოჯოხეთური სიკვდილი, ასევე თინათინ ციბას ცხოვრების ზოგიერთი ამბავი. აი, მათი მოკლე შინაარსი[28].

„სპარსეთში ყოფნის დროს, 1617 წელს, პატრის ოჯახში კახეთის ბატონიშვილებს მიუყვანიათ შვიდი წლის ქართველი გოგონა — თინათინ ციბა (ციბა გვარია ალბათ. დ. ქ.). პატრის მეუღლეს ამ პატარა ქართველი გოგონასათვის დაურქმევია მისთვის საყვარელი სახელი — მარიუჩა, რაც ქართულად მარიამს ნიშნავს. ბატონიშვილებს უთხოვიათ მათთვის, რომ ბავშვისათვის მფარველობა გაეწიათ და გაეზარდათ. გოგონა დიდგვაროვანთა შთამომავალი ყოფილა. მისი მამა სპარსელებთან ბრძოლაში მოუკლავთ. დედა კი სპარსეთში დაღუპულა. შაჰ-აბას პირველს გოგონას სამშობლო აუოხრებია და გაუნადგურებია.

ციბას ახლობლებს აშინებდათ პატარა ფაქიზი ქალის ბედი... პატრის ოჯახს გადაუწყვეტია მისი აღზრდა და პატივისცემა არა მარტო იმი-

ტომ, რომ უნდოდათ ესიამოვნებიათ ბატონებისათვის, არამედ იმი-ტომაც. რომ მათ სარწმუნოება კარნახობდა კეთილი საქმის გაკეთებას და ამავე დროს უშვილო ოჯახისათვის ეს გოგონა შვილის მაკვირობასაც გასწევდა. თინათინ ციბა მეტად ლამაზი ყოფილა".

ვინაიდან პატრი თავისი ოჯახით ხელმწიფეს (შაჰ-აბასს, დ. ქ.), მიპყვებოდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამიტომ გოგონა (თინათინი) ისპაჰანში დატოვეს ერთგული ბერების მფარველობის ქვეშ.

პატარა ქალის მეთვალყურეობა დაავალეს მეტად კეთილ ქალბატონს მ. მეიმს. იგი იყო ნაზარ ბეგის მეუღლე — კათოლიკური სარწმუნოების ამღიარებელი. ზედმიწევნით განათლებული და თავაზიანი.

ისპაჰანში დაბრუნებისას პატრიმ შინ მიიყვანა თინათინ ციბა და აღზარდა იგი.

ქართველი გოგონა მტკიცედ იცავდა ქრისტეს სარწმუნოებას და გმობდა მაჰმადიანობას.

ცოლის გარდაცვალების შემდეგ პატრი გაემზადა იტალიაში წასასვ-ლელად და თინათინ ციბას შესთავაზა იტალიაში წასვლა. ციბა დაეთანხმა.

ასეთ გადაწყვეტილებამდე ქართველი გოგონა მიიყვანა იმ გარემოე-ბამ, რომ შორს იყო თავის ქვეყნიდან — კახეთიდან, რომელსაც ისევ აოხრება და დაპყრობა მოელოდა, რაც მას სამშობლოში დაბრუნების იმედს უკარგავდა. ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია ქრისტიანულ ქვეყანაში წასულიყო, თუ უცხო ქვეყანაში ეწერა ცხოვრება. მისთვის მანუგეშებელი იქნებოდა ის, რომ ქრისტიანულ ქვეყანაში — იტალიაში იცხოვრებდა...

დელა-ვალეს თინათინზე დაქორწინების შესახებ მ. თამარაშვილი გვაწვდის ასეთ ცნობას: „ქართველების გულკეთილობამ, უბრალოებამ და მათმა სიყვარულმა დელა-ვალე იმ ზომამდე მიიზიდა, რომ თავისი პირველი ცოლის სიკვდილის შემდგომ, მეორე ცოლად შეირთო ერ-თი ახალგაზრდა ქართველი ქალი, თინათინ ციბა, სპარსეთში ღედას-თან ერთად ტყვედ წაყვანილი, იქვე დაობლებული და თავისისავე დახ-სნილი"[29].

1626 წლის მარტში ცოლ-ქმარი რომში არიან. სამშობლოში დე-ლა-ვალემ მიიღო დიდი თანამდებობა და ცხოვრობდა უზრუნველად. გარდაიცვალა 64 წლის ასაკში.

ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ თინათინ ციბა თა-ვისი შვილებით დაბრუნდა საქართველოში. ბავშვების აღსაზრდელად საჩივარი აღუძრავს იტალიის მთავრობასთან და სასამართლოს ჭეშეეო-ბით მოუთხოვია ქმრის მემკვიდრეობის ნაწილი.

ასეთია დაახლოებით თინათინ ციბას ცხოვრების ზოგიერთი ეპი-ზოდი.

# სანათა

(ბერიძის ცოლი)

XVII საუკუნეში შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი სრულიად ააოხრა, ხალხი აპყარა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთში გადაასახლა. ამ დაცარიელებულ ადგილებში მას სურდა სპარსელების ჩასახლება და ამ გზით საქართველოს ერთიანობის დარღვევა. სპარსელებს ხელთ ეპყრათ ბახტრიონი, ალავერდი და სხვა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები.

მთა თუ ბარი ფეხზე დადგა და მეხიერით თავს დაატყდა გათავხედებულ მტერს. აჯანყებულმა ქართველებმა მომხდურები სულ ერთიანად გაწყვიტეს და კახეთი გაანთავისუფლეს. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ და დიდი თავდადება გამოიჩინეს თუშ-ფშავ-ხევსურებმაც.

ბრძოლებისა და მათში მონაწილე გმირთა შესახებ მატიანეებსა და საარქივო დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი. ეს ხარვეზი რამდენადმე შევსებულია ზეპირი გადმოცემებით[10]. მათში შემონახულია შემოსეული მტრების წინააღმდეგ თავგანწირულ, მებრძოლ ადამიანთა სახელები.

ამ თავდადებულ გმირთა შორის განსაკუთრებული და საპატიო ადგილი უკავია ბერიძის ქვრივს — სანათას.

ამ გმირ მანდილოსანს შვიდი ვაჟკაცი გაუზრდია. მაგრამ შვიდივე მტერთან ბრძოლაში მამასთან ერთად დაღუპულა. უპატრონოდ დარჩენილ მოხუც ქალს ხოშარის გორაზე მათი საფლავები ორ კვირას უთხრია.

ამ სახელოვანი ქალის ისტორიულობის შესახებ ვაჟა-ფშაველა წერს: „გმირები პოემისა — ლუხუმი, ხოშარაული, სუმლეჯი, კვირია, სანათა ხალხურ ლექსებში ერთიც არ არის ნახსენები, რომ იმათ რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ბახტრიონის ბრძოლაში. ისინი არც კი არიან თანამედროვენი ამ ბრძოლისა, **თუმცა კი გმირებად იხსენიებიან ხალხურ ლექსებში** (ხაზი ჩვენია, დ. ქ.) სრულიად სხვა ბრძოლაში, სხვა დროს. ასეთები არიან ლუხუმი და ხოშარაული, ხოლო სუმლეჯი და სანათა ეკუთვნიან იმ შავსა და ბნელ დროს, როცა ფშაველები და თუშები ერთი მეორესა ლაშქრავდნენ, არ იყო მათ შორის ძმობა და თანხმობა, თოფი მაშინ ხმარებაში არ ყოფილა, ხალხური თქმულება და ლექსი ასე განმარტავენ, რომ თილის-ძის ბელადობით მოსული თუშის ლაშქარი მთლად გაწყვიტეს ფშაველებმა, მხოლოდ სარდალიღა გადაურჩათ ცოცხალი და შინ როცა მივიდა, დედას უამბობს ფშაველების მიერ თუშების დამარცხების ამბავს:

დაგვლიენა ხოშარის ვორმა,
იქ წყლის არ გამოღენამა,

ეიწრო-ეიწრომა ხეე-სუემა,
მოელედ ფშაველების დენამა,
წინწკურაულის ისარმა,
სანათაისა ენამა,
ნელა მოეიდა სუ!ლეჯი,
სუმლეჯი სუროღვიანი,
ვაისენა ისრას ქოჯონნი,
ლაღის არწიეის ფრთიანი —
ესრილის, ვამოაგორის
თუში ფეხ-ჩიბოოიანი.

ეს ორივე გმირი სუმლეჯი და სანათა მე შეეურიე „ბახტრიონის" გმირებში (სანათა, როგორც ენით, სიტყვით გამამხნევებელი დიაცი და სუმლეჯი კი როგორც თავის ქვეყნისათვის მებრძოლი ვაჟკაცი")[31].

●

XVII საუკუნეში კახელები სპარსეთის მძიმე უღელქვეშ გმინავდნენ. მათთვის აუტანელი იყო დამპყრობთა სისასტიკე და მათ წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყეს. შეთქმულებას მეთაურობდნენ ისეთი გამოჩენილი მამულიშვილები, როგორიც იყვნენ შალვა, ელიზბარ ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი.

ეს ამბები მხატვრულად აღწერილი აქვთ ქართველ მწერლებს — აკაკის, ვაჟას. ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონში" გადმოგვცა ისტორიული სინამდვილე — ხევსურეთის გმირ ვაჟკაცთა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, რისთვისაც ქუდზე კაცი გამოდიოდა სამშობლოს დასაცავად, ხოლო იმ ოჯახებში, რომლებშიც მამაკაცები არ იყვნენ, იარაღს დედაკაცები ისხამდნენ.

ერთი ასეთი გმირი და თავგანწირული ქალია შვიდი შვილისა და მათი მამის ერთ დღეს დამკარგავი, უპატრონოდ დარჩენილი ფშაველი ბერიძის ქვრივი, აფხოშოური-ხოშარელი სანათა; მისი პატრიოტული სახე ვაჟა-ფშაველამ უკვდავეყო ისტორიულ პოემაში „ბახტრიონი", რომელშიც აღწერილია მტრის თარეში ფშავ-ხევსურეთსა და კახეთში. თუშ-ფშავ-ხევსურები როგორც ერთი კაცი, ისე წავიდნენ კახელთა დასახმარებლად და სპარსელი ურდოების გასანადგურებლად. მათ სასტიკი ბრძოლა გადაიხადეს მტერთან. დიდი ზარალი მიაყენეს მას, მაგრამ თვითონაც დაიღუპნენ.

როგორც ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, „ხსენება გაწყდა კაცისა". სოფლად დარჩენილან მხოლოდ „ბალღები და დიაცნი", რომლებიც დაზოცილთ სტიროდნენ. შეწყდა, შეჩერდა ხოშარეთში სიცოცხლე; დადუმებულა ფშავთა სალოცავი.

ბერიძის მოხუცი ქერიეი, ჯოხზე დაყრდნობილი მოსულა „ხატღმერთის“ წინ და უჩვეულო, თითქმის უმაგალითო საქმე ჩაუდენია:

მარტოს აუნთავ სანთლები
და ხატიც უდიდებია;
მარტოს დაუკლავ საკლავი,
თვითონვე უტყაკებია;
მარტოდ-მარტოკას დიაცსა
ხატ-ღმერთი უხსენებია![32]

სანათა ბერიძეს თავი ვერ წარმოუდგენია ხალხის გარეშე, მისგან განყენებულად. იგი შეგნებულად სწირავს სამშობლოსა და ერის ინტერესებს მეუღლისა და შვილების სიყვარულს. მოხუცის ეს სიყვარული სამშობლოსა და ხალხისადმი, ქმრისა და შვილებისადმი შეგნებული და აწონილ-დაწონილია, მისი სადარდებელი და საფიქრებელია:

სულ ჩვენ რად ვართ ტანჯვაში,
კენესა რად ისმის ჩვენითა?
როდემდის უნდა ესტიროდეთ,
მიწა ვასეელოთ ცრემლითა?...
როდემდის უნდა ვიბანოთ
სისხლით პირი და ხელები?
შვილთა მაგიერად დედებსა
ძუძეს გვიწოედეს გველები?..
როდემდის უნდა ფეხითა
ვლესოთ ჩვენიეე წელები,
ცეცხლები გვერტყას ათასი
ვულის, ვონების მწველები?!
რად გვინდა დედებს შვილები?
რაზედ ესწვალდებით ნეტავი?
გაპზრდი, გალალებს ვაჟკაცი,
ლამაზი, ვორის მდრეკავი.
გალალებს, მაგრამ ტყვილად:
ღლეს მთელი, ხვალე მკვდარია;
მოეა წაილებს უცრად
სისხლისა ნიავ-ღვარია!

ქერიეი სანათა გზად მიმავალ მხედარს კვირიას ვაჟკაცების გაწყვეტის შესახებ ასე ეუბნება:

დაეკარვე ყველა თვის-ტომი,
ვინაც კი მყვანდა თავისა...
მამრთა შაკლეს მტერს თავი,
ხსენება ვასწყდა კაცისა.
ვინც დავრჩით ცოცხლად დიაცნი,
ცახოცილებსა ესტირითა.

მტრის თავდასხმებით გამოწვეულმა უბედურებამ სხვებთან ერთად

ააწიოკა ხოშარელთა ოჯახი, სადაც მხოლოდ ბავშვების გამუდმებული ტირილი ისმოდა:

ჩვენ რო გვნახავენ მტირალთა
ბალღებიც ატირდებიან....
არ მიიღებენ პასუხსა
უფრორე აყვირდებიან.

შავებში ჩაცმული ქვრივი სანათა თავის ვინაობას ასე გადასცემს მხედარს — კვირიას:

აქა ვარ ვამოთხოვილი,
ბ ე რ ი ძ ე ს მყვანდა ქმარია,
შვიდი გავზარდე ეაჟკაცი,
თითო ლომისა დარია.
შვიდივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკედარია...

ქალს ხატობაში მონაწილეობა აკრძალული ჰქონდა, მაგრამ სანათას ეს ცოდვად არ მიაჩნდა და ამბობს კიდეც:

უკაცურთ კაცობა გვმართებს,
მანამ სულ გვიდვას ჰირშია.
ხატიც შაგვინდობს ცოდვასა,
რომ გვნახავს გასაჭირშია.

გასაოცარია სანათას გმირობა. რაოდენ დიდი უნდა იყოს სამშობლოზე სიყვარული, რომ მშობელმა დედამ ერთ დღეს დაჰკარგოს შვიდი შვილი, ქმარი და მაინც მზად არის არ იგლოვოს დაღუპულები, თუ კი ქართველები მტერზე გაიმარჯვებენ.

ეგებ ინებოს ბატონმა
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა;
თუ ამას გავიგონებდი,
არ ვიტირებდი მკვდრებზედა:
იმავ დღეს, შვილო, ღედილამ,
ჭრელს ჩავიცვამდი კაბასა,
არ ვიგლოვებდი იმიერ
ჩემს ჯულურას და საბასა;
თუ ამომყრიდით მტრის ჯავრსა,
შვილთ არც კი მოვიგონებდი,
რაღა მიჭირდა, თუ მტრისას
ვაჟლეტას ვავიგონებდი.
გულიდამ ეკლის სალტასა
მაშინის მოვიფონებდი.

ქართველი დედისაგან ასეთი რამ სრულიადაც არ არის გასაკვირველი: მას სამშობლოს ჭირი თავის ჭირად და სიხარული თავის სიხარულად მიაჩნია.

ეეეკი ამდენი ცრემლის ღერა,
ღაუშრომელი ვაეა;
არ თუ ეებრალვით საყმინი,
რი ალარ გეწყალობს ღეაება?!
გეიშელე, ლაშარის ჯვარო,
დაგეჭარდა შენი თავია;
შენი ფრანგულით აკურთხე
თუშ-ფშაველ-ხევსურთ ზაეია..
ვეიკერს და გამოვეიეანე
შეუმუსრაეი ძალია.

ქართველი დედა ამაყობდა იმ შვილით, რომელიც მტერთან ბრძოლაში ჭირნათლად შეასრულებდა მამულიშვილისა და მეომრის მოვალეობას.

აფხუშოური-ხოშარელი სანათა ბერიძის ქვრივის პატრიოტული ამბავი შესანიშნავად არის გადმოცემული ხალხურ ლექსში („ბერიძის ცოლი"), რომელიც ჩაწერილია სოფელ ალვანში და ეხება იმ პერიოდს, როდესაც იგი ცოცხალია, ხოლო ქმარი და შვიდი შვილი მტერთან ბრძოლაში დახოცვია, მარტოდმარტო დარჩენილი ქვრივი უვლის ოჯახს და მწყემსავს ცხვარს:

შვიდი გაეზარდე წიწილა,
შვიდივე ლომის დარია.
დაგვეცნენ მთაში ყაჩაღნი,
იმათ შეაკლეს თავია.
შვიდივ ერთ დღეს დამიხოცეს
მაშაც იმათთან მკედარია,
მარტო დავთხარე საფლავი,
მარტო დავმარხე მკედარია.
მარტოლა დავრჩით ქალები,
ყველას ვულები მკედარია,
სულ დაგვიხოცეს კაცები
არც ერთი ალარ არია[34].

აი სახე სახელოვანი ქართველი ქალისა, რომელიც არავითარ გაჭირვებას არ უშინდება და ქვეყანას, როგორც მებრძოლი, მხარში უდგას, მაშინაც კი, როცა მისი და ბავშვების მეტი სოფელში ალარავინ არის დარჩენილი.

## დარეჯან შილდელი

ამ ქალის შესახებ მოგვითხრობს ხალხური თქმულება „ლეკები შილდაში"[35].

საკვირველი დედაკაცი ყოფილა დარეჯან შილდელი. მას შინაურები პაპადა დარეჯოს უწოდებდნენ. იგი სიმამაცით ვანთქმული ყოფილა

მთელ მხარეში. ცხენის ჯირითი და იარაღის ხმარება ისე კარგად სცოდნია, რომ მისი ვაჟკაცური საქციელი ბევრს ენატრებოდა.

ერთხელ ლეკები შემოსულან შილდაში. დარეჯან შილდელი მტრის დასახვედრად თადარიგს შესდგომია. ქალი თუ კაცი, ბავშვი თუ დიდი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ერთ გამაგრებულ ადგილას შეუყვანია, თვითონ თოფითა და გალესილი ხმლით შეიარაღებული ღია კარს ამოფარებია.

რამდენიმე ცხენოსანი ლეკი შევიდა იმ ეზოში, სადაც დარეჯანს ჰყავდა ხალხი შეხიზნული. ლეკებმა სახლის კარი ღია დაინახეს, იფიქრეს მცხოვრებნი გაქცეულანო და გადაწყვიტეს სახლის გაძარცვა. ცხენები ურმის ჭალზე გამობეს, ხოლო ერთი ლეკი სასწრაფოდ გაიქცა სახლისაკენ, რომ მოესწრო ნადავლის ხელში ჩაგდება. შედგა თუ არა შესასვლელთან ფეხი, დარეჯანმა ხანჯალი ჩაჰკრა და იქვე უხმოდ გაგორა. შეხიზნებულებმა მკვდარი დამალეს, რომ სხვა თავდამსხმელებს არ დაენახა. შემოვიდა მეორე ლეკი. დარეჯანმა ამასაც ისე მოხერხებულად დაარტყა ხმალი, რომ თავი შუაზე გაუჩეხა. დარეჯანმა მოკლული იქვე კუთხეში მიმალა, ხოლო კარებისაკენ რომ გამობრუნდა, კაბა რაღაცას წამოედო. მიბრუნდა და დაინახა, რომ კაბა წამოდებოდა მკვდარი ლეკის ხანჯლის წვერს. ქალმა მკვდარს მახვილი სასწრაფოდ ააძრო და კვლავ კარებს უკან დადგა. ამ დროს შეამჩნია, რომ კარებში ლეკი შემოდიოდა. დარეჯანმა მოსულს ისე მოულოდნელად და ღონივრად შემოუქნია ხანჯალი, რომ მარჯვენა ჩამოათალა. გამწარებულმა ღრიალი მორთო, მაგრამ ბევრი აღარ აცალეს, ისიც სახლში შეათრიეს და წუთისოფელს გამოასალმეს.

დარეჯანმა ამ გაცხარებულ ბრძოლაში ხუთი ლეკი მოკლა. ლეკები დარწმუნდნენ, რომ ამ სახლში არავინ იყო, რადგან დარეჯანის უხმაურო ბრძოლა შეუმჩნეველი რჩებოდათ. მათ ამ სახლს გვერდი აუარეს, დალაშქრული სოფელი დატოვეს და სწრაფად გაეშურნენ დაღესტნისაკენ.

ამ შემთხვევის შემდეგ კიდით კიდემდე გაისმა დარეჯანის მამაცობისა და გულადობის სახელი.

## ქალი მამასახლისი

XVII საუკუნე საქართველოს ისტორიაში „ძნელბედობის" პერიოდად არის ცნობილი: ბოროტებითა და ღვარძლით სავსე შაჰ-აბასი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ყველაფერს.

შაჰ-აბასი საინგილოს ნელა უახლოვდებოდა. მაგრამ კაკის მცხოვრებლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ არ დამორჩილებოდნენ პირსისხლიან მტარვალს. ხეობაში ჩასაფრებული ვაჟკაცები ელოდნენ მტრის მოახ-

ლოებას. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, გავიდა საბრძოლველად. გამარჯვება, ან სახელოვანი სიკვდილი, — ასეთი იყო ინგილოთა გადაწყვეტილება. მათ საფრები გააკეთეს, სახლები სანგრებად გადააქციეს, კოშკები შეაკეთეს, ვიწრო ხეობები გაამაგრეს, ქვა-კლდეთა შორის სამალავები მოაწყვეს.

შაჰ-აბასმა გაიგო ინგილოთა გადაწყვეტილება; თავის ჯარს უბრძანა იერიშით აეღო და ნაცარტუტად ექცია სოფლები კაკი და ყუბი.

შაჰმა იცოდა ინგილოთა გულადობა და სურდა ერთი შეტევით მოესპო ისინი. დაიწყო ბრძოლა საშინელი და თავგანწირული. სპარსთა მბრძანებელს უკვირდა კაკელ-ყუბელთა სიმაგრე და უმაგალითო თავგანწირვა. ბისხლით შეიღება არე-მარე, წყლის მაგიერ, ღელეში სისხლის ნაკადული მოედინებოდა[36].

ინგილოებმა შეაჩერეს ურიცხვი მტრის ჯარის შემოტევა, თუმც გამარჯვებული არც ერთი მხარე არ იყო. მეორე დღეს განახლდა ბრძოლა. ინგილოები მთის ვიწრო ხეობებში გამაგრდნენ. წინა დღის უშედეგო ბრძოლით გაბრაზებული, გამწარებული შაჰი ცოფს ჰყრიდა. მოწინააღმდეგეს მტერი ვერ მიუდგა, შაჰის ჯარი შედრკა: ვერც წინ წავიდა და ვერც უკან დაიხია. სპარსელები უმოწყალოდ იჟლიტებოდნენ. გვამებს ხეობა ვეღარ იტევდა. ინგილოებს ძალა ელეოდათ.

ყუბელ-კაკელებმა უკან დაიხიეს და ხეობაში დაიწყო ხელჩართული ბრძოლა: ისინი ჟლეტდნენ სპარსელებს, მაგრამ რას გახდებოდნენ ურიცხვ მტერთან? ყველანი ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილით დაიხოცნენ.

შაჰ-აბასმა დატოვა განადგურებული ქვეყანა. გადახიზნულები დაუბრუნდნენ მიტოვებულ ადგილებს. სოფელში კაცის სახელის ხსენება არ იყო. დარჩნენ მარტო დედაკაცები და მცირეწლოვანი ბავშვები. ამორძალების სოფელს ჰგავდა ეს ადგილები. ვინ გასწევდა ხელმძღვანელობას? ისინი ფიქრსა და საგონებელში ჩავარდნენ. მაგრამ ქალებმა გული არ გაიტეხეს და თვითონვე ითავეს ამ მოვალეობის შესრულება.

ეკლესიის გალავანში ყრილობა გაიმართა, უნდა აეოერჩიათ მამასახლისი, რომელიც სოფელს უპატრონებდა.

— დაასახელეთ, დაასახელეთ, ვინც გინდათ მამასახლისად, — ისმოდა ხმები.

— დარეჯანი! — დაიძახა შეკრებილთა ბოლოდან ერთმა ხანში შესულმა ქალმა და მის ხმას სხვებიც აჰყვნენ. ყველა დარეჯანს გაიძახოდა. მაგისთანა გამრჯე, მხნე და მოხერხებული დედაკაცი ჩვენში სხვა არ გვეგულებაო, — ყვიროდნენ მოხუცები.

ვისაც ასახელებდნენ, ქერივი იყო, ქმარი და შვილი შაჰ-აბასთან ბრძოლაში დაკარგა. დარეჯანს იცნობდნენ როგორც მშრომელ და დაუ-

ღალავ ადამიანს, სიტყვა-პასუხის მცოდნეს და თავის დროს შესაფერისად განათლებულ დედაკაცს. ამიტომ იყო, რომ მთელი სოფელი ერთხმად გაიძახოდა: სოფლის თავკაცად დარეჯანი გვინდაო.

— რას იტყვით, ხალხო? — იკითხა ყრილობის ხელმძღვანელმა

— დარეჯანი გვინდა, დარეჯანი! — ყვიროდა ხალხი.

— დარეჯან, აბა, წინ წამოდექ! გსურს თუ არა მამასახლისობა? — შეეკითხა ყრილობის მოთავე მოშორებით მდგომ გალავნის კედელს მიყრდნობილ წარმოსადეგ დედაკაცს.

დარეჯანი გამოერკვა, გალავანს მოსცილდა, წინ წამოვიდა და, როცა ხალხი დაწყნარდა და სიჩუმე ჩამოვარდა, ნელი ხმით წარმოსთქვა:

— ჩემო საყვარელო მეზობლებო! უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუძღვნი ყრილობას, რომ პატივი მცა და მამასახლისად დამასახელა. დღევანდელი ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა და დაობლებული ოჯახები მოვალედ მხდის უარი არა ვთქვა ხალხის არჩევანსე, მაგრამ ვიდრე დაგეთანხმებოდეთ, ორი პირობა უნდა ჩამოგართვათ: პირველი — ურჯულო არ შემოუშვათ სოფელში, მას არავინ მისთხოვდეს. დრო გავა, სამუდამოდ არ დავიღუპებით. ბევრ ჩვენგანს ჰყავს მცირეწლოვანი ვაჟები. წამოიზრდებიან, დავაჟკაცდებიან, მოეპატრონებიან სოფელს. მანამდე კი ჩვენი მოვალეობაა სოფელს ვუპატრონოთ. მტერს არ გავათელვინოთ და არ წავალეკინოთ მამა-პაპათა სისხლით მორწყული, წინაპართა ძვლებით გაპოხიერებული სოფელი და ისევ უმწიკვლოდ ჩავაბაროთ ახალგაზრდობას, როგორც ის სახელოვანმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. ახლა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ, ამის მსგავსი ჩვენს ქვეყანასა და ხალხს არ გამოუცდია. ხართ თუ არა ჩემი პირობის თანახმა?

— თანახმა ვართ, თანახმა! — ერთხმად შესძახეს ქალებმა, რომლებიც დარეჯანის სიტყვებს სულგანაბული უსმენდნენ.

— შემდეგ, — განაგრძო დარეჯანმა, — სამი რჩეული შეიარაღებული დედაკაცი უნდა მომცეთ თანაშემწედ, რომ ყოველ გასაჭირში მზად ვიყოთ.

ყრილობამ შეასრულა დარეჯანის თხოვნა და ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

დარეჯან მამასახლისი გადარჩენილებს უდიდეს მფარველად და ნუგეშად მოევლინა. შეიარაღებული ქალი განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო, მეტადრე მაშინ, როცა ცხენზე თავმომწონედ იჯდა და სოფელში დადიოდა, ხალხს მეთვალყურეობდა.

მეზობელი მუსულმანები დასცინოდნენ სოფლის ხელმძღვანელს, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, რწმუნდებოდნენ ამ დედაკაცის უდიდეს გამრ-

ჯეობა-მუყაითობაში და ბოლოს თავიც კი მოუხარეს პატივისცემით, თავაზიანად ექცეოდნენ.

ინგილოები დიდად კმაყოფილი იყვნენ კარგი მამასახლისით: როგორც შესანიშნავი ქომაგის, დამრიგებლის და კარგი სიტყვის მთქმელი ადამიანისა. მტერთან ამაყი, მედიდური, შეუპოვარი და მიუკარებელი იყო. ამიტომ მას ყველა ერიდებოდა, იცოდნენ, რომ არაკის არ შეარჩენდა თავისი ხალხის დაჩაგვრას.

დარეჯანმა მთელი თავისი ენერგია, მხნეობა, მეცადინეობა და გამბედაობა ხალხს შეალია და დაამტკიცა, რომ დედაკაცს შეუძლია სოფლისა და საზოგადოების ისეთი პატრონობა, გამგეობა და მართვა, როგორც მამაკაცს.

გავიდა დრო. ბავშვები წამოიზარდნენ. სოფელს ვაჟკაცების უკვე საკმაო რიცხვი ჰყავდა. დარეჯანი მოხუცდა, მოსვენება ესაჭიროებოდა და ერთ-ერთ ყრილობაზე ხალხს სთხოვა:

— მოვხუცდი, აღარ შემიძლია სოფლის პატრონობა, ღვთის წყალობით ვაჟკაცებიც წამოგვეზარდნენ, ამოირჩიეთ იმათგან ღირსეული და მე გამათავისუფლეთ მამასახლისობისაგან.

— არა, არა, დარეჯან! მაგას ნუ გვიზამ, — იგრიალა ერთხმად სოფელმა. — შენ თუმცა მოხუცი და დაუძლურებული ხარ, მაგრამ უშენოდ სოფელს გაძლება არ შეუძლია. ამოვირჩევთ ორ კარგ ვაჟკაცს, რომლებიც შენთან იმუშავებენ და უხელმძღვანელებ, გაწვრთნი მათ და შემდეგ მადლიერი სოფელი აღარ შეგაწუხებს.

გავიდა ერთი წელიწადიც, მადლიერ სოფელსაც დიდსა და პატარას, ყველას, ვინც სოფლის გაჭირვება გამოიარა, უკაცობა არ შეუმჩნევია დარეჯანის მუყაითი მუშაობითა და თავდადებით. ამ ღირსეულ დედაკაცს ისინი ზეიმს უხდიდნენ. ბედნიერი იყო ყოფილი მამასახლისი — დარეჯანი.

როცა გარდაიცვალა, მადლიერმა სოფელმა იგი დიდი პატივით დაიტირა და მშობლიურ მიწას მიაბარა. განსვენებულმა შთამომავლობას სახსოვრად დაუტოვა საგმირო ამბები. ამ დღიდან ხალხის ზეპირი გადმოცემით დარეჯანის სოფლის სახელოვანი ხელმძღვანელობის ამბები თაობიდან თაობაში გადადის.

## თორღვაის ქალი ნანა

გაზეთ „იველრიის“ კორესპონდენტის მასალების მიხედვით[37], ნანა სახელგანთქმული, პირიქითელი თუშის — თორღვაის შვილი ძველი ციხე-კოშკებით განთქმულ სოფელ ჩიღოში ცხოვრობდა. ამ სოფლის მოშორებით ჩიღოელებს ჰქონდათ ერთთვალიანი, პატარა წისქვილი. წისქვილი საფქვავს ვერ აუდიოდა. ამიტომ სოფლები მთელი დღე-ღა-

მე მორიგეობდნენ. ორშაბათ დღეს მორიგეობდა თორღვაის ქალი ნანა და მისი დეიდაშვილი ლევანი. ორივე საფქვავის მოლოდინში ცეცხლს შემოსხდომოდნენ და საუბრობდნენ.

„— რამ დაგაღონა ასე? — ჰკითხა ნანამ ლევანს.

— ეს ჯოჯოხეთური ღამე, ნანა, ბევრ მწყემსს დაუბნელებს წუთისოფელს... ნანას სახეზე მკვდრის ფერი დაედო. გულიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა... მისი საქმრო — ხიწო მეცხვარე იყო. მას რომ რაიმე მოუვიდეს — ფიქრობდა ქალი, რაღად მინდა თავი ცოცხალი?

— რატომ მოიწყინე ნანა? — ჰკითხა ლევანმა და ღიმილითვე დაუმატა: ის ისეთი არწივია, რომ უბრალოდ თავს არ წაიხდენს.

— ლევან ვიღაც კარებს აწვება, — თქვა ნანამ. ლევანი მიეარდა თოფს, ფეხზე შეაყენა, ხანჯალი მოიმარჯვა და შესძახა:

— ვინ ხარ, მოყვარე თუ მტერი?

ლევანმა იცნო ლეკები: ნანაც მიხვდა, რომ მათ თავზე არ იყო კარგი ამბავი და ლევანს შესძახა:

— ჩქარა, მომეცი ხანჯალი!

ლეკებმა კარები შემოამტვრიეს. იმწამსვე იგრიალა ლევანის თოფმა და მეწინავე ლეკი ძირს უსულოდ დაეცა; ლევანმა თოფი გადააგდო და ახლა ხანჯლით გაიწია სხვების დასახოცად, მაგრამ მეორე ლეკმა მახვილი გულში გაუყარა და განგმირული ლევანი დაეცა.

ნანა ლევანს დასტიროდა.

— გეყოფა, — უთხრა დაცინვით ლეკმა, — შენი ლევანი მოკვდა.

— ლევანი თუ მოკვდა — უთხრა გამწარებულმა ქალმა ლეკს, — შენც გაჰყევი მას და უზიდე წყალი საიქიოს! — იელვა ქალის ხელში ხანჯალმა და განგმირული ლეკი ლევანის გვერდით დაეცა.

ნანა კიდევ ცდილობდა მოეკლა ლეკი, მაგრამ რატომღაც გაოგნებული, მანდილმოხდილი უძრავად იდგა მათ წინ და ფიქრობდა: მტრის ხელში სიცოცხლეს, ტყვეობას ათასჯერ სიკვდილი მიჯობსო და თავის მოკვლა გადაეწყვიტა, მაგრამ ლეკთა ბელადმა ხელქვეითებს შესძახა:

— ხმალი წაართვით, ცოცხალი წავიყვანოთ!

— ლეკნო, დაგვიწყებიათ, რომ თუში ვარ და სიკვდილისა არ მეშინია, რას დგეხართ, მომკალით! — ქალმა ხანჯალი აღმართა ბელადის მოსაკლავად. ამ დროს მეორე ლეკმა ყუით ხანჯალი დაარტყა მკლავზე და იარაღი ხელიდან გააგდებინა.

ცოცხალ-მკვდარი ნანა წისქვილიდან გაიყვანეს, ერთმა ლეკმა ლევანს მარჯვენა მოსჭრა, მიუტანა ნანას და უთხრა:

— აჰა, ლევანის ხელი შეინახე სახსოვრად!

დეიდაშვილის ხელის დანახვაზე ნანას გული წაუვიდა. გონდაკარგული ქალი ლეკებმა დაღესტნის დიდსა და შორეულ გზას გაუყენეს.[38].

ზეპირსიტყვიერებაში ეს ფაქტი ასეა აღწერილი:

მომერკო მეწისქვილობა,
ორშაბათ ღამე არია,
იქვე მოიხდნენ ლეკები,
თავს დამაქციეს ბანია.
აქაე მომიკლეს ძმა ლეკან
სისხლისა დიდა ტბანია.
დაეჯექ და ბევრი ვატირე,
ზედ დავიფარე თმანია.
ხელ მოსჭრეს, უბეს ჩამიდეს,
გადამატარეს მთანია[39].

დაღესტნისაკენ მიმავალმა მძარცველებმა ტყვე ქალი ყინვით დათრთვილულ მთებზე სულ ფეხშიშველი ატარეს. ქართველებს რომ თანამემამულის ადგილსამყოფელი გაეგოთ, ნანა ამბობს:

ავიხსენ საყურ-ბეჭედი,
მით დავინიშნე გზანია,
მკლავით ვაყარე ზალტები,
მდევართ გაიგონ კვალია.

დაღესტანში ჩაყვანილი ტყვე ნანა მოსთქვამდა თავის დანიშნულის ხიწოს (ქართული სიტყვიერებით — გიორგის) მისამართით:

სადა ხარ, ჩემო გიორგი,
რით ვერ გაპკელიე გზანია!
ადექი, ჩქარა ჩამოდი,
მაღლა შაიბი სმალია.
აისხი ტანზე აბჯარი,
მზარს ვადიკიდე ფარია,
ხელთ დაიჭირე სიათა,
გადმოიარე მთანია,
ჩამოდი დაღისტანშია,
ნახე რა დღეში ვარია.[40]

როგორც კი შეიტყო ნანას საქმრომ საცოლის გატაცება, სწრაფად მოახტა ცხენსა და დაღესტნისაკენ გაუდგა გზას. იქ მისულმა გიორგიმ აულში ძებნა დაუწყო სატრფოს. უცბად მოესმა ნანას გულსაკლავი ქვითინი. ველარ მოითმინა და „ბანით ჩაეშვა, როგორც შურდულის ქვანია“, სანამ ტყვე ლექსს დაამთავრებდა, გიორგიმ „ლეკებს დააჭრა თავია“ და შემდეგ:

ქალი ცხენზე შემოისვა,
გამოატარა გზანია.

გიორგის თავგანწირული ბრძოლა, ნანას განთავისუფლება და ლეკების დახოცვა დაღესტნელებს გვიან გაუგიათ... მდევრები დადევნებია გაქცეულთ. ბელადი აფრთხილებდა მათ:

კარგად მონახეთ კვალია,
მდევარსა გმართებს სიფრთხილე.
თუ რომ გიორგი არია,
ბევრჯერ მინახავს ჩხუბშია,
მაგარი აქვის მკლავია.

გმირული ბრძოლით დაღლილი გიორგი ნანასთან ერთად დაადგა სამშობლოს გზას. ტყვედ ყოფილი ფრთხილობდა, იცოდა, რომ ლეკები მის დანიშნულს — გიორგის ლეკთა თანამოძმეთა დახოცვას არ აპატიებდნენ და შესაპყრობად დაედევნებოდნენ.

ქალი ეტყოდა გიორგის:
ვაი, აწ ჩვენი ბრალია,
მდევარი მოგვდევს დიდძალი,
არა გვაქვს შესაფარია,
სამარედ გადაგვექცევა,
ეს დათოვლილი მთანია[41].

გიორგის უპასუხნია:

იქნებ არ იცი, გენაცვ-,
როგორ სჭრის ჩემი ხმალია?
თუ შენ მაგათ გაგატანო,
მხარზე ნუ მებას მკლავია.

გამოქცეულ ქალ-ვაჟს დაეწია მდევართა ბრბო და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ბრძოლით გახელებულმა გიორგიმ მტერს მიაძახა:

მაცალეთ ლეკის შვილებო,
ხორად აგაგდოთ მკვდარია.

და შემდეგ

კაცა და კაცა ლეკები
ბიდის სისხლ-ნიაღვარია;
ქალო, მომეცა ვანზედ,
შენც არ მოგაჭრა თავია!
ევრე გაწყვიტა ლეკები,
მოამბეც აღარ არია.

მან დანიშნულთან ერთად გადმოლახა ხოშარელთა დიდი მთები და:

კიდევა ნახა — დედ-მამა,
კიდეე შვალო კარია.
ნამტირალევსა დედასა,
გადაუწმინდა თვალია.

ხალხს შემოუნახავს ამ გადმოცემის სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, ერთ-ერთ ვარიანტში თორღვაის ქალი ნანა იხსენიება ფშაველ მარიად, რომელიც „მთელი საფშავლოს თვალი ყოფილა"[42].

ი. ბუქურაული გადმოგვცემს სხვა ვარიანტს: როდესაც თუშმა ხიწომ გაიგო ლეკთა მიერ ნანას გატაცება, დაედევნა მათ. გზად მან თავის მეგობარ ლეგას უთხრა: „ხომ იცი, რომ ნანა ჩემი დანიშნულია? რისი ვაჟკაცი ვარ, რით უნდა მომწონდეს ტოლ-ამხანაგებში თავი, თუ მე ნანა ვერ გამოვიხსენი? გავიგო მისი ტყვეობა, მას კი ჰქონდეს ჩემი იმედი, მე ვაჟკაცობის ნიშნად ქუდი თავს მეხუროს და იარაღ-ასხმული, ულვაშის გრეხით, დანიშნულმოტაცებული კაცი, შერცხვენილი უნდა წარვსდგე თემთა წინ? სანამ მკლავი მაქვს და ძალა მერჩის, თავს არ დავანებებ ნანას. ან ვიპოვი და გამოვიხსნი ან და მეც მოვკვდები მტრის მახვილით, „ეგ უფრო შეება იქნება ჩემთვის"[43].

ამ გადაწყვეტილებით ხიწო და მისი მეგობარი შევიდნენ იმ მეზობელ ლეკის სოფელში, სადაც ნანა ეგულებოდათ. დაღამდა. დაიძინა დაღესტნის სოფელმა. ხიწო კი ფიქრებს მიეცა: ნეტა რა უყვეს უსჯულოებმა? იქნებ ურჩობისათვის გზაშივე მოკლეს და გვამი ხევში გადააგდეს. იქნებ როგორც ტყვე, ორმოში ჰყავთ, ან სოფელში სტუმრად მყოფ ვინმე გადამთიელს მიჰყიდეს. ვფიცავ ჩემი წინაპრების სისხლით გაჟღენთილ და მათი ძვლებით დაკენჭილ თუშის მთებს, არამი იყოს ჩემზე მამაჩემის ამაგი, თუ ნანას ტყვეობა ვისმე შევარჩინო".[44]

როცა ნანა ჩაიყვანეს ტყვედ დაღესტნის ამ პატარა სოფელში, შუადღე იქნებოდა. სოფლელები, დიდი, თუ პატარა, ყველა, როგორც ერთი ფეხზე დადგა და თუშის ქალს ქვებს ესროდნენ და იწევდნენ მოსაკლავად, რადგან მან ლეკები დახოცა. ნანა ბელადმა დაიფარა, თორემ ჩაქოლვას უპირებდნენ. ორი ქალი, რომლის შვილი და ქმარი ნანამ ჩიღოს წისქვილში მოკლა (ერთი დედა, მეორე ცოლი), ნანას საკვდილით ემუქრებოდნენ.

ბელადმა ნანა სახლში წაიყვანა. დაქანცულ ლეკს მალე ჩაეძინა, ნანა იჯდა სარკმელთან და ნაღვლიანად იცქირებოდა გარეთ, ფიქრობდა თავის ქვეყანაზე, უძლურ დედაზე, მოიგონა აწ გარდაცვლილი თავისი სახელოვანი მამა თორღვა, რომლის შიშით არა თუ ლეკი, ჯიხვებიც კი ვერ დანავარდობდნენ ლაღად. სად არის ახლა, რატომ არ ანანებინებს თავხედ ლეკებს საყვარელ ნანას შეურაცხყოფას?

მოაგონდა თავისი დანიშნული ხიწო. აქ კი თავი ველარ შეიკავა და დაიწყო მოთქმით ტირილი.

ბელადს გამოეღვიძა, შევიდა ნანასთან, მოხვია ხელი და მიიზიდა მისკენ, ნანა ლეკს გაუსხლტა და შესძახა:

— ხელს ნუ მახლებ, თორემ ინანებ.

ამ დროს კარზე კაკუნის ხმა გაისმა. ლეკმა შესძახა:

— ვინ ხარ ამ დროს კარზე?

— ნანა მიეარდა კარს, გაჰკრა ურდულს ხელი, კარი გაიღო და ოთახში მოულოდნელად ხიწო შემოვიდა. ხიწომ მოჰკლა ბელადი, შემდეგ დააელო ხელი ნანას და ჩქარა მოსცილდნენ იმ საბედისწერო ადგილს.

## კახოს ქალი თინა

ფარსმელი თინა ქააძე ცხოვრობდა იმ ძნელბედობის ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანას თავს ესხმოდნენ მტრები, აწიოკებდნენ და აჩანაგებდნენ მას. საისტორიო ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს გადმოცემა ლექსად „კახოს ქალი თინა“[45]. მისი შინაარსი ასეთია:

ქისტეთში ყოფილა განთქმული მეომარი მურთაზი. მას გაუგია, რომ სოფელ ფარსმაში ერთი განთქმული მეომარი და ლამაზი ქალია. ეს მურთაზს გულში ჯავრად ჩაჰყოლია და უთქვამს: მე რა კაცი ვიქნები თუ იგი ცოლად არ მოვიყვანეო.

ერთხელ მურთაზმა შეჰყარა ლაშქარი, გამოუძღვა მათ და თუშეთისაკენ წამოვიდა. მისი ლაშქარი იმდენად დიდი იყო, რომ თვალი ვერ გაუწვდენდა. ამოვიდა მურთაზი ქაჩუს მთაზე. მისი ფერდობები დაუბნელებია ჯარის სიმრავლეს. მურთაზმა ჯარს უბრძანა: ყველამ თითო ქვა აიღეთ და ერთ ადგილას დაჰყარეთო. ჯარმა შეასრულა განკარგულება და ქვების გროვა დადგა. შემდეგ მურთაზი „ქაჩუს ხორხიდან“ პირდაპირ ფარსმაში ჩამოვიდა.

ფარსმელებმა თავდასხმის საფრთხე ადრევე გაიგეს და ციხეში შეიხიზნენ. მურთაზმა სოფელს ალყა შემოარტყა. სამი დღე-ღამე იომეს და ხოცეს ერთმანეთი. მესამე დღეს შეწყდა სროლა. ციხეში გამომწყვდეულებს ტყვია-წამალი გაუთავდათ. ეს რომ მურთაზმა გაიგო, ჩაიცინა: ახლა ქალიც დამრჩება და ხალხიცო. მთელი ქისტეთის ჯარი ციხეს გარს შემოერტყა, შემდეგ მურთაზმა დაუძახა:

— თუ ქალს გამოიყვანთ და ჩამაბარებთ, გაპატიებთ, თუ არა და მთელ ციხე-სიმაგრეს აგიფეთქებთ!

მურთაზმა უბრძანა ჯარს შეეკრიბა თითო გასროლა წამალი. ჯარმა შეასრულა ბრძანება და სალუდე ქვაბი წამლით გაავსეს. თუშებმა ნახეს, რომ მურთაზი არ ხუმრობდა და კახოს თინას ურჩიეს:

— ჩადი, შენი გულისათვის ამდენი ხალხი როგორ უნდა ამოწყდეს? ჩადი, რა უშავს, სახელოვანი კაცია, ცოლად წაგიყვანს და ჩვენც არაკაენ გადაგვემტერებაო.

კახოს თინამ უარი განაცხადა.

მურთაზმა მეორედ დაიძახა: — მოგყავთ, თუ ავაფეთქო ციხე?

ამასთან ერთად ჯარმა ციხის კუთხის თხრა დაიწყო, რომ შიგ სალუდე ქვაბი შეედგა და მთელი ციხე აეფეთქებინა. ციხეში მყოფმა ქალებმა ტირილი მორთეს, ვაჟკაცებმა ქუდის მოხდით სთხოვეს თინას:

— ნუ გაწყვეტ შენი გულისათვის ამდენ ხალხს!

კახოს თინამ ვეღარ გაუტეხა ხალხს ხათრი და დაჰყვა მათ ნებას, კარებთან გაფითრებული მივიდა. ის იყო კიბეზე უნდა ჩასულიყო, მაგრამ გული შეუღონდა და უკან გადავარდა. ერთ ცხელ საგანზე მოუხვედა ხელი, დაეწვა, უცებ გამოფხიზლდა. თინამ ისევე მოიკრიბა ძალა, გაიხედა და იქვე ერბოთი სავსე ჰატარა კასრები დაინახა. მოიხადა მანდილი, ამოავლო ერბოში და ერბოთი გაჟღენთილ მანდილს ცეცხლი წაუკიდა. ანთებულ ბუკვანით (ფიჭვის ნაფოტი — კვარია) გამოჩნდა კარებში და გადაისროლა; იქვე მურთაზის მეომრები წამლით სავსე ქვაბს ეხვეოდნენ. აფეთქდა ქვაბი, მთლიანად ბოლში გაეხვია ციხე და მისი მიდამო. ბოლი რომ გაიფანტა, იმ ადგილას ვამოჩნდა ნაგლეჯებად ქცეული ქისტების ჯარი. ციხიდან გამოვარდა ხელში ხმალმომარჯვებული კახოს თინა, უკან მოყვნენ ფარსმანელი ბიჭები. ერთი დაჰკივლა თინამ და თავის სამღარიანი ხმლით ჩაერია ქისტების გადარჩენილ ლაშქარს.

> ვაერი ქისტის ლაშქარში,
> ჩალად დაჰყარა მკედარიო,
> ან მკლავი როგორ უძლებდა,
> ან სამღარიან ხმალიო.

თუშებმა გაწყვიტეს ქისტთა ჯარი. იმ დიდი ლაშქრიდან გაიქცნენ მურთაზი და რამდენიმე მებრძოლი. როცა ქაჩუს ავიდნენ, მურთაზმა უთხრა მხედრებს:

წასვლისას რომ ქვა დავყარეთ, ყველამ თავთავის წილი აიღეთო.

ყველამ აიღო თითო ქვა, მაგრამ „თეფას“ (ქვაყრილს) არც კი შეეტყო რამე, იმდენი მებრძოლი დაღუპულიყო თუშებთან ბრძოლაში.

ხალხში დარჩენილა ამ თქმულების სხვა ვარიანტიც: — ბალადა „კახოს თინა“[46]. მასში მოთხრობილია ამ სახელოვანი თუში ქალის თაედადება და გმირული სიკვდილი.

ლექსის შინაარსი ასეთია:

ფარსმანელი თინა ეოლოს საკრეფად სოფლის განაპირას წავიდა. თან სურვილი ჰქონდა, რომ შამა ივანეს ცხვრის სადგომი დაეთვალიერებინა. დაღლილმა იქვე ხის ჩრდილში შეისვენა, მაგრამ მალე რაღაც ხმაური მოესმა. სწრაფად ზეზე წამოდგა და დაინახა შეიარაღებული ქისტები, რომლებიც:

> ეძახდნენ: კახოს თინაო, ხომ ჩაგვივარდი ხელადა,
> წაგიყვანთ ბელადის ცოლად, ჩამოგსვამთ იმის კერასა
> დატკბება ჩვენი ბელადი, შენი თვალ-წარბის მზერასა.

კახოს თინამ გაქცევა სცადა, მაგრამ ერთმა მათგანმა ხელი წაატანა, ოვით თინა აი რას ამბობს:

ვეცადე, ვერ გამოვექეცი, ერთმა წამკიდა ხელია,
ამპაეი ერთი წამს მოხდა, სათქმელად შეტად გრძელია.
უთხარი: ქისტო, გრცხვენოდეს, ქალს რომ წამკიდე ხელია,
მე რემ ნებითაც წამოვალ, თუ სიტყვა მითხარ სწორია;
თქვენ ბელადს თუ კი ეუნდივარ სინამდვილეში ცოლადა,
ეეტყვი, სოფლის გზას გასწავლი, რომელიც ცოტა შორადა,
მაგრამ არავინ იქნების, წინ რომ დაგისვდეს ბრძოლადა[47].

თინას სიტყვებს ქისტები სიხარულით დაეთანხმნენ, მითითებული გზით სოფლისაკენ გაეშურნენ, მაგრამ მცველად „მარტოლა ერთი დატოვეს ყარაულია", რომელსაც სახელოვანი ქალის თქმით, მხარიღლიე ხმალი ჰქონდა, წელზედ ხანჯალი. თინამ ქისტს ხელი ჰკრა, წააქცია, ხმალი ააგლიჯა, „თავი წააჭრა, წავიდა სისხლის ღვარია", და სოფლისაკენ გაიქცა, მაგრამ მტერი გამოედევნა, „როგორც მდინარე წყალია". გზად მან ორი მდევარი კიდევ სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო როცა მესამემ დაუზოგავად შემოუქნია ფრანგული, და ოთხივე მისი ნაწნავი შუაზე გასჭრა, აღარც იგი დაინდო და ხმლით გაკეთილი უსჯულოს ტანი ქარაფზე ჩამოუკიდა. თინამ დაჭრილი თმები აკრიბა და სოფლისაკენ გაიქცა. თუშთა ბელადი ალუდა წასული იყო გაფრინდაულის ქორწილში, გომეწარში, ამიტომ თუშებმა სასწრაფოდ კაცი აფრინეს გომეწარს, რომ ალუდასთვის მტრის თავდასხმა ეცნობებინათ, სოფელში მყოფნი კი ციხე-სიმაგრეში შევიდნენ და ეამაგრდნენ საბრძოლველად.

ორშაბათ დილით ფარსმანის ციხე-სიმაგრეს მტერმა ცეცხლი წაუკიდა და ლაშქარი გარს შემოერტყა. ციხეში მყოფი ქალები დამსწრეთა გასამხნევებლად მღეროდნენ, ხოლო ვაჟკაცები მედგრად იბრძოდნენ. მამაცური მოქმედებით თუშებმა მტერი შეავიწროვეს, მაგრამ ქისტები უწყვეტად მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მათი ბელადი მურთაზი ცოფს ჰყრიდა. მებრძოლთა სიმრავლის მიუხედავად მტერმა ციხეს ვერაფერი დააკლო. ქისტმა ბელადმა სხვა ხერხს მიმართა. ციხეში მყოფთ შესძახა:

— თუშებო, რად გვინდა ერთმანეთის ხოცვა, სისხლის ღვრა, რბევა და აწიოკება? თქვენთან მინდა მეგობრობა, თუ ცოლად მომცემთ ციხეში რომ მზეა, კახოს თინას.

თუშებმა მტერს უარი შეუთვალეს, რადგან იციან, რომ ქისტთა ბელადი მოსულია თუშეთში „სადავლოდ" და „მიზეზობს ერთსა ქალზედა". უპასუხეს:

— ჩვენ გვირჩევნია გავწყდეთ, მაგრამ ურჯულოს ქალს ვერ გავატანთ.

— თუ ნებით არ გამატანთ, ძალით წავიყვან, თქვენ კი თავებს დაგაჭრით და ისე დაგყრით ყვავ-ყორნების საჭიჭანად. — შესძახა მურთაზმა.

ამ დროს თუშის ქალი თინა გადმოდგა ციხეზე და ქისტთა ბელადს უთხრა:

— ბრძანე, ურჯულოო, რაც გნებავს, გამოთქვი შენი აზრები.

მურთაზი შეეხვეწა:

— კახოს თინა, ხომ ხედავ ამ მოლაშქრეებს, ყველას მონად გაგიხდი, ოღონდ ცოლად გამომყევი!

თინამ უპასუხა:

— უსჯულოს ცოლობას სიკვდილს ვარჩევდი. ან როგორ ბედავ, ძმები მტრის მონად გაეხადო და მე შენ ცოლად გამოგყვე?

ქისტთა ჯარის მეთაურმა მურთაზმა თინას უთხრა: ოღონდ გამომყევი ცოლად და რჯულს შეეიცვლიო,

წამს ამოიღო ჯიბიდან, ძონძებში გახვეული,
უბრძანა ცეცხლი დანთეთ, ცასა წვდებოდეს ალი!
ჩააგდო, ცეცხლში დაიწვა მუჰამედის ყურანი.

ციხიდან გადმომდგარმა თინამ დამცინავი სიტყვებით ჩამოსძახა:

მართლა რომ ეადარეულხარ, ქისტო, დავიდგა თვალი,
სულით ყოფილხარ სნეული, რჯულს რომ ირჩიე ქალი"[48].

მოტყუებული მურთაზი გაცოფდა და ჯარს უბრძანა. რომ მოეტანათ დიდი სალუდე ქვაბი და ახლო დაედგათ ციხის კედელთან. ქვაბში ყველა მებრძოლს თითო გასროლა წამალი უნდა ჩაეყარათ, პირამდე აევსოთ, შემდეგ აეფეთქებინათ და ამ ხერხით ციხე დაენგრიათ. ხოლო მასში მყოფი თუშები გაეწყვიტათ.

ქისტთა ბელადს ციხის აფეთქების გეგმა თუშმა ქალმა ჩაუშალა: სასწრაფოდ მოიხსნა მანდილი, ამოავლო ერბოში, მოუკიდა ცეცხლი. ციხის სარკმლიდან ისროლა („თუმც დიდი იყო მანძილი") და ააფეთქა წამლით სავსე ქვაბი. იმის მიუხედავად, რომ დაიბზარა კედლები, მაინც დანგრევას გადარჩა ციხე („ხოლო აქა-იქ მიეცა ზიანი"), დაიხოცა ქისტთა ჯარი. გამწარებული მურთაზი ხან თავის ლაშქარს ტიროდა, ხან თინას ემუქრებოდა:

წყეულიც იყავ, ეშმაკო, გრისხოს ყურანის ძალამ.
ალქაჯის მახე დაგეგე, ძაღლის გაზრდილმა, ძაღლმაო.
ეშმაკს თუ სული მიეცი, დაგვრთგუნა ჯადოს ძალამი,
თორემ ვის გაუგონია, ეს საქმე შესძლოს ქალამო?

თუშმა ქალმა ბელადს უთხრა:

— ჰე ქალი და შენ ვაუკაცი. გაეიდეთ და ეიბრძოლოთ ხმლით, იმედი მაქვს რომ ვერ გადამირჩები.

ეს თქვა თინამ, აისხა მკვლარი მამის ჯავშან-იარაღი, პირჯვარი სამჯერ გამოისახა, სარკმლიღან ისე გადაფრინდა, რომ არ „გახსნა ციხის კარია"; ძირს ჩასულმა მურთაზს თავი წააჭრა, ქისტებს დაერია და სულ ერთიანად გაწყვიტა. „ქალი მისდევდა კიეილით ხმალ« ჰაერში წიოდა, ფრანგული სამღარიანი ვადამდე იღებებოდა". თინა ბრძოლის ჟინმა ისე გაიტაცა, რომ მტერს ხატში შესდია. ეს იგრძნო, შეკრთა, მობრუნდა, მაგრამ გვიანღა იყო, ერთმა უსჯულომ მოასწრო, ესროლა მხარში, მოარტყა და სახელოვანი მებრძოლი ქალი სასიკვდილოდ დაჭრა.

თუშებს გასაჭირი ადგათ. ის იყო, მტერს ციხის კარები უნდა შეემტვრია, რომ ალუდას მეთაურობით გამოჩნდა თუშების მაშველი ჯარი. ქისტების ძლიერება შეირყა. პირი იბრუნეს. ალუდამ მოსვლისთანავე თავისი საოცნებო მოიძია და იკითხა: რა იქნა კახოს თინაო?! თავდახრილმა თუშებმა ალუდას მოახსენეს, რომ თინა მტრის მახვილის მსხვერპლი გახდა. ამის გამგონე ალუდას სხეულში ცივმა ურუანტელმა დაურბინა, „უკვე დაკარგა, სიყრმის ღლეები ტკბილია", მაგრამ, ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო, მტერს შეუტია და თანამოძმეთა დახმარებით გაანადგურა ქისტთა ლაშქარი.

ალუდამ ბავშვობიდან მასთან შეზრდილი და საყვარელი ქალის — თინას ცხედარი სალოცავიდან გამოასვენა, დიდი პატივისცემით დაიტირა და სხვა თუშებთან ერთად მშობლიურ მიწას მიაბარა.

## თბილისელი მანდილოსნები

ქართველ ქალთა გმირული თავგანწირვა აღწერილი აქვს კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის დირექტორს, ცნობილ სამხედრო ისტორიკოსს, გენერალ-ლეიტენანტს ვასილ პოტოს (1836 — 1911) ოქმულებაში „სალომე", რომელიც გავრცელებული ყოფილა თბილისში ნარიყალას უბანში[49]. გადმოცემა დაკავშირებულია საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევასთან (1795 წელი). აქ მოთხრობილია ერთი ქართველი თავადი ქალის სალომეს შესახებ, რომელმაც სიცოცხლე ემირული სიკვდილით დაასრულა მაშინ, როცა მისი მეუღლე მეფეს იცავდა და თბილისის კედლებთან დაიღუპა. სპარსელებმა უბედურ დედას პატარა ბავშვი გამოსტაცეს და ქვაზე დაანარცხეს, თვითონ ტყვედ წაიყვანეს. განსაცვიფრებელმა სილამაზემ იხსნა იგი, მაგრამ ქალი სიკვდილს სიხარულად მიიჩნევდა იმ შერცხვენის ნაცვლად, რომელიც მტრის ბანაკში მოელოდა. მას თვით აღა-მაჰმად-ხანის წინაშე დააყენებდნენ...

— ეს დოლათი მე არ მჭირდება! — დაიღრიჯა ბრაზმორეული საჭურისი და დაუმატა: ვინ იყიდის მას?

ანგარების მოყვარე შაპის სასიამოვნოდ, რომლის ცხოვრების ერთ-ერთი ნუგეში სიმდიდრე იყო, ვაჭრობა მის წინ გაიმართა. ტყვე გადასცეს ჯაფარ-ბეგს, რომელმაც ქალი სპარსელების მიერ დაკავებულ ნარიყალას ციხის კოშკში შეიყვანა.

— დაივიწყე ქმარი და ბავშვი, — შენ მათ ვერასოდეს ნახავ, — უთხრა ჯაფარ-ბეგმა ტყვე ქალს.

— თუ შენ უარყოფ ქრისტიანობას და მიიღებ წინასწარმეტყველის რჯულს, ჩემი ცოლი იქნები, თუ არა და ხასად გაგიხდი.

— არასოდეს! — წამოიძახა სალომემ, გამოიგონე ყველაზე საშინელი სიკვდილი, მივიღებ მას, მაგრამ სარწმუნოებას არ ვუღალატებ.

— შენ ისეთი ლამაზი ხარ, რომ სიკვდილზე ლაპარაკიც ზედმეტია, — უპასუხა სიცილით ჯაფარმა. — აირჩიე: ან იქნები ჩემი ცოლი, ან მონა-ხასა. ახლა კი ახლოვდება ღამე და მე გაძლევ რამდენიმე საათს მოფიქრებისათვის.

სალომე დარჩა მარტოდ ჩაკეტილი, ვიწრო და ბნელ კოშკში. ხედავდა რომ გამოსავალი არ იყო, რა უნდა ექნა სუსტსა და უმწეო ქალს? ქრისტეს რწმენის უარყოფას ვერავითარი ტანჯვა, თვით სიკვდილიც კი ვერ აიძულებდა, მაგრამ სალომეს არც ელოდა ტანჯვა: წაიყვანდნენ ჯაფარ-ბეგთან და იგი ძალით გაიხდიდა ხასად.

სალომემ დაიჩოქა და ღვთისმშობლის მფარველობას მიენდო, ლოცულობდა დიდხანს და მხურვალედ. უცებ გაუელვა აზრმა... მოიკრიბა მთელი თავისი სულიერი სიმტკიცე და დაუწყო ლოდინი დაღამებას.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო, როცა კოშკის მოპირდაპირე კლდის მწვერვალზე ქრებოდა სინათლის უკანასკნელი სხივი. ცაზე მთვარე ამოდიოდა. ქვიდან ქვაზე გადმოხეთქილი ნიაღვარი ახმობდა გადამწვარ თბილისის მიწა-წყალზე მოქეიფე დამპყრობელთა ყვირილსა და გუგუნს.

კოშკის ახლოს, პატარა, სწორ მოედანზე, სადაც კაკლის ხე იდგა, გაეფინათ სპარსული ხალიჩა და ხავერდის ბალიშის მსგავს მუთაქებზე დაყრდნობილი, ნახევრად წამოწოლილი ჯაფარი გასცქეროდა ნარიყალას ძველ კოშკს. იგი შეკრთა, როდესაც გზაზე, მთვარით განათებული ვაზების ხეივანში მოულოდნელად სალომე გამოჩნდა. ქალი მოდიოდა ჯაფარ-ბეგის მოსამსახურეებით გარშემორტყმული და თოვლივით თეთრი ჩადრით დაფარული. ფერდაკარგული მშვიდად გაჩერდა თავისი მბრძანებლის წინ. ჯაფარმა მოუთმენლად გაიქნია ხელი და მსახურები წავიდნენ.

— თანახმა ხარ იყო ჩემი ცოლი? — შეეკითხა ჯაფარი.

— თანახმა ვარ, — უპასუხა სალომემ და გაწითლდა.

ჯაფარ-ბეგმა აღტაცებით შემოხვია წელზე ხელები თავის ტყვეს.

— მე მინდა შენ გიყვარდე, — განაგრძობდა სალომე, — შენი სიყვარული, აი რა დამრჩა ცხოვრებაში. ქმრისა და შვილის ფიკვდილის შემდეგ ეს არის ჩემი ბედი. იგი მე მიწინასწარმეტყველეს.

— როგორ თუ გიწინასწარმეტყველეს? ვინ? — შეეკითხა გაკვირვებული ჯაფარ-ბეგი.

— განა შენ არ გაგიგონია, ჩემო მბრძანებელო, — დაიწყო სალომემ, — რომ ჩვენთან, საქართველოში, ბევრ ოჯახში თაობიდან თაობას გადმოეცემა სხვადასხვა საიდუმლო? დედამ მიწინასწარმეტყველა ჩემი ბედი, მე კი დედაჩემისაგან მემკვიდრეობით მივიღე მომავლის გამოცნობის საიდუმლოება. მომეცი ხელი, ჩემო მბრძანებელო, მინდა ვიცოდე. დიდხანს გაგრძელდება ჩემი ბედნიერება თუ არა. — მისი მზერა მოხვდა ჯაფარ-ბეგს და ფერწასულმა შეშინებულმა წამოიძახა: ჩემო მბრძანებელო! შენ მოგელის სიკვდილი, სიკვდილი სწრაფი, შეიძლება ამ ღამესაც.

— სიკვდილი? — წამოიძახა ჯაფარმა და გაფითრდა.

— დიახ, იმ ადამიანის ხელით, რომელსაც შენ დღეს შეურაცხყოფა მიაყენე.

— შეურაცხყოფა მივაყენე დღეს? — წარმოსთქვა ჯაფარმა, — დიახ, სწორედ მე შეურაცხვყე ასადულა-ბეგი. ჩვენ შენი გულისათვის წავიჩხუბეთ.

— ო, ჩემო მბრძანებელო! ჩემი ბედნიერებისათვის უბრძანე ახლავე მოგიტანონ მისი რომელიმე ნივთი, ან ის ნივთი, რომელსაც ამ წუთში უყურებენ მისი თვალები. ამ ნივთით მე შეეულოცავ მის იარაღს და იგი უვნებელი გახდება — ძალას დაკარგავს.

— შენ, შენ შეგიძლია შეულოცო იარაღს? — იკითხა უფრო გაკვირვებულმა ჯაფარმა.

— შემიძლია. მომეცი შენი ხმალი.

ამ უცნაური ლაპარაკის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ჯაფარ-ბეგმა, დაუფიქრებლად ამოიღო ხმალი და გადასცა სალომეს.

ახლა სალომეს ხელში იყო იარაღი, მაგრამ იგი სულაც არ ფიქრობდა, რომ საქმისათვის გამოეყენებინა. ის ცას შესცქეროდა, ტუჩები კი ლოცვას წარმოთქვამდნენ.

— მზად არის, — მბრძანებელო! — სთქვა მან, — აიღე შენი ხმალი. უკვე არაფრად არ ვარგა. თქვენი იარაღი ვერ განგმირავს ადამიანის სხეულს. არ გჯერა? შეხედე... „მან ხმლის წვერი ჩიიდო მკერდზე, დამარტყი, სთქვა მან, — ნუ გეშინია, შენი მჭრელი ხმალი ასხლტება ჩემი მკერდიდან“.

ჯაფარს გონება დაუბნელდა, დაიბნა და ფიქრთა ბურუსში გახვეულ-

მა ძლიერად დაპკრა ხელი ხმალს; ხმალი ჩაერჭო ქალის მკერდს ტარამდე. სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა... სალომე წაიქცა.

— ღმერთო, მიიღე ჩემი სული! — წაილულღლუღა უკანასკნელად.

ჯაფარ-ბეგი შიშისაგან გაქვავდა; როდესაც გამოფხიზლდა, მივარდა სალომეს, მაგრამ მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ამ განსაცვიფრებელი თქმულების შესახებ ვ. პოტტო წერს: თქმულება მიუთითებს იმ ადგილზეც კი, სადაც სალომე გარდაიცვალა. ეს არის ნახევრად დანგრეული მრგვალი კოშკი, რომელიც დგას სოლოლაკის მთის ნაპირზე და თითქოს დაფიქრებული გადაჰყურებს ბოტანიკურ ბაღს.

სალომეს გმირული თავგადასავალი დავიწყებულია ისევე. როგორც სპარსელთა საშინელი დარბევები, მაგრამ ჯერ კიდევ 10 — 15 წლის წინათ, თბილისში ცოცხალი იყვნენ მოხუცები, რომელთათვისაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა თქმულება არ იყო.

ეს მოხუცები ამბობდნენ: „წინასწარ გაქცეული თბილისის მცხოვრებლები, რომლებიც მტრის შემოსევის საშინელ დღეებში მთებში იმალებოდნენ, დაბრუნდნენ უკან და არა თუ თავიანთ სახლებს ვერ პოულობდნენ, არამედ იმ ადგილებსაც, სადაც მათი სახლები იყო აშენებული.

თბილისის ნანგრევებს ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა[50].

●

XIX საუკუნის თვალსაჩინო მწერლის ალექსანდრე ორბელიანის (1801—1869,) შემოქმედებიდან ყურადღებას იპყრობს ნაკლებად ცნობილი მისი ისტორიული მოთხრობა „უმანკო სისხლი"[51], რომელშიც აღწერილია ქართველ გმირ ქალთა თავდადება. შაჰ-აბასის შემოსევის დროს (XVII საუკუნის პირველი ნახევარი) მთაწმინდის ეკლესიაში მოღვაწეობდნენ მონაზონი ქალები: ანა, ბარბალე და მართა. როდესაც დამპყრობთა ჯარმა კახეთი დაარბია და ქართლისაკენ გამოეშურა, სხვადასხვა მხრიდან მტრის ლაშქარი თბილისს შეესია. ჭოლაშქრენი ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ. ა. ორბელიანის სიტყვებით, „სპარსელებმა ხმლებს ხელი გაისვეს, ის მწყემსები, რომლებიც თბილისის გარეუბანში საქონელს აძოვებდნენ, იქვე აკუწეს და საქონელი გამოირეკეს. მათ გზაზე შემოეყარათ აგრეთვე რამდენიმე დედაკაცი წინდაპაჭიჭის ქსოვით. ისინიც სპარსელების ხმლებით დაიხოცნენ. შემოცვივდნენ ქალაქში, დაერივნენ მცხოვრებთ, დაუწყეს კაფვა დედაკაცსა და კაცსა: ჰკაფავდნენ გამხეცებულნი სპარსელები უიარაღო თბილისელებს, როგორთაც შესულნი კაცები ტყესა, თბილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ... ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდე-

ბოდა ჰაერში ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიცა ჰაერი იმათმა შესაბრალისმა ხმოვანებამ, მაგრამ ვინ გაიკითხავდა იმათ"[52].

რამდენიმე მშვენიერი ქალი ხმალამოღებულ სპარსელებს წინ უშიშრად წარუდგა. ხელები ცაში აღაპყრეს და შეევედრნენ ღმერთს, რომ არ დაღერილიყო სისხლი. ვერც ქალთა მშვენიერებამ მოულბო სპარსელთ გული. ისინი დახოცეს. ამის შემდეგ ქალაქის მცხოვრებლებს დაერივნენ და დაიწყეს „სვრა ქალის, კაცისა და წვრილთა ყმაწვილთა... წივილ-ძახილის ვედრება და გულ-მტკივნეული ხვეწნა ვის ესმოდა? ვინ იყო ამ საშინელების მოწმე?

დამპყრობლებს სიონის ეკლესიასთან წინ შემოეყარათ თეთრი ყმაწვილი კაცი, რომელიც მუშტით იგერიებდა სპარსელებს. ის-ის იყო, უნდა აეკუწათ იგი, რომ უცებ ქალის კივილი მოისმა, მოღერებული ხმლები სპარსელებს ხელთ შერჩათ. მშვენიერი ქალი ყმაწვილ კაცს ყელზე შემოეხვია და უთხრა:

„— შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, მეც შენთან მოვკვდები, ჩემო გიორგი.

— მოდი, ჩემო ნინუცი, ორივე ერთად დავიხოცოთ მტარვალების ხელით.

სპარსელებმა ერთი კვირის ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი შეუბრალებლად აკუწეს. მოლაშქრეთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა სიონის ეკლესიაში შესვლა, მაგრამ უკანიდან მოესმათ ხმა: ეკლესიაში უჩემოდ არავინ შევიდესო. მტარვალებმა მოიხედეს და დაინახეს შაჰ-აბასი მობრძანდებოდა თეთრი ცხენითა...

თბილისელთა ტანჯვა-ვაების ხმამ მიაღწია მთაწმინდაზე მყოფ მონაზვნებამდეც. ისინი მოემზადნენ, რომ მტერს გმირულად დახვედროდნენ. ამბობდნენ: რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგვემართოს, მტარვალების ხელით დავიხოცოთო, — და მიწაზე დამხობილნი, საცოდავად ბღაოდნენ. ამ ყოფაში რომ იყვნენ, თბილისს ავარდა საშინელი ალი, მთელი ქალაქი ცეცხლში გაეხვია და იმისი უმაღლესსა ჰაერს შესწვდა! ვინ იცის რამდენი ქალი, კაცი და ყმაწვილები დაწვეს იმ საშინელ ცეცხლში?

დამპყრობნი ცეცხლთან „მიიყვანდნენ დედაკაცთა და კაცებს ეტყოდნენ გათათრდითო! ნაცვლად პასუხისა, უარყოფის ნიშნად მათ ესენი თავს მიუშვერდნენ ხოლმე და სპარსელებიც აყრევინებდნენ მათ შეუბრალებლად გალესილი ხმლებით. იმდენი თავები დააყრევინეს, რომ ბეზარს მოვიდნენ და შაჰმა ბრძანა, მხოლოდ ტყვედ ჰყონ დანარჩენნი.

მოლაშქრენი მთაწმინდელ მონაზვნებსაც ეწვივნენ. ისინი უშიშრად დახვდნენ. ანამ დაიძახა:

— მოდით, ურჯულოებო, რაკი უდანაშაულო ხალხს ასე მხეცურად ექცევით, ჩვენც დაგვხოცეთ.

— იქნება მათზე უარესი სასჯელით დაიხოცოთ, — უთხრა ერთმა სპარსელმა.

ანამ მიუგო:

— ჩვენ არ გვეშინია, რომლის სასჯელითაც გინდოდეთ, დაგვსიცეთ, — და თან დაუმატა: მითხარ რა ბრალი აქვს ქართველებს?

— მშვენიერო ქალო, — უთხრა სპარსელმა ანას, — ნება არ გვაქვს ბევრი გელაპარაკოთ. მოკლედ გეტყვი: მრავალი გაბედნიერებულა და თქვენც ისე გაბედნიერდებით, თუ ჩემს რჩევას დაიჯერებთ.

— აბა, თქვი, რა გაქვს სარჩევი?

— ჩვენი სარწმუნოება მიიღეთ. — უთხრა ათისთავმა.

— ამისათვის ჟლეტთ ამდენ ხალხს? დედაკაცი ვარ და თქვენს მაგიერად მრცხვენია.

— თუ გათათრდებით, კარგი, თუ არა და ახლავე უნდა დაგხოცოთ.

— ნუ შეგვაშინებ სიკვდილით, დრო მოგვეცით ჩვენის სარწმუნოების წესი შევასრულოთ და შემდეგ თქვენი სურვილი აღსრულდეს.

ქალებს ულოციათ, შემდეგ ეკლესიიდან კისერმოშიშვლებულნი გამოსულან. დამპყრობლებს ისინი დაუხოცავთ".

●

ა. ორბელიანს 1865 წლის დეკემბერში მომსწრე პირთაგან ჩაუწერია ერთი გულადი თბილისელი ქალის ამბავი:

ერთი თბილისელი „ქართველი თავადი ვახშმის შემდეგ გამოვიდა კარზე ახალუბის ამარა, ვარსკვლავებიანს ღამეში და დადგა ლოცვაზე. ყველას ეძინა იმის ცოლის მეტსა. ამ დროს, გარეთ გამოსულს ლეკები მიეპარნენ, პირი აუხვიეს და მოინდომეს წაყვანა, იცოდნენ, რომ ასეთ ტყვეში დიდ ფულს გამოართმევდნენ პატრონს. იმის ფართხალში იმისი ცოლი გამოვარდა ხანჯლით ფეხშიშველა, ნახა, რომ ქმარს ლეკები ეხვევიან წასაყვანად, დაიკივლა: გვიშველეთ, ლეკებიო! ამასთანავე გაშიშვლებული ხანჯლით მიუვარდა, ორი ლეკი მოკლა და თავისი ქმარი გამოიხსნა. ქალის დაკივლებაზე იმათი სახლობა გამოცვივდნენ სულ ერთიან, მაგრამ მანამდის ლეკებმა თავი მოირჩინეს საითკენ რომელს მხარეზე გაიქცნენ ისინი, ველარა გაიგეს რა"[53].

ვინ იყო ეს გულადი თბილისელი მანდილოსანი ცნობილი არ არის.

●

ერთი ვადმოცემით, შაჰ-აბასმა აიღო თბილისი, დაანგრია, გადაწვა სახლები, ეკლესიები და მსახურალი ხელით სიონის ტაძარსაც მიწვდა, გადახადა გუმბათი და მისგან გააკეთებინა ტახტი, რომ ზედ თვითონ დამჯდარიყო. მტარვალმა ტახტი ტაძრის შუაგულში დაიდგა

და იქიდან დაიწყო ქვეყნის მართვა. ქართველებმა ძალა მოიკრიბეს, სპარსელები დაამარცხეს და საქართველოდან გააძევეს. შაპმა მაინც მოახერხა უთვალავ ქართველ ტყვეთა წაყვანა სპარსეთში. ტყვეთა შორის იყო ბებერი დედაკაცი — მარიამ მიქელაშვილი, რომელსაც ძალზე უჭირდა ეზაში სიარული, მუხლები ეკვეთებოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ მაინც არ ცდილობდა მტარვალისათვის რაიმე ეთხოვნა.

შაჰ-აბასს უფიქრია, ეს ბებერი მაინც რაში გამომადგებაო, ამდგარა და უკან ვამოუშვია. ქალი დაბრუნებულა სამშობლოში, მისულა სიონის ტაძარში და უნახავს, რომ დანგრეული ეკლესიის შუაგულში დიდი ცეცხლი გიზგიზებს. მოხუცი პირქვე დამხობილა და ღმერთს შეევედრებია: იხსენი ჩემი წამებული ქვეყანაო! ცეცხლი ჩამქრალა, ქალი ახლოს მისულა, ნაცარი ხელით გადუქექავს და უნახავს ღვთისმშობლის პატარა ხატი, რომელიც თურმე ამ გიზგიზა ცეცხლში დებულა და არათუ დამწვარა, არაფერი არ დასტყობია, მოხუცი ქალისათვის თითქოს ასე უნიშნებია ღმერთს საქართველოს უკვდავება.

●

საყურადღებოა ნარიყალას ციხის ლეგენდა: ნარიყალას ციხეს წელი არასდროს არ გაჰღუნია. თუმცა თბილისისაკენ მიმავალი მტერი თავისი ბინძური ფეხით სულ მის გულზე გადმოდიოდა. ერთხელ, გაზაფხულის პირზე ამ ციხეს დიდძალი მტერი მოადგა. შიგ მყოფთ მეომრებს სარდლობდა სახელგანთქმული გმირი მანუჩა დიღმელი, რომელსაც ციხის დასაცავად თან ჰყავდა წამოყვანილი თავისი მზეთუნახავი ქალიშვილი, თბილისის გაზაფხულივით მშვენიერი და თვალწარმტაცი. 100 დღე-ღამეს ებრძოდნენ ქართველები თათრებს. თვალებს უძილობა აწუხებდა, მაგრამ გულს არ დასტყობია შიში და მარჯვენას — დაღლა. ბოლოს დამპყრობლებმა ციხეს წყალი შეუწყვიტეს. მეციხოვნეები ცუდ დღეში ჩაცვივდნენ.

ერთ დღეს მტრის ჯარის მეთაურს თვალი დაუდგამს გალავანზე გადმომდგარი ქალისათვის, რომელსაც ხელები ცისკენ აეპყრო და ციხის სიმტკიცეს ღმერთს ავედრებდა. ქალს თურმე გაზაფხული ეხატა რძისა და ღვინისფერ ლოყებზე, თვალებსა და გრძელ გიშრისფერ დალალებში ჩაწნულ ყვავილებზე.

ჯარის უფროსს გულში უკურნებელი სენივით ჩავარდნია ამ ქალის ტრფობა. ბევრი აღარ უფიქრია და ერთ მშვენიერ დღეს ციხეში შეპარულა. მოუხსნია პირი და სულ უთქვამს სპარსელთა ჯარის საიდუმლო.

მანუჩას ცეცხლი წაჰკიდებია გულზე. ამოუღია ხმალი და ამ ყბედისათვის თავი წაუცლია, მერე ციხიდან გადაუგდია და ხმამაღლა დაუ-

ძახია: „მოღალატეს ქალს როგორ მივცემ? ვინც თავისი ქვეყნის მადლი არ იცის, მზის ყურების ღირსი არ არის! ქართველებს გკბულს მოღალატეები!“.

შეშინებული მოძალადეები გაქცეულან[54].

●

მსგავსი გადმოცემა[55], რომელიც აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებას მიეწერება, ასეთია:

რვა დღე გავიდა ქალაქის აოხრებიდან. თბილისი ნახშირის, ნაცრისა და ქვათაყორეს გროვას წარმოადგენდა. მეფის სასახლე, ქოხმახები, ყველაფერი დაწვეს დამპყრობლებმა. საშინელი სანახავი იყო ქალაქის უბნები, ეკლესიები და შენობები. თუ ძვირფასი რამე მოახელეს, წაიღეს. დანარჩენი ცეცხლის ალში გაახვიეს. სიმდიდრით განთქმული ეკლესიების განძი, რომელიც გამოუსადეგარი იყო ურჯულოთათვის, ახლომახლო მოედნებზე გამოეტანათ და ამით სურდათ შეურაცხყოფა მიეყენებინათ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის.

ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. თუ ვინმე გამოჩნდებოდა, უმალვე იმალებოდა, თითქოს მიწამ უყო პირიო.

აღა-მაჰმად-ხანი წასასვლელად ემზადებოდა.

საჭურისმა ქართველთა ჯავრი იყარა, მათი უბედურებით გული მოიფხანა და სიმდიდრით დატვირთული მისი ქარავანი თბილისიდან გასვლის მოლოდინში იყო. წასვლა უხაროდა სპარსელთა ჯარს, ხოლო წუხდნენ უბედური ტყვეები, შიმშილისა და დარდისაგან დატანჯულნი უდრტვინველად მოელოდნენ მწარე ხვედრს, წინ ედოთ ტყვეობა და ათასნაირი შეურაცხყოფა, უკან ტოვებდნენ, ეთხოვებოდნენ ყველაფერს, რაც ძვირფასი იყო მათთვის.

ტყვეებს წყურვილი კლავდათ და დამპყრობლებს გამუდმებით ეხვეწებოდნენ, მოგვეცით მტკვარზე ჩასვლის უფლებაო. დარაჯები ზოგჯერ მოწყალებას იღებდნენ, ნებას აძლევდნენ და თვალყურს ფხიზლად ადევნებდნენ, რომ არსად გაპარულიყვნენ.

მტკვარზე ჩასვლა ერთმა ბებერმა დედაკაცმა ითხოვა. ისიც ტყვე იყო და საერთო მწუხარების მონაწილე; არ იცოდა, თუ რა აზრი ჰქონდა მის სიცოცხლეს. მდინარისაკენ დაეშვა, მოიკლა წყურვილი, შუბლი გაიგრილა და ქვაზე ჩამოჯდა. მერე მიმოავლო თვალი აოხრებულ ქალაქს და ცრემლები წასკდა.

სად გაქრა მხიარულება, სიცოცხლის დუღილი, სად არის სამართალი? მაშ, აწ ვეღარ ვნახავ მტკვრის წყალს? სჯობს ახლავე მოვკვდე ამათი დამკარგავი, — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ სწრაფად გადაიფიქ-

რა და თქვა: არა, აქ სადმე დავიმალები! თუ მიპოვეს მომკლავენ! მერე რა, მომკლან. ასეთი სიკვდილი სჯობს მათ ხელში შეგინებულ სიცოცხლეს. იქნებ დავავიწყდე, ჩემი ბებერი თავი რაში გამოადგებათ?

სწრაფად აიარა პატარა აღმართი და ხევში ჩაეშვა. ბუჩქებს ამოეფარა და მიწას გაეკრა.

დარაჯებს მოხუცი დედაკაცი არც კი გახსენებიათ.

მტერმა ქალაქი დატოვა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

დედაბერი საღამო ხანს ბუჩქებიდან გამოვიდა და მოედანზე გავიდა. მთელი მისი არსება საოცარი სიმამაცისა და გულადობის გრძნობამ შეიპყრო. ხელი დაავლო ჯოხს და ჩქარი ნაბიჯით წავიდა სეიდაბადის ბაღებისაკენ.

ცხენებით გადათელილ ბაღებში წააწყდა მწვანილს და შიმშილი მოიკლა. შემდეგ სიონისაკენ გაემართა, მთელი გზა სავსე იყო ადამიანთა გვამებით, მომეტებულად ბავშვების ცხედრებით, რომელთა შორის ძუძუმწოვარაც ბევრი ერია. ქართველთა გვამებს შორის სპარსელთა ცხედრებსაც დაინახავდით, მაგრამ თვით სიკვდილსაც კი ვერ შეერიგებინა ისინი ქართველებთან. საშინელი სანახავი იყო მათი სახეები.

დედაბერი ისევ სიონისაკენ მიიჩქაროდა, ეს წმიდათაწმიდა ტაძარი მტერს შეებღალა. მოხუცმა ქალმა შიშველი კედლებიღა იხილა. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ იქაურობას ცეცხლმოკიდებული საეკლესიო ნივთების სუნი ასდიოდა. დედაბერმა ჯერ ტაძარს შემოუარა, მერე ეზოს, ჯოხით ქექვა დაუწყო ცეცხლს, ამოქექა რაღაც ქაღალდები, ვინ იცის, იქნებ მეფეთა სიგელ-გუჯრები... აქვე დაფერფლილ ნივთებში გამოჩნდა ლურჯფერდაკრული ღვთისმშობლის დაღონებული სახე. უდიდესი მწუხარება გადაფენოდა სახეზე, თითქოს მწარედ დასტიროდა თავის ხვედრს, თავის აოხრებულ საქართველოს.

სიხარულით მივარდა მოხუცი სურათს და მის წინ გულდამშვიდებული დაემხო.

## ახმეტელი გოგონა

მტრების ერთ-ერთი შემოსევის დროს ბრძოლაში ჩვენთვის უცნობ ახმეტელ გოგონას დაუვიწყარი თავდადება გამოუჩენია, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უბრძოლია დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ერთი თქვულების[56] მიხედვით, პატარა კახს გასძნელებია მტრის ბიერ გამაგრებული კვეტერის ციხის აღება. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მეფეს უბრძანებია ახლომახლო სოფლებიდან ქუდზე კაცის გამოყვანა. კარდაკარ მავალი ერეკლეს მხედრები ერთ ოჯახშიც მისულან. იმ ოჯახის დავრდომილ მამას შვილი ასული ყოლია.

ერეკლეს მხედრებს უმამაკაცო ოჯახიდან გამობრუნება დაუპირებიათ, მაგრამ შვიდ დაში ერთს, უფროსის მომდევნოს განუცხადებია ბრძოლაში მონაწილეობის სურვილი და ჰხლებია მეფეს. ერეკლეს უარი უთქვამს მანდილოსნის მხედრად მიღებაზე; მაგრამ ამ უკანასკნელს პატარა კახისათვის მტკიცედ და გაბედულად მოუხსენებია: მანდილოსანი მაშინ მიწოდეთ, როცა მტერს ზურგი ვაჩვენოო.

მეფეს არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს პატარა კახის მხედრობა ციხე-სიმაგრეს გარს შემორტყმია და განუზრახავს მისი იერიშით აღება. ბრძოლის წინ აბჯარასხმულ ქალს ჯარისათვის მიუმართავს:

— ძმებო, ეს ბრძოლა გამოაჩენს ჩვენს შორის მამაცსა და ლაჩარს. ვინც გულდაგულ მივა მტერზე, მას ტყვია მკერდში ექნება მოხვედრილი და სწორედ მასვე ეთქმის კაცური კაცობა, ხოლო ტყვია ვის ზურგსაც მიაგნებს, ის ვაჟკაცი კი არა, მხდალი იქნება და მანდილიც უნდა ეხუროს.

ბრძოლაში გამარჯვებულმა ქართველებმა დახოცილთა შორის იპოვეს ის გოგონაც: ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი. ჩვენთვის უცნობია მისი ვინაობა, მაგრამ მარადიული სიცოცხლის ძეგლი მას თვით ხალხმა აუგო.

## ბოდბელი დედაკაცი

ერთი ისტორიული ამბავი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ბოდბელი დედაკაცის სახეს. მან სამაგალითო გმირობა გამოიჩინა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1772 წელს ხუნძახის ვამვებელი ნურსალ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით ქიზიყში სოფელ ბოდბეს დაეცა თავს, შოსახლეობა აიკლო: ზოგი დახოცა და ზოგი დაატყვევა. ერთ ლეკს დაუჭერია ბოდბელი დედაკაცი და მისი დამორჩილება უცდია, მაგრამ ქალს პატიოსნების ბოლომდე დაცვის გამო მოძალადე ლეკისათვის ხანჯალი წაურთმევია და მოუკლავს. შემდეგ სისხლიანი ხანჯლით შემოუელია ბოდბის ახლომახლო მდებარე სოფლები და ხალხისათვის ლეკთა თარეში უცნობებია. ქიზიყის მოურავს, თავად ზაალ ანდრონიკაშვილს საჩქაროდ შეუკრებია რჩეული ვაჟკაცები და მტერს დასდევნებია, წაურთმევია ნადაელი, ტყვეები და მოთარეშენი მშობლიური მიწა-წყლიდან გამოურეკავს.

მემატიანეს თქმით, „შეყარა ნურსალ-ბეგმან მხედრობა დიდი ლეკია და შთავიდა შაქი-შირვანსა კერძო მუნით უეცრად წამოვიდა და დაესხა ბოდბეს და იავარჰყო რამდენიმე უბანი. მაშინ მხნედ იყვნენ ბალაანი. ამოვიდა სიღნაღით მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი მაღაროს, სადაცა შემოკრბნენ ქისიყნი, ჰსძლეს და მოსწყვიტეს უმეტეს ათასისა. და მუნ ლეკმა ერთმან ჰყო ტყვედ დიაცი ერთი, სწადდა რა დამდაბლება

მისი, წააძრო ხანჯალი და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განერა დიაცი იგი და წარვიდა ნურსალ სირხცვილეული"[57].

ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ ან რა გვარის იყო ეს სახელოვანი ქალი.

## მარიამ ბუკისციხელი

გურიაში ჩაწერილი[58] გადმოცემის თანახმად, მარიამი გვარად სიხარულიძე ყოფილა, მისი ქმარი მსახურობდა ბატონის კარზე მზარეულად, რომელსაც მისთვის უთხოვნია, ახალწელს ცოლ-შვილთან ერთად შეეხვდებიო, მაგრამ უარი მიუღია. ყმა ოჯახში უნებართვოდ წასულა, ბატონმა გაპარული მდევრებს დააჭერინა და დასაჯა. ასეთი სასჯელი გურულმა ვერ მოითმინა და ბატონს ნაჯახით გაუპო თავი. გლეხი იქვე აკუწეს.

ხალხური სიტყვიერება ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს:

ციხელი ქერაეი მარიამ
მრავალტანჯული ქალია,
ბატონის უსამართლობას
ემსხეერპლა მისი ქმარია.

ჩაწერილი მასალის მიხედვით, მარიამს 9 ქალი ჰყოლია — ციცინო, ეფრო, მაკო, მაია, კოჭიბროლა, ნინო, თეკლე, გულთამზე და ხალიანა, რომლებიც „მზე-მთვარის დასადარი ყოფილან". ერთი მათგანი ახალ ბატონს წაუყვანია მოახლედ, რაც მარიამის განადგურებული ოჯახისათვის დიდი დანაკლისი იყო.

ისედაც შევიწროებული და დარბლებული ოჯახის შენახვა ქვრივ ქალს — ცხრა ობლის დედას დააწვა კისერზე.

გურული ფოლკლორი მარიამის ქალების დახასიათებისა და სახელთა შესახებ ასე გადმოგვცემს:

ლერწმის ტანაა ციცინო,
მაყვალს მიუგავს თვალია;
ეფრო, მაკო და მაია
საამო სანახავია;
კოჭზე სცემს კოჭიბროლასა
ჩაწნული გიშრის თმანია.
ნინო, თეკლე და გულთამზე
შუქმფინარობენ ეითა მზე,
მეცხრესა, ხალიანასა
ხალი უბრწყინავს ნიკაპზე[59].

მარიამის ქალთა სილამაზის ამბები შორს გავარდნილა და შორეულ თურქეთშიც ჩაუღწევია... ადამიანებით მოვაჭრე თათრებს გადაუწყვეტიათ შესაფერი დრო ეხელთათ და ბუკისციხელი გოგონები გაეტაცათ.

ხალხურ ლექსში ნათქვამია:

შორს გაისმა ქვეყანაზე
ქება ქერიეის ქალწულების,
ცხრა მთას გასცდა, ცხრას ზღვას გასცდა,
აიშალნენ აუსულები.

ქართველ ქალთა ქება-დიდებით ვნებააშლილმა თათრის ბეგმაც „გურჯის ქალთა“ ხელში ჩაგდების მიზნით, თურქეთში ცნობილ ქურდ-ბაცაცა ალი-აღას დაავალა მარიამის ქალების მოტაცება.

ბეგის დავალებით რამდენიმე კაცით ალი-აღა თურქთა რაზმით ღამით შეპარულა სოფელ ბუკისციხეში. სოფელში დიდი აურზაური ამტყდარა. მარიამს ვერ მოუსწრია შვილების გახიზვნა, ფაცხის სხვენზე დაუმალავს და მაღლა ხმალი და დიდი ქვაბით მდუღარე წყალი აუტანია.

მძარცველებმა მარიამის სახლ-კარი და ეზო-მიდამო დაზვერეს, სახლთან მივიდნენ, მაგრამ

ძაღლის მწარე შეკივლებამ
ქერიესა ამცნო განსაცდელი.
სხვენზე გაჩნდა ქალწულებით
და აზიდა ქვაბი ცხელი[60].

თათრებმა ფაცხის კარი შეამტვრიეს, მიმქრალი ცეცხლი გააჩაღეს, სახლი გაანათეს და ქალწულებს დაუწყეს ძებნა, მაგრამ სახლში ვერავინ ნახეს:

მიმოაელეს ირგელივ თვალი,
მაგრამ მტრები დარჩნენ სახტად,
არვინ ჩანდა ხორციელი
უკაცური იყო ფაცხა.

ერთ-ერთ მომხვდურს სხვენზე მარიამის უმცროსი ქალი შეუნიშნავს და კაბის ბოლოში ხელი წაუელია, მაგრამ მარიამის მიერ მოქნეულმა ხმალმა დამპყრობელს ხელი მოკვეთა, ამიტომ მძარცველებმა ამხანაგის გასაჭირი რომ დაინახეს, საშველად მისცვივდნენ:

მოიყარეს მტრებმა თავი,
დაეჭარნენ კაბას ერთად.
მარიამმაც ქვაბი დასძრა
ჩეთ-თათრების გასაჟლეტად.

გასაჭირში ჩავარდნილი მძარცველების ყვირილი სოფელს გაუგია, შეიარაღებული მეზობლები მოცვენილან და დამპყრობლები დაუხოცავთ.

დამდუღრულნი, თვალდმწყარნი,
გამოიჭრნენ მტრები გარეთ
და ციხელთა თოფის ხმაზე
ალაპს სული მიაბარეს.

ამ სახელოვანი გამარჯვებული ქალის მარიამის შესახებ გურიაში დღესაც ასე მღერიან:

ციხელი ქერიეი მარიამ,
სახელდებული ქალია,
სხვენიდან თავზე მიუშვა
თათრებს მდულარე წყალია.
რჯულზე დამდულრა წყეულნი
ოსმან-აღა და ალია.

ქერიე მარიამს სხვა საგმირო საქმეებიც ჩაუდენია. ხალხს მისთვის სახელად ტახი შეურქმევია, მის შთამომავლობისთვის ტახუნჯები.

## ქრისტინე მჭადიჯერელი

მჭადიჯვრის ბრძოლის მონაწილე „ბებერი ქრისტინე", რომელიც ცხოვრობდა XVIII საუკუნეში, დაბადებულა და აღზრდილა სოფელ მჭადიჯვარში (ლუშეთის რაიონი), გათხოვილა ამავე სოფელში. ქმარი და შვილები ომში დაღუპვია.

1755 წელს, ხუნძახის გამგებელმა ნურსალ-ბეგმა (მუცალმა) მრავალრიცხოვანი ლაშქრით ქართლ-კახეთის განადგურება მოინდომა: გაერთიანა ლეკთა დაქსაქსული ბრბოები, გადაიბირა ჭარის, კაკის, შირვანის, შაქისა და განჯის ხანები და დიდძალი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. მისი განზრახვა იყო აღლო გორის ციხე და დაეპყრო ქართლი. ამის შემდეგ ადვილი იქნებოდა კახეთის დამორჩილებაც.

პატარა კახმა სასწრაფოდ შეკრიბა კახეთის მებრძოლები, საბრძოლველად განაწყო და ლეკთა ბრბოს უკან დაედევნა.

მტერმა მალე აიღო ალაზნის მხარე და ქართლისაკენ წამოვიდა, გადმოვიდა არაგვზე, დაარბია სოფლები, დუშეთი და გორის ციხის ასაღებად წამოსულები სოფელ მჭადიჯვრის ციხეს მიადგნენ. დაღესტნელთა ლაშქარი ციხის მახლობლად დაბანაკდა.

მტრის შემოსევა ისტორიკოს პ. ორბელიანს ასე აქვს მოთხრობილი: „ჩამოხდა თითონ ხუნძახის ბატონი ციხის ბოლოს, ჭალაში, გააკეთებინა სანგარი მაგარი, დაადგმევინა კარავი, დადგა შინ და აბრძოლა ციხეს ჯარი. იყო დღე და ღამ ბრძოლა და ომი განუწყვეტელი. არ ავად იყვნენ მყოფნი ციხოსანი. ერთ ავალი ლეკი მოკლეს დიდათაც გულმამაცად იყვნენ ციხის კაცნი"[61].

ავარიის მრისხანე ბატონმა ციხის გარემოცვა და აღება ბრძანა, მაგრამ ციხეში მყოფმა ქართველმა მებრძოლებმა მაღალი გალავნის ქონგურებიდან ტყვიით გაანადგურეს მტრის ლაშქარი.

მტერი შედგა, მოიერიშეებმა გათხარეს სანგრები, ააგეს კარვები და ბრძოლა დროებით შეაჩერეს.

ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზი და ერეკლე ლაშქრით მჭადიჯვრისაკენ გაეშურნენ. მჭადიჯვრელმა მებრძოლებმა იცოდნენ, რომ სახელოვანი სარდალი — პატარა კახი მოშველებას არ დააყოვნებდა; როგორც კი გაიგეს, რომ მეფეები დასახმარებლად გამოემართნენ, უფრო გამხნევდნენ. ისინი ხშირი თავდასხმით მოსვენებას არ აძლევდნენ საფრებში ჩამალულ ლეკებს. მეციხოვნეთა შორის იბრძოდა ვმირი მანდილოსანი ქრისტინე[62] ცქირიაშვილი[63], რომელიც მჭადიჯვრელ მებრძოლთ პირადი მაგალითით ამხნევებდა.

როგორც გ. ლეონიძე[64] აღნიშნავს, ქრისტინე ახალგაზრდობაში განთქმული ცხენოსანი და მარჯვე მსროლელი ყოფილა. იმხანად დროს საკმაოდ დაეძაბუნებინა, მაგრამ თვალად და ტანად ისეთი ომახიანი ყოფილა, რომ ხალხის საერთო პატივისცემას იმსახურებდა, შუბით დადიოდა, მხნეობდა ბოსტანში; ხან ჯარას უჯდა, ხან შინაურ წამლებს ამზადებდა. მარტო იყო, არავინ პყავდა, ქმარ-შვილი ჰამულისათვის ბრძოლაში დაეხოცოდა, მაგრამ მთელ სოფელზე გული შესტკიოდა.

მტერს ციხეში მყოფნი მეტად შეუვიწროებია. ქრისტინე დედაბერს მიუმართავს ხალხისათვის:

— ჩემი სიცოცხლე მუდამ სოფელს ეკუთვნოდა და ახლაც თქვენთვის მინდა თავი გაეწირო, ვეცდები მტერი ისე დავაზარალო, რომ ციხე ეელარ აიღოს. მხოლოდ პირობად უნდა დამიდოთ: როგორც უშვილძირო, არ დამივიწყოთ, ქელეხი და მოხსენიება მთელმა სოფელმა გადამიხადოს.

ხალხს მიუცია ამის პირობა. მტერზე შურისძიებით აღვსილი ქალი სიმაგრიდან გამოსულა, გადმომდგარა ციხის ბურჯზე და მტრის ერთი ბელადი მიზანში ამოუღია.

მტერს ბებრისათვის ყიჟინა და სიცილი დაუყრია, მაგრამ მაჟარის გასროლას ლეკთა ბელადი უსულოდ დაუცია. ასეთი მოულოდნელობით მტერი გაბრაზებულა და წამოსულა დედაკაცის ცოცხლად ხელში ჩასაგდებად, მაგრამ მას თოფი დაუმიზნებია და მეორე ბელადიც პირველისათვის მიუყოლებია. მაშინ გამოქანებულა ხმალამოწვდილ ცხენოსანთა გროვა, გმირი ქალის გამჭრიახ თვალს არც მესამე წინამძღვრისათვის აუცდენია და ტყვია შუა ძვალში მოურტყამს.

დედაბრის გმირული მოქმედებით გამხნევებულ მეციხოვნეებს მტრისათვის სასტიკად შეუტევიათ ღა საკმაო მანძილით უკან დაუხევინებიათ.

ქრისტინეს მოთარეშე მტრების დახოცვა არ უკმარებია, შუაღამისას ფარულად ჩასულა მათ ბანაკში და ზედიზედ სამი საფარი დაუწვავს.

მემატიანე წერს:

„მოვიდა ნურსალ-ბეგ ავარელი ფრიადითა მხედრობითა და მოადგა მჭადიჯვარს, გარნა ერთმა მოხუცმან დედათაგანმან დაუწვა მათ შეიდი საფარი მიტანილი ციხისა ზედა და მოკლეს იგიცა ლეკთა მერვესა საფარსა ზედა“, ქართველმა მხედრობამ გაიმარჯვა. ხოლო მტერი „სირცხვილეული უკუიქცა სახლადვე თავისად“[65].

ამ მამაცი ქალის გმირულ ამბებს ალყაშემორტყმულ მეციხოვნეთა სულიერი განწყობილება აუმაღლებია. ამასობაში თეიმურაზი და ერეკლე მოსულან ჯარით და ქართველ მებრძოლებს შეერთებული ძალით მტრისათვის მედგარი დარტყმა მიუყენებია: ზოგი დაუხოცავთ და დაუტყვევებიათ, უმეტესობა კი კლდეზე გადავარდნილა და დაღუპულა.

ხუნძახის ბატონისათვის მოუკლავთ ბიძა და ბიძაშვილი. ბრძოლის ველზე მტერს დარჩენია კარვები, ცხენები, იარაღი და მთელი მიტაცებული ნადავლი. დამარცხებული მუცალის ამალისათვის კახელებს გზა გადაუჭრიათ და გაუნადგურებიათ.

ქართველ ხალხს ქრისტინე ცქირიაშვილის სახელი და დიდება კრძალვით აღუნიშნავს და სამუდამოდ უკვდავუყვია. ერთი ხალხური ლექსი მის გმირობაზე ლაპარაკობს თვით ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი:

ხუნძახმა სთქვა: სარდალი ვარ, თუ რო ჩემი გაიგება,
შვიდი დღე და შვიდი ღამე, დაჯდა წყერი შაიღება,
თუ გორის ციხე აეიღეთ ქართლი ჩვენი შაიქნება!
მჭადიჯვარს რომ მივატანეთ, საქმე მაშინ გაჭირდება...
იქ რო ბებერმა საქმე პქნა, ის არ უქნია სხვასაო,
ორი ბელადი მოგვიკლა მთელ შაყრილ დღესტანსაო,
მესამე რომ გამოვიდა, დახე იმ ჭკუამცდარსაო,
ესროლა თავის ფაერი, მოარტყა შუა ძვალსაო,
იმისი ჭამა ქელეხი, მჭადიჯვარს ედო თავსაო,
ღმერთო აცხონე ბებერი, წავიდა თავის გზასაო.

1755 წლის ომში მჭადიჯვართან ბევრმა ქართველმა ვაჟკაცმა ისახელა თავი. არა ერთი და ორი მათგანის სახელი მოიხსენია ჩვენმა მემატიანემ. მაგრამ ხალხმა ყველაზე მაღლა დააყენა გმირი დედა და ქალი ქრისტინე მჭადიჯვრელი. „ღღესაც ქებას მოუთხრობენ მესტვირენი“,— ამბობს ბაგრატ ბატონიშვილი. სამშობლოსათვის ჭეშმარიტად თავგანწირული გლეხის ქალი ქრისტინე ცქირიაშვილი მადლიერმა თანამემამულეებმა გმირთა სიაში შეიტანეს, ხოლო უსახელო მესტვირეებმა, მასზე ლექსები და სიმღერები გამოთქვეს.

## მაია წყნეთელი

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირ ქალთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გლეხთა წრიდან გამოსული, მათე ყაჩაღად წოდებული გმირი მაია წყნეთელი (ოძელაშვილი)[67]. მის შესახებ საისტო-

რიო წყაროებში არაფერია ნახსენები, სამაგიეროდ, საყურადღებო ცნობები შემოუნახავს ხალხურ სიტყვიერებას, საიდანაც ვეცნობით მის განაწამებ ცხოვრებას, ბრძოლას შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ.

მაია წყნეთელი გამოქცევია ბატონის უსამართლობას და ტყისათვის შეუფარებია თავი. ყაჩაღად გავარდნილი ქალი თავს ესხმოდა გზად მიმავალ ბატონებს, იარაღს ჰყრიდა და ხოცავდა. მაიას თავი უსახელებია საქართველოში შემოჭრილ ურდოებთან გამუდმებულ ბრძოლაში, სადაც გამოუჩენია განსაცვიფრებელი მხნეობა, მტკიცე ნებისყოფა და დიდი პატრიოტობა.

მაია დაბადებულა წყნეთში, XVIII საუკუნის 40-იან წლებში. მამამისი საბატონო გლეხი ყოფილა, დედა — მცხეთელი.

მომაჯადოებელი სილამაზის მაია მოახლედ ჰყოლია ბატონს, რომელსაც მისთვის ძალად ნამუსი აუხდია. ქალიშვილის უბედურება მშობლებს გაუგიათ. მამის სულიერი ტანჯვა იქამდე მისულა, რომ ტყეში თავი ჩამოუხრჩვია, დედა შიმშილისაგან მომკვდარა.

ხალხს ეს ამბავი ასე აქვს აღწერილი:

ადრე მოუკვდა მას დედა,
სოფელ მცხეთაში გაზრდილი;
მამამაც თავი მოიკლა,
ვერ აიტანა ქადილი;
უპატრონოთა გდებული
კამენიც მოკვდა ბეხია,
ვდია ყვავ-ყორნის საჭმელად
გაუშვერია ფესია[68].

უპატრონოდ დარჩენილი მაია საგონებელში ჩავარდა, მწარედ დასტიროდა თავის უმანკოებისა და მშობლების დაკარგვას. ასეთი უნუგეშო მდგომარეობის მიუხედავად სასოწარკვეთილებამდე არ მისულა; გასცლია ბოროტ ბატონს, მალულად ჩასულა წყნეთში, ჩაუცვამს მამის ტანსაცმელი, შემოურტყამს ხმალ-ხანჯალი, აუღია თოფი და ისე ბლებია თბილისში მეფე ერეკლეს. მაიას თავის ვინაობა დაუმალავს.

შავთვალა ტანით პრეე ვოგომ
ჩაიცვა ვაჟკაცურადა,
თოფ-იარაღი აისხა,
იქცევა მამაცურადა.
პატარა კახსა ეახლა,
რა კარგი სანახაია!
ხირამი შეატრიალა,
დაბლა ლაუკრა თავია.

ახალგაზრდით მოხიბლულ პატარა კახს უკითხავს უცნობისათვის:

— ეინა ხარ, ძმაო, საიდან
რომელი გვარის კაცია? —
ეკითხა ბატონმა, რა იცის,
რომ ქალს კაცურად აცვია.
— მათე ვარ, შენი ჭირიმე!
მოვდიავარ შორის შორადა,
ჯავრი მჭირს აკაცობისა
ცეცხლი მწვავს ერთი-ორადა.
მინდა, რომ გეყმო ერთგულად,
წელზე ეატარო სმალია,
შენის ბრძანებით ლეიცვი
ქვრივ-ოხერ, ობოლ-ქალიან.

ახალგაზრდის სიტყვებს პატარა კახი აღტაცებაში მოუყვანია და ივი მაშინვე ჩაურიცხავს თავის რჩეულ რაზმში.

შეფესა მოეწონების
სიტყვა-პასუხი მათესი,
თავის მახლობლად დანიშნა
ვმირი — სიკეთის დამთესი.

არ გასულა დიდ ხანი, რომ კახეთს თავს ლეკები დასცემიან. ერეკლე მეორეს საჩქაროდ შეუყრია რჩეული ვაჟკაცები. მაიაც გაჰყოლია. ბრძოლაში ყველა კარგად გარჯილა, მაგრამ მაიასებური ვაჟკაცობა ვერავის გამოუჩენია. იგი ამ დროს 20 წლის ყოფილა. პატარა კახი განცვიფრებულა ახალგაზრდა მებრძოლის მამაცობით, სიმარდით და მაიასათვის უთქვამს:

— შენ კი გენაცვალე, ჩემო შათე. კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია!

ამ გმირ ქალს განსაკუთრებით უსახელებია თავი თურქებთან ბრძოლაში, სოღანლუღის ახლოს. მდგომარეობა რომ გამწვავებულა, მაია ჰიპყოლია პატარა კახის მაგალითს, ხმალამოღებული დასხმია მტერს და ძლიერი დაკვრით თურქთა ბელადისათვის თავი წაუჭრია. უსარდლოდ დარჩენილი მტერი სასტიკად დამარცხებულა. მათეს ერეკლე მეორისაგან დიდი მადლობა მიუღია.

მაიას გმირობით სახელოვანი სარდალი ერეკლე II აღტაცებაში მოსულა და მისთვის ჯარის წინაშე უთქვამს:

— შენ თავდავიწყებით იბრძოდი მტრის წინააღმდეგ, შეასრულე სამშობლოს წინაშე ვალი, ამიტომ შენთვის ნება მომიცია მიწოდო მამა და არა მეფე, რადგან ყოველი შენგვარი კაცი მეფეა თავისი თავისა და თავისი სამშობლო ქვეყნისა. შენ ისე სინდისიერად და ერთგულად ასრულებ მამულის მსახურის მოვალეობას, რომ მაგაზე მეტი აღარ შეიძლება კაცმა მოგთხოვოს.

ქართული ხალხური სიტყვიერება მაიას მარტო გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლას არ გვიჩვენებს. მას იერიში მიუტანია შინაურ მტრებზე, გამოუაშკარავებია ბევრი ბატონის უსამართლობა და უზნეობა.

ხალხური სიტყვიერების მოამაგე ა. გარსევანიშვილი აღნიშნავს: რამდენიმე მებატონეს სპარსელებისათვის მიუყიდია 14 გოგო-ბიჭი. ამ საშინელი ამბის შესატყობინებლად წყნეთიდან მეფესთან წამოსულა კაცი. მეფის კარზე სოფლელთა მიერ წარმოგზავნილს შეხვედრია მაია, რომელსაც წყნეთელმა დაწერილებით უამბო უზნეო ბატონების უმსგავსო მოქმედების შესახებ. ამ ამბით აღშფოთებულ მაიას სასწრაფოდ შეუგროვებია ამხანაგები და დასდევნებიან მძარცველებს, წაურთმევიათ ტყვეები, ყიზილბაშები დაუხოცავთ და გამარჯვებული დაბრუნებულას თბილისში, მეფის სასახლეში.

მაია წარმდგარა ერეკლე მეფის წინაშე და უთქვამს.

— ბატონო მეფევ! ნება მიბოძეთ რამდენიმე საჩივრით მოგმართოთ.

ერეკლე მეფეს ნება მიუცია და მასაც ეთუხსენებია:

— ნეტავ, როდის დადგება ის ნეტარი დღე, როცა გლეხობას შეაშრებათ თვალზე ცრემლი?

— შვილო, რაზე ამბობ მაგას? — უთქვამს პატარა კახს.

— რაღა რაზე, შენი ჭირიმე! ზოგიერთი მებატონის წყალობით კლეხობა განადგურდა. ბედკრულ გლეხთა ჭირ-ვარამს საზღვარი არა აქვს. ბოროტმა პირებმა დააცარიელეს სოფლები მცხოვრებთაგან, მთელი სოფლის ხალხი დაჰყიდეს სხვადასხვა ქვეყანაში. ვინც გაღარჩა, იმას სული ამოართვეს განუწყვეტელი მუშაობით. ამას წინათ ერთი დედაკაცი შეებათ კალოში და უპედურს უღელქვეშ სული დაელია[70]. საშწუხაროა, დიდებულო მეფევ, ასეთი ამბები.

— შენგან ეს მესმის სიტყვით, საქმით კი ვერასა ეხეოვ. როგორ დავსაჯო ისინი, თუ ჩემი თვალით ამას არ ვნახავ?—მიუვია ერეკლე მეფეს მაიასათვის.

— მეფევ ბატონო! — უთქვამს ცრემლმორეულ მაიას. —პირველი მე გახლავარ ამ ავკაცობის მსხვერპლი. მე, თქვენი მორჩილი მათე, ობოლი და ბედისაგან დაჩაგრული, პატიოსანი, მშრომელი გლეხის შვილი; მეორე შემაძრწუნებელი მაგალითიც გუშინ მოხდა: თქვენ ეკუთვნოდათ სოფელ წყნეთიდან ერთი მოხუცი გლეხი. მას თქვენი ნახვა უნდოდა, რომ საჩივარი მოეხსენებია — იმ ბატონებზე. რომელთაც სპარსელებისათვის თორმეტი გოგო-ბიჭი მიეყიდათ. წყნეთელების დაკალებით მოხუცმა ეს ამბავი მე გადმომცა, რადგან თქვენამდე არ მოეუშვი, არ მინდოდა თქვენი შეწუხება, რამდენიმე რჩეული კაცით დავეწიე ყიზილბაშებს სოფელ ლილოს ბოლოზე და წავართვი საბრალო ბავშვები, რომლებსაც ახლაეე წარმოგიდგენთ. აი, ესეც თქვენი ჭირიმე, დამტკიცება[71].

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720—1798) სასტიკად განაწყენებულა, მეორე დღესვე სასახლეში მოუწვევია მღვდელმთავრები, დაუწყევლიათ და შეუჩვენებიათ ავკაცების ბოროტება და საქციელი.

ცნობილია ისიც, რომ მეფის ასეთმა მოქმედებამ არსებული მდგომარეობა ვერ შეცვალა და უზნეო ბატონების აღვირახსნილობა ვერ აღკვეთა. ისინი ჩუმად მაინც ჩადიოდნენ ამ არაადამიანურ ბოროტებას, მაია ყოველ ღონეს ხმარობდა მის აღმოსაფხვრელად.

ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მაია თავადაზნაურობას აუთვალწუნებია და გადაუწყვეტია, როგორმე მოეკლათ ან მოეშორებინათ მეფის სასახლიდან. ისარგებლეს შემთხვევით და გზად მიმავალ მაიას მოსაკლავად დაედევნენ, მაგრამ მკვირცხლ ქალთან ვერაფერს გახდნენ. პირიქით, უშიშარ და მობერხებულ მაიას ერთის გარდა ყველა დაუხოცავს, ხოლო გადარჩენილისათვის უთქვამს:

— შე ოხერო და შეჩვენებულო! ნეტავ ვიცოდე, ჩემი სიკვდილით რას მოიგებდით?

გაიძვერა მებატონეს მაიასათვის უპასუხნია:

— ჩვენ კი არა, თვით შენს საყვარელ მეფეს სურს შენი სიკვდილი.

ცბიერი და გაიძვერა ბატონის სიტყვებს მაია ჩაუფიქრებია, დაუჯერებია ნათქვამი, ეჭვი მიუტანია ერეკლე მეფეზე და სასახლეში დაბრუნება ვერ გაუბედავს, მოშორებია თბილისს, ჩასულა თრიალეთში და ტყეში შეუფარებია თავი. ამ ადგილს, სადაც იგი მტერს ემალებოდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაარქვეს მაიას საბუდარი.

ქართველ ხალხს ეს ამბავი ასე აქვს აღწერილი:

უზნეო პირთა ენამა
არ მოასვენა მაია
და მოაშორეს მეფესა
ულაზაკთ მოსარჩლე მაია.
მათე-მაია დევნილმა
ტყისკენ გასწია მალულად
და ყარაღობა დაიწყო
ხან ცხადლივ, ხან კი მალულად...[72]

შინაურ მტრებს გაუგიათ მაიას ადგილსამყოფელი და კვლავ მისი მოკვლა განუზრახავთ. ამიტომ მაიას თავი მიუნებებია ფარული ცხოვრებისათვის. გამოსულა ტყიდან, დასახლებულა სომხითის[73] ერთ მივარდნილ სოფელში და დღიური შრომით დაუწყია ცხოვრება. ამ დროს მაია უკვე ხანში შედიოდა.

ერთხელ ამ სოფელს ერეკლე მეფე სწვევია. როცა სოფლელები პატარა კახს შიაცილებდნენ, მათ რიცხვში იარაღასხმული მაია წყნეთელიც ყოფილა... ამ დროს მტერი თავს დასხმიათ. მაშინ გმირმა ქალმა კიდევ გამოიჩინა თავი. ჯერ გაისროლა თოფი, რომელიც მუდამ გა-

ტენილი ჰქონდა, შემდეგ ხმალდახმალ მიეჭრა მომხდურებს. ამ გაბედულებით წაქეზებულნი სხვებიც მიეშველნენ, მტრის გუნდი გაიანტეს და ბევრიც დახოცეს.

პატარა კახს მიუხმია მისი მხსნელი და უკითხავს:

— ძმობილო, ვინა ხარ, შენ, ეგეთი განსაცვიფრებელი მებრძოლი?

— მე გახლავარ მეფისაგან დევნილი მათე, დიდებულო მეფევ! მოსაკლავად დამდევდი და აი, ახლა თქვენს ხელთა ვარ. გნებავთ მომკალით, გნებავთ სიცოცხლე მაჩუქეთ. დიდი ხანია მქონდა სურვილი მენახეთ პირისპირ. ვეძებდი შემთხვევას და, აჰა, შევხვდით ერთმანეთს. ამასთანავე მინდა მოგახსენოთ, რომ დედაკაცი ვარ და არა მამაკაცი. ჩემი სახელი მაიაა, გლეხის შვილი ვარ, სოფელ წყნეთიდან, ზნედაცემული ბატონისაგან გაუბედურებული.

იქ მყოფთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველა მოწიწებით უსმენდა ამ ღირსშესანიშნავ მანდილოსანს.

განცვიფრებული და აღფრთოვანებული ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე გადაეხვია გმირ ქალს და უთხრა:

— აი, თურმე რა შეუძლია ბოროტ ენას. დღეის შემდეგ ნუ მომცილდები, ჩემო საყვარელო მაია, იყავ ჩემთან[74].

ამ ამბის შემდეგ, როგორც ეს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაშია ცნობილი, მაია წყნეთელს დიდხანს აღარ უცოცხლია.

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა იყო მაჰმადიანთა უკანასკნელი თარეში საქართველოში. ამ მეტად გაქნილმა დიპლომატმა და სისხლის მსმელმა ყიზილბაშმა 1795 წლის 12 სექტემბერს ჩვენი დედაქალაქი საშინლად ააოხრა და ნაცარტუტად აქცია. ამ ბრძოლაში მაია წყნეთელს ერთხელ კიდევ უსახელებია იარაღი. მაშინ უკვე ქალური ტანსაცმელი სცმია. ჯამარჯვებით გატაცებული, უკვე მაია მოულოდნელად მოწინავე მტრის ჯარის ნაწილებში აღმოჩენილა და მოწინააღმდეგეს შეუპყრია. ტყვეობას ძალზე შეუშფოთებია, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია. გზაზე თურმე სულ იმის ფიქრში ყოფილა, როგორმე ტყვეობიდან თავი დაეღწია. ეს ოცნება მოხერხებულ მაიას მალე სისრულეში მოუყვანია.

ხალხი ასე აგვიწერს მაიას ტყვეობას და გამოქცევას:

დაკოდილი ყაენის დროს
ამბავი ესე მომხდარა:
სპარსი დაეცა ქართველსა,
დაპკრა ბუკი და ნაღარა.
ქალაქ ერევნის ახლოსა
მაია დაატყვევესა,
არ დაუფასეს ემირობა
სპარსეთში ვააგზავნესა.
გულით მაგარი დიაცი

არ შეუშინდა განსაცდელს,
ჯაზაში დაბოლა მცველები
და მიაღწია საწადელს...
გახარებული გამორბის,
ესწრაფვის შშობელ მხარესა,
უნდა რომ მალე ეწვიოს
ძის აღმზრდელ არე-მარესა[75].

ხალხისათვის თავდადებულ მაიას საშშობლომდე ვერ მიუღწევია, ერევნის ახლოს სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ლექსში გადმოცემულია გმირი ქალის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები:

ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლერაქ-მანდილი.

ქართველი ხალხი ასე აღწერს ამ გმირი ქალის გარდაცვალებას:

მაგრამ უმუხთლა საბრალოს
ტიალმა წუთისოფელმა,
ვერ მიაღწია სახლამდე
უბედურებამ მნასველმა...

ხალხმა არ დაივიწყა ღირსეული შვილის ამაგი და პატარა, მაგრამ ღრმაშინაარსიანი ლექსით შეამკო იგი:

შენი ჯირიმე მაია,
გლეხთა ნუგეშის მცემელო,
მათე-ყაჩაღად ცნობილო,
უსამართლობის მგმობელო.
მტერთა ტვინისა გამბნევი,
მუდამ ვეჭარა სმალია,
შეხედე ჩაგრულ ქვეყანას,
შენთვის სტირს მთა და ბარია...
ცხონებულ იყოს დიაცი,
ძისსა ვიტყოდი ქებასა:
ქალი გმირულად აღზრდილი
სთესავს კეთილსა ძმობასა...

ქართულ ხალხურ სიტყვიერებას მაია წყნეთელის ცხოვრებასა და გარდაცვალებაზე შეშოუნახავს მეტად საყურადღებო ლექსი:

ქართლიდან გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზალად
შიში და ცრემლის ღვარიო;
თრიალეთის ხევნარებში
შეეინახეი ოავიო;

მერე სომხითში წაველ,
შიშისგან ვიხსენ თავიო,
იქ ერეკლე ამობრძანდა,
შეეკადრე სიტყვა აიო,
ბატონო მეფეე, რა მიყავ,
რა მიყავ ესე ავიო?
ომი მოგვიხდა თათრებთან
სულ განწყდნენ წყნეთელებიო,
აღარა დარჩნენ გმირები,
ატირდნენ კლდე და მთებიო.
მეც ტყვეთა მიპყრეს, შემბოჭეს,
სპარსეთში ვიხსენ თავიო,
მაგრამ ერევნის ბოლოსა
დავკარგე თავი ავიო[76].

ასე ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება ამ არაჩვეულებრივმა გლეხის ქალმა, რომლის დაბადებისა და წამებით სიკვდილის თარიღები ჩვენთვის უცნობია[77].

უკვდავია ამ გმირი მანდილოსნის ხსოვნა ქართველ ხალხში. გულადი ქალი და მაია წყნეთელი ხალხისათვის სინონიმებია.

მაია წყნეთელის შესახებ სოფელ შარტყოფში გავრცელებულია ლექსი, რომელსაც ჩონგურზე დამღერიან. მისი შინაარსი ასეთია:

პატარა კასის გლეხო ერთგულო,
ია-მაია, ია-მაია,
მე და ჩონგური ერთად შეგაქებთ,
ია-მაია, ია-მაია,
შენ შეებრძოლე მტერს შემოსეულს,
ლახვარი ჩაეც მოღალატეს,
ქალო მამაცო, ქალო კოსტაო,
ია-მაია, ია-მაია.
ჩოხაც გშვენოდა, ხმალიც გამკობდა,
მტერი შენ ველარ გაკრთობდა,
ქართლის, კახეთის მთა და ველაი,
ერთად მოგძახის ია-მაია!..
გიხმობს სამადლო და ბეთანია,
უკან მოგძახის დიდგორის ველი,
ვმირო ქალაი ია-მაია,
ჩვენი ქალაი — ია-მაია,
ია-მაია, ია-მაია.

## თამრო ვაშლოვნელი

XVIII საუკუნის ქართველ გმირ ქალთა პლეადას ამშვენებს ბატონყმური ურთიერთობის და გარეშე მტრების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი ქალი თამრო ვაშლოვნელი[78], რომელიც ისევ ბრწყინავს ქართულ

ხალხურ სიტყვიერებაში, როგორც ქრისტინე მჭადიჯვრელის, მაია წყნეთელისა და თინა წავკისელის სახეები.

ამ გლეხი ქალის თავგადასავალმა ჩვენამდე მოაღწია მისი უფროსი ძმის (მცხოვრები, ქ. თბილისში. გარდაიცვალა 1817 წელს) მონათხრობით.

სოფელი ეაშლოვანი (თეთრი წყაროს რაიონი) თბილისიდან რამდენიმე კილომეტრით არის დაშორებული.

თამრო უნდა დაბადებულიყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. მისი შშობლები საბატონო გლეხები ყოფილან. ჯერ კიდევ მცირეწლოვან გოგონას დედა ადრე გარდაცვლია, მამას კი მეორე ცოლი შეურთავს. მაქლე თამროს მამაც გამოსალმებია წუთიოფელს. დედინაცვლის ხელში მცირეწლოვანი გოგონა თურმე ენით აუწერელ ტანჯვას განიცდიდა. ოჯახიდან გაქცეულა და ბატონს შეხიზვნია, მაგრამ მას თამრო რომელიღაც გადაგვარებული კაცისათვის მიუყიდნია.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ყოფაში ჩავარდებოდა გამოუცდელი გოგონა თავზეხელაღებული ყაჩაღის ხელში, მაგრამ მოხერხებულსა და შრომისმოყვარე თამროს თავი თვითონვე გამოუხსნია ტყვეობიდან.

ხალხის გადმოცემით, ეაშლოვანისკენ მიმავალ თამროს ტყეში დათვი შეხვედრია, გულად ქალს იგი მოუკლავს, ოჯახში დაბრუნებულა და მარტო დაუწყია ცხოვრება. სამაგალითო საქმიანობით სახელი გაუთქვამს. სოფელში უიმისოდ თურმე არაფერი კეთდებოდა.

თამრო ეაშლოვნელი ცნობილია როგორც უსამართლობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა სოფელზე მომდგარი მოძალადე უშიშარ ქალს სირცხვილნაჭამი და ლაფდასხმული გაუქცევია. ის შამაკაცის ტანსაცმელს იცვამდა და მხურვალედ მონაწილეობდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. როგორც დ. ჯანაშვილი აღნიშნავს, ერთხელ ეაშლოვანს თავს დასხმიან თათრები, სოფელი აუკლიათ და დაუნგრევიათ. მცხოვრებლები დაუტყვევებიათ. თამროს სასწრაფოდ შეუგროვებია ახალგაზრდები, რომელთა შორის ბევრი ქალი ყოფილა, გამოსდგომია მათ, დასწვია, სასტიკად დაუმარცხებია და ტყვეებიც გაუნთავისუფლებია.

ამ სახელოვანი ქალის ლეგენდურ ამბებს ერეკლე მეფემდეც მიუღწევია, პატარა კახს თამრო დაუსაჩუქრებია, პატივისცემის ნიშნად მისთვის ცხენი უბოძებია.

ბევრ გულად მებრძოლს სურდა თამროს ცოლად შერთვა, მაგრამ ქალი ყველას უარით ისტუმრებდა. ხალხში დარჩენილა მისი პასუხები მთხოვნელებისადმი:

მე რომ გავთხოვდე, სიმხნე და ვაჟკაცობა დამეკარგება. არა, არ მსურს ქმრის შერთვა, ჩემი გულითადი სურვილია მხოლოდ მომმეებისა

და სამშობლოს ქვეყნის სამსახური. მსურს იმათი ჯავრი ამოვიყარო, ვინც ჩვენს დამონებასა და განადგურებას ცდილობს.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს თამრო ვაშლოვნელი მტერს შეუპყრია და უცხო ქვეყანაში წაუყვანია. ამაზე ხალხს ლექსი შეუთხზაეს:

ვაშლოვანო, შემკობილო,
ბოლნისო, მეფის სოფელო,
მანდ რო ქალი დაეკარგეთ,
თათრებს შეკრული ეყეყარო.
თუ ბიჭები ხართ მიშველეთ,
დამიხსენთ თქვენი ტყვე ვარო,
სამი დღეა მშიერი ვარ[79],
ხელ-ფეხ შეკრული ვგდივარო!

თამრო ვაშლოვნელის შეპყრობის ამბავს ერეკლე მეფემდეც მიუღწევია. იგი ძალზე შეწუხებულა. ამ დროს პატარა კახის წინაშე სახალხო გმირი პაატა თემურიშვილი წამდგარა და მოუხსენებია:

— ნება მიბოძეთ, მეფეე, წავიდე და გამოვიხსნა ის ქალი და, თუ ეს ვერ შევასრულე, მტერს განაზრახი არ ჩაეუშალე, თავზე ლეჩაქი დამხურე და ვირზე უკუღმა შემსვი ჩემი ვაჟკაცობის შესარცხვენად.

— ჩემო პაატა, — უთქვამს პატარა კახს, — თუ ჩვენს საყვარელ თამრო ვაშლოვნელს გამოიხსნი და ასეთ სამადლო საქმეს იზამ, ჩემი და ქართველი ხალხის სათაყვანებელი გმირი იქნები.

პაატა თემურიშვილს გაუგია ტყვე-ქალის ადგილსამყოფელი, იქ რჩეული ვაჟკაცებით მისულა და მახლობელ ტყეში დაბანაკებულა. ამათგან ერთ-ერთი მებრძოლი თათრულად გამოწყობილი გაუგზავნია ყარაბაღაში. მას ბაზარში ცხენით ვაჭრობა დაუწყია და ამ ხერხით ადგილობრივ ხალხს გასცნობია. ერთი მათგანი მოუსყიდია კიდეც. მოსყიდულს უსწავლებია თამრო ვაშლოვნელის ზუსტი ადგილსამყოფელი, თანაც უთქვამს, რომ ტყვე ქალი მეტად ლამაზია და ღონიერიც. ჩქარა უშველეთ, თორემ შორ ქვეყანაში წაიყვანენო.

ქართველ მებრძოლს ეს ამბავი პაატა თემურიშვილისათვის გადაუცია. პაატას არ დაუყოვნებია, ჩასულა ყარაბაღში, თათრებს დასცემია, დაუხოცავს და ტყვე ქალი გაუთავისუფლებია. მეორე თუ მესამე დღეს ჩამოსულა ქალაქ თბილისში, შესულა სასახლეში, მისულა მეფე ერეკლესთან და ტყვეობიდან განთავისუფლებული თამრო ვაშლოვნელი ჩაუბარებია. ამ კეთილი საქმისათვის ერეკლე მეორეს პაატა თემურიშვილი დაუსაჩუქრებია.

ერთხელ ვაშლოვანის ასაკლებად მოსულან ლეკები. თამროს სოფლელები დაურაზმავს და მტრისათვის დიდი ზარალი მიუყენებია. ლეკები თავქუდმოგლეჯილი გაქცეულან. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, ვაშლოვნელი მთქმელი გადმოგვცემს:

ჩვენც თამროსა გავყევეით,
გეიკეირდა სულ თავათაო,
შომხდურები ვადავრეკეთ,
ვარბენინეთ სხვა გზითაო[50].

ამ გამარჯვების შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ ხმა გავარდნილა, თურქები ვაშლოვანს თავდასხმას უპირებენო. თამარ ვაშლოვნელს თავისი თანასოფლელები დიდი, პატარა, ქალი, კაცი, მოხუცი თუ დავრდომილი ახლო მდებარე ერთ დიდ საფარში (კოშკში)[51] შეუხიზნავს, თვითონ კი შეიარაღებული მებრძოლებით მომხდურ მტერს სოფლიდან დაშორებით, მოხერხებულ ადგილას ჩასაფრებია. მალე თამრო საფრიდან გამოსულა და ხეების პირად ცხენით ჩაუქროლებია, შემდეგ კი ისევ ხეებისათვის შეუფარებია თავი, რომ თურქი დამპყრობლები ვიწროებში შეეტყუებინა. მტერი ცხენოსანს ღადევნებია. ამ დროს მას თავს დასხმიან ქართველები და ამოუხოციათ, ცოცხლად დარჩენილებს კი განსაცდელისათვის თავი ძლივს დაულწევიათ.

ამ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის გამო თამრო ვაშლოვნელისათვის ხალხს დიდი მადლობა უთქვამს. ერეკლე მეფეს შეუქია გულადი ქალი:

— შესანიშნავი ხარ დედათა შორის და მასახელებელი შენი სქესისა, ეცადე, შეილო, შენის მაგალითით მამაკაცებიც გაუერთგულო სამშობლო ქვეყანას[52].

თამროს ცხოვრებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ პატრიოტ ქალს ბრძოლა დაუწყია შინაური მტრების — თავაშვებულ მებატონეთა წინააღმდეგ.

სოფელ ვაშლოვანში მცხოვრებ ერთ თავზეხელაღებულ, მაბეზღარა აზნაურს შეშურებია თამრო ვაშლოვნელის ბედი და თავისი გაიძვერული მოქმედებით ერეკლე მეფესთან დაუსმენია, თამრო სამშობლოს მოღალატეაო. ამ დასმენით, თავადაზნაურებს ერეკლე თავის მხარეზე გადაუბირებიათ. ცილისწამების შედეგად თამრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა, იძულებული გამხდარა გასცლოდა თავის საყვარელ ვაშლოვანს, შეურჩევია შედარებით მიუვალი, მყუდრო ადგილი, დასახლებულა იქ და დღიური შრომით ურჩენია თავი, მაგრამ ერთი გლეხის უბედურებამ აიძულა კვლავ საბრძოლო ასპარეზზე გამოჩენილიყო.

თამრო ვაშლოვნელი ამ გაუბედურებული გლეხის გამო ერეკლე მეფესთან მისულა და საჩივარი მოუხსენებია:

— დიდო მეფეო, მებატონეების მიერ გლეხობა ძალზე შეწუხებულია: ჩვენს სოფელში არ დარჩენილა გლეხკაცის ოჯახი, რომ არ იყოს მებატონეთაგან აწიოკებული და დანგრეული. დღეს მინდა მოგახსენოთ ერთ გლეხზე, რომელსაც ასეთი რამ ჰკადახლა: თქვენს მიერ პატივცე-

მულმა მებატონემ ჩემი თანასოფლელის, უახლოესი მეზობელი გლეხის ოჯახი ააწიოკა. მისი გაყიდვა და ოჯახის მითვისება მოინდომა. მე ასეთ საზიზღარ განზრახვას წინ აღვუდექი, მაგრამ ვერა გავაწყე რა. თქვენ კი, დიდო მეფეო, ღიდი ძალა გაქვთ, ამიტომ გთხოვთ დასაჯოთ უღირსი მებატონე, რომ ასეთი არაადამიანური საქციელი აღარ ჩაიდინოს.

მეფემ თამროს თხოვნას ყურადღება მიაქცია და ბოროტი ვაშლოვნელი მებატონე დასაჯა, გლეხი კი თავისი ოჯახით დაიხსნა. ამის გამო თამროს ვაშლოვნელი მებატონეები უფრო გადაემტერნენ. გადმოცემით, მათ ქალი შეუპყრიათ, უცემიათ და მტკვარში გადაუგდიათ. წყლის ზვირთებს თამრო ერთ ბურჯზე მიუხეთქებია. ღონეწართმეულს უკანასკნელი ძალა მოუკრებია და ბურჯზე ასულა, მაგრამ სისუსტის გამო იქიდან ველარ ჩამოსულა და მშიერ-მწყურვალს სული განუტევებია.

თამროს ცხედარი ვაშლოვნელ მეცხვარეს უნახავს და მისი სიკვდილის ამბავი თანასოფლელებისათვის შეუტყობინებია. წამებული ქალი სოფელ ვაშლოვანში უჩვეულო პატივით ჩამოუსვენებიათ.

დედებს და თანატოლ ქალებს ცხედარი დაუტირებიათ და შემდეგ დიდი ამბით თრიალეთის საყდარში დაუკრძალავთ.

ხალხს ეს ფაქტი ასე გადმოუცია:

თრიალეთის დიდ საყდარში
თამარი ასაფლავია,
მისებრ ერთგული, მამაცი
ჩვენ არ გვყოლია ქალია[53].

სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის საფლავს ფრინველებიც ტკბილად დამღერიან:

ჩიტებმა უწყეს ჭიკჭიკი,
სიმღერით თამარასაო,
ჩვენ იმას ვინლა გვარჩენებს,
რადგან წვეს სამარასაო[54].

თამროს შესახებ ხალხს სასიმღერო ლექსებიც შეუქმნია:

თამროსა ვაშლოვანელსა
ვაშლი უდგია თავსაო,
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს
მისი საფლავის ვარსაო.
დამტირებელი არა ჰყავს
ნეტარება მის გვარსაო[55].

არსებობს გადმოცემა, თითქოს თრიალეთის ეკლესიის ეზოში ვაშლოვნელი ქალის საფლავზე ლოდი იყო წარწერით.

თამრო ვაშლოვნელის გმირული თავგადასავალი მომავალ თაობას ხალხურმა სიტყვიერებამ შემოუნახა.

## თინა წავკისელი

თინა წავკისელი[86]-ფეიქრიშვილი[87] ცხოვრობდა XVIII საუკუნეში, დაბადებულა სოფელ წავკისში (სოფელი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოლოლაკის ხევის შუა ტოტის მარცხენა მხარეზე, კოჯრის აღმოსავლეთით, ტაბახმელის ჩრდილოეთით)[88].

.. თინა გაბაშვილის ყმა ყოფილა. ჯანღონით სავსე ახალგაზრდა გლეხის გოგოს ბატონის ოჯახში მოსვენება და ერთი მხიარული დღე არ უნახავს. მის განაწამებ ცხოვრებას თან ისიც დაერთო, რომ ბატონმა ნამუსი ახადა. გაუბედურებულმა და შეურაცხყოფილმა თინამ შური იძია აუხორც ბატონზე, იმავე ღამეს მოკლა და სასახლიდან ისე გაიქცა, რომ მის გზა-კვალს ვერავინ მიაგნო.

სხვა გადმოცემით კი, ბატონის მიერ შეურაცხყოფილი და განაწამები თინა ახალგაზრდა ქალ-ვაჟებთან ერთად სოფლად მოთარეშე, გარყვნილ და გადაგვარებულ ფეოდალებს მოუტაცებიათ და მიუყიდნიათ ირანელებისათვის, რომელთაც ტყვე ქალებისათვის ნამუსის ახდა მოუნდომებიათ. თინა ფარულად მოლაპარაკებია ტყვეებს და როცა მტაცებლებს უცდიათ თავიანთი ბოროტი განზრახვის ასრულება, თინას და მის ბედში მყოფ ქართველ ქალებს მათთვის ხანჯლები წაურთმევიათ და ყველა დაუხოცავთ, შემსხდარან ცხენებზე, ჩამოსულან თბილისში, მეფეს სასახლეში ხლებიან და მისთვის მოუხსენებიათ თავზე დამტყდარი უბედურება.

ქალების გმირობით გაკვირვებულ პატარა კახს ისინი სასახლეში დაუტოვებია. მეფის სასახლეში თინას კარგად შეუსწავლია თოფის სროლა, ცხენზე ჯდომა, ხმლისა და ხანჯლის ხმარება, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა და არაერთგზის უსახელებია თავი.

თინა წავკისელის მამაცური მოქმედებით ხალხი აღფრთოვანებულა. ის, როგორც სამაგალითო მებრძოლი და გმირი ქალი, ერეკლე მეფეს განსაკუთრებით ჰყვარებია.

თინა გათხოვების მსურველი არ ყოფილა, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში მას და რომელიღაც სახელოვან ვაჟკაცს მტრის წინააღმდეგ ისე მამაცურად უბრძოლიათ, რომ პატარა კახს ძლიერ მოსწონებია ისინი, ორივე მოუწვევია თავისთან და უთხოვია შეუღლება. თინას და უცნობ მებრძოლს მეფის თხოვნა დაუკმაყოფილებიათ.

ახალჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი წავკისში დასახლებულან. ეს შრომისმოყვარე და გამრჯე ადამიანები სოფელს ძალზე შეჰყვარებია. ისინი

მანამდე სოფლელებისაგან იღებდნენ შემწეობას, ხოლო შემდეგ მათი დახმარებით დროთა ვითარებაში შეუქმნიათ ძლიერი და ყველასათვის საყვარელი ოჯახი.

ქმრისა და ოჯახის მოყვარული თინა მალე ორი შვილის დედა გამხდარა, მაგრამ სამშობლოს სამსახურისათვის თავი არ დაუნებებია.

როგორც დ. ჯანაშვილი აღნიშნავს, ერთხელ ერეკლე მეფეს სოფელ წავკისის ყველა გლეხი მდევრად გაუყვანია. ამ დროს სოფელში ხმა დარჩენულა, წავკისს თათრები დარბევას უპირებენო. თინას გაუგია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე სოფლის ახლოს, ერთ დიდ კოშკში შეუხიზნია სოფლის დედაკაცები, გოგო-ბიჭები, მოხუცები და ავადმყოფები. ამის შემდეგ კოშკის კიბის სათოფეებზე დაუწყვია ფუტკრის სკები, ორივე მხრის ძირის კარები შიგნიდან ჩაუკეტავს და თან უბრძანებია:

— ჩემო საყვარელო მეზობლებო და თანამოძმეებო! მე მივდივარ ქალაქ თბილისს, რომ ჩვენს მფარველ პატარა კახს შევატყობინო მტრის თავდასხმა. თქვენ ნუ გეშინიათ, მაგრად იყავით, თუ მტერი კოშკს მოადგება, დაამტვრევს ძირის კარებს და ამოვა კიბეზე, სკიდან ფუტკარი გამოუშვით, რომ ხელაღებული მტერი ჩვენს მოსელამდე შეაჩეროს.

შეიარაღებული თინა წავკისელი სასწრაფოდ მოხტომია ცხენს და წასულა თბილისისაკენ. ამასობაში მტრის ურიცხვი ლაშქარი დასხმია თავს ხალხით სავსე კოშკს, შეუმტვრევია გარეთა კარები, ასულა ბნელ კიბეზე და მისდგომია ზედა კარებს. ციხეში შეხიზნულ ქალებს სასწრაფოდ გაუხსნიათ სკები, ვამოუშვიათ ფუტკარი, რომელსაც სიბნელეში დაუწყია საშინელი ბზუილი და კბენა. ასე უწვალებიათ თავდამსხმელი თათრები, ვიდრე თინა წავკისელი მოვიდოდა ჯარით. ქართველებს ციხეში შესული და ფუტკრისაგან დაკბენილი თათრები სასტიკად დაუმარცხებიათ.

ამ გამარჯვების შემდეგ არ გასულა დიდი დრო, რომ თინა წავკისელს მეუღლე გარდაცვლია და დარჩენია ორი ვაჟი. გადმოცემით, ერთ-ერთ მათგანს გიორგი რქმევია.

1795 წელს, თბილისში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თინა წავკისელი სამშობლოს დამცველი მამებისა და ძმების გვერდით იბრძოდა. უთანასწორო ბრძოლაში მამაცი ქალი მტერს ტყვედ ჩაუგდია და შორეული ქვეყნისაკენ წაუყვანია.

ერთი ხალხური ლექსით ტყვედ ჩავარდნილ თინას პატარა კახისათვის მიუწერია:

შენ გენაცვალე მეფეო,
შენი ჭირიმე შენიო.
ვიორგი არ მოძმშიო,
სულ შეაჯერე თემიო,

ეს ალე დაკეხმარები
თუ რომ შეიხსენ ხელიო[89].

ერეკლე მეფეს მისთვის ლექსადვე უპასუხია:

თინიავ, რამ შეგაშინა,
რამ შეგიცვალა ფერიო,
შენ დგეკარგე, მაგრამ
არეინ არს შენი ფერიო.

ერეკლეს თინა წაკისელი გამოუსსნია ტყეებიდან, მაგრამ სპარსელებს კვლავ ჩაუგდიათ ხელში. როგორც ირკვევა, გმირ ქალს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია დამპყრობელთათვის, ხოლო ამ უკანასკნელთ სამშობლოს ეს უანგარო დამცველი, მამაცი მებრძოლი ქალი ბოლნისის მხარეში წამებით მოუკლავთ.

არსებობს გადმოცემა, რომ ერეკლე II-ის ბრძანებით თინა წაკისელი ქმრის გვერდით, ბოლნისის სიონის ახლოს დაუმარხავთ. საფლავის ქვებზე ამოუჭრიათ სახეები გვირგვინებით, ხოლო მათი ობლები სასახლეში წამოუყვანიათ აღსაზრდელად.

სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი, ჩვენი დედებისა და მამების თავისუფლების დამცველი, ისტორიის მიერ აღუნუსხველი გმირი ქალი თინა წაკისელი (ფეიქრიშვილი) დაიღუპა ბატონყმური უსამართლობისა და უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

## ელისაბედ მრეკელი

ცნობილია, რომ მებატონეები თავიანთ ქალიშვილებს გლეხის ქალებს მზითვად ატანდნენ ან საჩუქრად უგზავნიდნენ. ბევრჯერ ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ყმა ქალიშვილებს ყიდდნენ ან ცელიდნენ ძაღლებზე, ცხენებზე, თოფებზე, ავხორცი მებატონეები გლეხის ქალებს აუპატიურებდნენ კიდეც. ზოგიერთი ქალი სიმტკიცეს იჩენდა, ბატონს არ ნებდებოდა, ყოველ ღონეს ხმარობდა ამ შერცხვენის თავიდან ასაცილებლად და ამას ხშირად თავსაც სწირავდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მებატონე თაქთაქიშვილს თავისი ყმა გლეხი მრეკელი დაუპატიმრებია, ხოლო მისი ცოლი ელისაბედი კოშკში შეუტყუებია და გაუპატიურება მოუნდომებია[90]. ქალს მებატონისათვის წინააღმდეგობა გაუწევია, ხელიდან გასხლტომია და შენობის მესამე სართულიდან გადმომხტარა, ელისაბედ მრეკელს ცხვირ-პირი დაუმტვრევია, მაგრამ ნამუსი შებილწვისაგან გადაურჩენია.

მომხდარი ამბის გამო ელისაბედ მრეკელს უჩიელია დარეჯან დედოფალთან. საჩივრის შინაარსი ასეთია: მიეთხოვდი მებატონე თაქთაქიშვილის ყმა გლეხს. გათხოვებიდან არ გაუვლია ერთ თვეს, რომ მებატონემ დააპატიმრა ჩემი მეუღლე, თითქოსდა არ ჰქონდა ჩემზე და-

ქორწინების უფლება, რადგან მისი ნათლული იყო. ქმარს ფეხებზე ბორკილები დაადო, ხოლო მე მაცნობა, რომ სურს მოახლედ ვყავდე. იანვარში თაქთაქიშვილმა ჩემს ქმარს გადააყლო ციები წყალი ღილას, შუადღისას და საღამოს, ამასთანავე წინადაღება მომცა, რომ მისი სურვილი დამეკმაყოფილებინა, მაგრამ უარი განეუცხადე. ამით გათავხედებულმა დამიჭირა და მოტყუებით შემიყვანა კოშკში. არც ასლა დავემორჩილე და შენობის მესამე სართულიდან გადმოვხტი. დაეიმტვრიე ცხვირი, ნეკნები და ხაჩიელელად წავედი მეფე ერეკლესთანო.

როგორც ჩანს, ერეკლე მეფეს წერილობითი ბრძანება გაუცია — დაპატიმრებული ყმა, გლეხი მრეკელი გაენთავისუფლებინათ და მისი ცოლისათვის შემდეგ შეურაცხყოფა არავის გაებედა.

ბრძანება მრეკელის ქალს დაუკარგავს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს და დარეჯან დედოფლისათვის უთხოვია მისი აღდგენა. დარეჯანი 1802 წელს წერილობით ადასტურებს, რომ ერეკლე მეფეს ნამდვილად ჰქონდა ასეთი ბრძანება გაცემული.

ელისაბედ მრეკელის ამბავი იმის საუცხოო ნიმუშია, თუ როგორ მტკიცედ იცავდნენ ოჯახის სიყვარულს, ქმრის ერთგულებას გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქალები. ისინი აელენდნენ ნებისყოფის სიმტკიცეს და ნამუსახდილ სიცოცხლეს სიკვდილს არჩევდნენ. ზოგჯერ ასეც ხდებოდა: გამბედავი და ჯანღონით საესე ქალები შეურაცხყოფელ მეპატონეებს საწოლშივე კლაედნენ, გარბოდნენ და თავს სხვადასხვა მხარეს აფარებდნენ.

## მუხათელი რძალი (ანაბაჯი)

სოციალური უთანასწორობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი-უსახელებია არაჩვეულებრივად ღონიერ და გამჭრიახ ქალს ანას, რომელიც ცნობილია ანა-ბაჯის სახელით. მას ბავშვობა თბილისში გაუტარებია, შემდეგ მისთხოვებია მუხათელ კაცს და მუხათშივე დაბინავებულა. არც ანასი და არც მისი ქმრის გვარი ცნობილი არ არის, ბაჯი შერქმეული სახელია (ნიშნავს დას).

ანამ სთქვა: მეტი სახელი
ბაჯი მასზედ მქვიანო, —
მტერს რომ მეხვეით ეუხვდები,
მისთვის ლს მეძახიანო...[91]

ამ ქალის ჩამომავლები მისი პატივისცემის მიზნით დღესაც ბაჯიაშვილებად იწოდებიან.

ანა ღონიერი ქალი ყოფილა, ეხერხებოდა ცხენზე ჯდომა, ხმლის ხმარება, მტრის წინააღმდეგ ვაჟკაცური ბრძოლა, ჭიდაობა და სახელოვან ფალავანთა დამარცხება.

82 წლის ალექსი ბაჯიაშვილის გადმოცემით, მათი წინაპრები ვაშლოვანისა და მუხათის მებატონის მამუკა ორბელიანის ყმები ყოფილან[92].

სოფელი მუხათი თბილისს (სამხრეთით) დაახლოებით 20 კილომეტრით არის დაშორებული. მდებარეობს სოფელ ასურეთის ხევის მარცხენა მხარეს, სოფელ ბორბალოს სამხრეთით[93]. ამჟამად თეთრი წყაროს რაიონს ეკუთვნის.

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასასრულს აღა-მაჰმად-ხანმა დასწვა და ნაცარტუტად აქცია ალგეთის მიდამოები: მარაბდა, კოდა, მუხათი, ვაშლოვანი, კუმისი, თელეთი, ბორბალო, ტაგნაგეთი, ასურეთი, ენაგეთი და სხვები. მცხოვრებთაგან ვინც გადარჩა, აი-

ყარა და მიუვალ ადგილებში გადასახლდა. დროთა ვითარებაში ალგეთის მიდამოებში ჩამოსახლებულან ქართველები, სომხები და თათრები.

სოფელ მუხათში ამჟამად 85 კომლია, აქედან — 15 — ანა-ბაჯის შთამომავალია, გვარად ბაჯიაშვილები. ამ გვარმა ბევრი განთქმული დასტაქარი აღზარდა. ბაჯიაშვილების ოსტატობა დღესაც კარგად არის ცნობილი.

ანაბაჯის სახელი ქართველ ხალხს ძველი თბილისის აშუღმა, პოეტმა საიათნოვამ შემოუნახა. ერეკლე მეფის დაკვეთით მას დაუწერია ლექსი, რომელიც ასახავს ანას ვინაობას და გმირულ ბრძოლებს.

საიათნოვას ლექსიდან ჩანს, რომ პატარა კახი ანას პირადად იცნობდა, განსაკუთრებით აფასებდა და პატივს სცემდა. ისიც ცნობილია, რომ მეფეს სამშობლოს წინაშე თავდადებისათვის ანასათვის წარწერიანი ხმალი უჩუქებია.

საიათნოვას ლექსს[94], რომელშიც აღწერილია ანა ბაჯის გმირული თავგადასავალი, თავის მნიშვნელობა არ დაუკარგავს და ხალხში დღესაც პოპულარულია. აი, ლექსიც[95]:

თუმც მოქეზდნენ ქვეყნის აშუღებია
და გამართონ ყველამ თავის ჩანგები, —
ანას ქებას მაინც სრულ ვერ იტყვიან,
თუ არ იყოს ისევ შოთას პანგები.

ბატონისგან ამიღია ნებანი,
მომიმართავს ჩემი ჩანგი, ებანი,
რომ დავიწყო ანაბაჯის ქებანი,
ქვეყნის ქალნი მასთან არის დანგები.

დავინახე საჯირითო ჯარშია,
ცხენზე მჯდომი, მოქარული ზარშია.
ყველა იცნობს ანას გურჯისტანშია,
ხატრულობენ სპარსნი, ჰიდნი, ფრანგები.

სრულად შვენის ნათელ სახესაეთა,
ბრძოლის ველზე გადის ტყვიასაეთა.
მტერსა სრესავს ფეხქვეშ ჭიასაეთა,
თავს უსრიან მონად თურქნი, ზანგება.

რადგან ანა საქართველოს ებოძა,
ბრძოლის ველზე ბევრი მტერი უხოცა,
დიდ ბატონმა ვერცხლის ხმალი უბოძა,
დაწერა მამულისა რანგები

მეც გმირი ვარ, ნუ მიყურებ შურითა,
შენ ხმლითა ხარ და მე ჭიანურითა,
დავიხვდები ახალ საათნურითა,
ამაღლებას თუ რომ ჩამობრძანდები.

ძველი თბილისის აშუღს იეთიმ გურჯს (დაბღიშვილს) დაუწერია საკმაოდ ერცელი პოემა „გმირი ქალი ანა-ბაჯი", რომელშიც მოთხრობილია ანას მამაცური თავგადასავალი. როგორც ი. გრიშაშვილი წერს, თათრებმა გულადობისათვის ქალს ძმობა აღუთქვეს და ანაბაჯი დაარქვეს.

პოემის ავტორს ანას გმირობა ცალმხრივად აქვს გაშუქებული. უსამართლო მებატონეებისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ქალი მხოლოდ უძლეველ მოჭიდავედ არის წარმოდგენილი, ბაჯაშვილების რძალს რიფსიმეს, რომელსაც კარგად სცოდნია ანა-ბაჯის თავგადასავალი, ახალგაზრდა იეთიმ გურჯისათვის გაუცვნია მისი ცხოვრება. იეთიმს გაულექსავს ანას თავგადასავალი და რიფსიმესთან დაკავშირებით წერს:

ანას ამბავი ბევრი,
სულ აღარ მაგონდებაო,
მოხუცმა ქალმა მიამბო,
რიფსიმე ეწოდებაო.
ის ბაჯაანთ რძალი იყო,
ეხლა მიწაში წევაო[96].

ხალხის გადმოცემით ანა უნდა დაბადებულიყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქ თბილისში, სიონის უბანში, ქართველი ღარიბი ხელოსნის ოჯახში. 16 წლის ასაკში გაუთხოვებიათ სოფელ მუხათში. ახალგაზრდა ქალს ოჯახში 7 რძალი დახვედრია და მათთან ერთად შეჯეიმია მუყაით შრომას, რითაც უფროსების დიდი პატივისცემა დაუმსახურებია[97].

— ანა იყო, — გადმომცა ალექსი ბაჯიაშვილმა, — ჩემი მამის პაპის რძალი, რომლისაგან მიგვიღია გვარი ბაჯიაშვილი. ანას დაბადების თარიღი არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ 42 წლის ასაკში გარდაცვლილა[98], გადმოცემით კი მას უცხოვრია ერეკლე მეფის დროს, ჰყოლია სამი შვილი — ორი ვაჟი და ერთი ქალი, გარდაცვლილა ღრმა მოხუცებული.

ანას გარეგნობა, მკლავის ძალა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა ხალხურ სიტყვიერებაში ასეა გადმოცემული:

ანა-ბაჯი ქებულია,
თვალ-წარა დამშვენებულია,
ტანი ლერწამს მინამსგავსი,
საქმით მირონცსებულია;
ტან-მაღალი, შავთვალწარბა,
სახე უკავს სავსე მთვარეს.
ნიკაპზე აქვს დიდი ხალი,
მით ამშვენებს არემარეს...

წელზე ხანჯალი ჰკიდია,
დაქროლებს ლურჯა ცხენსა,
გმირი ქალი ანა-ბაჯი,
თავზარსა სცემს ხალხის მტერსა,
მშვენებასთან მას ჰქონია
ამირანის ლონე ძალი,
ათს სჯობნიდან როგორც ერთსა,
ქალი იყო მბნე და მარდი[29].

ანა რამდენიმე დღის მიყვანილი ყოფილა მუხათში, როდესაც ასეთი ამბავი შემთხვევია: ერთ დილით რძლები კამეჩებს წველავდნენ. უცებ მოვარდნილა ბოლა და პირუტყვს დარევია. ქალები წივილ-კივილით აქეთ-იქით გაფანტულან. იქვე მდგომ ანას ბოლასათვის ფეხებში ხელი დაუვლია და შორს გადაუსვრია. რძლის ასეთი მოქმედება დედამთილს ძალზე გაკვირვებია, მისულა შვილთან და უთქვამს: „შვილო, შენმა მეუღლემ ამ დილით უარი თქვა კამეჩების მოწველაზე და გეთხრა, არც თქვენი კამეჩები მაინტერესებს და არც მისი მოწველაო“.

ქმარს ამბის გამოუძიებლად დაუწყია ცოლისათვის ცემა. ანას კი მორჩილად წაუბრია თავი. მაშინ აცრემლებული ღედა მიეარდნილა მასთან და უთქვამს:

— შვილო, ტყუილი გითხარი, მინდოდა ანა გამომეცადა. ხელს თუ შემოგიბრუნებდა მაგრამ ხედავ, როგორ მორჩილად დახარა თავი? — და უამბო ამ დილით მომხდარი ამბავი. დედამთილს მოუხვევია ხელი რძლისათვის და გულში ჩაუკრავს.

არსებობს ასეთი გადმოცემაც:

ანას გათხოვების ორი წლის თავზე, აგვისტოში სტუმრად ყოფილა მოკეთესთან სოფელ წყნეთში. საღამო ხანს მეზობელი ქალები და გოგონები წასულან ტყეში შინდის საკრეფად, თან ანაც წაუყვანიათ. მოულოდნელად თავს წამოდგომიათ დაჭრილი დათვი. ქალებს წივილ-კივილი აუტეხიათ. ანა არ დაბნეულა: ნადირს წინ დახვედრია, დათვს შებრძოლებია, დაუვლია ფეხებში ხელი, აუწევია და მიწაზე ბურთივით დაუნარცხებია. ამ დროს მოსულა წყნეთში ცნობილი მონადირე თევდორე, რომლისთვისაც მკვირცხლ ქალს ხანჯალი ამოუცლია და ძხეცისათვის ჩაუცია.

დათვის მოკვლის ამბავი მთელ სოფელს მოედო. ახალგაზრდა ქალს ყველა ულოცავდა სახელოვან გამარჯვებას.

ერთხელ რომელიღაც რელიგიურ დღესასწაულზე ანა თბილისში, ძშობლებთან ყოფილა. სწორედ იმ დღეს ამქრებს მოეწყოთ ყენობა; და რადგან „ერეკლეს ომს ოგონებდნენ“, ოსმალურად ჩაცმულები ქუჩაში გამოსულან. მათ ორი გახელებული კამეჩი დარევია. ანას ფანჯრიდან შეუნიშნავს და მისაშველებლად გარეთ გამოვარდნილა. გაქცეულთან-

ვის ძლივს მოუსწრია, ეთქვა: არ გრცხვენიათ, ამოდენა ხალხი ორმა. კამეჩმა შეგაშინათ. ეს თუ მტერმა გაგვიგო, სასაცილოდ აგვიგდებსო. კამეჩი თურმე მისკენ გამოექანა. ანა რქაში სწვდომია, კისერი მოუგრეხია და მიწაზე დაუნარცხებია. ახლა მისკენ მეორე კამეჩი გამოქანებულა. გმირი ქალი არ დაბნეულა და ისიც პირველის გვერდით ძირს დაუცია.

ხალხი მიშველებია ანას და კამეჩები თოკებით შეუკრავთ.

ანა ცნობილი ყოფილა როგორც კარგი მოჭიდავე. მუხათში დღესაც დარჩენილა ასეთი თქმულება: ანა მეუღლისა და მამამთილის თანხლებით წასულა კვირაცხოველის დღეობაზე. იქ მყოფ მამაკაცებს გაუმართავთ ჭიდაობა, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულებს. თელეთელ გიორგის წაუქცევია მუხათელი სიმონა. ამის შემდეგ მუხათიდან აღარავის გაუბედავს საჭიდაოდ გამოსვლა. მუხათი დამარცხებულად გამოაცხადეს და ანას ძლიერ დამცირებულად უგრძვნია თავი. ქმრისა და მამამთილის დაუკითხავად საჭიდაოდ წრეში შესულა და რამდენიმე კაცი ზედიზედ წაუქცევია.

თბილისელ მოჭიდავე გეო ტერტერაშვილს გაუგია ანას ასეთი ძლევამოსილება და გიორგობა დღეს დალი ხაჩინში (ბოლნისის რაიონი) გაუწევია საჭიდაოდ. ამ დღისათვის ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველა ბოლნისისაკენ გამგზავრებულა. ანა მამამთილისა და მაზლის თანხლებით წასულა.

ბორჩალოელ ყაჩაღ ბაირამს 8 ამხანაგით მდინარე ხრამთან დაუწყია მგზავრების ძარცვა. ანას მამამთილი მოუკლავს, ხოლო მაზლი მკლავში დაუჭრია. ანა მოსწონებია, ხელიც მოუხვევია საკოცნელად, მაგრამ უშიშარ ქალს ყაჩაღისათვის ხანჯალი წაუძვრია და თავი წაუჭრია, შემდეგ კი დანარჩენებიც დაუხოცავს. გამარჯვებულ ქალს მაზლისათვის ხელი შეუხვევია. მკვდარი მამამთილი ცხენზე დაუკრავს და მაზლისათვის გაუტანებია მუხათში, თვითონ აუღია ბაირამის იარაღი, შემჯდარა მისსავე ცხენზე და ბოლნისისაკენ გაფრენილა.

შემოდგომის სუსხიან დღეს ბოლნისის სიონის ეზოში შეკრებილი ხალხი მოუთმენლად მოელოდა ანას მოსვლას. ანას იარაღი და ცხენი რომელიღაც მაყურებლისათვის[100] ჩაუბარებია, შესულა საჭიდაოდ წრეში და მოწინააღმდეგე გეო ტერტერაშვილი გამოუთხოვია. მოჭიდავეები ერთმანეთს დატაკებიან. ანას ძლიერი მეტოქე ზურგზე წამოუკიდებია და ძირს ისე დაუხეთქებია, რომ დაცემულს ცხვირპირიდან სისხლი წასკდომია, ხოლო სამი დღის შემდეგ გარდაცვლილა.

მუხათში დაბრუნებულ ანას გარდაცვლილი მამამთილი დიდი პატივით დაუსაფლავებია.

ერთხელ მუხათს თათრები დასცემიან. ანას სასწრაფოდ შეუგრო-

ვებია რჩეული ვაჟკაცები, გაძღოლია მათ, მტერს დასწევია მარაბ-
დის ბოლოს, გზა მოუჭრია, მოუმწყვდევია ალყაში, ბევრი მოუკლავს,
ხოლო გადარჩენილებს მუდარა დაუწყიათ — გვეყოფა, ბაჯი-დაო, ნუ
დაგვხოცავო. ანას უპატიებია დანაშაული და უთქვამს: თუ კვლავ შეგ-
ვაწუხებთ, უარეს დღეს გაგითენებთო.

ოანასოფლელებს დიდი პატივით მიუღიათ გამარჯვებული გმირი ქა-
ლი.

— ერთხელ ჩვენი ძველები, — ამბობს ალექსი ბაჯიაშვილი, — მოხ-
ვედრილან სოფელ ყოჩაქლისაში. სოფლის მცხოვრებლებს დიდი პა-
ტივი უციათ, რადგან სტუმრები ანა-ბაჯიანთ ქვეყნიდან იყვნენ. ასე
იყო მისი სახელი განთქმული.

ერთ-ერთ გადმოცემაში ასეა ასახული ძველი ცხოვრების შავბნელი
ეპიზოდები: მუხათელ გლეხკაცს მტრის შიშით სოფლიდან გუთანი შორს
ვერ გაჰქონდა. მუხათში ანას მოსვლის შემდეგ ხალხს შვება უგრძვნია,
რადგან ქალი მათ დარაჯად ედგა. სოფლელებს გუთანი შორს გაჰქონდათ
და მშვიდადაც ხნავდნენ.

ქართულ ზეპირსიტყვიერებას ეს ფაქტი ასე აქვს გამოთქმული:

ჩვენი სოფლის მშრომელ ხალხს
ესეოდა მტერი მალვით,
სისხლისაგან იცლებოდა
დიდ-პატარა, ქალი, კაცი.
ანა დროზე გამოუჩნდათ,
მტერს ესხმოდა როგორც მეხი,
სადაც მიწვდა, დაეწია,
მიამტვრია ყველას ფეხი,
ანა იყო გმირი ქალი,
მომხდურების შემმუსრავი,
გლეხის კაცის დამცველი და
მტრებისათვის სულთ მხუთავი[101].

ერთი თქმულების მიხედვით ანა მუხათელ გლეხთან ქორწილში
მიუწვეევიათ, როგორც საპატიო სტუმარი. აქვე ყოფილან ახლომახლო
სოფლებიდან ჩასული ნათესავები და ახლობლები. ამ შემთხვევით
თათრებს უსარგებლიათ, ქურდულად შემოსულან ვაშლოვანში და სოფ-
ლის განაპირა ოჯახს თავს დასხმიან. მოუტაცნიათ გლეხის ახალგაზრ-
და ქალი — თამრო და გაქცეულან. სოფელში დარჩენილებს მალე შეუტ-
ყვიათ მომხდარი ამბავი, თოფიც უსროლიათ, მაგრამ მტერი უვნებლად
წასულა მარაბდის მიმართულებით. ვაშლოვანელი მდევრები ჩამოსუ-
ლან მუხათში. გადაუციათ ანასთვის თავიანთი უბედურების ამბავი და
დახმარება უთხოვნიათ.

მეზობელ სოფელს მიმართეს,
მუდარითა და ხვეწნითა:

ვაშლოვანს საქმე ადგია,
აუწერელი ენითა.
ანავ, ღვთას მიერ ნაშობო,
ხაქმე ეეჭირს მეტად ცულიო.
ვაშლოვანს ქალი მოგვტაცეს,
თამრო წუნარი და მშვიდიო.

ანას სასწრაფოდ ჩაუცვამს მამაკაცის ტანსაცმელი, წელზე შემოურტყამს ხანჯალი, აულია თოფი, უთხოვია მეზობლის ცხენი. მტრებს მარაბდის ბოლოს დასწეია, გაუელეტია და დატყვეეებული ქალი მშობლებისათვის ჩაუბარებია.

მოსხდარი ფაქტი ხალხურ სიტყვიერებაში ასეა გადმოცემული:

მეზობელს ცხენსა უქებენ,
ფრინველზე უსწრაფესია.
ანამ იკი მოითხოვა,
ხაქმისთვის უკეთესია.

ანა უსამართლო მებატონეებს რისხვად ეელინებოდა. ხოლო ღარიბებსა და ღატაკებს მფარველობდა.

— დაახლოებით 150 წლის წინათ, — თქვა ალექსი ბაჯიაშვილმა, — ვაშლოვნელი მებატონის მამუკა ორბელიანის ბრძანებით მისივე მოურავს ჩვენი სოფლიდან ძალად წაუღია 15 ურემი ხორბალი და რამდენიმე ურემი თივა. ანასთან მისულა ღრმა მოხუცი გლეხი და უთქვამს:

ანა, რას ზიხარ მაგ სუურას,
რაღას უყურებ რასაო,
ორბელიანთ მოურავმა,
ხარიც წაგვართვა, ძნაცაო.

დაღონებული ანა წამომდგარა და მის წინ ჯოხზე დაყრდნობილი თავდაბრილი მოხუცისათვის უთქვამს:

ანა მოგიკვდეთ ბედშავი,
თუ გავაბარო მტერიო,
ნართმეულს უმალ წავართმეე,
თივა არის თუ ქერიო.

ანა დადეენებია ვაშლოვანის გზაზე მიმავალ მეურმეებს, წინ გადადგომია ორბელიანთ მოურავს. ხორბლითა და ძნით დატვირთული ურმები გლეხებისათვის დაუბრუნებია, ხოლო მოურავი გაუფრთხილებია, შემდეგისათვის ასეთი სისაძაგლე არ ჩაედინა, თორემ შავი დღე დაადგებოდა.

ანასაგან შეშინებული მებატონე მუხათელებს გადასახადის გადახდაზე ძალას ვერ ატანდა. მუხათელებმა და მეზობელ სოფლელებმა ავკაცებისაგან მოისვენეს.

სოფლელები მფარველ ანას ლექსით ამკობდნენ.

ანა ხარ, ჩვენი იმედი
და შენ გეფარავ მტარვალთგან.
თუ ჩვენზე რამე გაბედეს,
გეიდგეხარ შუდამ ბურჯად.

არსებობს გადმოცემა, რომ ანას ოჯახში ჰყოლია სტუმრები. მათ-შორის რომელიღაც ზნედაცემულ ადამიანს შეშურებია ანას გმირული დიდება და ღალატით მოუხერხებია საჭმელში საწამლავის ჩაყრა. ქალი შეუძლოდ გამხდარა. გასცლია სტუმრებს თხოვნით: თქვენ მოიღხინეთ, მე რაღაც შეუძლოდ ვარ, გთხოვთ, ნუ მიწყენთო და გასულა საწოლ ოთახში. მეორე დღეს იგი გარდაცვლილა!

ქართველმა ხალხმა დიდი პატივით დაიტირა განსვენებული. თბილისიდან და ახლომახლო მდებარე სოფლებიდან ბევრი პატივისმცემელი ჩასულა საყვარელი გმირი ქალის ცხედრის გამოსამშვიდობებლად. გარდაცვალების მეოთხე დღეს, კვირას იგი დაუკრძალავთ ჰუხათის ტაძრის ეზოში.

გარდაცვლილის უახლოეს მეგობრებს ამავე ტაძრის ნანგრევებიდან მოუტანიათ სამი ერთნაირი ქვა და დაუდვიათ განსვენებულის საფლავზე. ქვათა შორის გაკეთებული ყოფილა ანას სურათი, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი წაშლილა.

გიორგობის დღესასწაულზე სალოცავად უამრავი ხალხი იყრიდა თავს კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში. ისინი დიდი მოწიწებით მიდიოდნენ ანა-ბაჯის საფლავთან და პატივისცემით იგონებდნენ მის ცხოვრება-თავგადასავალს.

ანას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი ჩვენთვის უცნობია, ვიცით მხოლოდ ის, რომ როდესაც თბილისელებს „ყვენობა" მოეწყოთ და ერეკლეს ომს ეიონებდნენ, ამ დროს ანა საკმაოდ ჯანღონით სავსე ქალი ყოფილა. ხოლო 1816 წელს ძმის მონათხრობიდან ვიცით ანას ზოგიერთი თავგადასავალი და ისიც, რომ ამ დროისათვის იგი არ არის ცოცხალი.

ასეთია ხალხში დარჩენილი გადმოცემები გმირი ქალის ცხოვრება-თავგადასავლის შესახებ. შესაძლებელია მათში ბევრი რამ გაზვიადებულია, მაგრამ ეს მაინც მეტყველებს ანას დიდ მამაცობასა და მისდამი ხალხის ღრმა სიყვარულზე.

## მარიამ მანველაშვილი-ბოჩოლაშვილი

მარიამ მანველაშვილი-ბოჩოლაშვილი სამი ვაჟისა და რამდენიმე ქალის დედა ყოფილა. მისი ქმრისა და მშობლების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება[02]. მრავალშვილიან დედას უჭირდა შვილების მოვლა-პატ-

რონობა. ვაი-ვაგლახით ზრდიდა მათ. ასეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მარიამს დიდი უბედურება დაატყდა თავს: 1780 წელს ტყვეებით მოვაჭრეებს გაუტაცნიათ მისი ვაჟი — დავითი და ოსმალეთში მუსტაფა ბეგისათვის მიუყიდნიათ. ბეგს იგი საჩუქრად მიურთმევია სულეიმან ქართველისთვის. თანამემამულის დახმარებით დავითს კარგი განათლება მიუღია. სულეიმანის ქალიშვილი შეურთავს ცოლად და ბოლოს ბაღდადის ხელმწიფე გამხდარა. 1838 — 1839 წლებში ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დაუნიშნავთ. იგი ცნობილი ყოფილა დაუდ-ფაშას სახელით.

საინტერესოა ქართველი დედის დამოკიდებულება ოსმალეთში მყოფი შვილისადმი. ა. გრიბოედოვი 1824 წელს თავისი შენიშვნების რვეულში წერდა. „დაუდ-ფაშამ სამი წლის წინათ თავისი რწმუნებული მოავლინა საქართველოში, რათა დედამისი მარიამი ჩასულიყო შვილთან საცხოვრებლად, მაგრამ მან უარი თქვა მუსულმანურ ქვეყანაში მოგზაურობაზე და სამშობლოში ყოფნა ამჯობინა ფუფუნებით ცხოვრებას.

დაუდს ძალიან უყვარდა დედა. ხშირად მოიკითხავდა ხოლმე. ერთ-ერთ წერილში წერდა მარიამს: „...მოდი, შენი ნახვა მსურს. სხვაფერ ფიქრი ნუ გაქვს, რაერთხანსაც გენებებოდეს იყავი, როცა ინებებ, მაშინვე კიდევ დიდი პატივით გაგიშვებო“[103].

დაუდი მზრუნველობას არ აკლებდა დედას. მას კავკასიის მთავარმართებელ ერმელოვისათვის უთხოვნია, რომ დედა, ძმა, დები და ოჯახის სხვა წევრები გაენთავისუფლებინათ ორბელიანთა ყმობიდან, რასაც მოწმობს „მანველაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი“ (საბუთი № 19580—ხ)[104].

ბაღდადში შვილთან ჩასვლას, მაჰმადიანთა გარემოცვაში ყოფნას, სიმდიდრეს, ფუფუნებას, მშობელი ქვეყნის მოცილებას, მარიამმა საქართველოში გაჭირვებული ცხოვრება და სიკვდილი არჩია; იგი ყოველთვის უარით ისტუმრებდა დაუდ-ფაშას მიერ წარმოგზავნილ კაცს.

ასეთია მოკლედ ორბელიანთა ყმა-გლეხი ქალის ცხოვრება და შვილთან დამოკიდებულება.

თავი მეოთხე

# ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქალები

ბევრი შემაძრწუნებელი სურათია გადმოცემული წერილობით ძეგლებსა და ზეპირსიტყვიერებაში ტყვედ წაყვანილ ან გაყიდულ ქართველ ქალებზე.

ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაყოფამ, მტრების შეღმიეში შემოსევა-თარეშმა, მემამულეთა და თავადაზნაურთა გამუდმებულმა ქიშპობამ, გლეხების უმოწყალოდ ყველფამ, შიმშილმა და ყამიანობამ მოსახლეობა გააჩანაგა, ამას თან დაერთო გათავხედებულ ფეოდალთა სამარცხვინო მოქმედება — ყმების გაყიდვა უცხო ქვეყნებში. საამისოდ იყენებდნენ ახალციხეს, შავი ზღვის სანაპიროებს (ფოთი, ანაკლია), საიდანაც ტყვეები გაჰყავდათ თურქეთის, ირანისა და ეგვიპტის ბაზრებზე. ცნობილია ფაქტი, რომ მუჰამედ-ფაშას ბათუმიდან სტამბოლს გასაყიდად გაუგზავნია გურული ქალ-ვაჟებით დატვირთული ერთი გემი.

გურია-სამეგრელოდანაც იტაცებდნენ ადამიანებს და მიერეკებოდნენ თურქეთის ბაზრებზე. ისინი უმთავრესად მონებად და სულთანის პარამხანებისათვის იყვნენ განკუთვნილნი. ეს სამარცხვინო ჩვეულება — ადამიანთა მოტაცება — გავრცელებული იყო XVI საუკუნის დასასრულიდან, უფრო კი XVII — XVIII საუკუნეებში.

კიდევ უფრო ადრეული საუკუნეების ამბებია შემონახული ქართულ წერილობით ძეგლებში. ზეპირსიტყვიერებასა და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში აღწერილია ქართველ ქალთა უცხო მამაკაცებზე იძულებითი გათხოვების, უცხოეთის ბაზრებზე მოტაცებულ ქალ-ვაჟთა გაყიდვის ამბები. უცხოელი დამპყრობლები ჩვენი ქვეყნიდან დიდ ხარკს იღებდნენ, აგრეთვე მიჰყავდათ ლამაზი ქალები. ცნობილია შემთხვევები, როცა გატაცებული ქართველი ქალი იძულებული იყო ოვითმკვლელობით დაემთავრებია სიცოცხლე, რომ ურჯულოთა ხელში არ ჩავარდნილიყო. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი ტყვე ან გაყიდული ქალი, იძულებით შაჰისა თუ სხვა რომელიმე დიდკაცის ცოლიც ხდებოდა. მაგალითად, შაპ-დარუს ორი ცოლი ჰყოლია, მათგან ერთი მონებით მოვაჭრისაგან ნაყიდი ქართველი ქალი, შაპი ამ ქალის სილამაზით ისე მოხიბლულა, რომ ცოლად შეურთავს, შეყვარებია და

პირველი ცოლის აღვილიც მიუკუთვნებია. ეს ქალი სილამაზესთან ერთად ჭკვიანი, დარბაისელი, გამჭრიახი და განათლებულიც ყოფილა. მას ისეთი დიდი გავლენა ჰქონია შაჰ-დარუზე, რომ ეს უკანასკნელი ვაუქრისტიანებია კიდეც[1].

უაღრესად ტრაღიკულ მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენი ქვეყანა XVII საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც შაჰ-აბასმა კახეთიდან აჰყარა გლეხები და სპარსეთის მოუსავლიან ადგილებში დაასახლა. მისი ვერაგობის მსხვერპლი გახდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც.

„სამწუხაროა, იმ ქართველ ქალთა ცხოვრება — აღნიშნავს აკად. კ. კეკელიძე, — რომლებიც მეფე-დიდებულთა ოჯახებიდან იგზავნებოდნენ შაჰის კარზე, როგორც მეუღლენი და თანამეცხედრენი. ან იძულებით, ან ნებაყოფლობით უკანასკნელ შემთხვევაში იმ ანგარიშით, რომ დასიძების გზით აეცილებინათ და ასე თუ ისე შეერბილებინათ გულისწყრომა და რისხვა ჯალათებისა. საბოლოოდ ამ ქალებსაც სამშობლოსათვის განწირულთა როლში ვხედავთ. რამდენი მწარე ცრემლი დაუღვრიათ მათ, სამშობლოსგან მშობლიურ მხარეს განშორებულთ. რამდენი დამცირება, შეურაცხყოფა და გულისტკივილი განუცდიათ მათ უცხო ქვეყანაში"[2]. ტყვე ქალთაგან შაჰ-აბას პირველს ცოლად ჰყოლია ანდუყაფარ ამილახვრის და თამარი, მეფე სიმონის და — ფაბრიჰ-ჯან ბეგუმი, თეიმურაზ პირველის და — ელენე, ლუარსაბ მეფის და — ლელა.

ამავე საუკუნის მეორე ნახევარში შაჰ-თამაზს ქართლში შემოსვლისას ტყვედ წაუყვანია ლუარსაბ მეფის დედა დარეჯანი და დაი, ერევანში შაჰმა სცადა ლუარსაბის დედის გაუპატიურება, მაგრამ „სცნა დედამან ლუარსაბისამან გაუპატიოება თავისა თვისისა... შესვა წამალი სასიკვდინე და მოიკლა თავი თვისი და არა შეამთხვია თავსა თვისსა საქმე უჯერო.. სასჯელითა და უპატიოებით აღესრულა"[3].

ტყვეების ყიდვა-გაყიდვამ ბატონყმობის დროს ფართო ხასიათი მიიღო. თეიმურაზ პირველი რუსეთის მეფისადმი მირთმეულ ბარათში (1639 წ.) აღნიშნავს: დადიანი და გურიის მთავარი ყოველწლიურად ჰყიდიან ახალგაზრდებსო[4]. XVIII საუკუნის დასაწყისში მამია მესამე გურიელი პირობისა და ფიცის წიგნს აძლევს გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოდან „ღმრთისაითა მოსაქცეველად ჩვენთვის წარმოგზავნილსა მამასა ჩვენსა წმიდასა ბესარიონს" (ორბელიანს). მასში ხაზგასმით ნათქვამია, რომ მის საბატონოდან ტყვეს ვერავინ გაყიდის[5].

ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა. მან 1759 წლის დეკემბერში მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და ფეოდალების საგანგებო კრება, რომელმაც სასტიკად აკრძალა ტყვეთა გაყიდვა[6]. დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს მან ჩამოართვა შემდეგი შინაარსის პირობის წიგნი: „სანამ-

დის სული გვიდგას, ესე საქმე (ტყვეების გაყიდვა) ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მივუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი ვიქნეთ და გულით წმინდით ერთმანეთს მივუდგეთ. აწ ვინც და რა რამანც ძმამან კაცისამან ეს შეშალოს, დიდმან ან მცირემან, ისევც შეიშლების, სჯულისა და უსჯულოსა მეცნიერებისაგან; მასამც ედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, შეხტეხილობა დეოსკორესი... მათ ზემო წერილ მადლთაგან შეჩვენებული ვიყოთ, თუ ეს შეეშალოთ... შეჩვენებული ვიყოთ სულით და ხორცით... დამამტკიცებელი ამისი კურთხეულ იყო სულით და ხორცით"[7]. ამიტომაც სოლომონის საფლავის ქვაზე ხალხს ასეთი შინაარსის წარწერა გაუკეთებია:

ამის ავი კაცი ვიყავ — ტყვე არვის ვაყიდვინეო,
შეიდი წლის ხმელი მაშალი ხეს შევსვი, დავაყიელეო,
მწყემსი ვასუქე, ვალალე, ჩეროს ქვეშ დავაძინეო...[8];

ტყვეებით ვაჭრობის შემაძრწუნებელ ფაქტს აღწერს სულხან-საბა-ორბელიანი (1658 — 1725). მას, სამშობლოსაკენ მომავალს, ხოფაში უნახავს გასასყიდად გატაცებული ქართველი ტყვეები. მათ უნუგეშო ხვედრს შეუძრწუნებია პატრიოტი მოგზაურის გული: „იქ, მეტყვეე თათრები იყვნენ, იმერეთიდამ ტყვეები მოჰყვანდათ კონსტანტინეპოლს დასასყიდლად"[9].

შარდენი გადმოგვცემს, რომ ხარჯის აკრეფის დროს „ყველა ოჯახიდან, საცა ოთხი ბავშვი იყო, ერთი მიჰყავდათ. ძალიან საცოდავი სანახავი იყო, როცა საწყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდან, გადაბამდნენ ორ-ორს ერთმანეთზე და მიჰყავდათ ოსმალებთან"[10].

ვოლტერი 1770 წლის 2 იანვრის თარიღით ვერნეიდანიდან წერს რუსეთის დედოფალს ეკატერინე მეორეს: „მოელიან ქართველების მანიფესტს. ისინი კატეგორიულად აცხადებენ, რომ აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავიანთი ქალწულები"[11].

●

სამხრეთ საქართველოში ხშირად მოისმენთ ხალხურ თქმულებებს, რომლებშიც აღწერილია უცხოობაში მყოფი ქართველი ქალების სულიერი ტანჯვა.

ასპინძიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე მტკვარს ორი ხევი შეერთვის. მათ შესართავთან დღეს ნასოფლარები შეინიშნება. ერთს ეწოდება ჩიხორიში, მეორეს ხვილიშა. ამ ხეობებთან დაკავშირებულ თქმულებაში აღნიშნულია[12]:

სოფელ ოთაში ერთ მებატონეს ჰყავდა 13-14 წლის ასული თებრო-

ნია, რომელიც ბავშვებთან ერთად წასულა ტყეში ჟოლო-მოცხრის საკრეფად. ბავშვებს თავს ლეკები დასხმიან და გაუტაცნიათ. ტყეეები ახალციხეში ჩაუყვანიათ გასასყიდად. თებრონია უყიდია ახალგაზრდა ბეგს, რომელსაც გოგონა ძალზე მოსწონებია და ცოლად შეურთავს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბეგი თავისი ცოლით საცხოვრებლად სტამბოლში გადასულა. სამშობლო მხარეს მოცილებული თებრონია ღიდ მწუხარებაში ჩავარდნილა. ერთხელ მარტო მყოფ ქალს ხმამაღლა უნატრია: „გამჩენელო, მომეცი იმის საშუალება, რომ ერთხელ მაინც დავლიო ჩიხორიშის წყალიო". მეუღლეს, რომელსაც ძლიერ ჰყვარებია თებრონია, ნატვრა გაუგონია და ცოლის დაუკითხავად გაუგზავნია კაცი ახალციხეში, ერთ თავის ამხანაგ ბეგთან და მიუწერია: ამივსეთ სურა ჩიხორიშის წყლით და სასწრაფოდ გამომიგზავნეთო. თხოვნის შესასრულებლად ახალციხის ბეგს ჩიხორიშის წყლის მოსატანად გაუგზავნია მსახური ვერცხლის სურით. მსახურს ჩიხორიშის წყლით სურა აუვსია და, სანამ ის ხვილიშაში მიეიდოდა, მოსწყურებია და სურიდან ცოტა წყალი დაულევია. ხვილიშაში მისულს სურა ხვილიშის წყლით შეუვსია, ჩაუტანია ახალციხეში და გადაუცია ბეგისათვის, რომელსაც გაუგზავნია სტამბოლში თავის მეგობრისათვის, ქმარს წყალი სურით მიუცია თებრონიასათვის და, როდესაც ავადმყოფ ქალს წყალი დაულევია, მაშინვე წამოუძახია:

— ჩიხორიშის წყალო, რა კარგი იქნებოდი, რომ ხვილიშის წყალი არ გერიოსო...

სამშობლოსა და ახლობლებს მონატრებული უცხოობაში მყოფი თებრონია დარდისაგან გარდაცვლილა.

❦

ქართველ ქალთა მოტაცების ამბავი აღწერილია ინგილოურ ლეგენდაში, რომლის სათაურია „ეშაფოთის კოშკი"[13].

სოფელ ელისეში ცხოვრობდა სილამაზითა და სათნოებით განთქმული სამი ქალწული. მათი ქება-დიდების ამბებმა დაღესტნამდე მიაღწია და ლეკების მთავარსარდალს ალილ-ბეის აუძგერა გული. ალილ-ბეიმ ეს ქალები საკუთარი თვალითაც ნახა ქურმუხის ეკლესიაში ხატობაზე. მან თავის ძმადნაფიცებს ომარსა და მაჰმუდს უთხრა: საინგილოს სამი ბზე ჩვენი ცხოვრების მანათობლად უნდა წამოვიყვანოთო.

ქალებმა შუამავლის პირით უარი შეუთვალეს მუსულმანებს — უმალ სიკვდილს ვირჩევთ, ვიდრე ქრისტეს რჯულს ვუღალატებთო. ქალებმა გადაწყვიტეს, რომ ცოცხალი თავით არ დანებებოდნენ ურჯულოებს. სოფელ შოთავარში მიაშურეს ერთი მონადირის ოჯახს, ხოლო მეორე დღეს მონადირემ ისინი ყუმის დედათა მონასტრის საიდუმლო გვირაბით წაიყვანა ზაქათალისაკენ და ბინა თამარ მეფის ყოფილ თავშესაფარში მიუჩინა.

დიდი წეალების შემდეგ ალილ-ბეიმ ძმადნაფიცებით მიაგნო ქალების კვალს, დაატყვევა და წაიყვანა. მტაცებლები ქალებს შეეკითხნენ:

— რატომ გვიწუნებთ, ცუდი რით ვართ?

ერთმა დობილმა უპასუხა:

— როგორიც არ უნდა იყოთ, ჩვენი სამშობლოსა და რჯულის მტრები ხართ და ჩვენი ქმრები ვერ გახდებითო.

ალილ-ბეი ქალებს სიკვდილით დაემუქრა. თავდახრილმა დობილებმა ერთხმად უთხრეს:

— ბედნიერია ის, ვინც სამშობლოსათვის მოკვდება! რჯულის ღალატსა და თქვენს ცოლობას ისევ სიკვდილი გვირჩევნია.

იქ დროს სოფელ ელისესთან კოშკი შენდებოდა. ალილ-ბეიმ ბრძანა შეპყრობილები კოშკში ცოცხლად ჩაეტანებინათ.

გულქვა ალილ-ბეიმ დობილებს უკანასკნელი სურვილი შეუსრულა: ჩაამარხვინა იმ კედელში, რომელიც საქართველოს გადმოპყურებდა.

●

გატაცებისა და ნამუსის ახდის წინააღმდეგ ჩვენი ქალები დიპლომატიურ ხერხსაც მიმართავდნენ. მეორე ინგილოურ თქმულებაში („მზეთუნახავი და ოქროს მამალი") გადმოცემულია შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცის — ასლანის თავდადება ქვეყნისა და ხალხისათვის. ასლანის სიმდიდრე მხოლოდ მისი ასული — მანიჟე იყო. იგი დღისით კოშკში ჰყავდა შეხიზნული, რომ მტერს არ გაეგო მისი სილამაზის ამბავი და არ მოეტაცნა. გარეთ მხოლოდ ღამით გამოდიოდა, მთვარის შუქზე დალალებს გაიშლიდა და მის ვარცხნას იწყებდა.

მანიჟეს ჰყავდა ერთი მამალი, რომელსაც ბიბილო, ნისკარტი, კუდი და დეზები ოქროსი ჰქონდა. მამალი მხოლოდ მაშინ იყივლებდა, როცა მტერი საზღვარს მოუახლოვდებოდა. ამ ნიშანზე ხალხი აიშლებოდა მტრის დასახვედრად.

ერთხელ, ღრეობის დროს ინგილოები დამთვრალან და ისე მაგრად დაუძინიათ, რომ მამლის ყივილი ვერ გაუგიათ. შემოსეულმა მტრის ჯარმა ქვეყანა ააოხრა; კოშკის ზღურბლზე ჩაძინებულ ასლანს თავი მოჰკვეთეს, კოშკი გატეხეს და შიგ შეავიდნენ. ბნელოდა, მაგრამ მანიჟეს სახე სხივებს აფრქვევდა და იქაურობას ანათებდა. დამპყრობლებს მსგავსი სილამაზე არ ენახათ. გადაწყვიტეს ქალი ტყვედ წაეყვანათ და თავიანთი მეფისათვის მიერთმიათ. მანიჟემ მათ მოახსენა:

— „ვიცი, რომ გინდათ უცხო ქვეყანაში წამიყვანოთ, ჩემთვის კარგი რამ განგიზრახავთ, მაგრამ სანამ ამას შეასრულებდეთ, ერთი სათხოვარი მაქვს: დიდი ხანია აღთქმა მიეეცი ქურმუხის წმიდა გიორგის,

რომ ეს მამალი შემეწირა ზვარაკად, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვახერხე. ამ ბოლო დროს მამალი დასნეულდა. დღე და ღამე თვლემს, ველარ ყივის. არ მინდა მოკვდეს და მისი დარდი გულში ხინჯად ჩამრჩეს. მსურს ეს აღთქმა შევასრულო და შემდეგ ჩემი ქვეყნის მიწა-წყალი დამშვიდებულმა დავტოვო.

დამპყრობლებმა ქალს დასტური მისცეს. თუ მართლა ის მიწერია ბედად, რომ ჩემი ქვეყნის მტერმა ფეხქვეშ გათელოს ჩემი ჩიქილი, პატიოსნება, მიჯობს ცოცხლად დავიმარხო ჩემს ქვეყანაში. ამ აზრით გამსჭვალულმა მანიჟემ ქურმუხის წმიდა გიორგის საყდარს მიაღწია. მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ არავინ იყო. თვალი მღვიმეს შეავლო და ინატრა, ნეტავ ახლა ეს მღვიმე გაიხსნებოდესო. ის იყო, მამალი უნდა გაეფრინა და თვითონ კლდეზე გადაშვებულიყო, რომ ქურმუხის წმიდა გიორგის საყდრის ქვეშ დატანებული მღვიმე გაიხსნა, მანიჟე და ოქროს მამალი შიგ შეიმალნენ და კარებიც მაშინვე მიიხურა".

მტრის ჯარისკაცები დიდხანს ელოდნენ მანიჟეს, ბოლოს ძებნა დაუწყეს, მაგრამ ვერ იპოვეს. მათ ქურმუხის ეკლესია დაანგრიეს და უკან გაბრუნდნენ[14].

●

თურქები ქალებს უმეტესად გურია-სამეგრელო-იმერეთიდან იტაცებდნენ და ჩაჰყავდათ სტამბოლის ბაზრებზე: გაყიდულები ოსმალეთის სულთნის ჰარამხანაში ხვდებოდნენ.

სულთან მურადს სტამბოლში დიდი ჰარამხანა ჰქონდა. როდესაც ეკითხებოდნენ: რად გინდა ამდენი ცოლიო, უპასუხებდა: „ჩვენ, მაჰმადიანებს კანონი შვიდი ცოლის შერთვის უფლებას გვაძლევს, ხოლო მე, როგორც სულთანს და ხალხთაგან რჩეულს, მეტი მეკუთვნის, მაგრამ რადგან მამად ვითვლები ქვეშევრდომთა შორის, არა მაქვს ჩვენიანი ქალის შერთვის ნება. უთუოდ სხვა სახელმწიფოში უნდა მოვნახო ულამაზესი. ხომ იცით, თვალი ჭამს და თვალი სვამს. ასეთი ულამაზესი ქალები მხოლოდ საქართველოშია. ქრისტეს მორწმუნეთა შორის ჩვენი კანონი გვიშლის მათთან შეუღლებას. ამიტომაც იძულებული ვართ ძალმომრეობა ჩავიდინოთ, მოვიტაცოთ მშვენიერი ქალები და ვიყოლიოთ ჰარამხანებში".

ერთი გურული ტყვე ქალი[15], თამრო გოგუაძე მოხვედრილა ამ სულთან მურადის ჰარამხანაში. გოგონას თავგადასავალი ასეთი ყოფილა: ყანაში მომუშავე ძმებისათვის მას ცივი წყალი უნდა მიეტანა. წასულა საცივისაკენ, ღარისათვის შეუდგამს დოქი და უცდიდა წყლით ავსებას. ამ დროს ზურგიდან თურქები დასხმიან თავს, შეუპყრიათ და სტამბოლ-

ში წაუყვანიათ. თამრო გოგუაძე, როგორც ლამაზი ქალი, ჰარამხანის მსხვერპლი გამხდარა. აქვე ყოფილა გურიიდან ტყვედ წაყვანილი სხვა ქალიც, რომელსაც ფოხერხებითა და გამჭრიახობით სულთან მურადის ყურადღება დაუმსახურებია და ჰარამხანის ზედამხედველად დაუნიშნავთ.

ეს ქალი თამროს დედობრივი მზრუნველობით უვლიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ასცდენოდა მტარვალის ბინძური ხელი.

ერთ შშვენიერ საღამოს თამრო ჰარამხანის აივანზე გამოსულა და ზღვას გასცქეროდა. ტირილით ხმამაღლა მოთქვამდა თავის უბედურებაზე და ყოველ ამოოხვრისას „ვაი, ნენას“ ამოიძახებდა.

ქართულად მოთქმით ტირილი გაუგონია ნავში მსხდომ მამა-შვილს. ნავი ნაპირთან მიუყენებიათ და ქალისათვის გამოუკითხავთ, თუ როგორ მოხვდა მტრის ხელში. თამროს უცხო მგზავრებისათვის ყველაფერი უამბნია, ისიც უთქვამს, რომ ქართველი ვარ გურიის სოფლიდან, გოგუაძის ოჯახიდანო.

ნამშობლოში დაბრუნებულ მამა-შვილს მოუძებნიათ ქალის მშობლები და გადაუციათ თამროს ამბავი.

ძმები წასულან დის გამოსახსნელად. ნავი სწორედ იმ ადგილას მიუყენებიათ, სადაც და ეგულებოდათ. ტყვე ქალს სასწრაფოდ მოუბამს თოკი ჰარამხანის მოაჯირისათვის და ნავში გადმოშვებულა.

ჰარამხანის გუშაგებს შეუნიშნავთ ქალის გაქცევა. ამტყდარა თოფების სროლა, თამრო და მისი ძმები სახიფათო ადგილს მალე გასცლიან, მაგრამ მათი ნავი რამდენიმე ადგილას ტყვიას გაუხვერტია, ნავი წყლით ავსებულა და ლტოლვილები ზღვაში ჩაძირულან.

●

„ბახმაროს“[16] სახელწოდებით გავრცელებულ ლეგენდას გურიაში ტყვეთა მოტაცების ამბებს უკავშირებენ. თქმულებაში ნათქვამია:

ერთ წარჩინებულ თავადს ჰყავდა ერთადერთი ასული მარო, რომელიც სიმშვენიერითა და ბრწყინვალებით მზეს ედრებოდა. ბევრ ყმაწვილს ჩაუვარდა მაროს სიყვარული გულში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მამა გასათხოვრად ვერ იმეტებდა.

მაროს სიმშვენიერით მოხიბლული ყოფილან მტაცებლებიც, რომელთა მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ თავადის ქალი ხელში ჩაეგდოთ, ბაზარზე გაეყიდათ და დიდძალი თანხა აეღოთ.

მძარცველებს გურიაში ადგილმდებარეობისა და ხალხის გაცნობის მიზნით ჯერ ვაჭრობა დაუწყიათ, რომ ადვილად შეძლებოდათ მაროს მოტაცება.

ერთ საღამოს, ტყის პირად სეირნობის დროს თავადის ქალი თურქებს შეუპყრიათ, პირი აუკრავთ და გაუტაცებიათ. როდესაც ხალხს ეს ამბავი შეუტყვია, მთელი სოფელი შეყრილა. ამოურჩევიათ კარგი ვაჟკაცები და ქალისათვის დაუდევნებიათ.

მტაცებლებს ნადაელი ხევიდან ხევზე, მთიდან მთაზე გადაჰყავდათ და ბოლოს დაღლილებმა შეისვენეს დღევანდელი ბახმაროს ცენტრალურ ადგილას. თავი სამშვიდობოს ეგონათ და გამარჯვებასაც ზეიმობდნენ. მაგრამ უცებ დაინახეს მდევრები, შეშინდნენ და გადაწყვიტეს ქალის მოკვლა.

ნაბადში შეხვეულმა თავადის ქალმა იგრძნო მოახლოებული საფრთხე. ვაჟკაცური სიძლიერით დასწვდა მტარვალის მიერ მიწაზე დაგდებულ მახვილს და თვალის დახამხამებაში ერთი შემპყრობი სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო მეორემ მაროს ხმლით თავი წააცალა და მისი სისხლით ტანზე თურქულად წააწერა „ბახ-მარო", ე. ი. ნახე-მარო, ან აი, შეხედეთ თქვენს მაროს.

უდავოა, ამ ლეგენდას კავშირი აქვს ისტორიულ სინამდვილესთან — ადამიანთა მოტაცებისა თუ ყიდვა-გაყიდვის ამბებთან.

შევარდენ ლომჯარია გადმოგვცემს:

ქობულეთის რაიონის მცხოვრებმა ოქროპირ-ოღლიმ მოგვტაცა უფროსი და ძილიხანი, რომელიც გაყიდვას თავისმა სილამაზემ გადაარჩინა. ოქროპირ-ოღლის საკუთარმა დედამ ურჩია, ამ გურულ ქალს ნუ გაჰყიდი, ცოლად შეირთეო. ოქროპირმა დედას დაუჯერა და ძილიხანი შეირთო. ოქროპირს ისე შეუყვარდა მეუღლე, რომ თავის სამარცხვინო ხელობას თავი მიანება, მოძებნა ცოლის ნათესავები, შეურიგდა მათ და ძილიხანს ნება მისცა ქრისტიანად დარჩენილიყო. ოქროპირი ცოლ-შვილით დადიოდა გურიაში ნათესავებთან. როდესაც ძილიხანი სალოცავად ეკლესიაში შედიოდა, ქმარი გალავანში უცდიდა და გურულებს ებაასებოდა. მათი შთამომავლები ლომჯარიების ნათესავები არიან.

შევარდენს ასევე მოტაცეს 16 წლის და ეკა, რომელიც მთავრობის საშუალებით დაიბრუნა.[17]

●

მოტაცების მსხვერპლნი სრული ასაკის მანდილოსნებიც ხდებოდნენ. ერთი ასეთი ქალი გაუტაცებიათ მარტყოფიდან, განჯელ თათარს ჰყოლია ტყვედ და დიდ შეურაცხყოფას, დამცირებას განიცდიდა. ლექსში „მარტყოფო, დიდო სოფელო" ტყვე ასე მოსთქვამს:

მარტყოფო, დიდო სოფელო,
ნორიო — ყურძნის მტევანო,

მანდ რო ქალი დაეიკარგე,
განჯას ოთარსა ეყეარო,
ქიშმიშით გასუქებული,
ვაბადრულ მთვარეს ვგვარო!
მაცეა სიასამური,
მაშიებბელა ელვეარო,
ლლისით მიყრია ბორკილი,
ლამე შუაში ეშეარო.
წან მიდგას ოქროს მანდილი
ზედ კეიცის ხორცი ყრიაო,
მშიან და ეერ მიჭამია
რჯული ეერ დამიგდიაო.
ტალიკ-ტალიკნო ეაგკაცნო,
მისადეე-მოსადეარნო,
მოკრიფეთ თათო შური,
მიხსენით, თქვენი ტყეე ეარო[18].

ასე გულსაკლავად მოსთქვამს მშობლების კალთას ვერაგულად მოწყვეტილი ქალი, რომელიც სასოებით ეხვეწება შინაურებსა და მეზობლებს უშველონ, გამოიხსნან და უბედურებას გადაარჩინონ.

●

ტყვეების გატაცება და ვაჭრობა იყო ქართული მოსახლეობის შემცირება-განადგურების ერთ-ერთი მიზეზი. ამიტომ ერეკლე მეფე არავითარ ღონეს არ ზოგავდა ამ სამარცხვინო სენის მოსასპობად: მან ლეკების ასალაგმავად დააწესა მორიგე ჯარი. ერეკლეს მოქმედებამ ხელი შეუწყო ქართლ-კახეთში დროებითი მშვიდობიანობის დამყარებას, მაგრამ მეფემ მაინც ვერ შეძლო ლეკების თავდასხმების აღკვეთა.

იმის მიუხედავად, რომ მტერი დიდად ავიწროებდა ჩვენს ქვეყანას, ქართველი ხალხი მაინც უდიდეს წინააღმდეგობას უწევდა უცხოელ დამპყრობლებს.

ლეკთა მარბიელი ჯგუფების წინააღმდეგ მამაკაცებთან ერთად ქალებიც იბრძოდნენ. ერთ-ერთ წარტყვევნის გამო ისტორიკოსი დაეით ბატონიშვილი წერს: „მუნ დიაცმან ერთმან ტყვეთაგან მან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მიიყვანა მხედრობასა შინა ქართველთასა“[19].

ასევე ტყვე ქალს, რომელიც მუსულმანთა ქვეყანაში მიპყავდათ, უმარჯვნია, დამპყრობლებს გამოქცევია, მოსულა თავის სამშობლოში და თან შეპყრობილი მუსულმანებიც მოუყვანია. ისტორიკოსის სიტყვით: „ერთისა ტყვისა დედაკაცისაგან სამი და ოთხი მუსულმანი მოიყვანებოდაო“[20].

პლატონ იოსელიანი წერს, რომ 1800 წელს ლეკებმა ააოხრეს სოფელი საქაშეთი და „წარიტაცეს კაცნი და ქალნი და მათთან ცოლი დიმიტრისა, დაი დიასამიძისა თინათინ და დედა ქაიხოსროსი, ბარბარე ამილახვრისა გიორგის ცოლი და მღვდელი ილარიონ“[21]. ისტორიკოსი იმასაც გადმოგვცემს, რომ ავარიის მთავარმა „ომარ-ხანმა სოლომონ პირველის დროს ვახანის ციხე დაარღვია და, რა დასტყვევა ორი და აბაშიძეთა გვარისა, ერთი შეირთო თვითონ და მეორე მისცა თავისს ბიძას იბრაჰამს — შუშის ხანს. ამ დროებში სპარსნი და ოსმალნი დიდ-ძალს ვაჟ-ქალთ სტყვეეებდნენ და გაიყვანდნენ საქართველოდან, ხარკათაც ედვათ ესე უბედურთ ჩვენ მთავრებს და მეფეებს. ეგვიპტე, კონსტანტინეპოლი, ისპაჰანი და სხვა ადგილები ბაზრებად იყვნენ გადაქცეულნი, სადაც ეს სიტყვიერი საავაჭრო ისყიდებოდა და დიახ, დიდი გასავალი ჰქონდა“[22].

ყოველივე ამის გამო 1789 წლიდან სახელმწიფო ხაზინაში გამოიყო სპეციალური თანხა ლეკთა მიერ დატყვეებული დაღესტანსა და ირანში გაყიდული ქართველების გამოსახსნელად.

მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი უსახელებია ერეკლე მეფის ვაჟს ლევან ბატონიშვილს.

ერთი ხალხური ლექსი, რომელიც აღწერს ქართველი ქალის გატაცებას ლეკების მიერ, ამ ამბავს შეეხება. აი, ეს ლექსიც:

ბატონიშვილო ლევანო,
მარვალიტისა მტევანო,
დაღესტანს ლეკებს მიყვევარ,
დამიხსენ, შენი ტყვე ვარო[23].

ლევან ბატონიშვილი იყო ერეკლეს უსაყვარლესი ვაჟი, „მორიგე ჯარის“ სარდალი. ლევანმა ამ ჯარით განამტკიცა არა მარტო მეფის ხელისუფლება, არამედ მშრომელ მოსახლეობას შეუქმნა მშვიდობიანი სამეურნეო საქმიანობის პირობებიც. მემატიანის გადმოცემით, „ესრეთ დამშვიდდა ქართლი, რომელ ღართის კარსა დიაცნი შინა, თვინიერ მამაკაცისა, ვიდოდიან“[24].

●

ლამაზი ქალის მშობლები ყოველ წუთს შიშში იყვნენ. ამიტომ ქალებს აღრე ათხოვებდნენ, ანდა აკვანშივე ნიშნავდნენ. ასეთ ხერხს მეტადრე ღარიბი ხალხი მიმართავდა იმიტომ, რომ გათხოვილის ან დანიშნულის წაყვანას მებატონეები შედარებით ვერ ბედავდნენ. მშობლები მიმართავდნენ ასეთ ხერხსაც: ქალიშვილებს ძალზე ცუდად აცმევდ-

ნენ, სახეს მურით უთხუპნიდნენ, რომ გადაგვარებულ მებატონეებს ისინი არ მოსწონებოდათ და არ მოეტაცნათ.

არსებობს ასეთი გადმოცემა:

ერთხელ ლეკები მოსდგომიან სოფელ ეღოს. იქაური ქალიშვილები შეედრეკებიან მამა მიქელას: ნუ დაგვაწბილებ, შენის ხელით სიკვდილი გვირჩევნიაო. მამა იძულებული გამხდარა საკუთარი ქალიშვილები დაეხოცა, ოღონდ კი ეხსნა მტრის მიერ გაუპატიურებისაგან; მიქელას ეს უბედურება ვერ აუტანია და გაგიჟებულა.

ხალხს ამაზე ლექსი („თავისი ქალების დახოცვა")[25] შეუთხზავს:

სამციხელების თოფებმა ეღოს ძირს შამაპხეიღაო,
ეგრე გამხდარა უკიშვილ თათარა, როგორც სინაო.
მაქელი, სურას გაზრდილი, რად არეინ დიჭირაო?
ქალნი დახოცნა თავისნი, სულეთი წაიხდინაო.
ყველასამც ეგრე მაუვა, ვინც მიქელს გაუცინაო.
ერთხან გამოვა კარშია, ისევ შამოვა შინაო.
კარს უდგას ლეკის ლაშქარი, თავი მით მაიწყინაო.

ზოგ შემთხვევაში ტყვეები ახერხებდნენ არა მარტო თავის დახსნას, არამედ მის ბედში მყოფთაც ეხმარებოდნენ განთავისუფლებაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ხირჩლას ქალი, რომელიც ლეკებს მოუტაცნიათ, მაგრამ იგი სულიერ მხნეობას იჩენდა, სხვა მოტაცებულ ქალებს ამხნევებდა და გაქცევისაკენ მოუწოდებდა.

ხალხური სიტყვიერებიდან ცნობილია, რომ ხევსური ქალები (მათ შორის ხირჩლას ქალიც) ლეკებს ტყვედ წაუსხამთ. ისინი თურმე არ მიჰყვებოდნენ და უძალიანდებოდნენ, ამის გამო ერთი მათგანი მოუკლავთ კიდეც. ხირჩლას ქალს მის ბედში მყოფი ამხანაგებისათვის უთქვამს: გავყვეთ მტაცებლებს, თორემ თანამოძმე შატილელები გაიგებენ, დაგვედევნებიან და ვაი თუ ლეკებმა მოგვიკლან რომელიმე და მაშინ იმათი ცოდვა ჩვენ დაგვედებაო. ხომ იცით, ხევსურთ ძვირად ღირთ „ადამიანის სიცოცხლეო". ასეთი წინდახედულებისათვის აქებენ ხირჩლას ქალის საქციელს.

როგორც ირკვევა („ხირჩლას ქალი ტყვედ")[26], თანამოძმეებს ტყვედ წაყვანილი ქალები სისხლის დაუღერელად გამოუხსნიათ, ხოლო ხირჩლას ქალზე შეუთხზავთ ასეთი ლექსი:

ბარაქალ, ხირჩლაის ქალო! ღმერთმა გიცოცხლოს ძმანიო!
თაესა დადექ ქალებსა: „ჩქარა გაეიხვნეთ გზანაო!
ვაიგებს შატილიენები, სისხლის გაიელის წყალიო!"

არაერთხელ შეჯავშნულა თუშის ქალი ელენე და მტრის სისხლითხმალი შეუღებავს:

ელენე მანდილოსანმა საბელ ლაიდო თავზეო,
აკაფა ლეკის ბელადა, მკელარი დააგდო გზაზეო,
მოაჭრა მარჯვენა ხელი, მიაკრა ციხის კარზეო[27].

ერთი თუშის ქალი[28] ლეკებმა ძალად შეიპყრეს, ტყვედ წაიყვანეს, პორკილები დაადეს და გამოკეტეს ნესტიან ბაგეაზის ციხეში, რომლის პატარა სარკმელში მზე იშვიათად თუ შეიხედავდა. ამ ყოფაში ტყვე ქალმა რვა წელი გაატარა, მაგრამ ბოლოს მოახერხა გაქცევა.

აედექი, გამოეპარე, ვაჟურად ვცადე თავია,
მდევარი გამომიყენეს, ახლად წვერ შემომდინარი,
მდიეს და ვერ დამეწიენეს, ქალი მე ვჯობდი თმიანი,
ახლა ცხენებ გამომიყენეს, მოქრიან როგორც ფრთიანი.

მდევრები გაქცეულ ქალს ცხენითაც ვერ დაეწიენენ, რადგან უვალი გზებით მიდიოდა. შეპყრობაზე ხელჩაქნეულებმა ქალს ისარი ესროლეს:

ზურგთა მკრეს, გულსა მეწია, მუხლი მომეღო მავალი,
ქალ უკან დამაბრუნიან, ცრემლით ვასველე გზანია.

ტყვე ქალს განთავისუფლების იმედი დაეკარგა და ლეკეთის თავზე გადმოფრენილ ფრინველს შესთხოვა, რომ სამშობლოში სატრფოს ჩაუტანოს მისი უბედურების ამბავი, აიღოს ხმალი და შური იძიოს მტაცებლებზე. თუშეთში მყოფმა სატრფომ გაიგო თუ არა ეს შემაძრწუნებელი ამბავი, შეიარაღდა, დიდი ხნის სამყოფი საგზალი აიკიდა და წავიდა მთაში ლეკთა წინააღმდეგ საბრძოლველად, საყვარელი ადამიანის გამოსახსნელად. იგი მტრებს წუთისოფელს ასალმებდა, სატრფოს გმირული ბრძოლის ამბები ტყვე ქალს შეუტყვია და გახარებული ამბობდა:

დედა გიტიროს, ლეკებო, ჯავრი არ ჩამყვა თქვენზედ...
დავრჩი მე უცხო ქვეყანას, უცხოსა მიწა-წყალზედ.

ლექსი — „ტყვე ქალმა ბელადს ყელი გამოსჭრა"[29] — მოგვითხრობს გადაგვარებულ ფეოდალ მელიქიშვილის თარეშზე სოფელ ყვარელში. იგი დიდად დახელოვნებული ყოფილა ადამიანთა შეპყრობაში. ამ საქმეში რამდენიმე დამხმარეც ჰყოლია. ფერიცვალობის დღეს ლეკთა ბრბო ყვარელს შესევია, სახლები დაუწვავთ, მცხოვრებლები აუწიოკებიათ და შოტაცებული ტყვეები უცხო ქვეყნისაკენ გაურეკნიათ.

ქალი და რძალი წაასხა,
ვადაუყენა მთებსაო;
სულ ფეხშიშველნი ატარა,
ქოშიც არ ეცვა ერთსაო,
ერთ სასაბლეში შეუძღვა,
შვიდ ღამეს შვიდსა დღესაო.

უცხო ქვეყნისაკენ გარეკილ ტყვეთა შორის მელიქიშვილს ერთი ტყვე ქალი მოსწონებია და დამორჩილება მოუნდომებია, მაგრამ განრისხებულ ქალს მისთვის ყელი გამოუჭრია:

ბელადსა ყელი გა'ოსჭრა,
წავიდა 'ისხლის ღვარია,
ადგა ქალი წა'ოვიდა
სამშვიდობოში არია.

ყვარელში შემონახულია ასეთი თქმულებაც:

„ზაფხულის ერთ დღეს, როდესაც აზვირთებულმა დურუჯმა, თავისი ნაპირები მოანგრია და წყაროებისაკენ მიმავალი ბილიკი ჩამორეცხა, ყვარლის მახლობლად დარჩა ერთადერთი წყარო, რომელსაც ადიდებული დურუჯის ტალღები ვერ მისწვდნენ. იმ დღეს ახალგაზრდა ქალებმა თავი მოიყარეს და წყაროსაკენ კოკებით გაემართნენ. ის-ის იყო, მიუახლოვდნენ წყალს და 

ნაპირეს კოკების გავსება, რომ ტყიდან უცებ გამოვარდა შეიარაღებულ ლეკთა ცხენოსანი ჯგუფი და წყაროსთან თავმოყრილი დედაკაცების დანახვაზე შესძახეს „ფატმა სურიო" („ფატმა" ქალია, „სური" — წყალი), თავს დაესხნენ ქალებს, შეუკრეს ხელფეხი. დაისვეს ცხენებზე და გაიტაცეს"[30].

მსგავსი ამბები აღწერილია ლექსში „ფხიკლიას მიერ ტყვე ქალის განთავისუფლება". ერთხელ ლეკებმა ააწიოკეს სოფელი ხაშმი და მოიტაცეს ფხიკლიას საცოლე... ქალის გატაცება გაუგია ფხიკლიას, ვზაზე დახვედრია მძარცველებს და მტირალ ტყვე ქალისათვის შეუძახია:

ნუ სტირი, ქალო, ხაშმელო,
ფხიკლია გიზის გზაზედა;
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წელი ნუ მსხმია ყბაზედა[31].

ფხიკლიამ მოძალადეებს ჯერ თოფი ესროლა, შემდეგ ხმლით დაერია. ოთხი მოკლა, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ. ვაჟმა ქალი მშობლებს მიჰგვარა. ამისათვის სასიამოვნო სტუმარი დაუსაჩუქრებიათ. ქალის დედას ხალათი უბოძებია, ხოლო მამას — საგანგებოდ მოვლილი ცხენი.

მძარცველები განსაკუთრებით ლამაზებს ეტანებოდნენ. ხალხური ლექსი „პატარძეულის ციხესა", რომელიც აგვიწერს მშვენიერი ქალის გატაცებას, ასეთია:

პ'ტარძეულის ციხესა... გამოუთხრიან ძირსაო...
ვამოიყვანენ ლამაზსა... ცრემლით დაბანენ პირსაო[32].

ხოლო ლექსში, გზას მიდიოდნენ მგზავრები"[33] აღწერილია დალესტნელი ლეკების მიერ მთის ერთი სოფლიდან ულამაზესი ქალის ქურდუ-

ლად მოტაცება და დაღესტნისაკენ წაყვანა. მათ გზად შეხვედრია „აფ-ციაური ვაჟაი", რომლისთვისაც ტყვე ქალს შველა უთხოვია. მთიელი ვაჟკაცი

> ბგზავრთ ეცა ხმლითა ელერითა,
> იმდენი თეითონ ეერ მოკლა,
> ცხენმა გათელა ფეხითა,
> რეა მოკლა, ერთი გაექცა
> სისხლი მისდეედა გრეხითა.

განთავისუფლებული ქალი კი გმირმა მშობლებს ჩააბარა.

ხალხი მოგვითხრობს ასეთ შემთხვევასაც: ლეკები თავს დასხმიან ერთ ოჯახს, რომელსაც წინა დღით რძალი მოეყვანა და ქორწილი ჰქონიათ. ბევრი დაუხოცავთ, ხოლო ბევრიც ტყვედ წაუსხამთ.

> ორშაბათ დილა ვათენდა, ცამ იგრძნო მზისა ძალიო,
> ლეკები შემოგვიცეივდნენ ქორწილში მეტად მწყრალიო[34].

ლექსში „გასწი, გაფრინდი, მერცხალო"[35]... აღწერილია გასათხოვრად გამზადებული ქალის გატაცება ლეკების მიერ. ტყვეობაში მყოფი თუშის ქალი ცაში მონავარდე მერცხალს შესთხოვს გაფრინდეს სამშობლოში, შემოიაროს „თელავის მიწა-წყალი" და „კახეთის წინა მხარე", ამასთან ერთად ავალებს: „მიბრუნდი ჩემსა სატრფოსთან", ხელი ჩამოართვი და ასე უთხარ:

> — მიყვარხარ, ბიჭო, მიყვარხარ, მიყვარხარ გენაცვალეო,
> არცა ხარ ისე ლამაზი, არც ფერად მოსაწონია,
> მე კი მიყვარხარ, გენაცვალე, რად მინდა შენი ფერია!
> სიზმრით ხან ძნელად სანახავ, ცხარე და სანატრელია,
> მოდი შევირთოთ ერთ-ურთი, ვართ ერთ-ურთ შესაფერია,
> ტანით ალი ვარ, სასით მზე, თუშეთ თემისა ქალია".

ასევე ლექსში „ტყვე ქალის მოთქმა"[36] დატყვევებული თუშის ქალი ფრინველის პირით სატრფოს უთვლის იმ განცდებისა და ჯვარისწერის შესახებ, რომელიც მეორე დღით უნდა მომხდარიყო, მაგრამ

> შუაღამისას ლეკებმა გაგვიღეს ცისის კარია,
> მოვიდნენ, გამომიყვანეს თვალ-ცრემლიანი ქალია,
> მთის წვერებ გადამატარეს, ცრემლით ვასველე გზანია,
> წამიყვანიან დაღისტან, ლეკის მეხვევა ქალია:
> „— ნეტავი სხვაც არ იქნება ლამაზი თუშის ქალია".
> მომნათლეს, როგორც უნდოდა, დამაკარგვინეს რჯულია,
> საქმროდაც აქვე მირჩიეს ნადაღესტნელი ვაჟია.
> მითქვიდით ჩემსა სატრფოსა: „თუშო, რად გინდა ხმალია,
> გადმოდი დაღესტანშია, მტრისა იყარე ჯაერია,
> თუ სოფლად ვერსად ჩამოხვალ, მთაზე დასტაცე ცხვარია.
> ტირილით ეერა ეუშველე, ქალმან მოეიკალ თავია"[37].

ხალხურ ლექსში „ქისტი ხოხობი“[39] აღწერილია შემდეგი ამბაები: ხოხობმა შვიდი ვაჟი გაზარდა, გაწვრთნა და შეასწავლა მტაცებლობა, შემდეგ შვიდივეს უყიდა საომარი იარაღი — ფარები, ხანჯლები, ხირიმის თოფები და გააგზავნა ფშაველის სოფელ ახადში გოდერძის ქალის მოსატაცებლად. გამომგზავრებულთ უთხრა:

> თუ ქალ არ წამაიყვანთ, ნუღარ მამიხვალთ კარზედ!
> უსახელოებს ვაჟებსა შატილს არა ვსხამთ ჯარზედ!

ქისტი ხოხობის ვაჟებმა გოდერძის ქალი მოიტაცეს:

> იქით ქალს წამაიყვანენ, ქალი მოტირის გზაზედ,
> ხოშარა გამააელიეს, გზა უძე მათურაზედ.
> თადია შემეეყარა, თადია მაღალს მთაზედ.

გზადმავალი, კაჯავრებული თადია, რომელმაც გადმოიარა შატილის ყელი, ქისტ მძარცველებს ეტყვის:

> — ეს ქალი საით მიგყავისთ, ცრემლი რომ მაპდის თვალზედ?
> — ეს ქალი ასადით მოგეყავ, შატილს ჩამოვსოთ ჯარზედ.

გაბრაზებული თადია, მძარცველებს შეუტევს:

> — ძაღლნო, რა ონა გიქნავისთ ლაშქარის ჯვარის ყმაზედ?
> თუ თქვენ ქალ წაგაყვანინოთ, წვერიც ნუ მასხაკის ყბაზედ.

ფშაველმა გმირმა თადიამ შვიდ ქისტს შეუტია „აჰყარა იარაღები“ და „მკვდარი შაჰყარა მკვდარზედა“.

> ქალს ქისტის ხმალი შაარტყა — მშვიდობით, დო, გსაზედ!
> მამას გოდერძის ნუ ეტყვი, თადია შამხვლა გზაზედ,
> ქალმ მე დავხოცე ქისტები, მარტუა ვიყავ ცდაზედ.

ამ პერიოდს მიეწერება ტყვეობაში მყოფი ქართველი ქალის თავგადასავალი, რომელიც დაღესტანში მყოფ რუს ელჩს ა. ვოლინსკის ჩაუწერია და ასეთი შინაარსისაა:

1817 წლის დეკემბრის 21[39] შუადღისას ელჩთან მოირბინა ტყვე ქალმა (ტომით ქართველმა, რომელიც მუშაობდა ერთ სახელგანთქმულ ვაჭართან. ქალი ვაჭარმა ორი წლის წინათ იყიდა ლეკებისაგან და ძიძულებდა გამაჰმადიანებულიყო). ელჩთან მისულმა ტყვე ქალმა თქვა, რომ გამოქცეულს თვით ელჩის სახლამდე მოსდევდნენ დასაჭერად. შემდეგ კი მდევრებმა სთხოვეს ელჩს მაჰმადიანი ტყვე ქალის დაბრუნება. ელჩი თითქოს დათანხმდა, რადგან ქალის დატოვება მასთან შეუძლებლად მიიჩნია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტყვე ქალი იმათი ქვეშევრდომი იყო და თან მაჰმადიანიც: ელჩს უნდოდა მოესინჯა საქმის ვითარება და მათ უთხრა: მართალია, ტყვე ქალი მათი უდიდებულესობის

ქვეშევრდომი არ არის, არამედ ქართველია, მაგრამ რადგანაც უკვე ტყვემ შეაფარა თავი, ამ მიზეზით არ შეუძლია მათთვის გადაცემა, ეს მის ღირსებას ეწინააღმდეგება. ელჩმა 50 მანეთად გამოისყიდა ტყვე ქალი და 26 მარტს საქართველოში დააბრუნა შემახაში მყოფი ქართველი ბერის საშუალებით.

მსგავსი ამბავია მოთხრობილი კონსტანტინეპოლში გაყიდულ ქართველ ქალზე. სპარსელი მირფეტაჰ მუშტაიდს კონსტანტინეპოლში ტყვეთა ბაზარზე მოსწონებია ლამაზი ქართველი ქალი ნინო, უყიდნია, ცოლად შეურთავს და მისი თხოვნით საცხოვრებლად თბილისში ჩამოსულა. აქ ნინოს მშობლები ცოცხალი აღარ დახვედრია. ქალს უდარდნია, ავად გამხდარა, გარდაცვლილა და მუშტაიდს ცოლის ცხედარი თავისი სახლის წინ დაუკრძალავს. საფლავზე ნინოს საყვარელი ყვავილები — წითელი ვარდები დაურგავს (შემდეგ მუშტაიდმა აქ გააშენა ბაღი, რომელსაც გამშენებლის სახელი შეარქვეს. ხოლო ბაღი სახელმწიფოსათვის მიუყიდნია და თვითონ სამშობლოში დაბრუნებულა)[40].

ტყვეობაში მყოფთ გულსა და სულს უწამლავთ ვაება და ტირილი, ბნელში მყოფთ, მზე დანატრებულს წარმოდგენა არა აქვს, სად არიან, რომელ მხარეს გადმოხვეწილან, არ იციან, თუ რა გზას დაადგნენ, რომ მშობლიური ადგილები მოინახულონ და დატკბნენ მისი ალერსით. ამიტომ ისინი ფრინველებს შესთხოვენ:

ფრინველნო, ეამუდარებით,
მარქვით რამ ჩემი მხრისაო?
მიამბეთ, ჩემს სამშობლოში
წყარონი კიდევ დიანო?
მზე, მთვარე და ვარსკვლავნი
ცაზედ კიდევა კრთიანო?[41]

ხშირი ყოფილა შემთხვევა, როცა ტყვეობაში მყოფი ქართველები თავიანთ ქვეყანას მშობელ-ნათესავებს დანატრებულნი, სიკვდილსაც არ ერიდებოდნენ და სამშობლოსაკენ გზას იკვალავდნენ. ამიტომ იყო, რომ ქართველი ხალხი სულითა და გულით შესთხოვდა როგორც ადამიანს, ასევე ბუნებას, ტყვეობიდან გამოქცეულთათვის სამშობლოში მისვლამდე გზა უხიფათო გაეხადა. ერთი ხალხური ლექსი „ტყვეს გზა დაულოცოთ"[42] გადმოგვცემს.

ქართლის ტყვე გამოპარულა, გამომხდარიყო ზღვასაო,
რუ ჩაუხდები, მთვარეო, ნუ ჩაუბნელებ გზასაო.
ნუ გაუყინავ მყინვარო, გადასავალსა მთასაო,
ხიდნო ნუ ჩაუცვიდეპით, გაახდინოდით წყალსაო,
ნუ აუტირებთ დედასა გასაოხოვარსა ქალსაო.

ასეთი სათუთი სიყვარულითა და სიხარულით მოელოდნენ თანამოძმეები გამოქცეულ ტყვეებს...

ადამიანთა გატაცების შემაძრწუნებელი ამბავია მოთხრობილი ერთ ძველ დოკუმენტში (ქაიხოსრო ნახუცრიშვილის ასულის, გიორგი შალბელიქიშვილის მეუღლის ნინოს შესახებ) — „ამბავი ერთი ქართველი ქალისა", რომელიც გამოაქვეყნა ს. ხუციშვილმა[3].

1832 წლის შეთქმულების მონაწილის ს. რაზმაძის ქაღალდებში შენახულია ქაიხოსრო ნახუცრიშვილის ქალის — ნინოს წერილი, რომელშიც თავის მეუღლეს სთხოვს, რომ მან და ნათესავებმა როგორმე დაიხსნან ტყვეობიდან. აი, ეს წერილიც: „ბედით შეწუხებული და უბედური ქალი გთხოვთ და გეევედრებით ღვთისა და წმინდა სარწმუნოების გულისათვის დამეხმაროთ მე საცოდავს. ოცი წელიწადია ბარბაროსთა ხელშია ვარ გაწამებული და გთხოვთ შემიშროთ სიმწრის ცრემლი, რასაც ვღერი ჩვენი წმინდა სარწმუნოებისათვის. ახლა მარანდელი ხანის სახლში ვიმყოფები, ვეწამები და უნუგეშოდ ვიწვი, ქრისტეს გულისათვის ნუ დამაგდებთ ამ გენიაში, მიხსენით ამ ბოროტებისაგან, რათა ჩემი სიცოცხლე საქრისტიანოში დავამთავრო... ამ წერილს ვწერ ცრემლში დამღრჩვალი ქაიხოსრო ნახუცრიშვილის ასული ნინო".

წერილი დაწერილი უნდა იყოს 1815—1816 წლებში.

ნინოს მეუღლეს გიორგის უცდია ცოლის დახსნა, მაგრამ მიზნისათვის ვერ მიუღწევია.

1827 წელს ნინოს მეუღლეს გიორგის მეფისნაცვალის პასკევიჩისთვის გაუგზავნია ასეთი შინაარსის წერილი: „1795 წელს ჩემი ოჯახობა ტყვედ წაიყვანეს. მპირდებოდნენ, რომ ჩემს ცოლს, რომელიც მარანდელის ხანს ერგო, გამოიყიდიდნენ. ამა ხანს თავისი შვილისათვის შიხალი-ხანისათვის უჩუქებია იგი და ახლა მას სერალში ჰყავს... მე ჯერ სპარსეთის საზღვრისაკენ წავედი, მაგრამ არა გამომივიდა რა. 1809 წელს ალექსანდრე პავლოვიჩსა ვთხოვე. მან ტორმასოვს უბრძანა ღონისძიება, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია"...

1827 წლის დეკემბერში ტყვე ქალი ნინო ჯერ კიდევ მოძებნილი არ ყოფილა.

მეფის მთავრობას 1828 წლის 1 სექტემბერს ალექსანდრე გრიბოედოვისათვისაც მიუწერია, რომ მას ნინო ნახუცრიშვილის მოსაძებნად ყოველგვარი ზომები მიეღო, მაგრამ სულ მალე თვით გრიბოედოვის სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა და ამ ქალის მოძებნა არავის აღარ უცდია.

●

მთელი ამ მასალების ანალიზიდან ჩანს, რომ ქართველი ქალები უცხოეთშიც სულითა და გულით პატრიოტები რჩებოდნენ. მართალია, ისინი მოწყვეტილი იყვნენ სამშობლო მიწა-წყალს და იძულებით ემორჩილებოდნენ უკულმართ ბედს, მაგრამ მამულიშვილობა, ქალობა, პატიოსნება არ დაუკარგავთ.

## შენიშვნები

### თავი პირველი


1. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 58-59.

2. აინანა ქართველთა კერპია, რომელიც აღმართა მეფე საურმაგმა („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 33); კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „ანთოლოგია" ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერი № 2830.

3. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, I, 1906 წ. გვ. 80; ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 382, ალ. ხ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913, გვ. 70.

4. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, 1955, გვ. 265.

5. ხალხური პოეზია, შეადგინეს ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ვ ო მ ი ა შ ვ ი ლ მ ა, დ ა რ ა ჯ დ ე ნ გ ვ ე ტ ა ძ ე მ, 1950, გვ. 56 — 59; მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 334-335; ა. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში 1963, გვ. 175; გ. ა რ ა ბ უ ლ ი, ქართული ხალხური ბალადა, მნათობი, 1956, გვ. 158.

6. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 242; ხალხური სიბრძნე, ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ქ ს ე ნ ი ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ, IV, 1965, გვ. 409.

7. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 51.

8. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართველი ქალები (ისტორიული მიმოხილვა), გამოცემული ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა გ ა ნ, 1891, გვ. 8.

9. თ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, შემოკლებული მოთხრობა საქართველოისა, პარიზი, II, 1833, გვ. 107; ნ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, 1961 გვ. 62.

10. ი ა კ ო ბ ც ო ტ ნ ა ე ვ ი, მარტვილობა შუშანიკისი, 1938, გვ. 41.

11. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ხალხური პოეზია, I, 1931, გვ. 165.

12. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება I, გვ. 49; იხ. აგრეთვე თუშური პოეზია, 1962, გვ. 18.

13. „მოამბე", 1901, № 10, გვ. 47.

14. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, აკაკის კრებული, IV, 1897 გვ. 8.

15. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, 1945, გვ. 93 — 112.

16. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, III, გვ. 427-428.

17. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, I, გვ. 266.

18. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, III, გვ. 428.

19. იქვე, III, გვ. 253.

20. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი ჩემი ნაწერები, II, 1913, გვ. 73.

21. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლექსები, II, 1950, გვ. 43.

22. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, პუბლიცისტური წერილები, XIV, 1961, გვ. 597-598.
23. ა. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სწერი და ოთხი ლექსი ი. ვ ა ხ ტ ა ნ გ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ძ ი ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა, გამოცემული ზაქ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ა გ ა ნ, 1879, გვ. 126.
24. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, პოემები, III, 1964, გვ. 282.
25. ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბიბლია, 1927, გვ. 69.
26. ე ს ქ ი ლ ე, მიჯაჭული პრომეთე, 1948, გვ. 29.
27. H. Услар, Древнейшие сказания о Кавказе. 1881, გვ. 400,
28. Б. Э с а д з е, Летопись Грузии, გვ. 145.
29. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 15.
30. გ. ქ ი ქ ო ძ ე, რჩეული თხზულებანი, II, 1969, გვ. 434.
31. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე დ ბ ე გ ი, მნათობი, 1933, № 5, გვ. 183-187.
32. ვ ა ტ ი ფ ი, ლექსები საქართველოზე, 1948, გვ. 5-11.
33. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 80.
34. ქართული სიტყვა, 1927, № 17.
35. ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975, გვ. 129; დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ისტორიული სურათები, 1914, გვ. 204.
36. ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი, სამეგრელოს აღწერა, გვ. 164.
37. მოგზაური, 1901, № 4, 395.
38. იხ. ალმანახი „Зурна", 1855, გვ. 151-152.
39. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე დ ბ ე გ ი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, 1941, გვ. 103; შად. დავით სასუნელი, 1939, ქართული გამოცემა, გვ. 16.
40. Ч. Д а р в и н. Происхождение человека и половой отбор, V, 1958, გვ. 528; ქართული სიტყვა, 1927, № 17.
41. მოგზაური, 1901, № 4, გვ. 335.
42. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, იოანა მეუნარგიას წერილები, ტ. I, 1947, გვ. 134.
43. ა. დ ი უ მ ა, კავკასია, 1970, გვ. 277-278.
44. იქვე, გვ. 278.
45. იქვე, გვ. 278; გ ა ნ წ ე რ ე ლ ი ა (საბჭოთა ხელოვნება, 1954, № 5 გვ. 43).
46. მ ა რ კ ი ზ დ' კ ი უ ს ტ ი ნ ი, ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი, 1935: გვ. 73-74.
47. თ. ს ა ს ო კ ი ა, ცნობის ფურცელი, 1904, № 2428 (წერილს ავტორად ოელის ფრანგ ჟან მორანს, რომელიც 900-იან წლებში ყოფილა საქართველოში).
48. Русский вестник. 1869., Март. и Апрель.

## თავი მეორე

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8, 9, 54.
2. იქვე, I. გვ. 276.
3. ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ.ვით. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, II, 1959, გვ. 386.
4. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლესურის ხეობა, 1964, გვ. 35.
5 იქვე, გვ. 27.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 514-515;
ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 171;

ს. გ ო რ გ ა ძ ე, წერილები საქართველოს ისტორიიდან. ძველი საქართველო, II, 1913, განყოფილება, II, გვ. 10.

7. К о р н е л и й  Т а ц и т. Сочинения в двух томах. I., Анналы Малые произведения. ა. გამყრელიძე, ტაციტის ცნობები საქართველოს შესახებ 1973, გვ. 15, 77, 78; 1969, გვ. 216-217; ვაჟა გეახარია, ქართული მუსიკალური სისტემათა განვითარება, 1962, გვ. 6.

8. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1955, გვ. 61. ს. ყ ა ვ უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს თარგმანი; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 659-773.

9. ესარგებლობთ „წინის ცხოვრების" შატბერდულ-ჭელიშური რედაქციით (ძველი ქართული ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1963, გვ. 99-163),

10. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 126.

11. პ ე ტ რ ე  ი ბ ე რ ი ე ლ ი იყო შვილი იბერიის მეფის ბაკურისა, რომელიც მოღვაწეობდა V საუკუნეში სირია-პალესტინასა და ეგვიპტის მონასტრებში, უკანასკნელად ეი მაიუმში (დაბას მასლობლად), რომლის ეპისკოპოსადაც იყო არჩეული V საუკუნის II-რე ნახევარში. მისი ცხოვრება გამოსცა ნ. მ ა რ რ ი: „Житие Петра Ибера" (1896. გვ. I — XXXIX) ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, I, გვ. 234; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 309-311; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (მნათობი, 1939, № 2, გვ. 160-162); Ш. Пицубиндо. Тайна Псевдо-Дионосия ареопагита. ენციკლის მოამბე, XIV, 1942, გვ. 1 — 160; ლ. მ ე ლ ი ქ ს ე დ ბ ე გ ი, სომხურ ეპისტოლეთა წიგნის ახალი ვარიანტი და პ ე ტ რ ე  ი ბ ე რ ი ე ლ ი ს მოწაფე იოანე მ ა ი უ მ ე ლ ი; მუზეუმის მოამბე, XI, 1941, გვ. 41-80; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 261; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, არეოპაგიტიკის პრობლემები, 1972.

12. ს. ყ ა ვ უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II, 1965, გვ. 249-250.

13. ს. ყ ა ვ უ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 253.

14. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 249;
М. А р т о м а н о в. История Хазар, 1962., გვ. 251;

15. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული შრომა, II, გვ. 80.

16. ესარგებლობთ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს გამოცემით: გიორგი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1949, გვ. 26-109. ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 112-123; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, I, გვ. 134-136.

17. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 162.

18. დ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 122-123.

19. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 94.

20. იქვე, გვ. 294.

21. პილიგრიმი — წმიდა ადგილებში ხალოცავად მიმავალი მორწმუნე.

22. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, II, გვ. 198.

23. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო სიმონ ყ ა ვ უ ხ ი შ ვ ი ლ მ ა, VI, 1966, გვ. 1-122; А. Комнина. Алексиада, 1965; გიორგი მ ტ ი რ ე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა და სხვა.

24. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, 1946, გვ. 198.
25. იქვე.
26. თ. ჟორდანია, I, გვ. 211.
27 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1892, გვ. 70.
28. ათონის კრებული, გვ. 250 (ალაპი № 113); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1969, გვ. 247-254.
29. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334.
30. ლ. რინეულიშვილი, თაღვა შარვანის დედოფლის აღმშენებლობა, 1960, გვ. 38. (წარწერის ტექსტი ეახსნა და ამბიკოდ გააწყო ა. შანიძემ).
31. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.
32. ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, 1963, გვ. 56.
33. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.
34. იქვე, II, გვ. 15, 16, 24, 29, 47.
35. იქვე, გვ. 15.
36. იქვე, გვ. 115.
37. იქვე, გვ. 113.
38. იქვე, გვ. 46.
39. იქვე, გვ. 54.
40. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 247.
41. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.
42. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, გვ. 205.
43. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.
44. იქვე, გვ. 30.
45. იქვე, გვ. 32.
46. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 205.
47. ქართლის ცხოვრება, II; გვ. 120.
48. ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, 1904, გვ. 52; ჩვენი საუნჯე, X, 1961, გვ. 645.
49. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 94.
50. იქვე, გვ. 135.
51. იქვე, გვ. 137.
52. იქვე. გვ. 97.
53. იქვე, გვ. 98.
54. ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, გვ. 201.
55. იქვე, გვ. 203.
56. ხალხური სიტყვიერება, 1950, გვ. 345.
57. ჰ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I,. 1937, გვ. 88.
58. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 145.
59. მ. ჯანაშვილი, თამარ მეფე, 1917, გვ. 108.
60. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 113.
61. ი. ჯავახიშვილი, დასახელებული შრომა, II, გვ. 292.
62. ქართლის ცხოვრება II, გვ. 13.
63. იქვე, გვ. 149.
64. იქვე, გვ. 146.

65. ვსარგებლობთ ი. ლოლაშვილის გამოცემით (ჩვენი საუნჯე, II, 1960. გვ. 485).
66. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 66.
67. ჩვენი საუნჯე, II, გვ. 485.
68. ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, ჩახრუხაძე. ლოლაშვილის რედაქციით.
69. შოთა რუსთაველი, ეეფხისტყაოსანი, I, 1966,. გვ. 2.
70. მ. ჩიქოვანი (მნათობი, 1937. № 12, გვ. 207-208); ი. მეგრელიძე, Руставели и фольклор. 1906. გვ. 43, ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე, 1943, გვ. 31.
71. არჩილიანი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, II, 1937, გვ. 91.
72. ანტონ პირველი, წყობილსიტყვაობა, 1853, გვ. 189-191.
73. პ. ინგოროყვა თამარ მეფის ანბანიკონი, მნათობი, 1941, № 3, გვ. 115-153.
74. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, 1975, გვ. 540.
75. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 118.
76. იქვე, გვ. 145.
77. იქვე, გვ. 172.
78. იქვე, გვ. 172.
79. იქვე, გვ. 174.
80. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 102.
81. გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში (გ. ქიქოძის თარგმანი) 1942, გვ. 178.
82. იქვე, გვ. 179.
83. А. Гордлевский. Избранные сочинения. I., 1960, გვ. 210.
84. ბ. გაწერელია, „დედოფალი თამარი, (გურჯი სათუნი) და პოეტი ჯელალ-ედ-დინ რუმი", რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 425-440.
85. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 270.
86. В. Гордлевский. Избранные сочинения. I., 1960, გვ. 211.
87. В. Гордлевский. I., გვ. 196.
88. იქვე.
89. ნ. მარი, აღაპნი იერუსალიმისაი, 1914, გვ. 68.
90. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956, გვ. 83.
91. წმიდის მოწამისა სალომე ქართველისათვის, ი. ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 134.
92. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1961, გვ. 173, 163.
93. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 310.
94. იქვე, გვ. 112.
95. იქვე, გვ. 451.
96. იქვე, გვ. 452.
97. იქვე, გვ. 452.
98. იქვე, გვ. 453.
99. დრ.: ი. ბატონიშვილი, დასახ. შრომა, II, გვ. 124—131,
100. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 453.
101. 1412—3 წლების მცხეთის საბუთები. ისტორიული საბუთები, III, 9; ქრო-

ნიკები, II, გვ. 220. ი. ჯაველიშვილი, IV, გვ. 21-23.
102. ალექსანდრე მეფის 1440 წლის სიგელი, თ. ყორდანია, ქრონიკები, II, გვ. 247-248.
103. ლ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის მეცენატი ქალები, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთაველოლოგიის საკითხები, V, 1973, გვ. 128-129.
104. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, 1942, გვ. 236.
105. იქვე, გვ. 236.
106. იქვე, გვ. 236.
107. თ. ყორდანია, II, გვ. 300.
108. იქვე, გვ. 301.
109. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, 1913, გვ. 42.
110. მ. სვანიძე, ქართველი ქალი-დიპლომატი, ჟურნ. „ცისკარი", 1966, № 3. გვ. 137-143; ბ. გიორგაძე, ახალგაზრდა კომუნისტი, 1959, № XII.
111. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 372; დ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები, გვ. 209-210; ფუცუ დგებუაძე-ფულარია, მოღვაწე ქალები, 1957, გვ. 62-63.
112. გრიგოლ ხუცეს-მონაზონი, ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა, ლიტერატურული ძიებანი, V 1949, გვ, 243.
113. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 383.
114. გრიგოლ ხუცეს-მონაზონი, ლიტერატურული ძიებანი, V, გვ. 253.
115. იქვე, გვ. 255.
116. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926, გვ. 19.
117. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 383.
118. გრიგოლ ხუცეს-მონაზონი ლიტ. ძიებანი V, გვ. 257.
119. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 391-392.
120. ი. ტაბაღუა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, 1974, ვვ. 5-12; სამშობლო, 1973, № 13; იქვ. გვ. 132.
121. იქვე, გვ. 9.
122. იქვე, გვ. 8-9.
123. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1972, სტრ, 406,
124. მნათობი, 1960, № 2, გვ. 163-168.
125. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 177.
126. იელრია, 1887, № 145.
127. იმერელი ქალი (ლიდია მგალობლიშვილი), ლექსები, 1960, გვ. 20; ი. აბაშიძე, სიტყვები, გზები, სახეები, 1971, გვ. 105; მ. რეხვიაშვილი, სახალხო განათლება, 1960, 24./II.
128. აქ დიმიტრის ნაცელად უნდა იყოს ელიზბარი.
129. E. Такашвили. Описание рукописей, II, 1893, გვ. 200.
130. გ. ლეონიძე, სულხან-საბა, კომუნისტი, 1959, 14/X.
131. ხელნაწერები: აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის საეკლესიო სიძვ. № 1164, საისტორიო ფონდის № 33, 479, 1219, წერა-კითხვის № 1534, საქართველოს საისტორიო არქივის ფონდი 233/8, № 101, 230.
132. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 31 აგვისტო (ტრ. რუხაძის პუბლიკაცია).
133. ლ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის მეცენატი ქალები, დასახ. შრომა, V, გვ. 130.

134. დონ ჯუზეპე ჯედიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე XVII ს., იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბექან გიორგაძემ, 1964, გვ. 34.
135. ვ. ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 71.
136. ფეშანგი, შაპნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანაშვილის რედაქციით, 1936, გვ. 34.
137. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 434.
138. ფეშანგი, შაპნავაზიანი, გვ. 7.
139. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 441.
140. იქვე, გვ. 441.
141. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, 1906, გვ. 645.
142. Т. Жордания, Описание рукописей, I, 1902 г. გვ. 3.
143. ლ. კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის მეცენატი ქალები, V, გვ. 136.
144. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 441.
145. დონ ჯუზეპე ჯედიჩე მილანელი, გვ. 132.
146. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 384.
147. დონ ჯუზეპე ჯედიჩე მილანელი, გვ. 129.
148. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 427.
149. ბ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 161-163.
150. დონ ჯუზეპე ჯედიჩე მილანელი, გვ. 34.
151. არქანჯელო ლამბერტი, გვ. 43-50.
152. კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945, გვ. 303.
153. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, 1920. გვ. 36-39.
154. Б. Эсадзе. Летопись Грузии, გვ. 358.
155. ე. ტატიშვილი, ქართველები მოსკოვში, 1959, გვ.-ბი: 208 და 239,
156. Историко-Статистическое описание села Всесвятское, 1898; ე. ტატიშვილი, გვ. 237-238; ფუცუ დგებუაძე-ფულარია, გვ. 82-85.
157. ე. ტატიშვილი, გვ. 237-238, ფუცუ დგებუაძე-ფულარია, გვ. 82-85.
158. ს. ყუბანეიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის გამგზავრება მოსკოვში ლიტერატურული ძიებანი, XI, 1958, გვ. 68.
159. ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, 1959, გვ. 278.
160. Б. Эсадзе, Летопись Грузии, გვ. 361.
არჩილიანი" II გვ. 7—8.
161. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, გვ. 33.
162. საქართველოს ცხოვრება (ახალი მოთხრობა 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე) სეხნია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე და ფარსადან გორგიჯანიძე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913 გვ. 59.
163. იქვე, გვ. 104.
164. დ. ქორიძე, ქეთევან ანდრონიკაშვილი, ქალის კალენდარი, 1960, გვ. 378, ლ. ასათიანი, ქართველი გმირი ქალები, 1942, გვ. 71-72.
165. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936, გვ. 9.
166. იქვე, გვ. 10.
167. Е. Вейденбаум. Кавказские этюды. I. 1901., გვ. 182—193

168. Переписка Екатерины Великой (II) с господином Волтером. 1882. გვ. 211

169. ეს მასალა მოგვაწოდა ბეჟან გიორგაძემ, რომელმაც მ. თამარაშვილის საარქივო მასალების ფონდში აღმოაჩინა და იტალიურიდან თარგმნა იტალიელი მწერლის მისიონერ ლეონის ნაწერები. ლეონი 31 წელიწადზე მეტს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში XVIII ს. მეორე ნახევარში. ლეონი აგვიწერს სოლომონ პირველისა და რაჭის ერისთავის როსტომის ურთიერთობას.

170. ანა ორბელიანის შესახებ იხილეთ: არქეოლოგიური კომისიის აქტები; ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თამარ ლომოურმა, 1941, გვ. 63; ჰ. იოსელიანი, მითითებული შრომა, გვ. II; Бутков, П, გვ. 284; თ. ხუსკივაძე, კონსტანტინე ბატონიშვილი, 1904, გვ. 3-40; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1960, გვ. 666-667; ა. ბარამიძე, ბესიკის გარშემო, გვ. 151-153, გ. ლეონიძე, ძიებანი, გვ. 201-258; ქართული მწერლობა, 1927, გვ. 82-83.

171. დავითმა ერთ-ერთი დამარცხების დროს თავი შეაფარა ახალციხეს, საიდაც რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს.

172. თ. ხუსკივაძე, კონსტანტინე ბატონიშვილი, 1902, გვ. 3-40.

173. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. გვ. 61.

174. ჰ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 27.

175. Н. Эристав-Шервашидзе. Книга о приданом царевны Нины Георгиевны, 1916., გვ. 3—10.

სარა ბარნაველი, ელისაბედ ბატონიშვილის მზითვის წიგნი (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X, 1940), გვ. 205-223.

176. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 102-103.

177. Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджарии, 1878, გვ. 281.

178. Н. Эристов-Шервашидзе, გვ. 3—10.

179. ბ. ბატონიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 116.

180. დ. ბატონიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 5.

181. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი, № 2637.

182. ბ. ბატონიშვილი, გვ. 100.

183. ბ. ბატონიშვილი, გვ. 112; დ. ბატონიშვილი, იქვე. გვ. 37.

184. ბ. ბატონიშვილი, იქვე, გვ. 112.

185. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 250-251.

186. იქვე.

187. ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 67; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქციით, II, 1964, გვ. 147; ზოგიერთი ვარიანტი უმატებს: „წმინდა ჩუქურთმის ნაგები, გელათის საყდრისთანა“.

188. ჰ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 79.

189. ბ. ბატონიშვილი, გვ. 84 დ. ბატონიშვილი, გვ. 28.

190. ივერია, 1895, № 109.

191. ბ. ბატონიშვილი, გვ. 112.

192. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1914, გვ. 133.

193. ზ, ჭიჭინაძე, ვახტანგ ორბელიანი, 1892, გვ. 12-13,

194. ჰ. იოსელიანი, გვ. 203.

195. ი. ჭაეჭავაძე, თხზულებანი, III. გვ. 236.

196. ა. ორბელიანი, გვ. 113.

197. ა. ორბელიანი, მოგონება მამის ვახტანგ ორბელიანის შესახებ, 1914. გვ. 13.

198. ა. გ ა ხ ჩ ე ნ ი ლ ა ძ ე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და თეატრის ისტორიიდან, 1957, გვ. 79-80.
199. იქვე, გვ. 80.
200. ლ, ა ს ა თ ი ა ნ ი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 255-256,
201. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოდინახეს ციხის აღება, კვალი, 1896, № 29.

**თავი მესამე**

1. იერია, 1888, № 9.
2. Г. Чурсин. Народные обычаи и верования Кахетии, 1905 გვ. 46—47.
3. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ნარკვევები, I, 1958, გვ. 365.
4. სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943, გვ. 191, ნახეთ აერეთვე „ქალქვა", თქმულების ლექსი იხ. გაზ. „იერია", 1891, № 13.
5. ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, 1961, გვ. 311-313.
6. კვალი, 1893, № 7, გვ. 16.
7. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, V, 1955, გვ. 184-223.
8. კოლხიდა, 1911, № 165.
9. დ. ქ ო რ ი ძ ე, ლეგენდა ბულბულას კოშკზე, ქალის კალენდარი, 1960, გვ. 353-354.
10. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 376.
11. იქვე, გვ. 376.
12. „თავდადებული დედა" და „თამარაშნელი მანდილოსანი". ჩაწერილია სოფელ მარტყოფში, 1952, მთქმელი გ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე.
13. ქართლის ცხოვრება, დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, II, 1854, გვ. 114.
14. ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი, II, გვ. 31; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ქართველი გმირი ქალები, 1942.
15. ფარაგა — „სადიაცო საველოს წინ ამოღებული აქვს, გულის პირი". „ფარაგა" კი ფერადი ძაფით არის მოქარგული და მძივ-ღილებით შემკული (ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, გვ. 139).
16. XVIII—XIX საუკუნეების მოღვაწე-მწიგნობარს ს. ტ ა ბ ი ძ ე ს, რომლის კალამს ეკუთვნის თხზულება მოხსენება შესვენებულთა ანუ „სავანე გმირთა, ქრისტინე მჭადიჯერელთან ერთად მოხსენებული ჰყავს მარაბდის ომში მოკლულნი: იოანე, გიორგი, მარიამი, თალი და სხვები. შესაძლოა, ეს მარიამი ცხრა ძმა ხერხეულიძის დედაა. იხილეთ ჩვენი საუნჯე; IX, 1960, გვ. 28.
17. გადმოცემა „ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დახოცვა მარაბდის ომში ჩაუწერია ბ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ს, რომელიც ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული, № 45 99/38.
18. ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი, გაბაასება რუსთველისა და თეიმურაზისა, 1937.
19. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1959, გვ. 94.
20. ა. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, რჩეული თხზულებანი, 1940, გვ. 34.
21. მარაბდაში ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წელს ყოფილა 900-მდე კომლი, ამჟამად 45-ია. მარაბდაში ცხოვრობენ: ოძელაშვილები, ბიზანიშვილები, კახნიაშვილები, გულდამაშვილები.
22. ძმები ხერხეულიძების, მათი ლედისა და დის საფლავის ქვების მიგნებაში დაგვეხმარნენ ამ სოფლის მცხოვრებნი ვალერიან ხიზანიშვილი, ზაალ კახნიაშვილი, ვალერიან მენთეშაშვილი, დავით გულდამაშვილი და ამ რაიონის მუშაკი ამირან ჩომახაშვილი.
23. მ. ხ უ ბ უ ა, ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, ენიმკის მოამბე; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი მიძღვნილი კრებული, 1940, გვ. 258-261; შდრ. გ. ლ ე ო-

ნ ი ძ ე, გამოკელეები და წერილები, 1958, გვ. 426-428; მისივე ქართველი გმირები, 1942, გვ. 31-34; დ. ქ ო რ ი ძ ე, თაეისუფლებისათვის მებრძოლი ქალები, 1961, გვ. 9.

24. XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში მოეიდნენ პოლონელთა სწაელულნა, რომელთაც გაიცნეს ჩენი ქვეყანა, აღწერეს იგი. მათ შორის იყო პოლონელი კრუზინსკი, რომელიც სპარსეთში დაუახლოდა ქართველ ტყვეებს და მათი ამბები აღწერა; დ. ქ ო რ ი ძ ე, ვმირი ქართლელი ქალი, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1955 № 70.

25. ა. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ბატონიშვილი ირაკლი პირველის დროს, 1877, გვ. IV.

26. დ. ქ ო რ ი ძ ე მნათობი, 1970, № 7. გვ. 186-190.

27. მასალები ქეთევან დედოფლისა და თინათინ ციბას სპარსეთში ტყვეობისა და ქართველი ქალის რომში ცხოერების შესახებ იტალიურად თარგმნა (მოგზაურობა სპარსეთში, II, 1664 წ. გვ. 385-450) და მოგვაწოდა ბეჟან გ ი ო რ გ ა ძ ე მ,

28. იხ. აგრეთვე თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მარიუჩა (მაშრიყით მაღრიბამდე, 1974 წ.) გვ. 78-93.

29. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 88.

30. დ. ხ ი ზ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს, შეკრებილ მასალებში („ფშაური ლექსები, „1887 წ.) მოხსენებული სანათაური ყოფილა წოეათის ქალი.

31. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა კი გადმოგვცემს: „მე სოფელ ხოშარაში ეიკითხე ამის შესახებ, რადგან ომიც იქ მოხდა და მითხრეს, რომ სანათა ფშაველი ქალი იყოეო, რომელსაც ამ ომში შეიდი ვაჟი და მერვე ქმარი მოუკლესო, მაგრამ მაინც შესძახდა ფშაველებს „გარწყდითო", („ეთნოგრაფიული წერილები"), 1935, გვ. 145;

32. მნათობი, 1934, № 11-12, ვაჟა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ჩემი პოემების შესახებ, გვ. 196; ი. ვართაგავა, ვაჟა-ფშაველას კრიტიკული განხილეა, 1921. გვ. 79-94.

33. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, პოემები, III, 1964, გვ. 140-148.

34. საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, II, 1936, გვ. 481-482.

35. საქართველოს კალენდარი, 1897, გვ. 447; დ. ქ ო რ ი ძ ე, თაეისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ქალები, გვ. 12-13.

36. დღესაც ხალხი იმ ადგილს სისხლის ღელეს უწოდებს.

37. ი. ბ ი ლ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, პატარა სურათი თუშეთის ცხოერებიდან, იეერია, 1899, № 59, 60 და 63.

38. იქეე, № ში 60 და 63.

39. ხალხური პოეზია, 1950, გვ. 271.

40. იქეე, გვ. 272-274.

41. იქეე, გვ. 274.

42. იქეე, გვ. 275.

43. იქეე, № 59.

44. იქეე, № 59.

45. ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 106-108.

46. კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თუშური პოეზია, 1962. გვ. 37.

47. იქეე, გვ. 37.

48. ამ ციხე-სიმაგრეს ახლა კახოს თინას ციხეს უწოდებენ. იგი შუასაუკუნეებს განეკუთვნება.

49. В. П о т т о. Памятники времен утверждения Русского владычества на Кавказе. I., 1899., გვ. 74-75; ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1927, გვ. 7; ლეგენდა გამოყენებული აქეს აკაკი წ ე რ ე თ ე ლ ს, მოთხრობაში „ბაში-აჩუკი"; ლეგენდა საქართველოში სტუმრობის დროს შემოკლებით უთარგმნია ფრანგულად ისტორიკოს-არქეოლოგს, საზოგადო მოღვაწეს და პოეტს

ბარონ დე-ბაის (ქართულად თარგმნა დ. ფანჩულიძემ, გამოაქვეყნა ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება", 1964. № 6); კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1942, ა. ლოლაშვილი, ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI-13, 1941; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქციით, II, 1964, გვ. 130-131,

50. В. Потто. Памятники... I. 1906. გვ. 74.

51. ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, გვ. 24-43.

52. იქვე, გვ. 24-43.

53. ა. ორბელიანი. დღისჩნიდან ლეკების გამოსელა და სხვა ამბები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ 1914, გვ. 29: ღ. ქორიძე, ვულაღი ცილი, ახალგაზრდა კომუნისტი, 1958, № 95.

54. ეს გადმოცემა ჩაგვაწერინა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნათელა ონაშვილმა.

55. საქართველოს კალენდარი, 1896, გვ. 95-100.

56. ჩაწერილია გურჯაანში, 1960; დ. ქორიძე, სოფლის ცხოვრება, 1965, 6/VI.

57. ქართლის ცხოვრება, 1854, გვ. 508.

58. ი. სიხარულიძე, სახელოვანი ბუკისციხელი ქალი. ბრძოლის დროშა, 1957; 22/XII, და 1960 27/VII. დ. ცინცაძე, მარიამ ბუკისციხელი, საბჭოთა ქალი, 1961, № 2, გვ. 23.

59. იქვე. გვ. 23.

60. იქვე. გვ. 23.

61. ქართლის ცხოვრება. დ. ჩუბინაშვილის გამოცემა. II, 1854, გვ. 504; დ. ჯანაშვილი. ისტორიული სურათები, გვ. 262-263; გ. ლეონიძე, დასახ. შრომა, გვ. 428-433 და მისივე, ქართველი გმირები, გვ. 35-44; ქს. სიხარულიძე. სახალხო გმირები, გვ. 48; ლ. ასათიანი, ქართველი გმირი ქალები, გვ. 20-21; ჰ. ორბელიანი საქართველოს ცხოვრება, 1913, გვ. 152; დ. ქორიძე, დასახ. შრომა, გვ. 9-12; მისივე. სახელოვანი ქართველი ქალები, 1965. L

62. ტრ. რუხაძემ საქართველოს ცენტრალურ არქივის ხელნაწერებში აღმოაჩინა ალაპი, სადაც მოხსენებულია ამ გმირი ქალის სახელი: „მოიხსენიე უფალო ქრისტინე მოხუცებული, რომელმან მჭადიჯვარს ვარემოდგომილთა ბევრ რიცხვთა ლეკთა შეიდგზის ალმები მიხადა და იქნენ დამარცხებულნი".

63. გ. ლეონიძის გამოკვლევით ქრისტინეს ვარი ცქირიაშვილი ყოფილა; ჩვენი აზრით, ეს ვარი სახელისაგან (ცქირი) არის წარმომდგარი. ცქირი ცხოვრობდა VIII — IX საუკუნეებში (გრ. ხანძთელის ცხოვრება, 1949, გვ. 115-119). ალბათ ვარი ცქირიაშვილის ამ საუკუნეებიდან არის ცნობილი (საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, სოფელ მჭადიჯვარში).

64. საქართველოს ცხოვრება, გვ. 281.

65. მჭადიჯვრელი ქალის შესახებ გადმოცემები იხილეთ: ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 181; ქს. სიხარულიძე, სახალხო გმირები. გვ. 48.

66. დ. ქორიძე, სახელოვანი ქართველი ქალები, 1965, გვ 160.

67. დ. ჯანაშვილი, გვ. 265-271; ლ. ასათიანი. ძვ. ქართველი პოეტი ქალები, გვ. 24-25; ა. გარსევანიშვილი, სამშობლო, 1915, № 102, 103, 104; ზირ. ხუხუნაიშვილი, მაია წყნეთელი (ერეკლე მეფის მეტოქე), 1930, გვ. 7; ქს. სიხარულიძე, სახალხო გმირები, გვ. 40-51; დ. ქორიძე, გვ. 13-15, ქართველი ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქტორობით, II, გვ. 101-108.

68. დ. ქორიძე გვ. 167.

69. იქვე, გვ. 168.

70. ეს ამბები დ. ჭონქაძეს აქვს აღწერილი მოთხრობაში „სურამის ციხე".

71. დ. ქორიძე, გვ. 170.

72. იქვე, გვ. 171.

73. სომხითი მეწინავე სადროშის მეორე ნაწილია, შეიცავს 224 დასახლებულ და 28 აყრილ სოფელს, რომლებიც მდებარეობენ დმანისის ხეობაში (ყარაბულახის, ქვემო და შიდა ბოლნისის ხეობაში, ლოქზე და ტაშირზე), ის. კრებული ი. ჯავახიშვილის რედაქციით, 1915, გვ. 53.

74. დ. ქორიძე, გვ. 172.

75. იქვე, გვ. 179.

76. იქვე, გვ. 173,

77. ხალხის გადმოცემით მაია ოძელაშვილი ყოფილა.

78. დ. ჯანაშვილი, გვ. 273-278; ლ. ასათიანი, გვ. 25-26; ქს. სიხარულიძე, გვ. 52; ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიძის რედაქტორობით. II, 109-112; დ. ქორიძე, 1961, გვ. 21-25.

79. დ. ქორიძე, 1965, გვ. 179.

80. დ. ჯანაშვილი, 275.

81. სოფლის განაპირას, მთის ძირას არის ხალხის შესახიზნავი კოშკი. ვადმოცემით იგი რვასართულიანი ყოფილა (ამჟამად დანგრეულია სამი სართული ორი თაღით, ხოლო მეოთხე და მეხუთე სართულები დაზიანებულია, უსახურაეიდ არის დარჩენილი. ხალხის გადმოცემით კოშკი თამრო ეაშლოვნელს აუშენებია და ერთ-ერთი თაღის ქვეშ მისი სახეც გამოუხატავთ). 1964 წლის 13 ივლისს ეაშლოვანში ყოფნის დროს კოშკიც დავათვალიერეთ, თაღი ჩამონგრეულია, კოშკის თაღები, ფანჯრები და საოთოფურები აგურით არის ამოშენებული, ხოლო კედლები მთლიანად ქვით ნაშენია. ეველა სართულს კედელში აქვს ასასვლელი კიბეები სართულების მიხედვით.

82. დ. ჯანაშვილი, გვ. 19.

83. ქს. სიხარულიძე, გვ. 52.

84. დ. ჯანაშვილი, გვ. 277.

85. ქს. სიხარულიძე, გვ. 52,

86. დ. ჯანაშვილი, 271-273; ლ. ასათიანი, გვ. 25; ქს. სიხარულიძე, დასახ. შრომა, გვ. 53; დ. ქორიძე, გვ. 19-21.

87. სამგორა, 1959, 22/I, თინას გვარის შესახებ გადმოცემა ჩაწერა მასწავლებელმა მ. ჯანგიძემ.

88. ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი I და II, 1935. გვ. 371.

89. ქს. სიხარულიძე, გვ. 53,

90. Д. Пурцеладзе. Грузинские Крестьянские грамоты. 1892. გვ. 78-79; დ. ქორიძე, გვ. 33-35.

91. დ. ქორიძე, გვ. 163.

92. ეს ამბავი 1955 წელს სოფელ მეხათში ჩამაწერინეს ძმებმა ალექსი, ივანე და გიორგი ბაჯიაშვილებმა.

93. ი. ლორთქიფანიძე, I და II, გვ. 332.

94. ი. მეგრელიძე, ენათმი. 1934, № 7-8, გვ. 319-333.

95. ი. გრიშაშვილი, გვ. 151-158; დ. ქორიძე, გვ. 184-185.

96. იეთიმ გურჯის პოემა, გმირი ქალი „ანაბაჯი" შეიცავს 473 სტრიქონს.

97. დ. ქორიძე, გვ. 185,

98. ანას გარდაცვალების შესახებ იეთიმ გურჯი წერს: „ორმოცდა ორი წლისასა, სიცოცხლე უმწარდებაო" (იქვე, გმირი ქალი „ანაბაჯი", 1911, გვ. 19).

99. დ. ქ ო რ ი ძ ე, გვ. 187.
100. ამ კაცის გვარს ამბის მომყოლი ბაქრაძედ ასახელებს.
101. დ. ქ ო რ ი ძ ე, გვ. 185.
102. დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ქართველი მამელუქები ეგვიპტესა და ერაყში, 1967, გვ. 341.
103. იქვე, გვ. 339.
104. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, № 1958, დაუდ-ფაშას წერილი დედისადმი.
105. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 17517 ხ). იხ. ავრეთვე დროშა, 1954, № 3.

თავი მეოთხე

1. საქართველოს ქალი, 1963, № 3.
2. თ. ს. უ. შრომები X X X IV, 1948, გვ. 373-381.
3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 506-507.
4. Переписка Грузинских царей с российскими государями, СПБ, 1861, გვ 22—23.
5. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 182-183.
6. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია I, გვ. 355-356.
7. Акты., I, გვ. 56-58.
8. იმედი, 1883, №3, გვ. 45.
9. ს ულ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, 1960, გვ. 243.
10. ჟ ა ნ შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, 1975, გვ. 35-36.
11. Волтер и Экатерина, II, 1882, გვ. 211.
12. ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, მესხური ხალხური სიტყვიერება თურქდამპყრობთა ბარბაროსობაზე, 1949, გვ. 25-23.
13. საქართველოს ქალი, 1963, № I, გვ. 18-19.
14. იქვე, № 3; ა. ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი, „მზეთუნახავი და ოქროს მამალი".
15. გადმოცემა ჩაეიწერეთ თეოფილე ქ ო რ ი ძ ი ს ა გ ა ნ, 1953 წელს, სოფელ ოფეთში (სამტრედიის რაიონი).
16. ვსარგებლობთ „ბრძოლის დროშის", 1960, № 86-ში მოთავსებულ ბ. ყ ა ჯ ე ი შ ვ ი ლ ი ს წერილით.
17. ი. შ ი ლ ა კ ა ძ ე, ბასმარო, 1950, გვ. 10-19.
18. ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, I, გვ. 60.
19. დ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ახალი მოთხრობა, გვ. 17.
20. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 264.
21. პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, გვ. 89.
22. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ცისკარი, 1860, № 4, გვ. 266.
23. პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 191.
24. ქართლის ცხოვრება, ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა. 1852, გვ. 509.
25. ა. შ ა ნ ი ძ ე, I, გვ. 30; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 122-123.
26. ა. შ ა ნ ი ძ ე, I, გვ. 14.
27. კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თუშური პოეზია, 1962, გვ. 8-9.
28. იქვე, გვ. 10.

29. ე. თაყაიშვილი, გვ. 375; ქს. სიხარულიძე, გვ. 122-123.
30. ი. არჯევანიძე, გვ. 299.
31. ე. თაყაიშვილი, I, გვ. 101-102.
32. პ. უმიკაშვილი, II. გვ. 109.
33. ე. თაყაიშვილი, I, გვ. 199-200.
34. ძველი საქართველო, III, 1913-1914, გვ. 246-247.
35. ს. მაკალათია, თუშური ლექსები, 1937, გვ. 33-34.
36. ე. თაყაიშვილი, I, გვ. 100.
37. ხალხური სიტყვიერება, მ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 56.
38. იქვე, გვ. 64-65.
39. გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 1962, გვ. 233.
40. ბ. კანდელაკი, კომუნისტი, 1958, მაისი.
41. ე. თაყაიშვილი, I, გვ. 601.
42. ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 59.
43. ს. ხუციშვილი, ოპაკი ერთი ქართველი ქალისა, კომუნისტი, 1970, 15/XI.

---

# შ ი ნ ა ა რ ს ი


## შ ე ს ა ვ ა ლ ი

## თავი პირველი

ქალი ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურაში 5
უცხოელი მწერლები ქართველი ქალის შესახებ 21

## თავი მეორე

ქალი ქართულ საისტორიო მწერლობაში 29
ზენობია 32
სერაფიტი 33
სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი 34
დუსტია დედოფალი 35
ბაკურდუხტია 36
შუშან დედოფალი 36
ქართველი ქალები (VIII—IX სს) 37
გურანდუხტ დედოფალი 42
მარიამ დედოფალი (ბაგრატ IV დედა) 44
მარიამი—დედოფალი ბიზანტიისა (მართა ყოფილი ბაგრატ IV-ის ასული). 46
თამარ ბაგრატიონი 48
რუსუდან ბაგრატიონი 49
თამარი — დედა ქართლისა 50
თამარ ბაგრატიონი 64
სალომე ქართველი 66
ვახახი ჯაყელი 67
ქეაბთახეის წამებულნი 68
რუსა ამირეჯიბი 69
ანა დედოფალი 70
ვარდისახარ-გულჩარა 72
შალიკაშვილის ქალი 74
ქეთევან დედოფალი 75
მარიამ დადიანი 86
ელენე დედოფალი (ათაბაგი) 90
მართა მონაზონი 95
დარეჯან ბატონიშვილი (არჩილის ასული) 96
თამარ ბაგრატიონი (ვახტანგ VI-ის ასული) 98
ქეთევან ანდრონიკაშვილი 100
მარიამ დადიანი 102
ანა ორბელიანი 103
ნინო ბატონიშვილი 107
დარეჯან დადიანი 110
მარიამ დადიანი 112
მარიამ ციციშვილი 116
თეკლა ბაგრატიონი 119
ქეთევან აბაშიძე-წერეთელი 123

## თავი მესამე

### სოციალური უსამართლობისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლი ქალები


პარნაბიანი ნინო 126
თუში დედები 128
მარიამ თაედადებული 131
ნათელა წერეთელი 132
პელბულა ქეიშხეთელი 135
კორბოულელი და კაეთისბეველი მანდილოსნები 136
თაედადებული დედა 138
თამარაშნელი მანდილოსანი 141
ქიზიყელი დიასახლისი 143
თოთელი ნანა 144
მარიამ ხერხეულიძე 145
ქართლელი ქალი 149
ეულადი ცოლი 149
თინათინ ციბა ანუ მარაუჩა 151
სანთა (ბერიძის ცოლი) 153
დარეჯან შილდელი 157
ქალი მამასახლისი 158
თორღვაის ქალი ნანა 161
კახოს ქალი თინა 166
თბილისელი მანდილოსნები 170
ახმეტელი გოგონა 178
ბოდბელი დედაკაცი 179
მარიამ ბუკისციხელი 180
ქრისტინე მჭადიჯვრელი 182
მაია წყნეთელი 184
თამრო ვაშლოვნელი 191
თინა წავკისელი 196
ელისაბედ მრეველი 198
ძუხათელი რძალი (ანაბაჯა) 199
პარიამ მანველაშვილი-ბოჩოლაშვილი 207


## თავი მეოთხე


ტყვედ წაყვანილი და გაყიდული ქალები 209

რედაქტორი ი. ლოლაშვილი
ვა-ბის რედაქტორი ალ. გაბესკირია
მხატვრული რედაქტორი ე. ქიშმარაია
ტექნიკური რედაქტორი ო. მაჭავარიანი
კორექტორი ე. გაფრინდაშვილი

გადაეცა წარმოებას 8/XII-75 წ, ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/V-76;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16, საბეჭდი ქაღალდი № 3
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15,25 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,29.
უე 13070 ტირაჟი 5000 შეკვ. № 13152
ფასი 83 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5,
1976

---

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის სტამბა, № 5,
ქ. ქუთაისი, ი, ჭავჭავაძის პროსპექტი, 11,
Типография № 5 Государственого комитета
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,
полиграфии и книжной торговли.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.